ტის წარმოშობას. კლეინი „აბსტრაქციას“ აცხადებს პასუხისმგებლად „სიმბოლური აბსტრაქციის“ წარმოშობაში. იგი ასეთი სახის აბსტრაქციას ნახულობს დეკარტეს წმინდა ინტელექტის აბსტრაქციაში – კონცეპტის განზოგადებაში სიმრავლის *cognition*-იდან. ასეთი კარტეზიანული აბსტრაქცია შეიცავს თანმიმდევრულ აუცილებლობას, გააერთიანოს ეს განუსაზღვრელობა, რადგან გენერალიზებულია ცნება თავისი განმსაზღვრელი ნიშნით წმინდა ინტელექტისათვის, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა წარმოადგინოს ეს კონცეპტი. განმსაზღვრელი ნიშნის კომბინაცია განუსაზღვრელ კონცეპტთან არის შედეგი წმინდა ინტელექტის მუშაობისა წარმოსახვასთან კავშირში და იყენებს უკანასკნელის ძალას, წარმოადგინოს საგნები ხილულად. ამ შემთხვევაში წმინდა ინტელექტის განუსაზღვრელ კონცეპტებს ხდის ხილულად. ამ თანამშრომლობის შედეგია წმინდა ინტელექტის მიერ აბსტრაგირებული ფორმალიზებული კონცეპტის (თვით საკუთარი შემეცნებიდან გამომდინარე, განსაზღვრული მათემატიკური ობიექტები) განუსაზღვრელობის უნიფიკაცია ნიშნის განსაზღვრელობასთან, რაც ინტელექტმა ხილული გახადა რაღაცის წარმოსახვითი რეპრეზენტაციის მეშვეობით. მკაცრად რომ ვთქვათ, რასაკვირველია, იგი მისი განუსაზღვრელობის გამო, არ არის შემძლე იყოს წარმოდგენილი. ერთობა, წარმომდგარი ამ უნიფიკაციიდან, არის მათემატიკური სიმბოლო. ის, რაც ქმნის განსაზღვრული და განუსაზღვრელი კომპონენტების ერთიანობას მათემატიკურ „სიმბოლოდ“, არის სიმბოლოს ხილული განხორციელება იმ თანამედროვე ცვლილებებისა, რომელიც ხდება კონცეპტის კონცეპტუალობის საზრისში პირველიდან მეორე ინტენციისაკენ და, იმავდროულად, ერთდროული იდენტიფიკაციით ამ ინტენციების ობიექტებისა. ალგებრული ნიშნის ხილულობა, რაც არის გაერთიანება ფორმალიზებულ კონცეპტთან, პასუხისმგებელია ნიშნის სტატუსზე, როგორც პირველი ინტენციის ობიექტზე; როგორც ასეთი, გათვალისწინებულია როგორც ხილული ნიშანი, თუმცა, ნიშანი ჯერ კიდევ არ არის მათემატიკური სიმბოლო. ეს არ არის დანერგილი ნიშანი, თუ დანერგის ქვეშ გავიგებთ აღნიშვნას, რომელიც აღნიშნავს რაღაც სხვას და არა თავის თავს ამ აღნიშვნის მეშვეობით. სხვა სიტყვებით, პირობების გათვალისწინება სიმბოლური გონების შესაძლებლობებისათვის, იყოს „სიმბოლური“, არის რაღაც, რაც ცხადად არ არის უზრუნველყოფილი ყურადღების მიქცევით იმ ფაქტზე, რომ ასეთი გონება მუშაობს ასეთი „სიმბოლოებით“, როგორც მათემატიკური კონცეპტების აღნიშვნით. სასურველია, რომ სიმბოლური გონების შესაძლებლობის პირობების გათვალისწინება იყოს იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ დანერგილი ნიშანი სხვაგვარ უმნიშვნელო კავშირშია მათემატიკურ ობიექტებთან. ეს არის მინიშნება ასეთი ცალსახა კავშირის არსებობისა. უფრო ზუსტად, შესაძლებლობის პირობა, ფაქტობრივად, ამ შესაძლებლობის „ტრანსცენდენტალური“ პირობა, რასაც კლეინი ითვალისწინებს იმის ჩვენებით, რომ მათემატიკური სიმბოლოებით მსჯელობა ცვლადის კონცეპტით იმავდროულად გაგებულია, როგორც პირველი ინტენციის ობიექტი, რაც არის არაკონცეპტუალური არსებობა. როცა აღნიშვნა „2“ არის გაგებული როგორც რიცხვი „ორი“, ან, როდესაც აღნიშვნა „ა“ არის გაგებული როგორც ხილული „A“, მაშინ გონება ფუნქციონირებს

სიმბოლურად. კლეინი აჩვენებს, რომ, რაც ქმნის აღნიშვნას სიმბოლოდ, არ არის მისი, როგორც წერილობითი ნიშნის, მოჩვენებითი სტატუსი, არამედ, რაც ქმნის მის sign-ს მათემატიკურ სიმბოლოდ, არის მისი სტატუსი, როგორც აღნიშვნა (mark), რომელიც არის განუყოფელი მისი მათემატიკური ობიექტიდან, რომელსაც ის წარმოადგენს.

კლეინის ანალიზიდან მათემატიკური შემეცნების შესაძლებლობის ტრანსცენდენტალური პირობების გამოყოფისას, მათემატიკური ობიექტის სიმბოლური ფორმალიზაცია წარმოშობს და ამზადებს ნიადაგს ფილოსოფიური შემეცნების შესაძლებლობის ტრანსცენდენტალური პირობების გამოყოფისათვის, რომელშიც ხდება ფილოსოფიური შემეცნების ობიექტის ფორმალიზება. ისევე, როგორც მათემატიკური შემეცნების კრიტიკის შემთხვევაში, ფილოსოფიური შემეცნების შემთხვევაშიც კლეინი აჩვენებს, რომ დღეს კონცეპტუალობის ცვლილება არ არის აღიარებული, როგორც ასეთი, არც მისი შემოქმედების და არც მისი მიმდევრების მიერ. როგორც შედეგი, ცვლილება პირველი ინტენციიდან მეორისაკენ, მათი ობიექტების იმავდროულ იდენტიფიკაციასთან ერთად, ინიცირებული დეკარტეს მიერ, დღესაც ძალაშია. არ შეიძლება ითქვას, რომ კლეინის შეხედულების ერთი კრიტიკული იმპლიკაციაა, რომ ფილოსოფოსები დღესაც, დეკარტედან მოყოლებული, თვითცნობიერად იყვნენ კარტეზიანელები. სრულიადაც არა, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ, რამდენადაც ფილოსოფიური თეორია გაგებულია, როგორც უნარის მქონე, მიაღწიოს ობიექტთა ჭეშმარიტებას, მათი საზრისის არტიკულირებით, როგორც ის არის მოცემულ შემთხვევაში, დეკარტესთან ერთად იმ ფუნდამენტურ წინასწარ ვარაუდს იზიარებს, რომელიც განსაზღვრავს აზროვნების თანამედროვე წესს. ამგვარად, ასეთი გაგება წინასწარ ვარაუდობს ძირითადი ერთეული მეორადი ინტენციონალური ობიექტების საზრისს, თუმცა, ფორმულირებული, გაგებული და პრინციპულად შემძლეა გახდეს იგივეობრივი პირველი ინტენციონალობის არაკონცეპტუალურ ობიექტთან.

გალერიან რამიშვილი

ადამიანის ყოფიერება რისკის ეპოქაში და ადამიანის ღირსების საკითხი

ადამიანის წინაშე დგას საფრთხე, დაიკარგოს როგორც პიროვნება, დაიკარგოს როგორც განუმეორებელი და დაკარგოს საკუთარი თავი. ეს არის რისკი, ვერ გამოავლინოს საკუთარი თავი, არ იყოს, არ გაიაზროს საკუთარი განუმეორებლობა და პიროვნულობა. იგი შეიძლება იყოს თავისუფალი, მაგრამ ადამიანის თავისუფლება ვერ იქცა სიკეთის სამსახურად. ნიცშესთან თავისუფლება ლომის ნიშანია, ამიტომ იქცა იგი ძალაუფლებისადმი ნების გამოვლინებად და ეს თავისუფლება ვლინდება ექსცესში და თვითნებობაში. თავისუფლება იქცა თვითნებობად შინაგანი პასუხისმგებლობის გარეშე, რეფლექსიის გარეშე და მას მხოლოდ სამართალი ზღუდავს. იგი ორმაგ პრესშია მოქცეული – ესაა მანიპულაცია და პოლიტკორექტიულობა. იგი ვერ ახდენს რეფლექსიას საკუთარ მე-ზე, იმდენად ჩართულია მედიის, რეკლამის, იმიჯის მანიპულაციაში. იგი მეტ მზაობას აცხადებს იყოს მასის წევრი, ვიდრე იყოს პიროვნება.

ადამიანი დგას დილემის წინაშე – რისთვის უნდა იზრუნოს მან, რა უნდა იყოს მისი ყოფიერების ორიენტირი: თავისუფლების აღიარება, პასუხისმგებლობის კისრება საკუთარ თავზე თუ ღირსებისათვის ბრძოლა. სამართალი-ზნეობის დაპირისპირება გადანყდა სამართლის სასარგებლოდ. ხდება სამართლის ონტოლოგიზაცია. ადამიანის ყოფიერება აღინერება მხოლოდ სამართლებრივად და არსებობს მხოლოდ ის, რაც სამართლებრივ დაფიქსირებას ექვემდებარება. თვითონ ადამიანი არსებობს მხოლოდ როგორც სამართლის სუბიექტი ან ობიექტი.

ადამიანს იკვლევს უამრავი მეცნიერება, არსებობს უამრავი ცოდნა ადამიანის შესახებ, მაგრამ თვითონ ცალკეული ადამიანი ნაკლებ ფიქრობს თავის თავზე. მას გამოკვლევები ეუბნება, თუ რა არის ადამიანი და ცდილობს ამ ნიშნების აღმოჩენას საკუთარ თავში. ადამიანის მოქმედებას წარმართავს არა ზნეობა, არა გონიერება, არამედ ინტერესი, სურვილი, არაცნობიერი და მაინც აცხადებს, რომ ის არის ადამიანი, ზნეობრივი არსება. ადამიანი არა მარტო მოკვდა, არამედ ადამიანმა დაკარგა და დაივიწყა თავისი თავი.

თანამედროვე ადამიანის წინაშე დგას სოკრატული პრობლემა. ისტორიული სიტუაცია ადამიანისაგან მოითხოვს დაუფიქრდეს და თავის თავზე აიღოს საკუთარი ზნეობრივი ყოფიერების უზრუნველყოფის პრობლემა. ოღონდ, ეს არ არის გამოწვეული ღირებულებათა კრიზისით, არამედ – თავისუფლების სიჭარბისა და მულტიკულტურული და, ამავე დროს, გლობალური სამყაროს არსებობით. გლობალურობა ნიშნავს ერთიანი კანონის დადგენას, ხოლო მულტიკულტურიზმი თავისუფლებას და ღირებულებათა სისტემის მრავალფეროვნებას გულისხმობს. ამიტომ ადამიანი დგას არჩევანის წინაშე, თუ რომელი სტანდარტის მიხედვით მოიქცეს – დაემორჩი-

ლოს ერთიან ნორმას, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლებრივი ნორმა, თუ მოიქცეს საკუთარი ღირებულებითი და ზნეობრივი ნორმების მიხედვით?

ხდება ზნეობრიობის სრული ჩანაცვლება ლეგალური, წესიერი, კანონმორჩილი მოქმედებით, რომლის წესები ერთიანია და გარედან არის თავს მოხვეული. ზნეობრიობა დაიქსაქსა პროფესიულ ეთიკებად, კულტურულ და ზნეობრივ სტანდარტებად და ინდივიდუალური ქცევის წესებად. ამიტომ საჭიროა შენ მაინც იყო დარწმუნებული საკუთარი მოქმედების ზნეობრივ ხასიათში, რომელიც შენ მიერ არის გააზრებული და დაფუძნებული გონიერების, ფართო გაგებით, პრინციპებიდან გამომდინარე, სადაც გონიერება ადამიანურობის აუცილებელი ელემენტია და არა ფორმალური რაციონალობა, სადაც გონიერება ყოფიერებაზე აზროვნებას გულისხმობს. სამართლის გაბატონება ხომ არ მიუთითებს, რომ ადამიანი შედის კრიზისის ზონაში, რაც ადამიანურ ყოფიერებას კიდევ უფრო მყიფეს გახდის და აუცილებელი იქნება წესრიგისა და ადამიანურობის მინიმუმის შენარჩუნება სამართლით.

ზნეობრივი სტანდარტები არავის საკუთრება არ უნდა იყოს, რის საფუძველზეც ერთი განიკითხავს მეორეს, მაგრამ ადამიანმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ადამიანი ჩადის არაზნეობრივ საქციელს და დაეხმაროს მას. ადამიანმა უნდა იცოდეს, რა არსებობს და რა არის არსებობის ღირსი. შეინარჩუნო ადამიანობა სულ უფრო რთული ხდება.

დეფიციტური სამყარო და „ღმერთის სიკვდილის“ ფენომენის შემდეგ გონივრული ეგოიზმი ყველაზე მშვიდობიანი ფორმაა თანაარსებობის, რომელიც განსხვავდება აგრესიული ძალაუფლებისადმი ნებისგან.

თავისუფლება არის თავისუფლება, აიღო პასუხისმგებლობა და არა თავისუფლება, იყო ძალაუფლებისადმი ნება. პასუხისმგებლობის დონე უნდა იყოს განმსაზღვრელი ადამიანის შეფასებისა და სოციალურ იერარქიაში ყოფნისა. გონივრულ ეგოიზმს უნდა დაუპირისპირდეს გონივრული პასუხისმგებლობა და არა მსხვერპლშენიშვნა.

თანამედროვე ადამიანი არ არის მასის ადამიანი, როგორც ეს გასეტის მიაჩნდა, არც გაუცხოება არის ამ ადამიანის ყოფნის წესი, არც აბსურდია ადამიანის არსებობის წესი. თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი გლობალურია. მისი პრობლემაა არჩევანის პრობლემა: სქესის, ენის, კულტურის, ეროვნების, ცხოვრების წესის, რელიგიურობის არჩევანი. მან უნდა აირჩიოს და გადაწყვიტოს, თუ რატომ უნდა იყოს რომელიმე ერისა თუ კულტურის წარმომადგენელი და რატომ უნდა აირჩიოს რაიმე სხვა. ეს მისი პასუხისმგებლობის საკითხია. ეს სიმრავლე წარმოშობს არსებობის პრობლემას, რას ნიშნავს არსებობა და რას ნიშნავს ჭეშმარიტება. მას ემინია არ შეეშალოს არჩევანი, არ დაიკარგოს.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი მიმართულია სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე, ვიდრე სულიერ პრობლემებზე. ეს მიანიშნებს სულიერი პრობლემის დევალვაციას ადამიანის პრობლემათა რიგში. სულიერი პრობლემა, ისევე როგორც ადრე რელიგიის პრობლემა, კერძო ანუ სინდისის საკითხი ხდება. ეს არის პრობლემა, რომელიც დგას ადამიანის წინაშე და ეს პრობლემა პირადად მისი გადასაწყვეტია. ეს მისი პრობლემაა.

თანამედროვე ადამიანის ყოფიერების ორიენტირია: ადამიანის კეთილდღეობა და თავისუფლება; გულისხმობს პირადი წარმატების კულტს – სიმდიდრის, გავლენის, ძალაუფლების ზრდას და ემყარება „ძალაუფლებისადმი ნების“ თავისუფლებას. რამდენად ემთხვევა და პასუხობს ეს ლოზუნგი ადამიანის ყოფიერების ნამდვილ საზრისს? კეთილდღეობა და პირადი წარმატება, თავისუფლების განხორციელება უნდა დაემყაროს ღირსებას და პასუხისმგებლობის კისრებას საკუთარ თავზე.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვეობა ნაკლებად ფიქრობს და არ ინტერესდება ღირსების პრობლემით, თუმცა ბევრს ლაპარაკობენ მერიტოკრატიაზე. ძალაუფლება ყველაზე მეტად იბრძვის ადამიანის ღირსების წინააღმდეგ, რადგან ძალაუფლებისადმი ნება თავის მტრად აღიარებს სწორედ ღირსებას, რომელიც არ ემორჩილება მისი ტოტალური ბატონობის სურვილს. ამას ემატება ისიც, რომ ადამიანი უარს ამბობს თავის ღირსებაზე თავისი ბიოსოციალური ბუნების სასარგებლოდ. ღირსება არის ადამიანის თავისუფლების, პიროვნულობისა და პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან ღირსების გარეშე ადამიანი კარგავს ადამიანურობას.

დღეს ადამიანად ყოფნა ნიშნავს: არა სუბიექტად ყოფნას, ძალაუფლებისადმი ნებად ყოფნას, თავისუფლად ყოფნას, არამედ პასუხისმგებლად ყოფნას და ღირსების მქონედ ყოფნას. ბედნიერების, წარმატების და ღირსების პრინციპის დაპირისპირება განმსჭვალავს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას.

მერიტოკრატიის უპირატესობად მიიჩნევენ ინტელექტის კოეფიციენტს (I), პრაქტიკულ სიბრძნეს (φρόνηση), რომლის შედეგია პრაქტიკული სარგებელი. თანამედროვე ადამიანის ყოფნის წესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი და კრიზისის გამოხატულება არის ღირსების დეფიციტი. ამის საფუძველია ის, რომ ადამიანი დაივიწყა ღირსება, რაც ყოფიერების დავინყების უშუალო შედეგია. ამიტომ პრობლემა არის ადამიანური ღირსების დაფუძნება. როგორ და რაზე შეიძლება დაფუძნდეს თვითონ ადამიანის ღირსება? კამიუ ადამიანის ღირსებას აფუძნებს ადამიანურ ამბოხზე, რაც გულისხმობს ღმერთის მცნებების მიხედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი მიღმური გახდა და არ პასუხობს ადამიანს. მერიტოკრატიის ღირსება ემყარება კრიტიკულ აზროვნებას და არა ყოფიერებაზე აზროვნებას. _

ჰაიდეგერისათვის ადამიანის ღირსება არ არის მორალურ-ზნეობრივი განსაზღვრება, არამედ ადამიანის ექსისტენციალურ-ონტოლოგიური განმარტებაა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ღირსების ონტიურ გაგებას. ღირსება არ არის ადამიანის ხასიათის თვისება ან უნარი, არამედ ღირსება არის ყოფიერების წესი და გაგების ფორმა, სამყაროში ყოფნის წესი. მე არ მაქვს ღირსება, არამედ მე ვარსებობ ღირსების ყოფნის წესით. ღირსება, როგორც გაგება, სხვანაირად გახსნის სამყაროს და ადამიანის ადგილს სამყაროში. თუ სინდისი არის ყოფიერების ძახილი, მაშინ ღირსება არის ჩუმი ძალა და გაბედეულება იყო ღირსების ყოფნის წესით. ეს არ არის არც hard power და არც soft power, რომელიც ახასიათებს მასას ანდა სოციალურ ინსტიტუტებს, არამედ ჩუმი ძალა, რომელსაც საკუთარ თავში გრძნობ. ეს არის

„ძალა უძალოთა“, რაც გაძლევს უნარს დაუპირისპირდე hard power და soft power და დარწმუნებული იყო შენს სიმართლეში და შენს ზნეობრიობაში. ეს ჩუმი ძალა და სიმამაცე ემყარება ყოფიერებაზე აზროვნებას, რის საფუძველზეც ხარ ყოფიერების მეზობელი და მცველი. ეს განიჭებს „ძალას“ იყო ღირსების წესით მყოფი.

იყავ თავისუფალი! ეს მონოდება რომ განახორციელო, უნდა შეგეძლოს თავისუფალი აზროვნება ყოფიერების ჭეშმარიტებაზე. ამ აზროვნებიდან ყველაფერი სხვაგვარად ჩანს. ეს არის ადამიანური თავისუფლების მეტაფიზიკური საფუძველი. ადამიანის ყოფიერების აზროვნებისაკენ დაბრუნება შესაძლებელია და თვითონ ყოფიერების ჭეშმარიტებითა და ყოფიერების ხვედრით განისაზღვრება. ადამიანის მოვალეობა და საქმეა იყო მუდამ მზად გაიაზრო ყოფიერების ჭეშმარიტების ხდომილება.

ჰაიდეგერი ადამიანის ადამიანურობას ხედავს ღირსებით ყოფნაში და არა გონიერ არსებად ანდა სოციოპოლოგიურ არსებად ყოფნაში, მაგრამ რა არის თვითონ ღირსების საფუძველი? ჰაიდეგერი ახორციელებს ღირსების მეტაფიზიკურ-ონტოლოგიურ დაფუძნებას. იგი ადამიანის ღირსების საფუძველს ხედავს ყოფიერებაზე აზროვნებაში. როგორ უნდა დავაბრუნოთ ადამიანი ყოფიერების აზროვნებასთან, რომელიც აბსოლუტური ტრანსცენდენტი და მიღმურია, როდესაც აზროვნება დაკავებულია მხოლოდ არსებულებით, რაც ვლინდება მეცნიერების ბატონობაში? ადამიანს ეგონა, რომ აზროვნებდა უშუალოდ ყოფიერებაზე და აღმოჩნდა, ცდებოდა, რომ იკისრა მეტაფიზიკური ნახტომის ვალდებულება და მანაც მეტაფიზიკის დასასრულის ეპოქის სეკულარიზებულ და დესაკრალიზებულ რეალობაში ცხოვრობს; გადაიტანა „ღმერთის სიკვდილი“ და ღმერთი მიღმური გახდა, ამიტომ მასზე აზროვნება შეუძლებლად გამოცხადდა. ადამიანმა უარი თქვა ღმერთის რწმენაზე, მანამ კი უარი თქვა ღმერთზე აზროვნებაზე. ადამიანმა დაივიწყა ყოფიერება, აღარ აზროვნებს ყოფიერებაზე, რაც ღირსების დავიწყების უშუალო მიზეზია. ეს ყველაფერი განპირობებულია ადამიანი-ღმერთის, ადამიანი-ყოფიერების მიმართების არასწორი გაგებით.

ჰაიდეგერის მიზანია უკუაგდოს ყოფიერების მიღმურობა, სხვაგვარად გაიაზროს ადამიანი-ყოფიერების მიმართება და აჩვენოს ადამიანი-ყოფიერების შეხვედრის შესაძლებლობა და ადამიანი-ყოფიერების მიმართების ახლებური გააზრებით დაიძლიოს აბსოლუტური ტრანსცენდენტის მიღმურობა, რაც შესაძლებელს გახდის ყოფიერებაზე აზროვნებას. უნდა განვასხვავოთ ღმერთის (ყოფიერების) არსებობის დასაბუთება და ღმერთის (ყოფიერების) ყოფნის, მოცემულობის დასაბუთების პრობლემა. ამისათვის აუცილებელია ადამიანის ყოფნის და ყოფიერების ყოფნის განსხვავებული გაგება.

ადამიანის ღირსება – ადამიანურობა არის შესაძლებელი თავისუფალ აზროვნებად ყოფნის დროს, რაც საერთოდ თავისუფლების საფუძველია. ამიტომ იბრძვიან ყოველთვის ადამიანის ღირსების წინააღმდეგ. მხოლოდ ყოფიერების აზროვნების საფუძველზეა შესაძლებელი თავისუფლება და ღირსება, რაც გულისხმობს უნარს იკისრო ბრალი, იყო თავისუფალი და აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებ-

ლობა, რაც ადამიანის პიროვნებად ყოფნის საფუძველია. ყოფიერებაზე აზროვნება მას დაანახებს ნამდვილსა და ჭეშმარიტს, რომლის მიხედვით წარმართავს საკუთარ ყოფიერებას. იქვე ჰაიდეგერი შენიშნავს, რომ ადამიანის ღირსება არ უნდა გავიგოთ მცდარად. „ადამიანის არსის სიმაღლე არ მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი არსებულთა სუბსტანცია, მათი სუბიექტი იყოს“.¹ ადამიანის ღირსება არ მდგომარეობს სუბიექტად ყოფნაში, არსებულთა მბრძანებლად ყოფნაში, რათა შემდეგ არსებულები ობიექტად გადააქციოს. ჰაიდეგერის აზრით, ადამიანის ღირსება იმაშია, რომ ადამიანი არის ყოფიერების მწყემსი და ყოფიერების მეზობელი. იგი უნდა ყოფიერების ჭეშმარიტებას მეთვალყურეობდეს. ამისაკენ მისწრაფოდა აზროვნება, რომელიც მოცემულია „ყოფიერება და დრო“-ში – წერდა ჰაიდეგერი. სამყაროს გათავისუფლებამ მეტაფიზიკურისაგან არ მოუტანა ადამიანს მეტი თავისუფლება ანდა ღირსება. ღირსების საფუძველი შეიძლება დავინახოთ ყოფიერებაზე ფილოსოფიურ აზროვნებაში და არა კრიტიკულ აზროვნებას შეუძლია ადამიანს დაუბრუნოს ღირსების განცდა.

ჰაიდეგერს სურს ადამიანი შემოაბრუნოს საკუთარ ღირსებაზე განაზრებისაკენ და დააფუძნოს ღირსების ფენომენი. როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს? ღირსების გაგება და აღიარება ემყარება ყოფიერების გაგების შესაძლებლობის ახსნას. სწორედ ყოფიერების ჭეშმარიტების შიგნით დგომა და აზროვნება აძლევს ადამიანის ყოფნას ჩუმ ძალას, რასაც ღირსება ჰქვია. „იგი არის ყოფიერების ჭეშმარიტების მორჩილება, მხოლოდ ასეთ მორჩილებას აქვს უნარი აიტანოს და დაივალდებულოს თავი. სხვაგვარად ყოველგვარი კანონი დარჩებოდა მხოლოდ ადამიანური ნამოქმედარი“. იგი არის სუსტი და ჩუმი ძალა, რომელიც გვჩუქნის სულის სიმტკიცეს და მამაცობას.

ჰაიდეგერის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ყოფიერების გაგების და მისი საფუძვლის და შესაძლებლობის – ყოფიერების მოცემულობის ახსნა. ერთი მხრივ, ადამიანს აქვს ყოფიერების გაგება, როგორც ფაქტი; მეორე მხრივ, ყოფიერება არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი. როგორ შეიძლება გადაიჭრას ეს პრობლემა? არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა. პლატონი თვლიდა, რომ ყოფიერების გაგება ადამიანის ცნობიერების თანშობილი ცოდნაა. კანტის მიხედვით, ყოფიერება, როგორც აბსოლუტური ტრანსცენდენტი (როგორც ნივთი თავის-თავად), ზემოქმედებს ჩვენს გრძობაზე და გონებაზე, რაც არის ადამიანისათვის დამახასიათებელი ყოფიერების გაგების საფუძველი, ოღონდ, თუ როგორ ხდება, ეს ჩვენთვის გაუგებარი და მიუწვდომელია. ჰეგელის თანახმად, აბსოლუტური გონება და ადამიანური გონება მსგავსი ბუნებისაა, ამიტომაც ადამიანურ გონებას შეუძლია გაიგოს აბსოლუტური გონება. ჰაიდეგერი უარყოფს ყოფიერების გაგების შესაძლებლობა ახსნას მეტაფიზიკური ნახტომის მეშვეობით.

ონტოლოგიურად რას ნიშნავს, როცა ადამიანი ამბობს: „ღმერთი არის“, „ჩვენთან არს ღმერთი“? როგორია ადამიანის ღმერთის (ყოფიერების) წინაშე დგომის ონტოლოგიური სტრუქტურა, როგორია თვითონ ყოფიერების (ღმერთის) ყოფ-

¹ ჰაიდეგერი მ., წერილი ჰუმანიზმის შესახებ, თბ., 2012, გვ. 13.

ნის ონტოლოგიური სტრუქტურა და როგორია მათი შეხვედრის ონტოლოგიური სტრუქტურა?

ჰაიდეგერი განსხვავებულ გზას გვთავაზობს. იგი ამოდის არა ადამიანის და ყოფიერების ტრანსცენდენტური დაშორებისაგან და შემდეგ ცდილობს დაადგინოს მათი თანაარსებობის სახეები, არამედ ამოდის ადამიანის მიერ ყოფიერების, ღმერთის გაგების ფაქტიდან, რაც მათი შეხვედრის და ყოფიერების ამქვეყნად ყოფნის წესების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. თუ აიხსნება, როგორ არის შესაძლებელი ყოფიერების გაგების ქონა ადამიანისათვის, მაშინ გასაგები გახდება ყოფიერების ამქვეყნად ყოფნის შესაძლებლობა და წესები, რომ ადამიანსა და ყოფიერებას შორის უნდა არსებობდეს შეხვედრის შესაძლებლობა და შესაბამისი სახეები ამ შეხვედრისა.

მისი ამოცანა არის არა ღმერთთან, ყოფიერებასთან მიმართებაში ადამიანის ყოფნის უფრო ორიგინალური ექსპლიკაცია, არა ყოფიერების კონცეპტუალიზაცია, რაც შემეცნების ამოცანაა, არამედ ყოფიერების ონტოლოგიზაცია, ანუ ყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის ამქვეყნად არსებობის, მოცემულობის ფორმების დადგენა, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანისა და ყოფიერების შეხვედრას, რაც ორივე საწყისის აქტიურობას ემყარება და არ არის მხოლოდ ადამიანის მოვალეობა განახორციელოს მეტაფიზიკური ნახტომი. ეს არის ყოფიერების ონტოლოგია.

ჰაიდეგერის მიერ ადამიანის ღირსების დაფუძნება ხდება ყოფიერების კონცეპტუალიზაციიდან ყოფიერების ონტოლოგიზაციაზე გადასვლით, ყოფიერების ონტოლოგიის შექმნით.

ჰაიდეგერის აზრით, ევროპულმა აზროვნებამ დასაწყისშივე დაკარგა ყოფიერების ფენომენი, რადგან ფიქრობდა, რომ გაიაზრებს უშუალოდ ყოფიერებას. ეს იყო ის შეცდომა, რამაც განსაზღვრა დასავლური აზროვნების ბედი და თავისებურება. არ იქნა გააზრებული ყოფიერების ყოფნის, მოცემულობის წესები. ჰაიდეგერმა ყოფიერების ადამიანისათვის მოცემულობის წესი, ყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის წესი დაახასიათა როგორც *Sien ist, Sein ereignis, Sein es gibt*.

I. ყოფიერება არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი. ყოფიერება „არის“ *Sien ist*, კატეგორიული გამოთქმაა და მიუთითებს, რომ ყოფიერება არის აბსოლუტური ტრანსცენდენტურობა, მიღმური და გაურკვევლობა, ამიტომ ყოფიერება შეიძლება იყოს აბსოლუტური ვარაუდი (სპეკულაცია). „ყოფიერება არის“ ამ დებულებაში, ამ ვარაუდში ყოფიერება ყველაზე შორსაა ადამიანისაგან.

II. *Sein ereignet*, ყოფიერება არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი, მაგრამ, როგორც აბსოლუტური ტრანსცენდენტი, არსებობს დაფარულობიდან გამოსვლის წესით. ეს არის *Eereignis*, ხდომილება; ყოფიერება ხდომილებაა, როგორც ყოფიერების დაფარულობიდან გამოსვლის უწყვეტი და მარადიული პროცესი. „*ereignis*“ – „ყოფიერება როგორც ხდომილება“ მიუთითებს, რომ ყოფიერება არის დაფარულობიდან გამოსვლა, მაშასადამე, „*Sein ist, Sein es gibt, Sein ist ereignis*“ შეიძლება განვასხვავოთ ადამიანისაგან დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით და ასევე ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც თვითონ ყოფიერების თვითმოცემულობის განსხვავებული მოდუსები: ყოფიერება არის, ყოფიერებას ადგილი აქვს, ყოფიე-

რება ხდომილებაა. ხდომილება არის ის, რაც აძლევს საფუძველს ადგილის ქონას და არსებობას. ხდომილება თვითონ არც არის და არც ადგილი აქვს, არამედ თვით გვეცხადება, როგორც ყოფიერების დაფარულობიდან გამოსვლა და შესაძლებელს ხდის „ყოფიერება და დროს“. ეს „და“ შესაძლებელს ხდის მასთან ადამიანის მიმართებას. ხდომილებიდან გამოიყვანება როგორც „არის“, ისე „ადგილი აქვს“ და არა პირიქით. აქ მომცემი და მოცემული ერთია. ეს „es“ გვაძლევს თავისთავს, როგორც მოცემული და მომცემი ერთდროულად.

III. ყოფიერების, როგორც ხდომილების, საფუძველზე, ყოფიერების დაფარულობიდან გამოსვლის შემდეგ და შედეგად ყოფიერებას ადგილი აქვს ფენომენის სახით. ეს ნიშნავს, რომ ყოფიერება თავის თავს აჩვენებს თავისი თავის წინაშე – თავის თავში. იგი, როგორც ასეთი, არის განათებული, სინათლე და ღია შეხვედრისათვის. ყოფიერება ფენომენის სახით მოცემულია თვითკმარი. იგი არ ანათებს განზრახ არავისათვის, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისათვის. Sein es gibt – ნიშნავს მოგვეცემა, ადგილი აქვს, გვებოძება, რომლის არსებობა არ არის ჩემზე დამოკიდებული. ყოფიერებას ადგილი აქვს, ყოფიერება მოცემულია ნიშნავს ყოფიერება – სამყარო-ში-მყოფობს, როგორც ფენომენი. იგი არის თავისი თავის – თავისთავის წინაშე-მყოფობა. ამ დონეზე ყოფიერების აბსოლუტური მიღმურობა დაძლეულია და ყოფიერება მისანვდომია ადამიანისათვის. ყოფიერება, როგორც ფენომენი, ღიად შესაძლებელს ხდის ადამიანისათვის მასთან პირველად შეხვედრას. ოღონდ, ადამიანი ვალდებულია განახორციელოს მეტაფიზიკური ნახტომი, მიიჩნევდა კლასიკური ფილოსოფია. ჰაიდეგერი ამ ვალდებულებაში ხედავს ევროპული აზროვნების სუბიექტივიზმს. ადამიანს კი არ აქვს მოვალეობა განახორციელოს მეტაფიზიკური ნახტომი, არამედ ადამიანი, როგორც ეგზისტენცი, არის განხორციელებული ტრანსცენდირება, თავისი თავის გარეთ ყოფნა. ეს გარეთ ყოფნა კი განსაზღვრულია როგორც ყოფიერების ღიაობის შიგნით დოგმა. ყოფიერების (ფენომენი) და ადამიანის (ეგ-ზისტენცი) შეხვედრა შესაძლებელია ხდომილების, როგორც ყოფიერების, დაფარულობიდან გამოსვლის საფუძველზე. მის საფუძველზე ადამიანი არის ყოფიერების გაგების მქონე და ამით განისაზღვრება ადამიანის ყოფნის საზრისიც. ეს არის ყოფიერებისა და ადამიანის პირველადი შეხვედრა. ეს შესაძლებელია არა მარტო ადამიანის აქტივობით, არამედ ყოფიერების თვითმოვლენით, სამყარო-ში-ყოფნით. ამის მაგალითია ქრისტეს ფენომენი (6,61) ღმერთი. ყოფიერება არის აბსოლუტური ტრანსცენდენტი, მაგრამ იგი არ არის მიღმური, როგორც ა. კამიუ მიიჩნევს და რომელიც არ პასუხობს ადამიანს. იგი შემოდის ადამიანთან კონტაქტში, გვეძლევა როგორც საჩუქარი, მისანვდომია ადამიანისათვის, რადგან მასთან შეხვედრა შესაძლებელია. ეს შეხვედრა შესაძლებელია ორმხრივი აქტივობის საფუძველზე. ევროპულმა აზროვნებამ და კულტურამ დაივიწყა ქრისტეს პარადიგმა, როგორც აბსოლუტურის კეთილი ნების, აქტივობის გამოხატულება, რამაც შესაძლებელი გახადა შეხვედრა. ყოფიერება თავს გვიბოძებს სხვადასხვა სახით და თუ როგორი სახით გვიბოძებს თავს, მომავალში ამის გამოთვლა შეუძლებელია. მისი თვითბოძების წესრიგი არც შემთხვევითია, არც აუცილებელი, არამედ ხვედრისეულია.

ყოფიერების ყოფნის, მოცემულობის ამ სახეებით ნაჩვენებია პროცესი, რომელიც შეიძლება აღინეროს როგორც ყოფიერების დაფარულობიდან გამოსვლის საფეხურები. ადგილი აქვს ორ პარალელურ პროცესს – ყოფიერების ყოფნას მოცემულობის სახით და ადამიანის ყოფნას თავის თავს გარეთ. რომელიც შესაძლებელს ხდის შეხვედრას, რაც არის საფუძველი ადამიანში ყოფიერების გაგების აღმოცენების, გაზრდისა და განვითარებისა. პირველადი შეხვედრის ორივე ელემენტის აქტიურობა შესაძლებელს ხდის ამ შეხვედრას.

ნამდვილი მეტაფიზიკის მიზანია ახსნას ყოფიერების, როგორც აბსოლუტური ტრანსცენდენტის, სამყარო-ში-ყოფნის შესაძლებლობა, როგორც მეტაფიზიკური გათიშულობის დაძლევის საშუალება, ადამიანის და ყოფიერების შეხვედრისა და გაგების საფუძველი. ადამიანს მიმართება აქვს ყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის ამ სახეებთან და არა ყოფიერებასთან უშუალოდ. ადამიანს არ შეუძლია პარმენიდესეული დებულების „არის საკუთრივ ყოფიერება“ გამოთქმა, საკუთრივ ყოფიერება ჩვენთვის მიუწვდომელია, ყოფიერება არ არის, არამედ გვებოძება და ჩვენთვის მისაწვდომია ის, თუ როგორ გვებოძება; როგორ აქვს ადგილი ყოფიერებას, ამის არაღიარება და ვერდანახვა არის დასავლური აზროვნების სუბიექტივიზმი, რამაც განაპირობა ნიცშეს მიერ გამოთქმული „ღმერთის სიკვდილის“ ფენომენი, რადგან ვერ გაითვალისწინა ყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის წესების მრავალფეროვნება. იგი დარჩა „ყოფიერება არის“ დებულების საფეხურზე, ამიტომ ღმერთის ტრანსცენდენტურობა გახდა ადამიანის სულში მისი სიკვდილის საფუძველი.

ადამიანის ონტოლოგიური დანიშნულებაა გან-თქვას ყოფიერების ღიაობაში დგომის იდუმალება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი აღმოაჩენს: – „არსი არის და არარსი არ არის“. მას ენა მიეცა სწორედ ამ იდუმალების გან-თქმისათვის. ეს გან-თქმა არის გაზიარება, დიალოგი. ამ იდუმალების გაგება აფუძნებს მეტაფიზიკურ ეპოქას, როდესაც ადამიანი გაურბის, ივინყებს თავის ბუნებას – ეს არის ადამიანის ყოფიერების კრიზისი, მისი გაუცხოების მეტაფიზიკური საფუძველი. ამ პირველადი შეხვედრის ხასიათით განისაზღვრება ადამიანის მსოფლმხედველობის ძირითადი ნიშნები, მისი ობიექტისტობა თუ პესიმისტობა. ღირსება ადამიანს მოცემული აქვს დაბადებით და მისი წართმევა შეუძლებელია. ადამიანი შეიძლება მოკლა, წაართვა სიცოცხლე, მაგრამ ღირსებას ვერ წაართმევ. უნდა განვასხვავოთ ადამიანური ყოფიერების სამი დონე: ადამიანი, როგორც ბიო-სოციალური არსება, ადამიანი, როგორც ცოცხალი გონება და ადამიანი, როგორც ღირსება, რაც ყოფიერებაზე აზროვნებაში მდგომარეობს.

ფილოსოფიის მიზანია ადამიანს მუდამ შეახსენოს, წარმართოს, მზად გახადოს ამ პირველად შეხვედრისათვის და საკუთარი მისიისათვის. აქედან გამომდინარეობს ადამიანის პასუხისმგებლობა ყოველივე არსებულის მიმართ. ამასვე ემყარება მისი პრეტენზია არსებულთა ცენტრად ყოფნისა და არსებულთა სამყაროზე ბატონობისა. პირველადი შეხვედრის ნათელი გაგება შეიძლება იყოს მისი ეკოლოგიური ცნობიერების საფუძველი. ეს არის მისი ღირსების ონტოლოგიური საფუძველი.

ჰაიდეგერი განასხვავებს ადამიანური ყოფნის სამ დონეს: – ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, სოციალური არსება და როგორც გონითი არსება ღირსეული ყოფიერების სახით. ღირსებაზე უარის თქმა ადამიანის მასად გადაქცევის აუცილებელი პირობაა. მეტაფიზიკურის, ღმერთის უკუგდება არის ადამიანის მასად გადაქცევის საფუძველი როგორც ისტორიულად, ისე მეტაფიზიკურად.

ლიტერატურა:

1. რამიშვილი ვ. ქრისტეს პარადიგმა მ. ჰაიდეგერის ონტოლოგიაში. ჟურ. რელიგია, 2003
2. რამიშვილი ვ. ყოფიერების კონცეპტუალიზაციიდან ყოფიერების ონტოლოგიზაციისაკენ მ. ჰაიდეგერის ონტოლოგიაში. ჟურ. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმოხილველი, თბ. 2011
3. რამიშვილი ვ. ადამიანი აღარ აზროვნებს, თბ. 2012
4. რამიშვილი ვ. ადამიანის ადამიანობა მის ღირსებაში მდგომარეობს, თბ. 2012
5. ჰაიდეგერი მ. ნიცშეს სიტყვა – ღმერთი მკვდარია, წერილი ჰუმანიზმის შესახებ, თბ. 2012
6. Heidegger M. Brief uber den Humanismus, in Wegmarken, vittorio klostermann, Frankfurt am Main, 1967
7. Heidegger M. Sein und Zeit, Max Niemeyer Verlag, Halle, 1993, p.5-6

VALERIAN RAMISHVILI

Being of Human in the Epoch of Risk and the Problem of Human Dignity

Summary

Human dignity, as a form of being and understanding in the world, has lost its ontological ground, which is a direct consequence of forgetting Being. Human dignity is possible on the ground of free thinking about Being and it represents free thinking on Being. A person denies the thinking of Being as Being has become the Transcendence, the Beyond (God is dead). Heidegger considers that Being is not Transcendence, the Beyond and thinking about Being is possible and essential. The transcendence of Being is rejected by means of explaining the possibility of “initial meeting” of Being and Human.

For this purpose, Heidegger makes the following steps:

A new understanding of ontological difference means not only the distinction between Being and real things, but also the distinction between Being and a form of self-giveness of Being in the world.

Heidegger defined the forms of self-giveness of Being in the world as a hierarchical order: *Sein ist*, *Sein ereignis*, *Sein es gibt*, which is defined by the degree of openness of Being for the person.

Modern thinking has forgotten the paradigm of Christ as an example of “*initial meeting*”.

The transition from conceptualization of Being to ontologization of Being creates ontology of Being.

ფილოსოფია როგორც „მეტა“

თითქმის ყველა დიდი ფილოსოფოსი თავისებურად განმარტავდა, თუ რა არის ფილოსოფია, რას შეისწავლის, რა დანიშნულება და გამართლება აქვს მის არსებობას, რაში მდგომარეობს მისი სპეციფიკა მეცნიერული ცოდნისაგან, თუ, ზოგადად, ცნობიერების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით და ასე შემდეგ. მაგრამ, ერთი უმთავრესი პრობლემა მუდმივად იდგა ფილოსოფიური აზროვნების წინაშე. ეს არის „სამყარო-აღამიანის“ (ანდა „აღამიანი-სამყაროს“), როგორც ერთიანი მთელის, შესახებ წარმოდგენები. ამ მთლიანობას (მის კომპონენტებს ცალ-ცალკე თუ ერთმანეთთან მიმართებაში) ფილოსოფია იხილავს მეცნიერებისაგან განსხვავებულად და ამ განსხვავებას მეცნიერებისაგან მეტაფიზიკური აზროვნება (მეტაფიზიკური სფეროს გააზრების „წინა პლანზე“ წამოწევა) ეწოდება სახელად; ასევე მითოსური და რელიგიური ცნობიერებისაგან განსხვავებულად და ამ განსხვავებას ცოდნის სფეროს (გონების, ლოგიკის) „პრიმატის“ აღიარება ეწოდება სახელად.

ფილოსოფია იანუსივით ურთიერთსაპირისპირო მხარეს იყურება ერთდროულად. ფილოსოფიური აზროვნების „იანუსისებური“ (კარგი გაგებით) მდგომარეობა გამოიხატება აღამიანისკენ და მის გარეთ არსებულისკენ, წარსულისკენ და მომავლისკენ, დასაწყისისკენ და დასასრულისკენ, რელიგიურისკენ და მეცნიერულისკენ („ფიზიკურისკენ“ და „მეტაფიზიკურისკენ“, „ამქვეყნიურისკენ“ და „იმქვეყნიურისკენ“) ერთდროულად ცქერაში. რელიგიურისა და მეცნიერულის „გადაკვეთის“ წერტილს ფილოსოფია შეიძლება ეწოდოს სახელად. ბერტრან რასელი შემთხვევით არ მიიჩნევდა ფილოსოფიას იმ „საარვისო მიწად“, რომელსაც ერთმანეთში ვერ იყოფენ თეოლოგია და მეცნიერება (1).

მეტაფიზიკურის პრიმატის აღიარება ფილოსოფიას რელიგიასთან აკავშირებს, ხოლო ლოგიკურობასა და დასაბუთებულობაზე პრეტენზია – მეცნიერულ შემეცნებასთან (და ცოდნასთან). ფილოსოფია გარკვეულწილად არის რელიგიური პრობლემატიკის მეცნიერული მეთოდებითა და ხერხებით გადაჭრის მცდელობა. „ფილოსოფოსთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ აპრიორული მეტაფიზიკური სჯით დაამტკიცონ ისეთი რამ, როგორცაა რელიგიის ფუნდამენტური დოგმები“ (2), რაც დღემდე გრძელდება, მიუხედავად მისი წარუმატებლობისა. ჩვენი აზრით, ეს არის ფილოსოფიური ცნობიერების **მთავარი სპეციფიკა** და არა ის, რომ მეცნიერული შემეცნების ახალი კუთხე აღმოაჩინოს, გახდეს ერთ-ერთი (თუნდაც, განსაკუთრებული) მეცნიერება, იყოს მეცნიერებათა ზოგადი მეთოდოლოგია, დაადგინოს მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობები და საზღვრები, განასხვავოს ერთმანეთისაგან მეცნიერული და ფილოსოფიური შემეცნება, როგორც პირველი და მეორე რიგის (საფეხურის) მიმართება გარე სამყაროსა თუ საკუთარ თავთან (3)

და ასე შემდეგ. ფილოსოფიის მიმართ ასეთი შეხედულებები არც ახალია და არც უცხო.

როგორც წესი, მეცნიერულობა საპატიოს, ღირსეულს, საჭიროს და სასარგებლოს და, ამდენად, გამართლებულს ნიშნავს. ამიტომ ფილოსოფიური აზროვნების პრეტენზია მეცნიერულობაზე არ არის გასაკვირი. „მეცნიერული კომუნიზმი“, „მეცნიერული ათეიზმი“, ლამის „მეცნიერული რელიგია“ შემოვიდეს მოდაში და რა გასაკვირია, რომ „მეცნიერულ ფილოსოფიაზე“ ქადაგებდეს ვინმე ისტორიულ წარსულში, დღევანდელობაში ანდა სამომავლოდ (თუმცა, ზოგიერთი მოაზროვნე ფილოსოფიის მეცნიერულობას კატეგორიულად გამოირიცხავს. მაგალითად, ჰაიდეგერის მიხედვით, ფილოსოფიური აზროვნება იწყება იქ, სადაც მეცნიერების თვალსაწიერი მთავრდება. მეცნიერება იკვლევს თვალახილულ სამყაროს, გრძნობად-აღქმად სინამდვილეს. ფილოსოფიას კი ამ თვალახილული სამყაროს უხილავი საფუძველი აინტერესებს, ანუ მეტაფიზიკაა და არა ფიზიკა. ეს არის ფილოსოფიის ღირსება და სპეციფიკა და არა მისი პრეტენზია მეცნიერულობაზე, ფიქრობს ჰაიდეგერი და მეცნიერული ფილოსოფია მიაჩნია „ხის რკინად“).

მეცნიერება ბუნებრივად უკავშირდება ადამიანის პრაქტიკულ მიზნებს – სარგებლიანობას ყოფით სფეროში. ნებისმიერი მეცნიერების მნიშვნელობა და ღირებულება, პირველ რიგში, ამ თვალსაზრისით იზომება. ამ კუთხით ფილოსოფია „ჩამორჩება“ მეცნიერებას (ასევე ხელოვნებას და რელიგიას), რამდენადაც მისი „სარგებლიანობა“ ისეთივე უშუალო და აღქმადი არ არის, როგორც მეცნიერების (ანდა რელიგიისა და ხელოვნების) მონაპოვრებს ახასიათებთ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფილოსოფიური ცოდნის არისტოტელესეული შეფასება: . . . „ყველა მეცნიერება უფრო აუცილებელია, ვიდრე იგი, მაგრამ მასზე უკეთესი არცერთი არ არის“. . . (4). არისტოტელეს ფილოსოფიის „უკეთესობა“ სხვა მეცნიერებებთან შედარებით ესმის როგორც იმ რეალობის „უკეთესობა“, რომლის შესახებაც ფილოსოფია გვესაუბრება, იმ რეალობასთან შედარებით, რომელსაც დანარჩენი მეცნიერებანი შეისწავლიან. ეს არის მეტაფიზიკურის უპირატესობის აღიარება ფიზიკის სფეროსთან შედარებით, რაც, არისტოტელემდეც კარგად იყო ცნობილი და დამკვიდრებული უკვე არმენიდესთან და, განსაკუთრებით, პლატონთან, რომლის „იდეათა თეორია“ დღესაც რჩება მთელი ევროპული მეტაფიზიკის კლასიკურ სახედ. შემთხვევით არ მიიჩნევენ მთელ ევროპულ ფილოსოფიას პლატონის „გამოქვაბულის მითში“ აღწერილი სამყაროს სურათის, როგორც სამყაროს მეტაფიზიკური სტრუქტურის, გააზრებისა და გადალახვის მცდელობად (5). ალფრედ ნორთ უაიტჰედის თქმით, „მთელი ევროპული ფილოსოფია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პლატონის კომენტარები“ (6).

ის, რასაც შემდგომ მეტაფიზიკა ეწოდა სახელად, არისტოტელესთან „პირველ ფილოსოფიად“ იწოდებოდა. რაც განპირობებული იყო საკვლევი საგნის განსხვავებით „დანარჩენ ფილოსოფიებთან“ შედარებით. არისტოტელესთვის პირველი ფილოსოფიის საგანია „არსებული როგორც არსებული“, ანუ ღმერთი, როგორც აზროვნების აზროვნება, უძრავი მამოძრავებელი. ის მხოლოდ გონებით მიიწვდომება.

ხოლო „დანარჩენ ფილოსოფიებს“ სწორედაც რომ თვალხილული, გრძნობადი სამყარო აქვთ კვლევის საგნად (არისტოტელესთან პირველი ფილოსოფია იგივე იყო, რასაც შემდგომ, გარდა მეტაფიზიკისა, ონტოლოგიაც დაერქვა სახელად, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგადად ონტოლოგია არ დაიყვანება მეტაფიზიკაზე. ყველა მეტაფიზიკა ონტოლოგიურიც არის, მაგრამ არა პირუკუ).

ცხადია, ფილოსოფიური გააზრების საგანი, გარდა ტრანსცენდენტურისა (მეტაფიზიკურისა), სხვაც ბევრი რამ შეიძლება გახდეს მეცნიერების, რელიგიის, ხელოვნების, პოლიტიკის, ზოგადად კულტურის, ადამიანის, ბუნების და სხვა კონკრეტული რეალობების სახით (მათ რიცხვში იგულისხმება თავად ფილოსოფიური აზროვნებაც. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ). ფილოსოფიის სპეციფიკაც აქ უნდა ვეძებოთ. კერძოდ, გარდა იმისა, რომ მეტაფიზიკურობა მისი უმთავრესი შინაგანი და ისტორიული მახასიათებელია და მეტაფიზიკურის (ტრანსცენდენტურის) შესახებ ჩვენი ცნობიერების „ნაფიქრალს“ გადმოსცემს, ყველაფერს, რასაც ის თავის საგნად გაიხდის არამეტაფიზიკურ სფეროში, ტრანსცენდენტურთან მიმართებაში „ზომავს“, ანუ მეტაფიზიკური პოზიციებიდან აფასებს. პირველ რიგში კი ადამიანს, როგორც ასეთს.

ადამიანისთვის საკუთარი თავის (და არა მხოლოდ საკუთარი თავის) მეტაფიზიკური გააზრება და შეფასება ერთ-ერთი აუცილებელი „სულიერი საზრდოა“. ფილოსოფიის, როგორც ადამიანისთვის სულიერი საზრდოს მომპოვებლისა და მიმწოდებლის, რანგში წარმოჩენა ახალი არ არის. ამის უამრავი მაგალითი შეიძლება დაიძებნოს. ჩვენ აქ სანიმუშოდ ისევ ბერტრან რასელს მივმართავთ, როგორც ტიპურ არამეტაფიზიკოსს, მაგრამ ფილოსოფიის მეტაფიზიკური ბუნების და, ზოგადად, ადამიანის ცხოვრებაში ფილოსოფიის როლის დადებითად შემფასებელს: „...რა მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიას და რატომ უნდა შევისწავლოთ ის. ამ საკითხის გარკვევა იმის გამო უფროა აუცილებელი, რომ მრავალი ადამიანი მეცნიერების ან პრაქტიკული საქმიანობის გავლენით ეჭვობს, რომ ფილოსოფია სხვა არაფერია თუ არა დროის უწყინარი, თუმცა კი ფუჭი ფლანგვა“...

„პრაქტიკული“ ადამიანი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ისაა, ვინც მხოლოდ მატერიალურ მოთხოვნილებებს ცნობს, ვინც იცის, რომ სხეულს საკვები სჭირდება, მაგრამ ავიწყდება, რომ საკვები გონებისთვისაც აუცილებელია... სულიერი სიმდიდრე თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მატერიალური. ფილოსოფიის მნიშვნელობა სწორედ ამ სულიერ სიმდიდრეში უნდა აღმოვაჩინოთ... ადამიანი, რომელიც ვერ გრძნობს ფილოსოფიის ნიუანსებს, მთელ ცხოვრებას ატარებს ცრურწმენების ტყვეობაში... ფილოსოფია, მართალია, ამცირებს ჩვენს დარწმუნებულობას იმაში, თუ რანი არიან საგნები, მაგრამ საგრძნობლად ზრდის იმის ცოდნას, თუ რა შეიძლება იყვნენ ისინი; განმათავისუფლებელი ეჭვის სამეფოში შეღწევით და ნაცნობი საგნების უცნობი ასპექტების ჩვენებით, ჩვენში გაოცების უნარს აღვივებს... მოულოდნელ შესაძლებლობათა ჩვენებისას, უტილიტარობის გარდა, ფილოსოფიას კიდევ ერთი, ალბათ უმთავრესი, მნიშვნელობაც აქვს, რომელიც არის მისი ჭვრეტის ობიექტების მასშტაბურობისა და ამ ჭვრეტისას

ვინრო და პირადული მიზნებისაგან გათავისუფლების შედეგი. ინსტინქტური ადამიანის ცხოვრება მისი პირადი ინტერესების წრეშია ჩაკეტილი: მასში, შესაძლოა, ოჯახი და მეგობრებიც შედიან, მაგრამ გარე სამყარო სათვალავში არ მიიღება... ასეთ ცხოვრებაში არის რაღაც დაძაბული და შემოჭველი და მასთან შედარებით ფილოსოფიური ცხოვრება მშვიდი და თავისუფალია... თუ ვერ შევძელით ისე ვაფართოოთ ჩვენი ინტერესები, რომ მთელი გარე სამყარო მათში ჩავრთოთ, მაშინ ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში გამომწყვდეულ გარნიზონს დავემსგავსებით... ასეთ ცხოვრებაში მშვიდობის ნაცვლად გამუდმებული ბრძოლაა სურვილის დაყინებასა და ნების უძღურებას შორის... თუკი გვინდა ჩვენი ცხოვრება ამალღებული და თავისუფალი გავხადოთ, ამ ციხესა და ამ ბრძოლას თავი უნდა დავაღწიოთ. თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა „ფილოსოფიური ჭვრეტაა“ (7).

ამ ვრცელ ციტატაში კარგად ჩანს რასელის დამოკიდებულება ფილოსოფიის არსების, მისი რაობისა და დანიშნულების, ზოგადად, ფილოსოფიის საჭიროების შესახებ. ეს ერთ-ერთი სანიმუშო თვალსაზრისია იმ თვალსაზრისებს შორის, რომლებიც მიზნად ისახავენ გამართლება მოუნახონ ცნობიერების მიერ სამყაროსა და ადამიანის ფილოსოფიური კუთხით გააზრების აუცილებლობას და მის დიდ მნიშვნელობას (8).

როგორც წესი, ფილოსოფიის რაობის, მისი საჭიროებისა და დანიშნულების შესახებ მსჯელობა, თავადაც ფილოსოფიურ ნააზრევს (თავისებურ ფილოსოფიას, ფილოსოფოსობას) წარმოადგენს. მაშინ როდესაც, ვთქვათ, რელიგიის თეორია, თავად რელიგია ვერ იქნება, ხელოვნების თეორია, უშუალოდ ხელოვნება არ არის და ასე შემდეგ. ფილოსოფია ამ მხრივ გამოირჩევა ცნობიერების ყველა სხვა ფორმებისაგან. თვითრეფლექსურობა მისი შინაგანი ბუნებაა. ნებისმიერი ფილოსოფიური პრობლემის კვლევას წინ უძღვის (ან იგულისხმება) თავად ფილოსოფიის რაობის და მისი საჭიროების შესახებ კითხვაზე გარკვეული პასუხი (9), თანაც ისე, რომ ეს პასუხი ისევ და ისევ ფილოსოფიური აზროვნების ფარგლებში რჩება და მის სპეციფიკას ინარჩუნებს, რაც ფილოსოფიის მიერ ყველაფრის (საკუთარი თავის ჩათვლით) „მეტა“-ს თვალთ დასახვას ნიშნავს. „მეტა“-ში იგულისხმება რაიმეს იქეთ (გარეთ) გასვლა და მისი გარედან დასახვა. მეტაფიზიკა თავად ფიზიკა აღარ არის. მეტამათემატიკა მათემატიკის ფარგლებს სცილდება და ასე შემდეგ, მაგრამ მეტაფილოსოფია ისევ ფილოსოფიურ აზროვნებას მიეკუთვნება და ზოგადად ფილოსოფიის „ნაწილს“ შეადგენს ან როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური დისციპლინა, ან როგორც ამა თუ იმ ფილოსოფიური სისტემის შესავალი (10) (ამის კლასიკური ნიმუშია კანტის „კრიტიციზმი“), ან როგორც გარკვეული პოზიციებიდან აგებული „ფილოსოფიის ისტორიული“ ხედვა.

თავად ტერმინი „მეტაფილოსოფია“ სულ რამდენიმე ათწლეულს ითვლის დასავლურ ფილოსოფიაში (11). ამ ტერმინის შემოტანას და გამოყენებას ჩვენშიც ჰქონდა გამოხმაურება. სპეციალური ნიგნიც დაიწერა სათაურით „მეტაფილოსოფიის სტრუქტურა“ (12). რამდენად საჭირო, მიზანშეწონილი და გამართლებულია ტერმინ მეტაფილოსოფიის გამოყენება და მისი შესატყვისი ახალი ფილოსოფი-

ური დისციპლინის დაფუძნება, ეს ცალკე თემაა. მას შეიძლება ჰყავდეს და ჰყავს კიდევ როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში: ფილოსოფია თავისი ბუნებით უკვე „მეტას“ ნიშნავს, თვითონ არის მეტა და მეტას მეტა ისევ მეტა იქნება. ამდენად მეტაფილოსოფია, პრინციპში, ფილოსოფიის ტავტოლოგია გამოდის და ახალს ვერაფერს მოგვცემს (13).

ერთი რამ ფაქტია: ფილოსოფიაში აშკარად განირჩევა ერთმანეთისაგან აზროვნების ორი რიგი (რასც ვერ ვიტყვით ცნობიერების სხვა ფორმებზე). კერძოდ, ერთია, როდესაც ფილოსოფიური აზროვნება თავის თავზე ახდენს რეფლექსიას და ცდილობს უპასუხოს საკითხთა ისეთ რიგს, როგორიცაა – რა არის ფილოსოფია; რას შეისწავლის ის; როგორია მისი მეთოდები; რა ადგილი უკავია მას ცნობიერების სტრუქტურაში; რას აძლევს იგი ადამიანს; ზოგადად რა გამოყენება შეიძლება ჰქონდეს მას და, აქედან გამომდინარე, რამდენად გამართლებულად და უფლებამოსილად უნდა ჩაითვალოს მისი არსებობა?! ანდა, შესაძლებელია თუ არა ფილოსოფიური სისტემის აგება და ასე შემდეგ. ხოლო, სხვა საკითხია, როდესაც ფილოსოფიური აზროვნება ცდილობს ახსნას, მაგალითად, თუ რა არის სამყაროს საწყისი და როგორ წარმოიქმნება მისგან სამყარო; რა არის სამყარო და რა ადგილი უკავია მასში ადამიანს; რა არის ყოფიერების საზრისი საერთოდ და კერძოდ ადამიანური არსებობისა; როგორ გაჩნდა ცნობიერება; როგორ ხდება შემეცნება და სხვა. ანუ, როდესაც ფილოსოფიური აზროვნება ცდილობს ააგოს ერთიანი დასრულებული მსოფლმხედველობრივი სურათი სამყაროსი, **ანუ მოგვცეს საბოლოო პასუხები უსასრულობის შესახებ ჩვენი სასრულო არსებობის მანძილზე** (რაც ადამიანური გონებისათვის ყველაზე „მძიმე“ ამოცანა და ყველაზე „პრეტენზიული“ მიზანია და რომელსაც თავიდან ვერ იშორებს ადამიანური გონება, „რადგან ის თვით გონების ბუნებას მოუხვევია მისთვის თავს“, როგორც კანტს მიაჩნდა (14)).

ფაქტია ისიც, რომ ეს ორი რიგი ფილოსოფიური აზროვნებისა სულაც არ არის ერთმანეთისაგან ყრუ კედლით გამიჯნული. პირიქით, ისინი იმდენად მჭიდრო ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში არიან ერთმანეთთან, რომ ცალ-ცალკე მათი კვლევა, ურთიერთმოშველიებისა და ილუსტრირების გარეშე, არც კი ხერხდება და აზრს კარგავს. ამიტომაც ისინი ხშირად ერთსა და იმავე მოაზროვნეს ერთსა და იმავე ნაშრომში აქვს ხოლმე მოცემული, როგორც ერთიანი მთლიანი ნააზრევის ორი ურთიერთშემავსებელი მხარე. ზოგჯერ კი შეიძლება ცალკე ნაშრომადაც იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, კანტის სამივე „კრიტიკა“, როგორც კანტის მთლიანი ფილოსოფიური სისტემის „გნოსეოლოგიური“ შესავალი, რომელზედაც მთელი შენობა დგას. ასევე, ვთქვათ, დეკარტის „განაზრებანი მეთოდის შესახებ“, ანდა ჰუსერლის „ლოგიკური გამოკვლევები“ და სხვა.

ამრიგად, თუ ვუპასუხებთ კითხვაზე – გადის თუ არა „მეტაფილოსოფია“ ფილოსოფიის ფარგლებს გარეთ – პასუხი შემდეგნაირი შეიძლება იყოს: მეტაფილოსოფიური აზროვნება თავისი ბუნებით კვლავ ფილოსოფიურ აზროვნებას წარმოადგენს და მისი გასვლა ფილოსოფიური ცნობიერების ფარგლებს გარეთ, ძალიან

პირობითია (შეიძლება ითქვას, რომ მოჩვენებითია). აქ არა გვაქვს ისეთი სახის განსხვავება, როგორც ფიზიკასა და მეტაფიზიკას შორის, მათემატიკასა და მეტამათემატიკას შორის და ასე შემდეგ. მაგრამ, პირობითად, ტერმინ „მეტაფილოსოფიის“ ხმარება ზემოაღნიშნული გარკვეული დაზუსტებებით და მოსაზრებებით, ზოგჯერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფილოსოფიური აზროვნების „პირველი რიგის“ (საფეხურის) აღსანიშნავად. თუმცა, ჩვენ ამის ვერანაირ გარდაუვალ აუცილებლობას ვერ ვხედავთ და მიგვაჩნია, რომ ამ ტერმინის გარეშე შეიძლება იმ განსხვავების გადმოცემა ფილოსოფიური აზროვნების ზემოხსენებულ ორ „რიგს“ (საფეხურს) შორის, რასაც ფილოსოფიის ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს.

„მეტაფილოსოფიური განაზრებები“, თუკი ვრცლად იქნება მასში წარმოდგენილი და განხილული ფილოსოფიის ისტორიული მასალა (სხვაგვარად არც შეიძლება იყოს), გარკვეული კუთხით აგებულ ფილოსოფიის ისტორიას უფრო დაემსგავსება, ვიდრე რაიმე ახალ ფილოსოფიურ დისციპლინას, ან, მით უმეტეს, კერძომეცნიერულ კვლევას, რომელსაც წინ „დაუდევს“ ჩვენი ცნობიერების ფილოსოფიური თავგადასავალი (როგორც სავსებით რეალური და „ამქვეყნიური“ - არამეტაფიზიკური პროცესი) და მშვიდად აანალიზებს მას. სწორედ ეს პრეტენზია აქვთ „მეტაფილოსოფიის“ მომხრეებს: განიხილონ მეტაფილოსოფია, როგორც ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი მუდმივი ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისებისაგან თავისუფალი ახალი მეცნიერება. მის შესახებ (იგულისხმება „მეტაფილოსოფია“) საკითხი მეცნიერულობაზე („მეტაფილოსოფოსების“ აზრით) სადავო აღარ არის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს ფილოსოფიის მიმართ (15).

ჩვენ ვთლით, რომ „მეტაფილოსოფია“ ფილოსოფიის ისტორიის სპეციფიკური შემთხვევაა – როდესაც საგანგებოდ ხდება ერთი ან რამდენიმე კონკრეტული ფილოსოფიური პრობლემის განხილვა მისი განვითარების ისტორიის მანძილზე. ამ შემთხვევაში „მეტაფილოსოფოსებთან“, როგორც წესი, იგულისხმება საკითხი, ერთი მხრივ, ფილოსოფიის საგნის, ხოლო, მეორე მხრივ, თავად შემეცნების ბუნების შესახებ. ისინი მიუთითებენ და სავსებით სამართლიანადაც, რომ ერთია, როდესაც ადამიანი ცდილობს შეიმეცნოს მის ირგვლივ მყოფი საგნები და მოვლენები და მეორეა, როდესაც საკითხი დგება თავად შემეცნების შესაძლებლობის, ანუ „შემეცნების შემეცნების“ შესახებ და ამას ასახელებენ უმთავრესად „მეტაფილოსოფიის“ განსჯის საგნად (16). თუმცა, ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს მათი არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ეს სცილდება საკუთრივ ფილოსოფიურ აზროვნებას და კერძომეცნიერულ კვლევასთან გვაქვს საქმე (17). ეს ფილოსოფიის განსაკუთრებული თვისების – თვითრეფლექსურობის უგულებელყოფაა, რაც ნაწილობრივ განპირობებულია „ფილოსოფიისა“ და „ფილოსოფიის ისტორიის“ სპეციფიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობითაც.

რას წარმოადგენს და რით გამოირჩევა ფილოსოფიის ისტორია სხვა ისტორიებისაგან განსხვავებით? სახელმძღვანელო განმარტებით, ფილოსოფიის ისტორიის არსებობა განპირობებულია შემდეგით: „... რამდენადაც მსოფლმხედველობითი საკითხების აცილება ადამიანს არ შეუძლია, ხოლო სკეპტიკური პასუხები მათზე,

წინააღმდეგობრივია, დარჩენილია ერთი გზა – დაუღალავი სვლა სულ უფრო და უფრო საფუძვლიანი პასუხისაკენ... სკეპტიციზმზე არასდროს შეჩერებულა კაცობრიობის აზროვნება... სკეპტიკური არგუმენტები წარმოადგენენ შემმეცნებელი გონების მიერ საკუთარი თავის კრიტიკას (თვითკრიტიკას), რომელიც საბოლოო ჯამში აჯანსაღებს მას. მეცნიერული მსოფლმხედველობის ძიების პროცესში აუცილებელია, რომ ათასი სისტემის კრახის შემდეგ ადამიანმა კვლავ ახლის, უფრო სრულყოფილის აგებას მიჰყოს ხელი. ამ გზას ადგას ადამიანური აზროვნება და სწორედ ამ საფუძველზე არსებობს ფილოსოფიის ისტორია, როგორც ფაქტიური პროცესი და ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, რომელიც ამ პროცესის განვითარების შინაგან კანონზომიერებას სწავლობს“ (18).

როგორია ეს პროცესი, რასაც ფილოსოფიური აზროვნება ჰქვია, და როგორია თავად ამ პროცესის შესწავლა, რასაც ფილოსოფიის ისტორია ეწოდება. პირველი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამყაროზე მიმართული ჭვრეტა (ანუ „თეორია“, თავისი თავდაპირველი, ძველბერძნული გაგებით), ხოლო მეორე, – როგორც საკუთარი ნამოქმედარის განჭვრეტა ცნობიერების მიერ. პირველი ყველაფრის „გარედან“ დანახვაა (ჭვრეტაა), მეორე – საკუთარი თავის გარედან დანახვის „მცდელობა“. მცდელობა იმიტომ, რომ ფაქტობრივ, „შიგნიდან“ ხედვასთან გვაქვს საქმე. ფილოსოფიური ცნობიერების მიერ საკუთარი თავის დანახვის უნარი ისე, რომ კვლავ ფილოსოფიურ ცნობიერებად დარჩეს და თანაც საკუთარ თავს დააკვირდეს „გარედან“, განასხვავებს მას ცნობიერების სხვა ფორმებისაგან. ამასთან, თვითდაკვირვება, რაც არ უნდა გაუუცხოვდეს ცნობიერება თავის თავს და გარედან დანახული წარმოდგინოს თავი, მანც თავისებური, ობიექტური სინამდვილის დანახვისაგან განსხვავებული ჭვრეტაა. მთლად ვერ თავისუფლდება შინაგანი ბუნებისაგან და საკუთარი თავის „შიგნიდან“ დანახვად რჩება. ამიტომაც, ფილოსოფიის ისტორია და თავად ფილოსოფია უფრო „ახლოს“ დგანან ერთმანეთთან, ვიდრე, ვთქვათ, რელიგია და რელიგიის ისტორია, ანდა მათემატიკა და მათემატიკის ისტორია და ასე შემდეგ.

ფილოსოფიის ისტორია უფრო „ფილოსოფიურია“, ვიდრე რელიგიის ისტორია – რელიგიური, მათემატიკის ისტორია – მათემატიკური და ასე შემდეგ. ეს ხდება იმიტომ, რომ ფილოსოფიას „მეტა“ ფაქტობრივად არა აქვს. თვითონ არის თავისი თავის მეტა. რაიმეს ისტორია მისი გარედან დანახვაა. ფილოსოფიის ისტორია კი ფილოსოფიის მიერ საკუთარი თავის დანახვაა და ამიტომ „შიგნით“ (და შიგნიდან) ცქერას წარმოადგენს და არა „გარეთ“ (ან გარედან) ცქერას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ „მეტაფილოსოფია“ ფილოსოფიის ისტორიის კერძო შემთხვევა უფროა, ვიდრე რაღაც ახალი ფილოსოფიური დისციპლინა (თანაც კერძომეცნიერული ბუნების). ის ვერ იქნება ფილოსოფიური აზროვნების საზღვრების „გარღვევა“ და „უცხო“ თვალთ გასწავა ფილოსოფიისა.

ფილოსოფიური შემეცნება, როგორც საერთოდ ყოველი შემეცნება, თავის საბოლოო მიზანს – აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ვერ აღწევს. ზოგი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ მიზნის მიუღწევლობა ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, შეუძლებ-

ლობაზე მიუთითებს, რადგან, განსხვავებით სხვა მეცნიერებათაგან, აქ არ გვაქვს განუხრელი აღმავლობა მემკვიდრეობის საფუძველზე... ეს ასე იქნებოდა, ფილოსოფიის განვითარებაში მიზანი სავსებით მოწყვეტილი რომ იყოს პროცესს. ამ განვითარებაში არაფერი რომ არ იყოს მყარი და იმგვარად დადგენილი, რომელიც ყოველი შემდგომი თაობისთვის აუცილებელია და, ამდენად, აბსოლუტური ჭეშმარიტების „მარცვალს“ წარმოადგენს. თითოეული ფილოსოფოსი თავიდან რომ იწყებდეს ყველაფერს, მაშინ ფილოსოფიის ისტორია კი არ გვექნებოდა, არამედ მხოლოდ დროში ერთიმეორის მომდევნო ნააზრევთა აღწერა (19). მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ არის.

როგორც წესი, თავდაპირველად ფილოსოფიის ისტორია (თუ მისი მაგვარი რამ) იწერებოდა ხოლმე, როგორც საკუთარი ფილოსოფიური მოძღვრების წანამძღვარი (შესავალი). მანამდე არსებული ფილოსოფიური თვალსაზრისების მიმოხილვა. ყველა ასეთი ფილოსოფიის ისტორიული „კურსის“ დასასრული ახალი ფილოსოფიური კონცეფციის შექმნას ისახავდა მიზნად. ეგრეთ წოდებული „მეტაფილოსოფიაც“ ასეთი ძიება წინანდელი ფილოსოფიური ნააზრევისა, ოღონდ თავად ფილოსოფიის რაობისა და მისი დანიშნულების, ფილოსოფიური შემეცნების სპეციფიკისა და მისი კერძომეცნიერული შემეცნებისაგან განსხვავების კუთხით.

რამდენადაც ნებისმიერი ფილოსოფიური მოძღვრების „ქვაკუთხედად“ ყოფიერების პრობლემის ერთგვარი გადანყვეტა გამოდიოდა, ყოფიერების პრობლემის კვლევა იქცა იმ მთავარ „ღერძად“, რომელზედაც დიდწილად იკინძებოდა ფილოსოფიური აზროვნების მთელი თავგადასავალი თავისი წარმატებებით თუ იმედგაცრუებებით. ეს წარმატებები და იმედგაცრუებები კი მეტწილად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად დამაჯერებელი და მისაღები აღმოჩნდებოდა არსებობის მეტაფიზიკური ასპექტების ესა თუ ის გააზრება. არსებობის, როგორც ასეთის, მეტაფიზიკური კუთხით განხილვა კი, პირველ რიგში, მისი სუბსტანციის რანგში აყვანას ნიშნავს. სუბსტანცია ფილოსოფიური ცნობიერებისათვის იგივეა, რაც რელიგიური ცნობიერებისათვის ღმერთი. როგორც რელიგია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია მისი ღმერთი, რა თვისებები მიეწერება მას, ისე ფილოსოფიის მიმზიდველობა და გამძლეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წყდება მასში სუბსტანციის საკითხი; პირველ რიგში კი სუბსტანციის მიმართების საკითხი ყოფიერებასთან, როგორც ასეთთან, რადგანაც სუბსტანციას თუკი რაიმე უნდა ახასიათებდეს და მიეწერებოდეს, ეს არის აბსოლუტური არსებობა. ამდენად, მეტაფიზიკური ფილოსოფიის განსჯის უმთავრეს პრობლემას ყოფიერების სუბსტანციურობის და სუბსტანციის, როგორც უპირველესი არსებულის, გააზრება წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი (და, ამავე დროს, ყველაზე „ძნელად“ გასააზრებელი) ღირებულება აღმოჩნდა ადამიანური ცნობიერებისათვის, ხოლო, ფილოსოფიის ისტორია, გარკვეული აზრით, ყოფიერების პრობლემის მეტაფიზიკური კვლევის, ანუ, უპირატესად, ყოფიერების სუბსტანციურობის კვლევის (როგორც მეტაფიზიკის) ისტორიას წარმოადგენს.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. Бертран Рассел, История западной философии. Москва, 1959 г., издат. иностран., лит., стр. 7.
2. ბერტრან რასელი, ფილოსოფიის პრობლემები, თბ., 2001 წ., გვ. 134.
3. იხ. მაგ.: Бегиашвили А. Ф., О природе философского познания, Тбилиси, ТГУ 1989 г., стр. 18-19; Бегиашвили А. Ф., Структура метафилософии, Тбилиси, ТГУ 1993 г., стр. 7.
4. არისტოტელე, მეტაფიზიკა, 102 6a, 20-23.
5. ფილოსოფიური ძიებანი, XI, თბილისი, „უნივერსალი“, 2007, გვ. 9-18.
6. თევზაძე გურამ, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., თსუ 2002, გვ.383.
7. ბერტრან რასელი, ფილოსოფიის პრობლემები, თბ., 2001 წ., გვ. 143-147.
8. ფილოსოფიის რაობის, მისი დანიშნულების, მისი ფუნქციისა და საჭიროების შესახებ თანამედროვე ეტაპზე, დაწვრილებით იხილე: თევზაძე გურამ, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თსუ 2002, გვ. 3-21; ბეგიაშვილი არჩილ, რა არის ფილოსოფია. „მაცნე“ – ფილოსოფიის სერია, №2, 2002 წელი, გვ. 5-19; კოდუა ედუარდ, ფილოსოფიის შესავალი, თბ., თსუ 1992 წელი, გვ. 100-138, 202-278; ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, „განათლება“, 1993 წელი, გვ. 3-16; Бегиашвили А. Ф., О природе философского познания, Тбилиси, ТГУ 1989 г., стр. 5-19; Современное немарксистское мышление о сущности философии, Тбилиси, ТГУ 1990, стр. 3-28.
9. Современное немарксистское мышление о сущности философии, Тбилиси, ТГУ 1990, стр. 3.
10. „ფილოსოფიის შესავლის და ფილოსოფიის მიმართების დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანია მათი საგნობრივი სფეროს ჩვენება. ფილოსოფია მიმართულია ყოფიერებაზე. ფილოსოფია ყოფიერებასთან შემეცნებითი მიმართებაა, ყოფიერების თეორიაა. ფილოსოფიის შესავალი კი მიმართულია ფილოსოფიაზე. მისი ამოცანაა გაარკვიოს ფილოსოფიის რაობა, ის ყალიბდება, როგორც ფილოსოფიის თეორია. თუ ფილოსოფია უპასუხებს კითხვას – რა არის ყოფიერება და რა საზრისი აქვს მას? ფილოსოფიის შესავალი უპასუხებს კითხვას – რა არის ფილოსოფია და რაშია მისი საზრისი? ფილოსოფიის შესავალი ფილოსოფიის ყოფიერების დაფუძნებაა, მისი გამართლებაა. ის თავისებური მეტათეორიაა, ისეთი მეტათეორია, რომელიც არ სცილდება იმის ფარგლებს, რისი თეორიაცაა. ფილოსოფიის შესავალი ფილოსოფიის გარეთ რომ იყოს, მაშინ ფილოსოფია ვერ იქნებოდა თავისთავის დაფუძნება და გამართლება და მეცნიერების მსგავსად სხვა ინსტანციიდან მიიღებდა დაფუძნებას. თუ ფილოსოფიის შესავალი ფილოსოფიის გარეთა ინსტანცია იქნებოდა, მას თვითონ დასჭირდებოდა მისი გააზრებისთვის სხვა ინსტანცია და ა. შ. უსასრულოდ. სინამდვილეში ფილოსოფიის შესავალი ფილოსოფიის ნაწილია და მისი გზით ფილოსოფია იაზრებს საკუთარ თავს, ამიტომ ფილოსოფიას არ სჭირდება გარეთა ინსტანცია, ის თვითრეფლექსიას მიმართავს და ამით ხდება აზროვნების ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი“ (კოდუა ედუარდ, ფილოსოფიის შესავალი, თბ.; თსუ 1992 წელი, გვ. 17. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს ფილოსოფიისა

- და ფილოსოფიის შესავლის რაობის შესახებ, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ყველაზე ვრცელ მიმოხილვას ქართულ ენაზე).
11. დაწვრილებით იხილე: Бегиашвили А. Ф., О природе философского познания, Тбилиси, ТГУ 1989 г., стр. 9.
 12. იხ.: Бегиашвили А. Ф., Структура метафилософии, Тбилиси, ТГУ 1993 г.
 13. ავალიანი სერგი, თეორიული გონების სტრუქტურა. ფილოსოფიური ძიებანი, კრებული XII, თბილისი, "უნივერსალი", 2008, გვ. 92.
 14. კანტი იმანუელ, წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1979 წელი, გვ., 14.
 15. იხ.: Бегиашвили А. Ф., О природе философского познания, Тбилиси, ТГУ 1989 г., стр. 9-11; Бегиашвили А. Ф., Структура метафилософии, Тбилиси, ТГУ 1993 г., стр. 9-10.
 16. ბეგიაშვილი არჩილ, რა არის ფილოსოფია. „მაცნე“ – ფილოსოფიის სერია, №2, 2002 წელი, გვ. 12-14.
 17. აქ აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ე. წ. „მეტაფილოსოფიის“ მომხრეები მეტაფილოსოფიას „ფილოსოფიის შესავლად“ არ განიხილავენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბევრი საერთო შეიძლება დაიძებნოს. მათთვის „მეტაფილოსოფიის“ მოწოდება, ფუნქცია, მიზნები და ამოცანები არ ემთხვევა, ზოგადად, ამა თუ იმ სახის „ფილოსოფიის შესავლის“ მიზნებს და ამოცანებს. ამ უკანასკნელის უმთავრესი მიზანია დაგვეხმაროს „ფილოსოფოსობაში“, შეგვიყვანოს მასში და შიგნიდან „დაგვათვალისწინებინოს“ ფილოსოფია და, თანაც, თავად „ფილოსოფიური თვალით“, რაც დაგვეხმარება ფილოსოფიის „სავალ გზაზე“ დადგომაში, მაშინ როცა, „მეტაფილოსოფიის“ უმთავრეს ამოცანად მისი მომხრეები მიიჩნევენ ფილოსოფიის გაცნობას და „დათვალისწინებას გარედან“ და, თანაც, „კერძომეცნიერული თვალთ“, ყოველგვარი „ზედმეტი ფილოსოფოსობის“ გარეშე. თუ ფილოსოფიის შესავალი ისევ და ისევ ფილოსოფიური ტიპის აზროვნებაა და მის ნაწილს შეადგენს (როგორც ფილოსოფიის მიერ საკუთარი თავის გააზრება), მეტაფილოსოფია, მისი მომხრეების აზრით, კერძომეცნიერული ტიპის კვლევაა (როგორც ფილოსოფიის „არაფილოსოფიური“ გააზრება) და ვერც ამა თუ იმ ფილოსოფიის ნაწილი იქნება და ვერც ესა თუ ის ფილოსოფია. ის ერთ-ერთ ახალ კერძო მეცნიერებად უნდა დაფუძნდეს სხვა კერძო მეცნიერებათა შორის, რაც, ჩვენი აზრით, უშედეგო მცდელობა და „ზედმეტი წამოწყებაა“. ფილოსოფიური აზროვნება მხოლოდ ფილოსოფიურმა აზროვნებამ შეიძლება განსაჯოს. ეს არის მისი ბუნება და მხოლოდ მისი შესაძლებლობა.
 18. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, „განათლება“, 1993 წელი, გვ. 13.
 19. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბილისი, „განათლება“, 1993 წელი, გვ. 14.

VAZHA NIBLADZE

Philosophy as “Meta”

Summary

Almost all great philosophers differently interpret what philosophy is, what it studies, what is the meaning or justification of its existence is, what differentiates it from scientific knowledge or, in general, from other forms of consciousness, etc. But there is a very important problem that philosophical thinking has always faced, i.e. understanding the problem “world-man” (or “man-world”) as a single whole. Philosophy discusses this wholeness (its components separately or in their interrelation) differently from science and this difference is called metaphysical thinking (pushing to the “foreground” the comprehension of metaphysical sphere). Philosophy also discusses this wholeness differently from mythic and religious consciousness do and this difference is known as the acknowledgement of “primacy” of the sphere of knowledge (reason, logic).

Philosophy, like Janus, looks in opposing directions at the same time. “Janus-like” (in a positive sense) state of philosophy is expressed in simultaneous looking towards man and the existent beyond him, towards the past and the future, the beginning and the end, towards the religious and the scientific (towards “physics” and “metaphysics”, “mundane” and “heavenly”). The point of intersection of the religious and the scientific can be called philosophy. It is not accidental that Bertrand Russell considered philosophy as “no man’s land” which is the apple of discord between theology and science.

Science is naturally associated with man’s practical aims – usefulness in the sphere of everyday life. The importance and value of any science, first of all, is assessed from this point of view. Philosophy, in this respect, “lags behind” science (as well as art and religion) since its “usefulness” is not as immediate and perceptible as that of achievements of science (or of art and religion). In this respect, we should recall Aristotle’s assessment of philosophical knowledge: “All sciences are more necessary than it, but none is better than it”. Aristotle understands “betterness” of philosophy in relation to other sciences as “betterness” of the reality which is discussed by philosophy in contrast to the reality studied by other sciences. It is the acknowledgement of the primacy of the metaphysical in contrast to the sphere of physics and it was well known and established long before Aristotle by Parmenides and especially by Plato whose “theory of ideas” remains a classical example of the whole European metaphysics.

As a rule, reasoning about the essence of philosophy, its necessity and destination is itself a philosophical discourse (a certain kind of philosophy, philosophizing). While, for example, the theory of religion cannot be a religion, the theory of art is not art, etc. In this respect, philosophy differs from all other forms of consciousness. Self-reflexivity is its inner nature. The study of any philosophical problem is preceded (or implies) by a certain answer to the question concer-

ning the essence of philosophy and its destination. And this answer remains within the frame of philosophical thinking and retains its specific features. This means that everything (including its own essence) is seen by philosophy from the viewpoint of “meta”. “Meta” implies transcending something (leaving its borders) and watching it from outside. Metaphysics is not physics any more. Meta-mathematics leaves the sphere of mathematics but meta-philosophy still belongs to philosophical thinking and, in general, is a “part” of philosophy as one of its branches or as an introduction to a philosophical system (classical example is Kant’s “criticism”), or as a “historical-philosophical” vision constructed on the basis of certain positions.

We think that “meta-philosophy” is a specific instance of the history of philosophy – when one or several particular philosophical problems are analyzed in their historical development. In such cases, “meta-philosophers”, as a rule, mean the problem of the subject matter of philosophy, on the one hand, and the nature of cognition, on the other.

History of philosophy and philosophy are “closer” related than e.g. religion and the history of religion or mathematics and history of mathematics. The history of philosophy is more “philosophical” than the history of religion – religious, history of mathematics – mathematical, etc. It is so because philosophy has no “meta”. It itself is meta. A history of something means observing it from outside. But the history of philosophy means observing its own self by philosophy and therefore it is looking “inside” and not “outside”. Therefore, we think that “meta-philosophy” is practically a branch of philosophy (and of particular scientific nature). It cannot “transcend” the limits of philosophical thinking and judge philosophy from somebody else’s “position”.

As a rule, the history of philosophy (or something like it) was originally written as a premise (an introduction) to someone’s own philosophical theory, as a review of previously existing philosophical positions. The end of all such historical-philosophical “courses” was the creation of a new philosophical conception. The so-called “meta-philosophy” is such analysis of previous philosophical thinking from the viewpoint of the essence and destination of philosophy itself, of specificity of philosophical cognition and its difference from particular scientific cognition.

It is certain that besides transcendental (metaphysical) many other things such as particular realities of science, religion, art, politics, culture in general, man, nature, etc. (including philosophical thinking) can be the subjects of philosophical interpretation. The specificity of philosophy should be looked for here. In particular, though meta-physicality is its main internal and historical characteristics and philosophy renders “thoughts” of our consciousness about the metaphysical (the transcendental), everything that becomes its subject matter in the non-metaphysical sphere (first of all, man) is “measured” in relation to the metaphysical, i.e. is assessed from metaphysical positions.

Since the “kernel” of any philosophical doctrine is a certain decision of the problem of being, the analysis of the problem of being has become the “core” around which the adventure of philosophical thinking (as “metaphysical vision”) with its success and failures is concentrated. This success and these failures mainly depended on the assumption whether various interpretations of metaphysical aspects of being were convincing and acceptable or not. The analysis of being as such from the metaphysical point of view, first of all, means raising it to the rank of substance.

Substance for philosophical consciousness means the same as God for religious consciousness. Just as religion depends upon what its God is, what characteristics are attributed to Him, just like it the attractiveness and strength of philosophy depend on the manner it solves the problem of substance and, first of all, on the manner in which it solves the problem of relation of substance to being as such, because if there is anything that is to be characterized and to be attributed to substance is absolute existence. Therefore, the most important problem of metaphysical discourse is interpreting the substantiality and substance as the primary existent.

It can be said that existence turned out to be the greatest and the most important (and at the same time “difficult”) value for human consciousness and the history of philosophy in a certain sense was formed as a history of metaphysical study of the problem of being or mainly as a history of study of substantiality of being (as metaphysics).

ირაკლი ბრაჭული

რელიგიის ფილოსოფიის სამი პარადიგმა

1. რელიგიის ფილოსოფიის ველი

მარლენ ოლბრაიტი თავის ცნობილ წიგნში „რელიგია და მსოფლიო პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ 21-ე საუკუნის დამდეგს რელიგიის მნიშვნელობაზე წარმოდგენას გვაძლევს 2005 წლის 20 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა, სადაც აღნიშნულია: „კაცობრიობის ისტორიაში იყო თავისუფლების დაცემისა და აღზევების პერიოდები, მაგრამ მთლიანობაში ის ვითარდებოდა მკაფიოდ გამოკვეთილი გზით, რომელიც წარიმართება თავისუფლების იდეით და თვით მისი შემქმნელის, ღმერთის ხელმძღვანელობით“. რელიგიის ფილოსოფიის ძირითადი კითხვებია: ვინ/რა არის ღმერთი? შეიძლება თუ არა ღმერთის არსებობის დასაბუთება? ხელმძღვანელობს თუ არა ღმერთი თავისივე შექმნილ სამყაროს?

რატომ დაუშვა ღმერთმა ბოროტება და ტანჯვა თავის შექმნილ სამყაროში?

თ. დოსტოევსკი თავის რომანში „ძმები კარამაზოვები“ გვიხატავს დიდ ინკვიზიტორს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეკლესია ემყარება სამ ბურჯს: საიდუმლო, სასწაული და ავტორიტეტი. სამივე მათგანი ბრმა რწმენის ნაირსახეობებია. ფილოსოფოსებს არ უყვართ, როცა მათ აზრებს ვინმე განაგებს. „ისინი ყველაფერში ცხვირს ყოფენ“, ყველაფრის გამოკვლევა, გაჩხრეკა სურთ. ფილოსოფიის 26-საუკუნოვან ტრადიციაში დაგროვდა რელიგიის ფენომენის შესწავლის მდიდარი გამოცდილება. სულ შეიძლება გამოვყოთ რელიგიის ფილოსოფიის ორი ვარიანტი: ერთი ვარიანტის მიხედვით ღმერთის არსებობის დასაბუთება შეუძლებელია, მეორე ვარიანტის მიხედვით კი ასეთი რამ შესაძლებელია. რელიგიის ფილოსოფიის ორივე გზას თავისი გამართლება აქვს, თავისი წარმომადგენლები ყავს, თავისი არგუმენტები აქვს.

„თვით ღმერთმა ინება ჩემი გახდომა აშშ-ის პრეზიდენტად“ – განაცხადა ჯ.ბუშმა, 2005 წელს. ამის გამო ბევრმა მოქალაქემ თავი უხერხულად იგრძნო, რადგან ზუსტად იმავეს ამბობდა ერაყელი დიქტატორი სადამ ჰუსეინიც. ვინც ისტორიას იცნობს, მან ისიც იცის, რაოდენ საშიშნი არიან ადამიანები, თავის თავს ღვთის რჩეულს რომ უწოდებენ და მოთხოვნილება აქვთ სიცოცხლეშივე დაიდგან ძეგლები ქუჩებსა და მოედნებზე. არა იმდენად რელიგია, რამდენადაც რელიგიის ესა თუ ის გაგება არაერთხელ გამხდარა ხალხთა შორის უთანხმოების მიზეზი.

კონსერვატორები და ლიბერალები დღესაც კამათობენ – რელიგიამ უფრო მეტი როლი უნდა შეასრულოს თუ უფრო ნაკლები 21-ე საუკუნის საზოგადოებაში?! თითქოს ამ საკითხზე არსებობს უთანხმოება ამერიკელებსა და ევროპელებს შორის. თითქოს ევროპა უფრო საერო რეგიონია, ხოლო ამერიკაში რელიგიური-

ბა დომინირებს. სინამდვილეში „ამერიკულ რეგულირებასა“ და „ევროპულ სეკულარიზმს“ შორის არც ისეთი დიდი განსხვავებაა. 21-ე საუკუნეში ამერიკა სულაც არ გამხდარა თეორეტიკული, ხოლო ევროპა – უღმერთო და ათეისტური. საშუალო ევროპელი უფრო ფრთხილად ეკიდება რელიგიისა და პოლიტიკის კავშირს, ვიდრე საშუალო ამერიკელი. ამერიკელთა უმრავლესობისათვის სიტყვა „რელიგია“ მხოლოდ დადებითი მნიშვნელობა აქვს. ის დაახლოებით ასე ფიქრობს: „სამყარო და ჩვენ ყველანი ღმერთმა შეგვქმნა, ამიტომ თითოეულ ჩვენგანს თვითონ შემოქმედმა მიანიჭა შეუვალე უფლებები – სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება და საკუთრების უფლება. ამ შეუვალე უფლებების პირველწყაროს სახელია „ღმერთი“. აი, ეს არის „ამერიკული რელიგიურობის“ საფუძველი. ამერიკელებს არა აქვთ გადატანილი ის, რაც ევროპამ გადაიტანა – რელიგიური ომები, საეკლესიო განხეთქილება, „ბართლომეს ღამე“ და ინკვიზიციის საშინელებანი.

რელიგიურია ადამიანი, ვისაც სწამს აბსოლუტური ჭეშმარიტების არსებობა, მაგრამ შეიძლება კი ისეთმა შეზღუდულმა, მოკვდავმა არსებამ, როგორც ადამიანია, შეიცნოს აბსოლუტური ჭეშმარიტება? რამდენად სწორად ესმოდა რელიგიის არსი, მაგალითად ალ-ქაიდას ლიდერს უსამა ბინ-ლადენს, როცა ისლამი საერთაშორისო ტერორიზმის დროშად გამოიყენა? სწორად ესმოდა ინკვიზიციის გენერალი იგნაციო ლოიოლას კათოლიციზმი, როცა ერეტიკოსებს კოცონზე აგზავნიდა? როგორ ესმოდა მართლმადიდებლობა სლობოდან მილოშევიჩს, როცა მასზე აპელირებდა ბალკანეთის სამოქალაქო ომებში, 90-იან წლებში? როგორ გაიგო პროტესტანტული ქრისტიანობა ნორვეგიელმა ანდრეას ბრევიკმა, როცა 87 ბავშვი მოკლა 2011 წელს?

რამდენადაც ჩვენ ამ კითხვებზე პასუხები გვანტიერებს, უკვე ვიმყოფებით რელიგიის ფილოსოფიის პრობლემათა ველში, მაგრამ ჩვენ ვინყებთ რელიგიის ფილოსოფიის, როგორც აკადემიური დისციპლინის, შესწავლას. მართალია, ეს სფეროები ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც ცხოვრება და ფილოსოფია, მაგრამ ამავე დროს მათ შორის კავშირიცაა.

იმანუელ კანტის მიხედვით, ფილოსოფიამ პასუხი უნდა გასცეს ოთხ მთავარ კითხვას: რა შემიძლია ვიცოდე? რა უნდა ვაკეთო? რისი იმედი შემიძლება მქონდეს? რა ვარ მე, როგორც ადამიანი? რელიგიის ფილოსოფიამ უნდა უპასუხოს მესამე კითხვას: რისი იმედი შემიძლება მქონდეს სიკვდილის შემდეგ? ჩვენი განწყობები, მოლოდინები, რწმენა და მრწამსი თავსებადია გონებასთან და შინაგან კავშირშია ადამიანის ყოფიერების სხვა მხარეებთან. ამ კავშირების გაშუქება რელიგიის ფილოსოფიური მკვლევრის საქმეა.

2. ძირითადი ცნებების წინასწარი განმარტება

ვიდრე საგნის არსებითი შინაარსის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა წინასწარ განიმარტოს სამი ძირითადი ცნება: რელიგია, ფილოსოფია და რელიგიის ფილოსოფია.

ადამიანს ახასიათებს მოთხოვნილება, გაიგოს და შეიმეცნოს სამყარო, გასცდეს ხილული სამყაროს საზღვრებს, სწამდეს და შეუერთდეს მარადიულობას, დაძლიოს სიცოცხლის სასრულობა. ეს მოთხოვნილებები აქვთ ყველა ეპოქისა და ცივილიზაციის ადამიანებს. იცვლება მხოლოდ მათი დაკმაყოფილების პირობები. ეს ქმნის ადამიანური ყოფიერების რელიგიურ ასპექტს. თვით ლათინური ტერმინი „რელიგია“ მოგვიანებით დამკვიდრდა. არსებობს რამდენიმე მოსაზრება მისი წარმომავლობის და მნიშვნელობის შესახებ. ციცერონს მიაჩნდა, რომ რელიგია ნაწარმოებია ლათინური ზმნიდან *religare* (ხელახლა შეკვრა, კვლავ დაკავშირება), რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს რაიმესადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, პატივისცემას, მოწინებებს, მოკრძალებას, თაყვანისცემას, ღვთისმოსაობას. ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, *Religare* ნიშნავს „ხელახლა შემოერთებას“, ღმერთთან კავშირის აღდგენა-განახლებას. ღმერთის ძიება, რაც ახასიათებს ადამიანის ბუნებას, ჰგავს უძღვები შვილის დაბრუნების იგავში გამოთქმულ ვითარებას. მორწმუნე ეძიებს შემოქმედს, იმას, რასთანაც იმთავითვეა კავშირში და კვლავ პოულობს, კვლავ უბრუნდება შემოქმედის წიაღს. აქედან წარმოიშვა თვით რელიგიის სახელწოდებაც, რომელიც აღნიშნავს რწმენის იდეებისა და წეს-ჩვეულებების სისტემას.

ფილოსოფია ძვ. წ. VI საუკუნეში წარმოიშვა საბერძნეთში. თვით ტერმინი სიტყვასიტყვით სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. გადმოცემის მიხედვით, პირველად პითაგორას უხმარია, ყოველ შემთხვევაში, პითაგორელთა წრეში წარმოშობილა. ამით პითაგორამ აღნიშნა ის გარემოება, რომ ფილოსოფია არის აზროვნების სპეციფიკური წესი, რომელიც გულისხმობს ჭეშმარიტების მუდმივ ძიებას, მის მოყვარეობას, ტრფიალს, ხოლო ბრძენი მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს. ფილოსოფიის მრავალი განსაზღვრება არსებობს. ჩვენთვის საინტერესოა, რას ერქვა ფილოსოფია ანტიკური ეპოქისა და კულტურის კონტექსტში, რადგან სწორედ მაშინ წარმოიშვა ფილოსოფიასთან რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. პრობლემა გამოიკვეთა მონოათეისტური ბიბლიური რელიგიების წარმოშობისა და დომინანტად გახდომის ეპოქაში.

ფილოსოფია შეიძლება ეწოდოს ადამიანის მცდელობას, გონებრივი უნარების გზით გაიგოს და ახსნას უნივერსუმი, რომელშიც ის ცხოვრობს, წვდეს კოსმოსის საიდუმლოებებს და განსაზღვროს ქცევის წესი (ეთიკურისა და პოლიტიკურის ჩათვლით), რომელსაც შეუძლია ადამიანის (მიკროკოსმოსის) ცხოვრების სრულყოფა. მოგვიანებით ფილოსოფია დაიშალა თეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებად: მეტაფიზიკად, ეთიკად და ლოგიკად. უფრო მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში წარმოიშვა რელიგიის ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური დისციპლინა. მისი მიზანდასახულობა იყო პასუხი გაეცა კითხვებზე: რა არის და როგორი უნდა იყოს რელიგია? მას ჰქონდა როგორც რელიგიის კრიტიკული განხილვის ფუნქცია, ასევე აპოლოგეტური ფუნქცია, – რელიგიური მრწამსის გონების არგუმენტებით დამცველი და გამამართლებელი ფუნქცია.

3. ათენა და იერუსალიმი

რელიგიის და ფილოსოფიის წინასწარი განმარტების შემდეგ განვმარტოთ ტერმინ „თეოლოგიის“ – ღვთისმეტყველების შინაარსიც. ძველი ბერძნული ფილოსოფია შეიცავდა თეოლოგიის ელემენტებსაც და განუყოფელი იყო მისგან. შეიძლება ითქვას, რომ ის თავისებური თეოლოგიაც (ღმერთის შესახებ მოძღვრება) იყო, რომელიც ელინური რელიგიური ცნობიერების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სიტყვა *theos*-ით უპირატესად აღინიშნებოდა ის, რაც ადამიანურზე აღმატებულია, მარადიულია, სიკვდილზე და წარმავალზე მეტია; ის უზენაესი ძალაა, რომელიც მოქმედებს სამყაროში. ელინურ სამყაროში სიტყვა „თეოლოგი“ სხვადასხვა რამეს აღნიშნავდა. ასე იწოდებოდნენ: ორაკულები, მისნები, თეურაგები და ფილოსოფოსნიც; სხვადასხვა მიმდინარეობის ფილოსოფოსები – პითაგორელები, სოფისტები, ეპიკურელები, სკეპტიკოსები, თვით პლატონი და არისტოტელეც, ისინი, ვინც თავიანთ თხზულებებში მსჯელობენ ღვთაებრივის ბუნებაზე.

მონოათეისტური ბიბლიური რელიგიების წარმოშობისა და დამკვიდრების პროცესში ხდება ტერმინ „თეოლოგიის“ შინაარსის განსაზღვრა. უპირველეს ყოვლისა, მისი მკაფიო გამიჯვნა ფილოსოფიისაგან, როგორც წარმართული აზროვნების წესისაგან. ბიბლიაში ის მოხსენებულია, როგორც „ელინთა სიბრძნე“. ამ ორი სფეროს სისტემატური გამიჯვნის აღსანიშნავად წარმოიშვა „ათენა და იერუსალიმის“ მეტაფორა.

„ათენა“ არის სწორად აზროვნების ელინური წესის სიმბოლო, ხოლო „იერუსალიმი“ – აღნიშნავს ბიბლიური გამოცხადების რელიგიას. III საუკუნიდან მკვიდრდება „თეოლოგიის“ ბიბლიური მნიშვნელობა. თეოლოგია ის, ვინც ღმერთის შთაგონების ძალით ქადაგებს ღმერთის ნებას. ასეთები იყვნენ: მოსე, ესაია, დავით მეფსალმუნე და ბიბლიის სხვა წინასწარმეტყველნი. მოგვიანებით, II-III საუკუნეებიდან „თეოლოგი“ ეწოდება იმას, ვინც ეწევა ღმერთის სიტყვის, ბიბლიის ეგზეგეზას ანუ განმარტებას, კომენტირებას. ბიბლიის განმმარტებლებს, კომენტატორებს, ეგზეგეტიკოსებს ეწოდათ თეოლოგები. ბიბლიის განმმარტებელ ეკლესიის მამათა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას ეწოდა **პატრისტიკა**. ზოგი მას თეოლოგიის ნაწილად თვლის, რადგან დოგმატური საკითხების გაგებასა და გაღრმავებას ისახავს მიზნად. ზოგი თანამედროვე ავტორი მას ისტორიულ-კრიტიკული კვლევების დარგად მიიჩნევს და ეგზეგეტების (განმმარტებლების) საქმიანობისგან განსხვავებით აღნიშნავს ტერმინით „პატროლოგია“.

აზროვნების მთელ ტრადიციას ქმნიან ეკლესიის მამები, რომლებიც ფილოსოფიის დახმარებით ცდილობენ განმარტონ ბიბლია, აგრეთვე დაიცვან არასწორი განმარტებისაგან, ყალბისმქმნეებისაგან, ერესებისაგან და რელიგიის ოპონენტებისაგან, ურწმუნო წარმართების მხრივ უარყოფისაგან. თეოლოგია ამ ასპექტში არის აპოლოგეტიკა. ამ ეპოქაში გაიმიჯნა „ქრისტიანული ფილოსოფია“ და „გარეშეთა სიბრძნე“, „ელინთა სიბრძნე“ ანუ წარმართული ფილოსოფია.

ეკლესიის მამები თეოლოგებს, ბიბლიის განმმარტებლებს „ქრისტიან ფილოსოფოსებს“ უწოდებდნენ. ასეთ თეოლოგებს „ქრისტიანი ფილოსოფოსი“ ეწოდათ, რადგან თითოეული მათგანი კარგად იცნობდა ბერძნულ ფილოსოფიას და მას ქრისტიანობის შესავლად აღიქვამდა; ცდილობდა არა მარტო მოციქულთა და წინასწარმეტყველთა ენით, არამედ ფილოსოფიური მსჯელობის გამოყენებით მკითხველი გონებისათვის მისანვდომი რწმენის საზღვრებამდე მიეყვანა. მსოფლიო ეკლესიის დიდმა მოძღვრებმა: ბასილი დიდმა, იოანე ოქროპირმა, გრიგოლ ღვთისმეტყველმა, გრიგოლ ნოსელმა – „ღვთისმეტყველების კაბადოკიელმა მნათობებმა“ გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ ქრისტიანული რელიგიის დოგმატის ჩამოყალიბებასა და ფორმულირებაში. ისინი ფილოსოფიას იყენებდნენ რელიგიური მრწამსის ფორმულირებაში. ბასილი დიდმა სპეციალური ნაშრომიც კი დაწერა იმის თაობაზე, როგორ უნდა მიიღოს სარგებლობა ახალგაზრდამ წარმართული ლიტერატურიდან. ბასილი დიდი ფილოსოფიას წყალში არეკლილ მზეს ადარებს, რომელსაც თვალი უნდა შევაჩვიოთ, რათა შემდეგ ნამდვილი მზის ჭკრეტა შევძლოთ. ქართველი ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის შესახებ გადმოგვცემს, რომ „საღმრთო წიგნი ზეპირით მოიწურთნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავა კეთილად და რომელ პოვოს სიტყვაი კეთილი შეიწყნაროს, ხოლო ჯერვალი განადიდოს“.

მსოფლიო საეკლესიო კრებების ეპოქაში (I მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 325 წ. კონსტანტინეპოლში, უკანასკნელი VII კრება ნიკეაში 787 წელს) მოხდა ქრისტიანობის ელინიზაცია და ფილოსოფიის ქრისტიანიზაცია. ხშირად მიუთითებენ, რომ მთელი დასავლური ცივილიზაციის საფუძველს შეადგენს ბერძნული ფილოსოფია და ქრისტიანული რელიგია, ბიბლიური ეთიკა, ძველი აღთქმის ფუნდამენტური მორალური კანონები და ახალი აღთქმიდან მომდინარე პიროვნების უზენაესი ღირებულების იდეა.

„ქრისტიანი ფილოსოფოსი“ მხოლოდ ეპითეტია, ნიშნავს განსწავლულ, მნივნობარ თეოლოგს, ღმერთის სიტყვის განმმარტებელს, ეგზეგეტიკოსს, რადგან თვით ქრისტია უზენაესი და ჭეშმარიტი სიბრძნე (სოფია) და ღმერთის პირველი მანმმარტებელი, პირველი ეგზეგეტიკოსი, ქრისტია ღმერთის სიტყვა – ლოგოსი, მაშასადამე, ჭეშმარიტი „ფილოსოფოსი“ შეიძლება იყოს მხოლოდ ქრისტიანი ღვთისმეტყველი.

აი, ამ ისტორიულ კონტექსტში წარმოიშვა აზროვნების ორ ფორმას შორის – „ათენა და იერუსალიმს“ შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, რაც შეიძლება გავიგოთ, როგორც ცოდნისა და რწმენის, ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრობლემა. ცოდნის და რწმენის ურთიერთმიმართების განსაზღვრა გახდა არა მარტო შუა საუკუნეთა ფილოსოფიის, არამედ, საერთოდ, ადამიანის აზროვნების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

4. „ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა და ფილოსოფოსთა ღმერთი“

ფილოსოფოსთა და თეოლოგთა აზრი ორად არის გაყოფილი. მუდამ იყვნენ, დღესაც არიან და ალბათ მომავალშიც იქნებიან ღრმა რელიგიური მოაზროვნენი, რომლებიც შეუწყნარებლად თვლიან ამ ორი ურთიერთსაპირისპირო გონითი უნარის მორიგებას. სარწმუნოებას არ სჭირდება გონების მტკიცებულებანი, საკმარისია წმ. წერილის ანუ გამოცხადების მტკიცებულება, ის რაც ბიბლიაში წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა ანუ ჭეშმარიტმა ღვთისმეტყველებმა ღვთის შთაგონებით გვაუწყეს და გვიქადაგეს. მათ შორის ყველაზე უკომპრომისო მიმართულების პოზიციაა გამოხატული II საუკუნის თეოლოგ ტერტულიანეს ფორმულირებაში: *credo yuia absrdum* („მნამს, რადგან აბსურდია“). ტერტულიანე ხელალებით უარყოფდა ფილოსოფიას, წყევლიდა სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს; მოითხოვდა მათი თხზულებების აკრძალვას. საერო ფილოსოფიურ ლიტერატურას ღვთის წინაშე სიგიჟედ თვლიდა. ეს უკიდურესი დამცველი ქრისტიანული მოძღვრების სინმინდისა, შემდგომ ცდომილებებში ჩავარდა, რამაც ის ეკლესიიდან განდგომამდე მიიყვანა. მოგვიანებით პასკალმა გამოთქვა ასეთი პოზიცია: „ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა და არა ფილოსოფოსთა და მნიგნობართა ღმერთი“. პასკალი გვეუბნება, რომ რელიგიის არსი იდუმალეა და მიუწვდომლობაა, ნამდვილი ღმერთი, ქრისტიანული რელიგიის ღმერთი მუდამ დარჩება დაფარულ, იდუმალ, შეუცნობელ ღმერთად. კირკეგორი ამტკიცებდა, რომ რელიგია გონებისათვის არის დიდი პარადოქსი, რომლის შერბილებაც კი რელიგიის უარყოფას და ადამიანის რელიგიური ცხოვრების დანგრევას გამოიწვევს.

იმავე პოზიციას გამოხატავდა ისლამის რელიგიის დამცველი სულთანი მაჰმუდ II. მან ბრძანა დაენვათ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რადგან, მისი შეხედულებით, თუ ამ წიგნებში იგივე წერია, რაც ყურანში, მაშ რა საჭირონი არიან ისინი, ხოლო, თუ ყურანისაგან განსხვავებული რამ წერია, მით უმეტეს არ არიან საჭირო.

ასეთივე პოზიცია გამოთქვა აგნოსტიციზმის მხრიდან მე-17 საუკუნის ინგლისელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა. ის თვლიდა, რომ: „ჩვენი წმინდა სარწმუნოება უნდა დაემყაროს მხოლოდ რწმენას“. ღმერთზე არაფერი შეიძლება ითქვას, გარდა იმისა, რაც გვაუწყეს ბიბლიაში წინასწარმეტყველებმა. არ უნდა დავუშვათ სარწმუნოების გატანა გონების სამსჯავროზე, რადგან რელიგია ვერ გაუძლებს გონების კრიტიკას, ამიტომ უნდა ჩამოვიშოროთ რელიგიის ეს საეჭვო და სამიში ოპონენტი. ჰიუმიც თვლიდა, რომ ბიბლიოთეკებიდან უნდა ამოვიღოთ და დავწვათ ყველა ის წიგნი, რომელიც გონების არგუმენტების საშუალებით ცდილობს დაასაბუთოს ღმერთის არსებობა.

ტერტულიანეს საპირისპირო პოზიციის კლასიკურ ფორმილირებას გვაძლევს ნეტარი ავგუსტინე: *Intellege ut creas. Creas ut intelleges* (გაიგე, რათა გწამდეს; გწამდეს, რათა გაიგო); რწმენა მიისწრაფვის ცოდნისაკენ, გაგებისაკენ, ხოლო ცოდნა, გაგება – რწმენისაკენ.

5. რელიგიის ფილოსოფიის სამი პარადიგმა

შუა საუკუნეებში სამივე დომინანტური მონოათეისტური მსოფლიო რელიგია – ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი ცდილობს თავისი დოგმები დაასაბუთოს გონების მტკიცებულებებით და ამისათვის იყენებს წარმართულ ელინურ ფილოსოფიას. ამ ფილოსოფიის, როგორც თეოლოგიის წინასაფხურის – პრეთეოლოგიის კონცეფცია ჩამოაყალიბა კლიმენტი ალექსანდრიელმა. მიუხედავად იმისა, რომ ელინებს გამოცხადების ჭეშმარიტება არ ჰქონდათ უწყებელი, მათ “სჯული არ იცოდნენ, არ მიეცათ სჯული”, ისინი „ბუნებითი სჯულის“, გონების ბუნებითი სინათლის (*lumen naturalis*) მეშვეობით წვდნენ ჭეშმარიტების მარცვლებს („რომელთა შჯული არა აქუნ, და ბუნებითსა მას შჯულსა ჰყოფდეს“ რომ. 2.13-14), ამიტომ სამივე მონოათეისტური მსოფლიო რელიგია თავის სამსახურში აყენებს ფილოსოფიას, რაც გამოთქმულია ფორმულით: *filosofia ancila oltologia* („ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია“). ამ მოძრაობას ეწოდა სქოლასტიკა, ანუ ღმერთის არსებობის დამტკიცება ფილოსოფიის გამოყენების გზით.

- ✓ ქრისტიანული ფილოსოფია – ანსელმი კენტერბერიელი, თომა აქვინელი.
- ✓ იუდაიზმის ფილოსოფია – მოსე მაიმონდე პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა გამოყენებით ცდილობს დაასაბუთოს იუდაიზმის რელიგიის დოგმები.
- ✓ ისლამის ფილოსოფია – არაბულ ფილოსოფიასაც უწოდებენ (ავიცენა, ალ-ფარაბი), მისი ამოცანაა არისტოტელეს მოძღვრებაზე დაყრდნობით ისლამის რელიგიის დასაბუთება და განმარტება.

ღმერთის არსებობის დასაბუთების შესაძლებლობის მომხრეებმა ფილოსოფია განსაზღვრეს როგორც რაციონალური თეოლოგია. ღმერთის დასაბუთების საკითხზე მრავალსაუკუნოვანი კამათის შედეგად ჩამოყალიბდა საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი.

ათეიზმი – ღმერთის არარსებობის დასაბუთება, აგნოსტიციზმი – შეუძლებელია დასაბუთდეს როგორც ღმერთის არსებობა, ისე მისი არარსებობა; დეიზმი ღმერთმა შექმნა სამყარო, მაგრამ შემდეგ აღარ ერევა მის არსებობაში; პანთეიზმი – ღმერთი ყველაფერშია. პანთეიზმის ფორმულად ითვლება სპინოზას დებულება: *deus Sive natura* – ღმერთი ანუ ბუნება.

სქოლასტიკაში ჩამოყალიბდა ორმაგი ჭეშმარიტების თეორია. ამ თეორიის კლასიკური ვარიანტი შექმნა თომა აქვინელმა. არსებობს გონების ანუ ფილოსოფიური (მეცნიერული) ჭეშმარიტება და თეოლოგიური, გამოცხადების ჭეშმარიტება. ორივე მათგანის წყაროა ღმერთი, ამიტომ მათ შორის არ შეიძლება არსებობდეს გარდაუვალი წინააღმდეგობა.

სქოლასტიკაში ჩამოყალიბდა ღმერთის არსებობის მრავალი მტკიცებულება, მათ შორის ყველაზე ცნობილია:

- ა) ონტოლოგიური მტკიცებულება. ღმერთის ცნებაში შედის მისი არსებობა;
- ბ) პირველმიზეზის მტკიცებულება – ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, ამიტომ უნდა

არსებობდეს პირველმიზეზი, რომელიც იქნება თავისი თავის მიზეზი. ყველაფრის პირველმიზეზი არის ღმერთი; გ) ტელეოლოგიური ანუ ჩანაფიქრის მტკიცებულება. სამყაროში ყველაფერი აგებულია მიზანშეწონილობის პრინციპით, ისე, თითქოს ის ვიღაც გონიერმა არსებამ ჩაიფიქრა.

სქოლასტიკა XI-XIII საუკუნეებში განვითარების აპოთეოზს აღწევს და მისი დაცემა იწყება XV საუკუნიდან. XVI საუკუნეში სქოლასტიკა ემხობა. ხორციელდება თეოლოგიის ბატონობიდან ფილოსოფიის ემანსიპაცია (განთავისუფლება) ანუ იწყება რელიგიის ფილოსოფიის სეკულარიზაცია, გასაეროება, გონების და სამოქალაქო საზოგადოების ველზე გადატანა; დგება სეკულარული ჰუმანიზმის და განმანათლებლობის ეპოქა. ახალ სეკულარულ კონტექსტში იქმნება რელიგიის ფილოსოფიის ახალი პარადიგმა, რომლის ამოცანაა რელიგიის კრიტიკა. გონება იქცევა რელიგიის არბიტრად. გერმანული კლასიკური იდეალიზმის წიაღში იქმნება რელიგიის ფილოსოფიის სისტემები. შეიქმნა ორი კლასიკური თხზულება:

- ✓ ი. კანტის „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში“. ეს არის რელიგიის ეთიკური არსების გამოკვლევა.
- ✓ გ.ვ.ფ. ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაში“, მასში გამოკვლეულ იქნა რელიგიის რაციონალური არსება.

კანტის და ჰეგელის თხზულებებში მოხაზულია რელიგიური ცნობიერების უნივერსალური საწყისები. სქოლასტიკური სტრატეგია გულისხმობდა გონების მიერ ღმერთის არსებობის დასაბუთებას, ხოლო ახალი სტრატეგია გულისხმობს რელიგიის კრიტიკას, მისი გაუმჯობესების რეფორმას. რელიგის შესწავლა და შემეცნება მეცნიერულ საფუძველზე გადადის. ყველა რელიგია ერთიანი სისტემის ცალკეულ პარაგრაფებად გაიაზრება.

სქოლასტიკაში შემუშავებული ღმერთის იდეა – დაუსაბამო, უსასრულო, ყოველივეს შემოქმედი, მიზეზი, არსება, სიცოცხლე და განმგებელი – ამ ახალ სეკულარულ პარადიგმაში განმარტებულ იქნა, როგორც გონების იდეა. ღმერთის იდეა კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიაში გადაიქცა სუბიექტის თვითკონსტრუირების მომენტად, ადამიანის თვითგანხორციელების თვალსაწიერად, რომელიც ცდილობს თავისუფლებაც არ დაკარგოს და უსასრულობასთან კავშირიც შეინარჩუნოს.

რელიგია გაგებულ იქნა, როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების ერთ-ერთი საფეხური, კულტურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, ხოლო ეკლესია, როგორც ერთ-ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება. დაიწყო რელიგიათა კლასიფიკაცია მის პრიმიტიულ და განვითარებულ ფორმებად. პრიმიტიული რელიგიური ფორმებია: ანიმიზმი, სულიერი თვისებების მიწერა ბუნების მოვლენებისადმი; ფეტიშიზმი – ცხოველებისა და მცენარეებისადმი ზებუნებრივი თვისებების მიწერა; ტოტემიზმი – ჯადოქრობა, გრძნეულება, მაგია, შელოცვა და მაგიური რიტუალების შედეგად ბუნების მოვლენებზე და ადამიანის ცხოვრებაზე ზემოქმედება.

რელიგიის ფილოსოფიის სეკულარულ-განმანათლებლური პარადიგმა დაიწყო XIX ს. 30-40-იან წლებში. ჰეგელის „სისტემა აფეთქდა“. ის „ააფეთქეს“ ჰეგე-

ლის მონაფეებმა: ლ. ფოიერბახმა, ს. კირგეგორმა, მ. შტირნერმა, კ.მარქსმა, აგრეთვე ფ.ნიცშემ, ფ. შლაირმახერმა და სხვებმა. ლ.ფოიერბახმა შემოიტანა ანთროპოლოგიური პრინციპი. რელიგიის პოზიტიური კრიტიკა შეცვალა ნეგატიური კრიტიკით. რელიგიის არსება, მისი აზრით, არის ადამიანის არსება გაუცხოებული სახით წარმოდგენილი. ადამიანი თავისივე იდეას ეთაყვანება ღმერთის სახით. ამიტომ რელიგიის ფილოსოფიამ უნდა გააცნობიეროს ეს გაუცხოება და რელიგია კვლავ ანთროპოლოგიად გადააქციოს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება რელიგიის ფილოსოფიის სეკულარული პარადიგმის შეცვლა მისი პოსტსეკულარული პარადიგმით, რომელიც რელიგიის აპოლოგიისა და კრიტიკის მიღმა ირჩევს ახალ სტრატეგიას, სამყაროს რელიგიური ვალენტობის რეაქტუალიზაციის (განახლების) სტრატეგიას. ფრიდრიჰ შლაიერმახერიდან მოყოლებული, ყურადღების ცენტრში ექცევა რელიგიური ცდა (გამოცდილება, *experiens*) და მისი შინაგანი ღირებულება. ჰუსერლის გამოკვლევების გავლენით ფენომენოლოგიური მეთოდი აქტიურად გამოიყენება რელიგიის ფილოსოფიაში. შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის ფილოსოფია გადადის რელიგიის ფენომენოლოგიაში. რელიგიის ფენომენოლოგია ამოდის არა უზენაესი არსების შესახებ სპეკულატიური ცნების შედგენის ამოცანებიდან, არამედ გვევლინება რელიგიური გამოცდილების გაგებისა და ინტერპრეტაციის თეორიად და მეთოდოლოგიად.

6. არის თუ არა ფილოსოფია რაციონალური თეოლოგია

„ღმერთმა ჩემი შექმნისას, ჩემში ჩადო ღმერთის იდეა, როგორც ტვიფარი, რომლითაც ხელოსანი აღბეჭდავს ხოლმე თავის ქმნილებას“

რენე დეკარტე

ახალი დროის გარიჟრაჟზე ფიქრობდნენ, რომ ღმერთმა დაწერა ორი წიგნი, ორი მანუსკრიპტი: წმინდა წერილი, რომლის მეშვეობითაც თავის ნებას გვიმხელს და ბუნება, სამყარო, რომლის მეშვეობითაც თავის ძალმოსილებას გვიმხელს. ბუნება არის უნივერსალური ტექსტი. მისი ნაკითხვა რომ ვისწავლოთ, საჭიროა იმ ანბანის ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ჩაწერილია ეს ტექსტი. ამ წიგნის გაგება შეუძლებელია, თუ მანამდე არ შეისწავლე ის ენა და ასოები, რომლითაც ის დაიწერა. ამ წიგნის ენა მათემატიკაა, ხოლო ასოები სამკუთხედები, წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები (გალილეი, ბეკონი). მაშასადამე, არსებობს ღმერთის შემეცნების ორი გზა: ბიბლიის ნაკითხვა, განმარტება და გაგება და ღმერთის შემეცნება გაშუალებული გზით – მისი ქმნილების ნაკითხვა-გამოკვლევა. ბუნების შემეცნების ორგანოა ღმერთის მიერვე ადამიანში ჩანერგილი გონების ბუნებითი ნათელი (*lumen naturalis*). ამ ბუნებითი უნარის მეშვეობით სამყაროს პირველმიზეზის მოაზრება არის რაციონალური თეოლოგია.

ფილოსოფია, როგორც რაციონალური თეოლოგია, იყოფა ორად: დეისტურად და თეისტურად. დეისტები აღიარებენ, რომ პირველმიზეზის შემეცნება შესაძლებელია მარტოოდენ გონებით, მაგრამ ადამიანური გონების მიერ მოაზრებული ღმერთის ცნება შეფარდებითია, ღმერთი არის არსება, რომლის ყველგანმყოფი რეალობა ზუსტად ვეღარ განისაზღვრება გონებით. თეისტი აღიარებს, რომ გონებით შეუძლია ღმერთი ზუსტად განსაზღვროს ბუნებასთან ანალოგიით, ამას ბუნებრივი თეოლოგია ეწოდება. ღმერთი არის არსება, რომელიც თავის თავში შეიცავს ყველა სხვა ნივთის პირველ საფუძველს. დეისტები მასში წარმოიდგენენ სამყაროს მიზეზს, ხოლო თეისტები – სამყაროს შემოქმედს.

ბუნებრივ თეოლოგიაში უნდა განვასხვავოთ კოსმოლოგია და ტელეოლოგია. ღმერთის არსებობის კოსმოლოგიურ მტკიცებულებას სამყაროს ნესრიგიდან გამოჰყავს უზენაესი მოაზროვნე არსების იდეა, ხოლო ტელეოლოგია სამყაროს ჩანაფიქრის მიხედვით შექმნას გულისხმობს. სქოლასტიკურ პროექტებში გამოყენებულ იქნა როგორც კოსმოლოგიური, ისე ტელეოლოგიური მტკიცებულებები, რომლებიც პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებიდან იღებენ სათავეს. ყველა არსებულს აქვს თავისი მიზეზი, ამ უკანასკნელს კი – თავისი. მიზეზთა ჯაჭვის ბოლოს მივდივართ პირველმიზეზის დაშვებამდე, რომელიც თვითონ არის თავისი თავის მიზეზი (*causa sui*).

ანსელმ კენტერბერიელს (1033-1109 წწ.) მიეწერება ე.წ. ონტოლოგიური არგუმენტის შექმნა. ანსელმი აცხადებდა, რომ ის გონების ნათელზე დაყრდნობით დაასაბუთებდა ღმერთის არსებობას. (5) ანსელმის არგუმენტი არის მე-13 ფსალმუნის იმ მუხლის კომენტარი, რომელიც ამბობს: „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“. ღმერთის უარყოფა უგუნურებაა, ანუ გონების კანონებს ეწინააღმდეგება, რატომ? ღმერთი გონებისთვის არის ყოვლადსრულყოფილი არსების ცნება, ამიტომ შეუძლებელია, რომ მას გამოაკლდეს არსებობის პრედიკატი.

ანსელმის არგუმენტის უფრო მარტივი ვარიანტი ჩამოაყალიბა რენე დეკარტემ: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. ის უეჭველესი, „უცხადესი“ და თავისი თავის თვითდამფუძნებელი დებულებაა, რასაც გონების ინტუიცია, ანუ ბუნებრივი სინათლე (*lumen naturalis*) ქვრეტს. თავის „მესამე მედიტაციაში“, რომელსაც ეწოდება „ღმერთის შესახებ მტკიცებულება, რომ ის არსებობს“, დეკარტე ამბობს: ღმერთის იდეაც არის გონების ბუნებრივი ნათლის ევიდენცია. ამის ახსნა შეიძლება სრულყოფილი მანქანის ანალოგიით, მანქანა გულისხმობს ოსტატს, რომელმაც ის შექმნა.

ონტოლოგიური არგუმენტი მრავალჯერ გააკრიტიკეს იმ არგუმენტით, რომ ცნებაში არსებობა არ შედის. შეიძლება აზრში გქონდეს 300 ტალერის ცნება, მაგრამ ჯიბეში არც ერთი ტალერი არ გქონდეს (კანტი). ჰეგელმა მთელი თავისი სისტემა, ონტოლოგიური არგუმენტის აღდგენაზე დაამყარა. მხოლოდ აბსოლუტის ცნება გულისხმობს არსებობას (და არა სხვა რამის ცნება). გონების არსება ცნებაშია, აბსოლუტის ცნება კი გონების ყოვლადძლიერების ცნებაა. ამათი რელიგია გადადის რელიგიის ფილოსოფიაში, ღმერთის ცნებამდე ამაღლებულ თვითცნობიერებაში.

მაშასადამე, „ფილოსოფია რელიგიის იგივეობრივია“, ფილოსოფია რაციონალური თეოლოგიაა, რომელიც რელიგიას განვლილ საფეხურად აცხადებს. ჭეშმარიტ ღმერთად გამოცხადებულია „ფილოსოფოსთა ღმერთი“. ამ საბედისწერო დასკვნის წინააღმდეგ ბევრმა მოაზროვნემ გამოთქვა თავისი აზრი. ჰეგელის სისტემა თვით მისმა მოწაფეებმა ააფეთქეს.

7. სინდისი, როგორც გონების ფარგლებში შესაძლო რელიგიის ღმერთი

„მე ვამტკიცებ, რომ გონების სპეკულატიური გამოყენების ყოველგვარი ცდა თეოლოგიაში უნაყოფოა... თუ საფუძვლად არ დავუდებთ მორალურ კანონებს, მაშინ არსად არავითარი გონების თეოლოგია არ შეიძლება არსებობდეს“

იმანუელ კანტი

კანტმა თავის ფილოსოფიურ რეფორმას საფუძვლად დაუდო ონტოლოგიური მტკიცებულების კრიტიკა, ამავე კონტრანგუმენტის საფუძველზე, რომ ცნებაში არ შედის არსებობა. ადამიანური გონების უძღურება და უგუნურობა, დაამტკიცოს უზენაესი გონიერი არსების არსებობა, ასევე ნიშნავს მისი საპირისპიროს დამტკიცების უუნარობასაც. ამდენად, უზენაესი არსება გონების წმინდა სპეკულატიური გამოყენებისთვის რჩება მხოლოდ ცნებად, რომელიც ამთავრებს და აგვირგვინებს ადამიანური ცოდნის შენობას. ამ იდეალის ობიექტურ რეალობას, მართალია, ვერ დაამტკიცებ, მაგრამ, ვერც უარყოფ.

კანტის მიხედვით, ღმერთი არის ზნეობრივი წესრიგის პრინციპი. ზნეობრივი კანონები კი არ გულისხმობენ წინამძღვრად სამყაროს უზენაესი გამგებლის არსებობას, არამედ, პირიქით, უზენაესი არსების არსებობის მტკიცებულება ზნეობრივ კანონს ემყარება. მორალური კანონები არათუ გულისხმობენ უმაღლესი არსების არსებობას, არამედ აუცილებლად აპოსტულირებენ მას, ოღონდ მხოლოდ ეთიკურად. ღმერთის იდეა მორალური აუცილებლობაა.

ღმერთი, როგორც უმაღლესი ნივთი, არსებათა არსება, ყველა სხვა ნივთთა არსებობის შესაძლებლობის უმაღლესი პირობა, რისი მოაზრებაც შესაძლებელია ადამიანური გონების მიერ, რაციონალური თეოლოგიის საგანი იყო. ამაშია მისი მთავარი ცდომილება. რაციონალური თეოლოგია ცრუ მეცნიერებაა. ღმერთის იდეა არ გვეუბნება იმას, თუ რა შეიძლება იყოს მისი შესაბამისი საგანი რეალობაში. კანტის აზრით, ღმერთის იდეას არ შეიძლება რამე შეესაბამებოდეს ცდაში, ამიტომ თეორიული ცოდნა ღმერთის შესახებ გამორიცხულია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთის იდეას არა აქვს არავითარი მოხმარება ადამიანის გონებაში. ღმერთის იდეა მხოლოდ რეგულატიურია და არა კონსტიტუციური, ის ემპირიულ ცდას არ აკონსტიტუირებს. კანტმა ლუთერის პროტესტანტული რევოლუცია ფილოსოფიაში გადმოიტანა. ღმერთის ცნება შეცვალა სინდისის ცნებით. ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგიური თემი, „ახალი ისრაელი“ ანუ ეკლესია შეიძლება იყოს მხოლოდ

მორალური კაცობრიობა. ქრისტიანობა მორალური რელიგიაა აღმსარებლურ და დოგმატურ ღვთისმეტყველებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. ღმერთი, როგორც ზნეობრივი წესრიგის პირველწყარო და აბსოლუტური მორალური არსება, ავტონომიური გონების პრაქტიკული პოსტულატია. რელიგიის საკულტო, საწესჩვეულებო და ორგანიზაციულ-იერარქიული ინსტიტუტები სახარების უწყების შუქზე, კანტის აზრით, არის რელიგიური ცნობიერების პრიმიტიულ საფეხურზე დაბრუნება.

პროტესტანტებმა ერთმანეთს დაუპირისპირეს დოგმატურ-აღმსარებლური ღვთისმეტყველება, რომელიც რწმენის დოგმატს გარეგანი იძულების სახით აწვდის მორწმუნეს, და „სინდისის ღვთისმეტყველება“, შინაგანი რწმენა შუამავლების გარეშე, რეალიზებული მორალური კანონის შესრულებაში და წმ. წერილის ინდივიდუალურ გაგებაში, განცდასა და განმარტებაში. ეთიკური რელიგიის იდეამ კიდევ უფრო გააღრმავა დასავლური ცივილიზაციის სეკურალიზაციის პროცესი, რასაც მოჰყვა სამყაროს რელიგიური ვალენტობის დაქვეითება და კულტურის დეკადანსი. პაულ ტილიხი შენიშნავს, რომ ონტოლოგიური არგუმენტის დანგრევით, კანტმა რელიგიური ცნობიერების დანგრევას შეუწყო ხელი.

8. რელიგიური ფილოსოფია

ძნელია თანამედროვე რელიგიის ფილოსოფიის მკაფიო გამიჯვნა თანამედროვე რელიგიური ფილოსოფიისა და თეოლოგებისაგან. 1879 წელს 4 აგვისტოს რომის პაპის ლეონ XIII ენციკლიკამ თომა აქვინელის შრომები ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფიურ მოძღვრებად გამოაცხადა და თავის მრევლს მისი შესწავლისაკენ მოუწოდა. თომისტური კვლევების ცენტრები გაიხსნა ევროპისა და აშშ-ს მრავალ უნივერსიტეტში. თანამედროვე ნეოთომიზმმა ბევრი რამ აიღო XX ფილოსოფიის სხვადასხვა მიმდინარეობისაგან. ამან ხელი შეუწყო შუა საუკუნეების სქოლასტიკის ახალ კონტექსტში აღორძინებას და თომიზმი აქცია თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთ მოქმედ ელემენტად. ჟაკ მარიტენი (1882-1972), ეტიენ ჟილსონი (1884-1978), ტიერ დე შარტენი, კარლ რანერი (1904-1984) და სხვები იქცნენ „კათოლიკურ და საერო ფილოსოფიას შორის დიდ შუამავლებად“.

1962 წელს ვატიკანის II კრებამ დღევანდელი მსოფლოს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მსჯელობისას აზროვნების ფილოსოფიურ-თეოლოგიური პერსპექტივების გაფართოებისაკენ მოუწოდა. მნიშვნელოვანი წვლილი რელიგიურ ფილოსოფიაში შეაქვს პროტესტანტულ თეოლოგიას კარლ ბარტის (1886-1968), რ. ბულტაბენის (1884-1934), პაულ ტილიხის (1886-1965) და სხვების შრომების მეშვეობით. მართლმადიდებლური ტრადიციების ნიადაგზე წარმოიშვა XIX-XX საუკუნეების რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლა (ვ. სოლოვიოვი, ნ. ბერდიაევი, ლ. შესტოვი, პ. ფლორენსკი, ს. ბურგაკოვი, ს. ფრანკი და სხვ.).

კითხვა: რა არის რელიგია? გადადის კითხვაში: როგორი უნდა იყოს რელიგია? რელიგიური ფილოსოფია „გადადის“ რელიგიურ ეთიკაში; რელიგიური ფილოსოფი-

ის ველიდან გადავდივართ *ქრისტიანული ეთიკის* ველზე: როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი? გარკვეული თანხვედრა ღმერთის ბუნებრივ და ზებუნებრივ გამოცხადებებს შორის ყველაზე მკაფიოდ სწორედ ეთიკურ თვალსაზრისში უნდა გამოვლინდეს. ქრისტიანული ეთიკა გვასწავლის რა არის მორალურად სწორი და არასწორი იმ ადამიანებისათვის, ვინც თავისი რწმენა დააფუძნა ბიბლიურ გამოცხადებაზე და აღიარებს საეკლესიო კრებების მიერ მიღებულ მრწამსს. უნდა გაიმიჯნოს მორალურობის ქრისტიანული ხედვა მორალის სხვა კონცეფციებისაგან და მეტნაკლებად ცხადი სახით დადგინდეს გადანყვეტილების მიღების სწორი ორიენტირი. როგორი უნდა იყოს რელიგიური ადამიანის მიმართება კულტურასთან – უნდა მიიღოს ის? უნდა გაექცეს მას? უნდა გარდაქმნას ის თუ კიდევ სხვა პოზიცია უნდა აირჩიოს? ამ სფეროში კვლევებს უწოდებენ *კულტურის თეოლოგიას*. ამ დარგში ფუძემდებლურად ითვლება პაულ ტილიხის შრომები.

როგორი უნდა იყო რელიგიური ადამიანის მიმართება პოლიტიკურ ინსტიტუტებთან – სახელმწიფოსთან? ამ სფეროს *პოლიტიკური თეოლოგია* ეწოდება. მისი ფესვები პავლე მოციქულთან და ნეტარ ავგუსტინესთან არის საძიებელი. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი კლასიკოსი ლეო შტრაუსი აღნიშნავს: მე არა ვარ ბიბლიური თეოლოგი, მე ვარ პოლიტიკური ფილოსოფოსი, ანუ, მაინტერესებს პოლიტიკური ინსტიტუტების დაფუძნების საკითხი ისტორიაში ბუნებრივი გამოცხადების და ბიბლიაში ზებუნებრივი გამოცხადების მიმართების ველზე.

როგორ ვლინდება ზებუნებრივი გამოცხადება მშვენიერებაში და ადამიანის მხატვრულ შემოქმედებაში? ამ სფეროს *თეოლოგიური ესთეტიკა* უწოდეს. ცნობილი ნაშრომები ამ სფეროში ეკუთვნის ურს ფონ ბალთაზარს.

9. არის თუ არა ფილოსოფია საჭირო რელიგიისათვის

ზოგიერთი რელიგიური ფილოსოფოსი თვლის, რომ რელიგია არის თავისუფლებისა და ხსნის, სულის ცხოვნების, მარადიული სიცოცხლის მიღწევის ერთადერთი გზა, ამიტომ მას არ სჭირდება ფილოსოფია, რომელიც გამოცხადებამდე კაცობრიობას, ანუ წარმართულ კაცობრიობას სჭირდებოდა. ხოლო, მას შემდეგ, რაც გამოცხადება აღსრულდა, ის აღარ არის საჭირო. ნ. ბერდიაევი შენიშნავს: „რელიგიას შეუძლია იარსებოს ფილოსოფიის გარეშე, მისი წყაროები აბსოლუტურნი და თვითკმარნი არიან. ხოლო ფილოსოფიას არ შეუძლია იარსებოს რელიგიის გარეშე – რელიგია სჭირდება მას, როგორც საზრდო, როგორც უკვდავების წყარო“.

ყველა შესაძლო პასუხი კითხვაზე: საჭიროა თუ არა რელიგიისათვის ფილოსოფია? შეიძლება რამდენიმე ვარიანტამდე დავიყვანოთ.

- ✓ ფილოსოფია რელიგიას სჭირდება, როგორც დამხმარე საშუალება;
- ✓ ფილოსოფია ზემოდან უყურებს რელიგიას, – რწმენა მიაჩნია ცოდნის დაბალ საფეხურად და, ამდენად, რელიგიისათვის ის საშიში პარტნიორია;
- ✓ ფილოსოფია რელიგიურად დაბნეული აზროვნების პოზიციაა. ის მერყეობს ღმერთის „ყოფნა-არყოფნას“ შორის.

- ✓ ფილოსოფია რელიგიასთან მიმართებაში გაორებულია. ის იმ „მოჯადოებულ წრეშია“ მოქცეული, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს ფორმულით არის გამოხატული: „მნამს, რათა გავიგო, ვიგებ, რათა ვინამო“.

ბ. პასკალი ამბობდა: თუ ყველაფერს გონებას დავეუქვემდებარებთ, ჩვენი რელიგია დარჩება ზებუნებრივისა და მისტიკურის გარეშე, ხოლო, თუ ყველაფერს რწმენას, გულს დავეუქვემდებარებთ, მაშინ ეს რწმენა აბსურდული და უცნაური იქნება.

10. რელიგიის ფილოსოფიის ორი ვარიანტი

XIX საუკუნიდან დიდი განსხვავება დაფიქსირდა რელიგიის ფილოსოფიის ორ განსხვავებულ ვარიანტს, განსხვავებულ მოდელს თუ ტრადიციას შორის. მათ დღეს აღნიშნავენ როგორც კონტინენტურ-ევროპულ და ანგლო-ამერიკულ ვარიანტებს. ევროპულ-კონტინენტური ტრადიცია ფოკუსირებულია რელიგიურ ცდაზე, მის შინაარსზე, იდეაზე, ღირებულებაზე; რელიგიის ისტორიული და ლოგიკური სისტემატურობის გახსნაზე. ამ ტრადიციის დიდი ფუძემდებლები არიან: ი. კანტი, გ.ჰეგელი, ფ.შლაიერმახერი, რ.ოტო და სხვები. ანგლო-ამერიკულ ტრადიციას სხვანაირად ლინგვისტური ანალიზის, ან ენის ანალიზურ ფილოსოფიას უწოდებენ. ის რელიგიური ენის ანალიზზეა ფოკუსირებული. ამ ტრადიციის გამოჩენილი წარმომადგენლებია: ლუდვიგ ვიტგენშტაინი, ბერტრან რასელი და სხვანი.

ანგლო-ამერიკული ტიპის ფილოსოფიის სახელმძღვანელოები უპირატესდ აგებულია კრიტიკული აზროვნების სახელმძღვანელოს ქარგაზე. საგნის შესწავლა მიმდინარეობს კრიტიკული დისკუსიის ფორმატში. თითოეული თემა შედგება არგუმენტებისა და კონტრარგუმენტებისაგან, ისე, რომ პოზიტიური თვალსაზრისი არ არის ჩამოყალიბებული. ეს ისეთი დისკუსიაა, სადაც არ არსებობს გამარჯვებული ან დამარცხებული. შემსწავლელი ეუფლება კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, მაგრამ, ეს არ უნდა გახდეს რელიგიური ინდიფერენტიზმის მიზეზი.

ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორი ცდილობს რელიგიის ფილოსოფია სხვადასხვა რელიგიის სკეპტულატური კარკასის გადმოცემაზე დაიყვანოს, ანუ რელიგიის ფილოსოფია დაუახლოვოს რელიგიის ისტორიას. თუ ამოვალთ იმ პოზიციიდან, რომ ყველა რელიგიას თავისი საკუთარი ფილოსოფია აქვს, მაშინ მხედველობიდან უნდა გავუშვათ ფილოსოფია როგორც აზროვნების სპეციფიკური წესი და სრულიად სხვადასხვა მენტალურ მატრიცებს დავარქვათ „ფილოსოფია“.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ რელიგიურ ფილოსოფიას თავისი წარმომადგენელი ჰყავს თანამედროვე ფილოსოფიის ყველა მიმართულებაში. სხვადასხვა რელიგიურ-კულტურული ტრადიციების წარმომადგენლები – იაპონელები, ჩინელები, ინდუსები, არაბები, სემიტები და სხვები – სწავლობენ და თავისებურად ითვისებენ ფენომენოლოგიას, ექსისტენციალიზმს, პერსონალიზმს, ენის ანალიზურ მეთოდებს. რელიგიის ფილოსოფია ხელს უნდა უწყობდეს რელიგიური ქვეყნობის დიებაში.

თანამედროვე რელიგიის ფილოსოფიაში ერთ-ერთ ძირითად მოტივად ითვლება გონების თვითშეზღუდვის ტენდენცია, რომელიც ადგილს ტოვებს რწმენისათვის. შეუძლებელია იმის გამოცნობა, მომავალში, გონების თვითშეზღუდვის ტენდენცია მიიღებს თუ არა თეოლოგიასთან ახალი კონვერგენციის სახეს, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ შეცდომას უშვებენ, როცა ზედმეტ აქცენტს სვამენ ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის განსხვავებაზე ან მსგავსებაზე, ან, როცა ხდება მათი აღრევა, ორივეს საზიანოდ. თუმცა, ნეტარი ავგუსტინესა და კირკეგორის განაზრებებში ჩვენ გვიჩირს ბოლომდე გავმიჯნოთ, სად თავდება ფილოსოფია და სად იწყება თეოლოგია.

დაბოლოს უნდა ითქვას როგორც ფილოსოფიის, ისე თეოლოგიის პასუხისმგებლობის ზრდაზე თანამედროვე, პოსტსექულარულ სამყაროში. სულ უფრო აქტუალური ხდება მათ შორის პრაქტიკული დიალოგი ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ომის საშინელებანი, „დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ“, ეკოლოგიური კატასტროფა, ტერორიზმი, ფუნდამენტალიზმი; ბიოეთიკის საკითხები: კლონირება, ევვთანაზია, აბორტი, სუროგატული დედობა, გენოინჟინერია და ტექნოლოგიური რევოლუციების შედეგებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გადაუდებლად ითხოვენ გადაწყვეტას.

რელიგიის ფილოსოფიის ისეთი სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც რელიგიური ცხოვრების მეცნიერული და თეოლოგიური მონაცემების კონცეპტუალური ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს, კვლავ ამოცანად რჩება.

ლიტერატურა:

1. ნიკოლაე დურა, „სინდისის თეოლოგია“ და „სინდისის ფილოსოფია“. „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმოხილველი“, 1, 2011, თბილისი
2. კლიმენტი ალექსანდრიელი, სტომატა, წიგნი V, თავი X, თარგ. წინასიტყვაობა და შენიშვნები ედიშერ ჭელიძისა, „გზა სამეუფეო“, 1994, 2
3. Jones, D. Gardinal, J. Hoywarel, Philosophy of Religion, London, 2005
4. Владимир Лосский, Очерк мистической теологии Восточной церкви, Москва, 1991
5. იმანუელ კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, 1981 წ. თბილისი
6. რენე დეკარტე, განაზრებანი მეთოდის შესახებ, მეტაფიზიკური მედიტაციები, 2010, თბილისი
7. Митр. ИОАНН (Зизиулас), БИТИЕ КАК ОБЩЕНИЕ. Очерки о личности и церкви, Москва, 2006
8. მარტინ ჰაიდეგერი, ყოფიერება და დრო, თბილისი, 1989
9. Jacques Derrida, La voix et La phenomena. Introduction au problem signe dans la phenomenology de Husserrl. Paris, PUF, 1967
10. Пауль Тиллих, Теология Культуры, М 1995
11. Дм. О'Коллинз, Фундаментальная теология, Санкт-Петербург, 1993

IRAKLI BRACHULI

Three Paradigms of the Philosophy of Religion

summary

The article aims to discuss three main paradigms of the philosophy of religion: scholastics, secular philosophy of religion and post secular philosophy of religion. Each of these paradigms is analyzed as an essential element in the process of formation of the philosophy of religion. Philosophy of religion always needs rethinking. The interrelation between religion and philosophy has always been dynamic.

The religious politics in Europe is closely connected with the religion of philosophy. The Edict of Milan (313 AD) is a fundamental document of European civilization and western culture. “The idea of Europe” is identical to the idea of the Enlightenment. This was expressed by Kant in his well-known publication (*Was ist Aufklärung?*), whose essence may be opened in the following: it is the autonomy of reason plus tolerance and freedom of conscience. Its slogan is: “I am Pagan in my reason and Christian in my heart” (German Philosopher Jacob). According to Kant’s conception, the Age of Reason - the Enlightenment is progress in the history of religion. Old Religion is the “religion of cult”, and new religion is the «religion of morality”, not only private liberty of conscience, but public presentation of a religious credo. This is the dilemma of pluralism.

The Edict of Milan is a formulated presumption of westernization. The problem lies in the interpretation of this presumption. In the tradition of western philosophy the principles of historical hermeneutics were established. This was the alternative of empirical sciences (according to Leibniz “*Matesis universalis*”). This methodological dualism was mentioned by Dilthey (his terms were “*Naturvisenshaft*” and “*Geistvisenshaft*”). Jurgen Habermas suggested the alternative of this dualism: the original theory of critical thinking. The basis of Empirico-Mathematical sciences is practical interest. These sciences are constructed according to the technical-mathematical epistemology; while the method of Humanities is Hermeneutics. Its object is spiritual alliance, spiritual community. The interest of critical thinking is global communication. So, we have three different sciences: Instrumental, Spiritual and Communicative. Habermas is the last of the Mohicans of the Enlightenment. His critics mentioned that the result of Enlightenment were: Holocaust, total control, and “micro and macro nets of power” (Michel Foucault) and post humanistic perspective in the 21st century. The opponents of Habermas refer to the work of Edmund Husserl’s “*Crisis of European Science and Transcendental Phenomenology*”. Husserl announced the general principle of European thinking: permanent critical self-reflection. Its aim is: the description of transformations of tolerance/ the idea of Europe /social contract.

Will the coexistence of Modernity and counter-modernity/Anti-globalism be possible? Futurological perspective: Will the project of the Enlightenment collapse? Politics of religious liberty was a precedent, and not a historical tradition.

“Christian Caesar”, “Christian Emperor” is a paradox. The Kingdom of Caesar and the Kingdom of Christ are not identical. The Emperor of Byzantium, Konstantin changed the principles of the Edict of Milan. Governments get a sanction from Christ. One God! One Caesar! One religion! Tolerance is not a system, it is a method. Religion is not a political project. The instruments of their harmonization and distancing are education, media and church. They are three pillars: episteme, representation and ethics.

The aim of philosophy of religion is the philosophical examination of the central themes and concepts involved in religious traditions. It involves all the main areas of philosophy: metaphysics, epistemology, logic, ethics and value theory, the philosophy of language, philosophy of science, law, sociology, politics, history and so on. It also includes an investigation into the religious significance of historical events. Is the essence of religion rational or irrational?

In the period when Monotheistic biblical religions were established, a context of the term “theology” was defined and was clearly set apart from philosophy.

“Theologos”, closely related to “theologia”, appears in some biblical manuscripts, in the heading to the book of Revelation: *apokalypsis ioannoy toy theologoy*, which means “wisdom of Hellenes”. In order to systematically differentiate the spheres of theology and philosophy, two metaphors were put forward: “Athina” and “Jerusalem”. “Athina” became a symbol of philosophical thinking, and “Jerusalem” – of religious revelation. A theologian is a person who practices, experiences and writes by God’s inspiration and who expresses His will. Since II-III centuries a theologian has been called a person who makes comments on the Bible with the help of philosophy, who exegetes the Bible. A theologian is an exegeter. One of the aims of theology is the apologetics of religion, defending the Bible from wrong comments, heresy and pagan opponents. At that time philosophy was defined as “pre-theology”, a preparatory stage for theology. Later was born scholasticism as a union of religion and philosophy. Scholastic thought is also known for rigorous conceptual analysis and careful drawing of distinctions. Because of its emphasis on rigorous dialectical method, scholasticism was eventually applied to many other fields of study. Scholasticism is the first paradigm of philosophy of religion, a pre-paradigm.

Gradually philosophy of religion passes from the Enlightenment phase to the post secular paradigm. It chooses the strategy of re-actualization (renovation) of religious valence of Universe, which is accomplished by the deconstruction of Enlightenment’s ideal. After Schleiermacher religious experience happens to be in the center of interest. From Leibniz, Lessing, Fichte, Jacobi and the Romantic school, Schleiermacher had imbibed a profound and mystical view of the inner depths of human personality. His religious thought found its expression most notably in *The Christian Faith*, one of the most influential works of Christian theology of its time.

The ego, the person, is an individualization of universal reason; and the primary act of self-consciousness is the first conjunction of universal and individual life, the immediate union or marriage of the universe with incarnated reason. Thus, every person becomes a specific and original representation of the universe and a compendium of humanity, a microcosm in which the world is immediately reflected. While therefore we cannot, as we have seen, attain the idea of the supreme unity of thought and being by either cognition or volition, we can find it in our own personality, in immediate self-consciousness or (which is the same in Schleiermacher’s termino-

logy) feeling. Feeling in this higher sense (as distinguished from “organic” sensibility, *Empfindung*), which is the minimum of distinct antithetic consciousness, the cessation of the antithesis of subject and object, constitutes likewise the unity of our being, in which the opposite functions of cognition and volition have their fundamental and permanent background of personality and their transitional link. Religion lies at the basis of all thought and action, as it has its seat in this central point of our being, or indeed consists in the essential fact of self-consciousness.

Dissemination of Husserl’s phenomenological method causes moving philosophy of religion into phenomenology of religion. Its aim is to reveal and extend immanent values of religious experience.

თეოლოგია

THEOLOGY

მამა ალექსი (ქუუტაშვილი)

ზეთის კურთხევის საიდუმლოსთან დაკავშირებული ზოგიერთი კანონიკურ-ლიტურგიკული საკითხი

ზეთის კურთხევა არის საიდუმლო, რომლის დროსაც ზეთის ცხებისას, ავადმყოფისთვის მოიხმობა სულიერი და ხორციელი უძღურების განმკურნებელი ღვთის მადლი.¹

ისევე, როგორც ყველა საეკლესიო საიდუმლოს შემთხვევაში, ზეთის კურთხევის დანესება უკავშირდება უშუალოდ მაცხოვარ იესო ქრისტეს და წმინდა მოციქულებს. წმინდა წერილში ავადმყოფის ზეთით და ღვინით ცხების თაობაზე ლაპარაკია მონყალე სამარიტელის იგავში: „სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეინყალა. და მოვიდა მისა და შეუხვია წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღვინო“² (ლუკა 10:33-34). სახარებაში ნათქვამია, რომ, როდესაც იესო ქრისტემ პირველად გააგზავნა მოციქულები საქადაგებლად, ისინი „გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაითა შეინანონ. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“³ (მარკოზ 6: 12-13); მაგრამ, ზეთის კურთხევის დანესებასთან დაკავშირებით, ყველაზე ცხად მოწმობას ვპოულობთ წმინდა მოციქულ იაკობის კათოლიკე ეპისტოლეში: „უძღურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაი რაიმე ექმნეს, მოვე-ეტეოს მას“⁴ (იაკობ 5: 14-15).

ამასთან ერთად, ზეთის კურთხევა, ალბათ, ერთადერთი საიდუმლოა, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით, მართლმადიდებელ ეკლესიაში არ არსებობს

¹ წმინდა მღვდელმთავარი ფილარეტი (დროზდოვი), *ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო*, თბილისი 2010, გვ. 113.

² *ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 1995, გვ. 132.

³ *ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*, გვ. 76.

⁴ იქვე, გვ. 290.

ერთიანი წესი. ლიტურგიკულ-კანონიკური ტრადიციები ხშირად განსხვავდება არა მხოლოდ სხვადასხვა ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის, არამედ განსხვავებებს, ასევე, ვპოულობთ ერთსა და იმავე ადგილობრივი ეკლესიის საზღვრებშიც. წინამდებარე სტატიამი ჩვენი მიზანია, აღვნიშნოთ რამდენიმე კანონიკური და ლიტურგიკული პრობლემატური ასპექტი ამ საიდუმლოს შესრულებასთან დაკავშირებით.

1. მატერია

ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებისთვის საჭირო ძირითად მატერიალად გამოიყენება ზეთი. აღსანიშნავია, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, ამ საიდუმლოს აღსრულებისას, ექსკლუზიურად გამოიყენება მხოლოდ ზეთუნის ზეთი. მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, სახელდება ის ფაქტი, რომ მაცხოვარი იესო ქრისტე და მოციქულები ავადმყოფების ცხებისას იყენებდნენ მხოლოდ ზეთუნის ზეთს. ეს გასაგებიცაა, რადგან სხვა მცენარისგან დამზადებული ზეთი, პრაქტიკულად, არც მოიპოვება სირია-პალესტინის გეოგრაფიულ ზონაში. მეორე რიგში, მიზეზად სახელდება ზეთუნის ზეთის სუფთა სამკურნალო თვისებები.

სხვა ქვეყნებში, სადაც ზეთისხილის ხე არ იზრდება და, შესაბამისად, ამ მცენარისგან დამზადებული ზეთი დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება მზესუმზირის ზეთი. რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საიდუმლოს ძალა და მაღლი დამოკიდებულია იმ მცენარეზე, რომლისგანაც მზადდება ზეთი. მიუხედავად იმისა, რომ ზეთის წარმოშობასთან დაკავშირებული ლიტურგიკული ტრადიციები სხვადასხვა ადგილობრივ ეკლესიებში განსხვავდება, დოგმატური სწავლების მიხედვით, საიდუმლოს მოქმედება დამოკიდებულია მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სასულიერო პირების (ეპისკოპოსების, მღვდლების) ლოცვაზე, სულიწმინდის გარდამოსვლაზე და, რა თქმა უნდა, მიმღებლების რწმენაზე. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი დოგმატური, კანონიკური ან ლიტურგიკული შეცდომა იმ შემთხვევაში, როცა ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებისთვის გამოიყენება ზეთუნის, მზესუმზირის, თუ სხვა რომელიმე მცენარისგან დამზადებული ზეთი – სიმინდის, ბრინჯის ან ნიგვზის.

ზეთის კურთხევის საიდუმლოში გამოყენებულ მატერიასთან დაკავშირებით ერთი თავისებურებაც არსებობს: კერძოდ, საქართველოს და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში ზეთი, დაახლოებით 50/50 პროცენტით, ზავდება წითელი ღვინით. დღეისთვის პრაქტიკაში გამოყენებულ რუსულ და ქართულ კურთხევანებში ვკითხულობთ: „შეისწავლეთ, რამეთუ დიდსა ეკლესიასა შინა წყლისა წილ ღვინოსა შტაასხმენ კანდელსა ზეთის საკურთხევლად...“⁵ თანამედროვე ქართული კურთხე-

⁵ *მცირე კურთხევანი*, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1998, გვ. 104.
გამოკრებული კურთხევანი, დაიბეჭდა ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოს ანტონის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009, გვ. 98.

Требникъ, Москва, Синодальная типографія, 1911, лист 69.

ვანი XIX საუკუნეში შესრულებულ რუსული კურთხევანის თარგმანს წარმოადგენს. მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ წარსულში რუსეთში ზეთში წყლის შერევის ლიტურგიკული ტრადიციაც არსებობდა, რაც შემდგომ შეიცვალა და წყლის მაგიერ ადგილი საბოლოოდ ღვინომ დაიკავა, როგორც საკურთხი მატერიის მეორე აუცილებელმა კომპონენტმა.

ასეთი ლიტურგიკული ტრადიცია, პირველ რიგში, ეფუძნება მონყალე სამარტიტელის იგავს, სადაც ნათქვამია, რომ დაჭრილი მგზავრის წყლულებზე სამარტიტელმა დაასხა ღვინო და ზეთი. ამავდროულად, კარგადაა ცნობილი, რომ ღვინო და ზეთი, მათი რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდიდან დღემდე, გამოიყენება სხვადასხვა საეკლესიო წესებსა და საიდუმლოებებში.⁶ ასევე, ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ღვინო და ზეთი, მათი ანტისეპტიკური და სამკურნალო თვისებების გამო, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან დღემდე, სხვადასხვა ფორმით, ფართოდ გამოიყენება მედიცინაში.⁷

აქვე აღსანიშნავია, რომ წმინდა გიორგი მთაწმინდელის კურთხევანში (მე-XI სკ.) ზეთის კურთხევის საიდუმლოში საკურთხ მასალად ნახსენებია მხოლოდ ზეთი, რომელიც ისხმებოდა კანდელში და დანთებულ კანდელშივე იკურთხებოდა.⁸

მაშასადამე, ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებისთვის ძირითად აუცილებელ მასალას (მატერიას) წარმოადგენს ზეთუნის, მზესუმზირის, ან ნებისმიერი სხვა მცენარის ზეთი, რომელსაც შეიძლება დაემატოს წითელი ღვინოც.

2. შემსრულებელი

ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ლიტურგიკულ-კანონიკური ტრადიცია გვხვდება შემსრულებელ მღვდლების რიცხვთან დაკავშირებითაც. ზოგადი წესის მიხედვით, ეს საიდუმლო უნდა შესრულდეს შვიდი მღვდლის მიერ: „მოუნოდონ შვიდთა მღვდელთა“⁹ – ნათქვამია წმინდა გიორგი მთაწმინდელის დიდ კურთხევანში, ამიტომ ზეთის კურთხევის მსახურება მოიცავს შვიდ სამოციქულო და სახარების მონაკვეთს, ზეთის კურთხევის და ავადმყოფის განკურნების თხოვნის შვიდ სხვადასხვა ლოცვას, იგულისხმება, თითო – თითოეული მღვდლისთვის. ამიტომ ამ საიდუმლოს ბერძნულად ასევე „შვიდი მღვდლის საიდუმლო“ (Επταπαιδιον) ჰქვია, რუსები ამ საიდუმლოს ეძახიან *Соборование*, ანუ

⁶ Preot Asist. Dr. Silviu Tudose, *Taina Sfântului Maslu – Istoric, Randuiala si Semnificatie*, in “*Taina Sfântului Maslu. Indrumator Teologic, Liturgic si Pastoral*”, Ed. Cuvantul Vietii, Bucuresti, 2012, p. 20-21.

⁷ დაწყებული XI-XII საუკუნეებიდან, მედიცინაში ღვინის მაგიერ ნაწილობრივ დაიწყეს სპირტის გამოყენება, მაგრამ ღვინოს მაინც არ დაუკარგავს თავისი განსაკუთრებული ადგილი.

⁸ დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2002, გვ. 340.

⁹ იქვე, გვ. 340.

მსახურება, რომელიც მღვდელთა კრების მიერ ტარდება,¹⁰ საქართველოში კი ამ მსახურებას ვეძახით „შვიდ ზეთის ცხებას, ანუ თითოეული მღვდელი თითოჯერ სცხებდა ავადმყოფს და ასეთნაირად სრულდებოდა შვიდი ცხება.

იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკაში ყოველთვის არაა შესაძლებელი შვიდი მღვდლის ერთად შეკრება, ამიტომ ბუნებრივად დაწესდა, რომ ამ საიდუმლოს შესრულება შეუძლია შვიდზე ნაკლებ, ანუ ხუთ, სამ ან ორ მღვდელსაც.¹¹ საკამათო პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ისმევა კითხვა: შეუძლია თუ არა ერთ მღვდელს ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულება? საქართველოს, რუსეთის და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებში არ არსებობს არანაირი კანონიკური ან ტიპიკონალური აკრძალვა ამ საიდუმლოს ერთი მღვდლის მიერ შესრულებასთან დაკავშირებით.¹² შესაბამისად, ამ ადგილობრივ ავტოკეფალიურ ეკლესიებში ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულება ერთი მღვდლის მიერ არის ჩვეულებრივი მოვლენა, ხოლო, რამდენიმე, უკეთეს შემთხვევაში, შვიდი მღვდლის შეკრება მიჩნეულია სასურველად პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, რადგან ეს საიდუმლო საკმაოდ ხანგრძლივია და, შესაბამისად, დამლელი ერთი სასულიერო პირისთვის.

საინტერესოა, რომ რუმინეთის და ელადის (საბერძნეთის) მართლმადიდებელ ეკლესიებში ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულება ერთი მღვდლის მიერ ითვლება მძიმე კანონიკურ დარღვევად, რის გამოც შემსრულებელ სასულიერო პირს შეიძლება მიეცეს შენიშვნა, ან მკაცრი კანონიკური სასჯელიც კი.¹³ ასეთი ლიტურგიკული პრაქტიკა ეფუძნება წმინდა წერილის ერთადერთ ციტატას, რომლის თაობაზეც წერს წმინდა სვიმეონ თესალონიკელი: „ზეთის კურთხევა არ უნდა შესრულდეს ერთი მღვდლის მიერ. როგორც ეპისკოპოსზეცაა ნათქვამი, რომ არ უნდა დაესხას ხელი ერთი მღვდელმთავრის მიერ, ასევე ზეთის კურთხევაც არ უნდა ჩატარდეს ერთი მღვდლის მიერ, რადგან მრავლობით რიცხვში წერს [წმინდა მოციქული იაკობი]: მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაითა.¹⁴

თუმცა, თავად რუმინელი მეცნიერი ლიტურგისტები და კანონისტები, როგორებიცაა, მაგალითად, მღვდელი ენე ბრანიშტე და მღვდელმონაზონი ნიკოდიმ სა-

¹⁰ Preot Prof. Dr. Ene Braniste, *Liturgica Speciala*, Editura Nemira, Bucuresti, 2002, p. 329.

¹¹ Floca Ioan N. Arhidiacon Prof. Dr., *DREPT CANONIC ORTODOX, Legislație si Administrație Bisericească*, vol. II, Editura Institutului Biblic și de Misiune al Bisericii Ortodoxe Romane, Bucuresti, 1990, p.40.

¹² Preot Prof. Dr. Ene Braniste, *Liturgica Speciala*, p. 330.

¹³ Preot Prof. Dr. Ene Braniste, *Liturgica Speciala*, p. 330;

Floca Ioan N. Arhidiacon Prof. Dr., *DREPT CANONIC ORTODOX*, vol. II, p. 40.

Preot Prof. Dr. Nicolae D. Necula, *Practici Necanonice si Neliturgice Legate de Savarsirea Tainei Sfantului Maslu*, in “Taina Sfantului Maslu. Indrumator Teologic, Liturgic si Pastoral”, Ed. *Cuvantul Vietii*, Bucuresti, 2012, p. 36-37.

¹⁴ Sf. Simeon al Tesalonicului, *Tractat asupra tuturor dogmelor crestine ortodoxe*, trad. De Toma Teodorescu, Bucuresti, 1865, cap. 283, p. 184;

Sachelarie Nicodim Ieromonah, *Pravila Bisericeasca*, Editie a III-a, Editata de Parohia Valea Plopului Jud. Prahova, 1999, p. 324.

კელარიე, აღნიშნავენ: „მივიჩნევთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, არ იქნება შეცდომა, თუ ზეთის კურთხევა ჩატარდება ერთი მღვდლის მიერ, რადგან მოციქულები და წმინდა მამები მარტოც ლოცულობდნენ და ხალხს კურნავდნენ... ეს პრობლემა რომ მნიშვნელოვანი ყოფილიყო, აუცილებლად დაფიქსირდებოდა საეკლესიო კანონებში. ხოლო, რადგან კანონებში არაფერია ნათქვამი ამის თაობაზე, ეს იმას ამტკიცებს, რომ სასურველია ზეთის კურთხევა ჩატარდეს რამდენიმე მღვდლის მიერ, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ერთ მღვდელსაც შეუძლია“.¹⁵ ასევე არქიდიაკონი იოანე ნ. ფლოკა წერს: „იმ წესს, რომ ერთ მღვდელს არ შეუძლია ზეთის კურთხევის ჩატარება, რა თქმა უნდა, არ აქვს არანაირი დოგმატური საფუძველი, არამედ, მხოლოდ ცერემონიალური. რადგან არ არსებობს ისეთი საეკლესიო სწავლება, რომლის მიხედვითაც მღვდელს ხელდასხმით არ ეძლეოდა მადლის სისავსე, რომ მარტომ შეასრულოს შვიდიდან ექვსი საიდუმლო და აუცილებლად ჭირდებოდა სხვა რამდენიმე მღვდლის მადლის დამატება, რომ ზეთის კურთხევის საიდუმლოს მიეცეს შესაბამისი ძალა და მადლი“.¹⁶

მაშასადამე, სასულიერო პირების საჭირო რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი დამოკიდებულია თითოეული ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის ლიტურგიკულ ტრადიციაზე, რომელიც ხანგრძლივი პრაქტიკიდან გამომდინარე იძენს კანონის ძალას და მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

3. მიმღები

ზეთის კურთხევის საიდუმლოს მიმღებნი არიან მონათლული მართლმადიდებელი ქრისტიანები. თუმცა, აქაც ჩნდება ხოლმე გაურკვეველი სიტუაციები, რომლებიც ასევე ითხოვენ სწორ და ადეკვატურ პასუხებს:

ა) ამბობენ, რომ ზეთის კურთხევის საიდუმლოს მიღებამდე აუცილებელია, მორწმუნეს ჰქონდეს ნათქვამი აღსარება და იყოს ნაზიარები ქრისტეს სისხლსა და ხორცს. პროფესორი ენე ბრანიშტე წერს, რომ „მაშინ, როდესაც ეს საიდუმლო ტარდება ავადმყოფის სახლში, მორწმუნემ ჯერ უნდა თქვას აღსარება და შემდეგ ეზიაროს“, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ „დოგმატური სწავლების მიხედვით, ზეთის კურთხევის საიდუმლოს მოქმედება არ არის დამოკიდებული სინანულის საიდუმლოს შესრულებაზე“.¹⁷ მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის ვერ ხერხდება, რომ მიმღებს წინასწარ ჰქონდეს აღსარება ნათქვამი და იყოს ნაზიარები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზეთის კურთხევა ტარდება ტაძარში საჯაროდ, ან როდესაც ავადმყოფი იმყოფება კომაში. ზოგადად, უნდა ვიცოდეთ, ამ საიდუმლოს მიღებისთვის, აუცილებელია მორწმუნის შესაბამისი სულიერი მომზადება, რაც, უკეთეს შემთხვევაში, გულისხმობს აღსარების თქმას და ზიარებას. მაგრამ, გამონაკლის შემთხვევებში, სულ მცირე, აუცილებელია, რომ მიმღები იყოს, ზოგადად, აქტიური ეკლესიური

¹⁵ Sachelarie Nicodim Ieromonah, *Pravila Bisericeasca*, p. 324.

¹⁶ Floca Ioan N. Arhidiacon Prof. Dr., *DREPT CANONIC ORTODOX*, vol. II, p. 40.

¹⁷ Braniste Ene Preot Prof. Dr., *Liturgica Speciala*, p. 329, 330.

მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც აცნობიერებს შვიდი ზეთის ცხების საიდუმლოს მნიშვნელობასა და შინაარსს და უახლოვდება ამ საიდუმლოს შესაბამისი რწმენითა და სასოებით. კომაში მყოფი ადამიანის შემთხვევაში, რომელიც საერთოდ არ ცხოვრობს რელიგიურად და არ შეუძლია დაადასტუროს, რომ სწამს ღმერთი, არ შეუძლია აღიაროს საკუთარი თავი ცოდვილად და გამოხატოს სურვილი, რომ მიიღოს ეს საიდუმლო, ზეთის ცხების ჩატარება არ არის სწორი.

ბ) საქართველოს ეკლესიაში, ზოგან გაისმის მოსაზრება, რომ, თუ ადამიანმა ახლო წარსულში უკვე იცხო ნაკურთხი ზეთი, მისთვის ან აღარ შეიძლება, ან აღარ არის მიზანშეწონილი ზეთის კურთხევის საიდუმლოს ხელახლა მიღება. ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ-კანონიკურ სწავლებას, რადგან ცნობილია, რომ ზეთის კურთხევა, ისევე, როგორც ევქარისტია, ისეთი საიდუმლოებებია, რომელთა მიღების სიხშირეზეც არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს არ აქვს დადებული შესაბამისი ეპიტემია.¹⁸ სასულიერო პირები, რომლებიც არ აძლევენ უფლებას ქრისტიანებს, ხელახლა დაესწრონ შვიდ ზეთის ცხებას, ამას აკეთებენ დროის ეკონომიის მიზნით, რადგან დიდ მარხვაში, საჯარო ზეთის კურთხევებზე, ძალზე დიდი რაოდენობის ხალხი მოდის და თუ ტაძარში არ მსახურობს საკმარისი რაოდენობის მღვდელი, დამღლეი ხდება ყველა მორწმუნის სათითაოდ შვიდჯერ ცხება.

გ) არსებობს შემთხვევები, როდესაც ამბიონებიდან ასწავლიან, თითქოსდა, შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ამ საიდუმლოს მიღება არ შეიძლება, რადგან მათ არ აქვთ ცოდვები. ასეთი მოსაზრება შეიძლება შეგვხვდეს ზოგიერთ ძველ საეკლესიო წიგნშიც, როგორცაა, მაგალითად, რუმინეთის ქალაქ ბუზუეში 1702 წელს გამოქვეყნებული წიგნი *მოკლე სწავლებანი მღვდელთათვის*.¹⁹

პატარა ბავშვების არდაშვება შვიდ ზეთის ცხებაზე დიდი შეცდომაა, რადგან მცდარია არგუმენტი, რომლის საფუძველზეც ცდილობენ დაასაბუთონ ეს მოსაზრება. ცოდვების შენდობისთვის დანესებული სპეციალური საიდუმლო არის სინანულის საიდუმლო და მცირეწლოვანი ბავშვები, რა თქმა უნდა, არ მონაწილეობენ ამ საიდუმლოში, რადგან მათ ჯერ არ მიაღწიეს შესაბამის გონებრივ და ზნეობრივ სიმწიფეს, რომ გააცნობიერონ თავიანთი ქმედებები. ხოლო, ზეთის კურთხევის საიდუმლოს დანესების მიზანი არის სულიერი და ხორციელი ავადმყოფობებისგან განკურნება. წმინდა მოციქული იაკობი გასაგებად წერს: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაითა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან“ (იაკობი 5: 14-15). ანუ ნათქვამია - „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის“ და არა – „ცოდვილ თუ ვინმე არს თქუენ შორის!“ ამიტომ, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პროფესორი დოგმატიკაში, მღვდელი დუმიტრუ სტანილოაე, ზეთის კურთხევის საიდუმლოს დანიშნულებასთან დაკავშირებით, წერდა:

¹⁸ Floca Ioan N. Arhidiacon Prof. Dr., *DREPT CANONIC ORTODOX*, vol. II, p. 41.

¹⁹ Braniste Ene Preot Prof. Dr., *Liturgica Speciala*, p. 329.

„ეს საიდუმლო, განსაკუთრებულად, შეიძლება ჩაითვალოს სხეულის საიდუმლოდ, ანუ საიდუმლოდ, რომელიც დაწესებულია სხეულის გამოსაჯანმრთელებლად“.²⁰

წმინდა მოციქული იაკობის ეპისტოლის მოყვანილი ციტატიდან ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ არსად არაა ნახსენები ავადმყოფის ასაკობრივი ცენზი, რომლებისთვისაც იქნება დაშვებული ან აკრძალული სასულიერო პირების მოხმობა და ზეთის კურთხევის საიდუმლოს ჩატარება. მაშასადამე, თუ რომელიმე მცირეწლოვანი მონათლული ბავშვი ავად გახდება, ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულება მისთვის არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ ნაბრძანებიცაა წმინდა წერილის მიერ.

რაც შეეხება ზეთის კურთხევის საიდუმლოს დროს ცოდვების შენდობას, აღსანიშნავია, რომ მღვდელი დუმიტრუ სტანილოაე განიხილავს ამას, როგორც მეორად შედეგს.²¹ ამიტომ, ზეთის კურთხევის საიდუმლოს პირდაპირ ცოდვების მიტევებასთან დაკავშირება აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

ჩვენ თუ დასაბუთებულად მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც შვიდ წლამდე ბავშვებისთვის შვიდი ზეთის ცხება არ შეიძლება, რადგან მათ პირადი ცოდვები არ აქვთ, ასეთი ლოგიკით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ევქარისტის საიდუმლოს მიღებაც უნდა იყოს აკრძალული, რადგან, როგორც ნათქვამია ზიარების წინა ლოცვებში, ქრისტეს სისხლს და ხორცს ჩვენ ვეზიარებით „მისატყვევებლად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ“.²²

მაშასადამე, მცირეწლოვანი ბავშვების შვიდ ზეთის ცხებაზე არდაშვებას არ გააჩნია არანაირი სახარებისეული, დოგმატური ან სხვა რაიმე ხასიათის საფუძველი და, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს დიდ შეცდომად, თუ მსგავსი რამ შეგვხდება რომელიმე ტაძრის პრაქტიკაში.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეხეთ მხოლოდ რამდენიმე პრობლემურ საკითხს ზეთის კურთხევის საიდუმლოსთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს ზოგადად სპეციალისტების მიერ განხილვების წამოწყებას, რომ ამ საიდუმლოს ჩატარების პრაქტიკაში არსებობდეს ერთიანი წესი.

²⁰ Stăniloae Dumitru Preot Prof. Dr., *Teologia Dogmatică Ortodoxă*, vol. 3, Editura Institutului Biblic și de Misiune al Bisericii Ortodoxe Române, București, 1997, p. 136.

²¹ Stăniloae Dumitru Preot Prof. Dr., *Teologia Dogmatică Ortodoxă*, vol. 3, p. 137.

²² *სამღვდელო კონდაკი*, დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007, გვ. 190.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, დაიბეჭდა უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი 1995.
2. დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2002.
3. მცირე კურთხევანი, დაიბეჭდა უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 1998.
4. გამოკრებული კურთხევანი, დაიბეჭდა ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოს ანტონის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2009.
5. სამღვდლო კონდაკი, დაიბეჭდა უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი, 2007.
6. წმინდა მღვდელმთავარი ფილარეტი (დროზდოვი), ვრცელი მართლმადიდებლური კატეხიზმო, თბილისი 2010.
7. Требникъ, Москва, Синодальная типографіа, 1911, лист 69.
8. Sf. Simeon al Tesalonicului, Tractat asupra tuturor dogmelor crestine ortodoxe, trad. De Toma Teodorescu, Bucuresti, 1865.
9. Preot Asist. Dr. Silviu Tudose, Taina Sfantului Maslu – Istoric, Randuiala si Semnificatie, in “Taina Sfantului Maslu. Indrumator Teologic, Liturgic si Pastoral”, Ed. Cuvantul Vietii, Bucuresti, 2012.
10. Preot Prof. Dr. Ene Braniste, Liturgica Speciala, Editura Nemira, Bucuresti, 2002.
11. Floca Ioan N. Arhidiacon Prof. Dr., DREPT CANONIC ORTODOX, Legislație si Administrație Bisericească, vol. II, Editura Institutului Biblic și de Misiune al Bisericii Ortodoxe Romane, Bucuresti, 1990.
12. Preot Prof. Dr. Nicolae D. Necula, Practici Necanonice si Neliturgice Legate de Savarsirea Tainei Sfantului Maslu, in “Taina Sfantului Maslu. Indrumator Teologic, Liturgic si Pastoral”, Ed. Cuvantul Vietii, Bucuresti, 2012.
13. Sachelarie Nicodim Ieromonah, Pravila Bisericeasca, Editie a III-a, Editata de Parohia Valea Plopului Jud. Prahova, 1999.
14. Stăniloae Dumitru Preot Prof. Dr., Teologia Dogmatică Ortodoxă, vol. 3, Editura Institutului Biblic și de Misiune al Bisericii Ortodoxe Române, București, 1997.

PRIEST ALEXI (KSHUTASHVILI)

Some of the Canonical-Liturgical Issues Connected with the Mystery of Holy Unction

summary

The Mystery of Holy Unction is the Ecclesiastical Sacrament throughout which the Anointing of the sick person with the Consecrated Oil is called the Divine Mercy that heals from spiritual and somatic illnesses.

The establishment of all the Ecclesiastical Sacraments, the foundation of the Mystery of Holy Unction among them, is connected with Christ and the Holy Apostles. The most obvious evidence related to the establishment of the Sacrament can be found in the Book of James: *“14. Is anyone among you ill? Let him send for the rulers of the church; and let them say prayers over him, putting oil on him in the name of the Lord. 15. And by the prayer of faith the man who is ill will be made well, and he will be lifted up by the Lord, and for any sin which he has done he will have forgiveness.”* (James. 5:14-15).

Furthermore, the Mystery of Holy Unction is probably the only Sacrament in the Orthodox Church, which does not have a general order of the celebration, which is required for the whole Church. In the presented paper, our aim is to discuss some of the Canonical and Liturgical problems and the aspects connected with the celebration of the Mystery of Holy Unction.

1. The Substance

The main substance requested for the celebration of the Mystery of Holy Unction is oil. We have to mention that in the Mediterranean countries, only olive-oil is used for the Consecration. In those countries where olive-trees are not planted and, consequently, olive-oil is a real rarity; so, for the Consecration of the Holy Oil, sunflower oil is used instead.

There is one particular tradition related to the substance used in the Mystery of Holy Unction: in the Orthodox Churches of Georgia and Russia, the oil has to be mixed with red wine. In the other Autocephalous Churches such tradition is not in practice.

2. The Performer

We have different Liturgical-Canonical traditions related to the amount of the performer priests in the Celebration of the Holy Unction Sacrament. According to the general order, this Sacrament has to be performed by seven priests.

Since in practice it is not always possible to bring together seven priests, it was naturally established that the celebration of this Sacrament may be performed by five, three or even two

priests. The problem arises with the following question: Can one priest alone perform the Celebration of the Holy Unction Sacrament? In the Orthodox Churches of Georgia, Russia and Antioch, there is no canonical, or liturgical prohibition related to the celebration of the Holy Unction by one priest alone. It should be noted that in the Orthodox Churches of Romania and Greece the performing of the Sacrament of Holy Unction by one priest alone is a serious canonical outrage and the performer priest can be reproved or severely punished.

3. The Recipient

The recipients of the Mystery of Holy Unction are baptized Orthodox Christians. But, there are some obscure situations which require sufficient answers: there are occasions, when some priests teach that Anointing of children under seven is prohibited, because they have not committed sins yet.

Such prohibition is a great mistake as the above-mentioned argument is not correct. A particular Mystery established for forgiving sins is the Mystery of Penance and, of course, children do not participate in it, because they have not reached the sufficient mental and moral maturity yet, to be able to analyze their own behaviour. Unlike the Mystery of Penance, the reason of establishment of the Mystery of Holy Unction is not the forgiving of sins, but the healing from spiritual and somatic illnesses.

Consequently, the prohibition of Anointing of Children has no Evangelical, Dogmatic or any kind of Theological basis and should be considered as canonical outrage.

ბრიკერ შარულაპა

ქართული ენა, ლიტერატურა და სარწმუნოება, მინა-წყალი და ქართული¹

. ენის ფენომენი ორგანულად უკავშირდება ერის არსს, რაობას. ამის კვალბაზე ამბობდა ილია ჭავჭავაძე: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენააო“. თითოეული ენა, ისევე როგორც ქართული, ამჟღავნებს ტვიფარს მრავალსაუკუნოვანი კულტურული შემოქმედებისა. როდესაც ენას განიხილავენ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ იგი ურთიერთობის საშუალებაა, როგორადაც საფუძვლიანი არ უნდა იყოს ასეთი ძიება, უყურადღებოდ რჩება ენის სული, დავინყებულისა, რომ ენა ფასეულია თავისთავად, თავის შიგნით, ვითარცა მიზანი, ერის, ხალხის აზრისა და მსოფლშეგრძნების იარაღი.

მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ენა სულისმიერი ძალა და ენერგიაა, საფუძველს მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან უყრის დიდი გერმანელი მოაზროვნე ვილჰელმ ჰუმბოლდტი. 1836 წ. ბერლინში ქვეყნდება მისი ტრაქტატი ადამიანური ენის აღნაგობის სხვადასხვაობისა და ადამიანთა მოდგმის სულიერ განვითარებაში მისი გავლენის შესახებ: „იმ დროიდან დღევანდლამდე, – საუკუნეზე მეტი ხნის შემდგომ იტყვის მარტინ ჰაიდეგერი ამ წიგნის შესახებ: ეს ტრაქტატი აკვალთანებს მთელს შემდგომდროინდელ ლინგვისტიკას და ენის ფილოსოფიას“. ბერძნული ანტიკურობიდანვე მოყოლებული და სხვადასხვა მხარეს ორიენტირებული ენათმეცნიერული მიმართულებანი „თავის მწვერვალს აღწევენ ვილჰელმ ჰუმბოლდტის საენათმეცნიერო თვალთახედვაში“ (მ. ჰაიდეგერი, „გზა ენისაკენ“).

ჰუმბოლდტის ერთ-ერთ ნაშრომს ასე ჰქვია – „ხასიათი ენისა და ხასიათი ხალხისა“. აქ ვკითხულობთ: „ენაში ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ ოდინდელი ენობრივი ხასიათის შენადნობს იმასთან, რაც ენას მოუცია ნაციონალური ხასიათისაგან“. მეორე მხრივ, „ენის თავისებურება გავლენას ახდენს ერის არსზე“. ენის ზემოქმედების ძალა ერთობ განსაზღვრულია იმით, რომ მისი მეშვეობით „ნათელი ყველაფერი, რაც წარსულში შეუქმნია ხალხს, ზემოქმედებას ახდენს ინდივიდზე, ხოლო ადამიანის ინდივიდუალობა ენის ინდივიდუალობის ანალოგიურია“. ჰუმბოლდტის ნააზრევში „ხალხისა“ და „ერის“ ცნებები იდენტურია. „სხვადასხვა ენები, – მიუთითებს ჰუმბოლდტი, – სრულიადაც არ არიან ერთი და იგივე საგნის სხვადასხვაგვარი აღნიშვნები, არამედ ამ საგნის სხვადასხვაგვარი ხედვანი. ენა თავის „თავში ყოველთვის შეასხამს ხორცს მთელი ხალხის თავისებურებას“ („ენათა შესწავლის შესახებ“). ენა, უშუალოდ და უპირველეს ყოვლისა, საგნისა თუ მოვლენის ლოგიკურ არსს კი არ აღნიშნავს, არამედ იმას, თუ როგორ დაინახა და აღიქვა იგი ეროვნულმა მსოფლშეგრძნებამ, ხასიათმა; იმას და იმგვარად გამოავლენს, რასაც ზოგჯერ ში-

¹ ცდა ქართული კულტურის სხვადასხვა ფორმის შინაგანი მთლიანობის პრობლემასთან მიახლოებისა.

ნაგან ფორმას უწოდებენ. სიტყვა არ არის საგნის ეკვივალენტი, არამედ იგი თვალ-თახედვით საგნის შესახებ. თვალთახედვა კი ეთნოსიდან, ბუნებიდან იღებს სათავეს, მაგალითად ასე: წარმართული რწმენის დაგდება და ჭეშმარიტ ღმერთთან ზიარება ქართველობას სიბნელიდან გამოღწევად და სინათლესთან მიახლებად აღუქვამს: „ნათლისღება“; მეათე საუკუნის რუსის თვალთახედვას უპირატესობა ჯვრისთვის მიუნიჭებია: „კრემჩენი“; რაც შეეხება ბერძნებს, ამ აქტის გამოთქმისათვის უფრო შესატყვისად მათ ნათლისღების რიტუალის ის მომენტი მოჩვენებით, როცა ადამიანს წყალში ჩაუშვებენ – „ბაპტისმა“ („ჩაყურყუმელავება“); მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გადატეხისას რომ შვიდფერი რკალი ჩნდება, ეს ქართველს ცის სარტყლად აღუქვამს („ცისარტყელა“); ხოლო ინგლისელს იგივე – „წვიმის მშვილდად“ („rainbau“) წარმოდგომია. სახარებაში ვკითხულობთ: ჰურიასტანიდან გალილეას მიმავალი მაცხოვარი „საბანელის“ ნაპირთან მიგდებულ მომაკვდავ კაცს ფეხზე წამოაყენებს, ხოლო ჰურიით განუმარტავს: „რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინეს და ჰრწმენეს მომავლინებული ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“ (იოანე, 5,24). ხაზგასმული ფრაზა ძველ ბერძნულ ტექსტში ასე იკითხება: ასეთი კაცი „გადავიდა სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ“. „გადავიდა“ ზის ლათინურ, რუსულ და გერმანულ თარგმანებში. გვეჩვენება, რომ „გადავიდა“ აუბრალოებს, მექანიკური მოძრაობის იერს ანიჭებს სათქმელს, ხოლო „გარდაიცვალა“ უფრო ღრმავა და უფრო ესატყვისება მისტიკურ შინაარსს (ყოველ შემთხვევაში, ქართულმა ეთნოსმა ორიგინალურად დაინახა და თავისებურ სამოსელში გამოაწყო სათქმელი).

რომ სიტყვა, სახელდება ერის მსოფლგანცდას, ეთიკურ და ესთეტიკურ ფასეულობებს გაამჟღავნებს, საინტერესო სჯავს ამის შესახებ გვთავაზობს გიორგი გაჩევი: „საქართველოში ღირებულებები სხვა სფეროში ძვეს – ზნეობრივ-მხატვრულ მახსოვრობაში. საქართველოსთვის უცხოა განდიდების იდეა. ამას მოწმობს „აღმაშენებელი“, „თავდადებული“, „ბრწყინვალე“. პატივდებულია ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიები, არასაბრძოლო და არაჯარისკაცული. მაგრამ, თუ საომარ კატეგორიებსაც აფასებენ – არა ნებისმიერი გზით მიღწეულ გამარჯვებას და დიდებას, არამედ ბრძოლაში გამოჩენილ ზნეობას. ღირსება აღემატება მზაკვრობით მიღწეულ გამარჯვებას. საქართველოში მიზანი არ ამართლებს საშუალებას“ („საქართველოს კოსმოსოფია“).

იმის კვალობაზე, რომ ეთნოსის სულიერ ფიზიონომიას შთამბეჭდავად გაცხადებს ენა (დედაენა), იტყვიან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენგანვე აგებულ სამყაროში. ხოლო ამ სამყაროს ძირითადი შტრიხები ეთნოსის ჩამოყალიბების შორეულ საუკუნეებში იკარგება. მარტინ ჰაიდეგერი ამბობს: ენა „ყოფიერების პირველსაცხოვრისიაო“. საგანთა და მოვლენათა უზარმაზარი სამყარო გაენოვნდება, აზროვნებიდან ყოფიერებაში ჩამოვა ერის სულისა და თვალთახედვის ინდივიდუალურ „კოსტიუმში გამოწყობილი“. აზრი ცდილობს გამოხატვას, ბგერით შეიმოსება, ვერბალიზირდება“ (ჰანს გეორგ გადამერი, „ფილოსოფია და ლიტერატურა“). დღეს

ბევრ სიტყვაში მინავლებულია ეთნიკური მსოფლხედვის იმპულსი, ისინი ჩამქრალ ვულკანებს გვანან; დიდი პოეზია და ფოლკლორი გააცოცხლებს ხოლმე მათ.

ენა აზრების მშობელი და გამფორმებელია. ამაში უნდა დავინახოთ მისი ზოგადსაკაცობრიო მისია. ენის საშუალებით „ძალუძს ადამიანს საიმედოდ დაეუფლოს თავის აზრებს, ახალი ფორმებით შემოსოს იგი, შეუმჩნეველი გახადოს ის ბორკილები, რომლებსაც წმინდა აზრის სისწრაფესა და მთლიანობაზე ადებს თავის მოძრაობაში განუწყვეტელი განმაცალკეველები და შემაერთებელი ენა. ამასთან ერთად, ენა აღნიშნავს, ხოლო სინამდვილეში ქმნის, იერსახესა და გამართულობას ანიჭებს ბუნდოვან აზრებს“ („ხასიათი ენისა და ხასიათი ხალხისა“). როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერი გარკვევით ამბობს, რომ ენის უმაღლესი დანიშნულება არის არა აღნიშვნა, არამედ შექმნა (აღნიშვნასა და ელემენტარულ ინფორმაციის მიწოდებას ადამიანზე დაბლა მდგომი ცოცხალი არსებანიც ახერხებენ მეტ-ნაკლებად). ასე რომ, „ენას მიმართება აქვს უფრო კულტურასთან, ვიდრე ლოგიკასთან. ენის ორგანიზაციაში ძირითადი სიმძიმე სამყაროს „გაენოვნების“ მნიშვნელობებს აქვს“ (გ. რამიშვილი, „დედაენის თეორია“).² და რადგან „გაენოვნების“ აქტი ადამიანური გონის ძალისხმევით საგნის კულტურულ მსოფლხედვად წარმოდგება, ჰუმბოლდტი იტყვის, რომ 1. „ენა არის წარმოქმნა (Erzeugung) და არა წარმონაქმნი (Erzeugte). 2. ენა ენერგიაა და არა ერგონი, ენის სტატიკური მდგომარეობა“ (გ. რამიშვილი „დედაენის თეორია“).

ენის რაობის ინტერპრეტაციისას ყურადღებას ძირითადად იმას მიაპყრობენ, თუ როგორ მიმართებათ ენა აზროვნებისა და აღქმის უნართან: „ენა აზრების შემქმნელი ორგანოა“, განმარტავს ჰუმბოლდტი, ხოლო ამასთან დაკავშირებით გ. რამიშვილი მიუთითებს, რომ გერმანელი მეცნიერი ენის ფორმის დეფინიციას გვაძლევს, როცა იტყვის: გონის მოღვაწეობა, რათა აზრები გარდაქმნას ენად, „მიმართულია იქითკენ, რომ ბგერა აღიჭურვოს აზრის გამოხატვის უნარით“ (გ. რამიშვილი, „ენის ენერგეისტული თეორიის საკითხები“).

რაკი სამყარო, საგანი თუ მოვლენა ჩვენ ისეთად წარმოგვიდგება, როგორადაც მათ ჩვენი დედაენა გვანვდის, ენას ცნებათამგებად, წარმოქმნა-შემოქმედებად მიიჩნევენ და გ. რამიშვილი ასეთ თვალსაზრისს „ენერგეისტულს“ უწოდებს.

გონიდან აზროვნებასა და ენაში გადმოღვრილ ამ ენერგიას უნდა გულისხმობდეს ერნსტ კასირერი, როცა ამბობს: „ენობრივი მსოფლხედვის მოპოვება ძალზე ძნელი პროცესია. ენობრივი ცნებათწარმოების წინსვლა გრძნობად-კონკრეტულიდან კატეგორიულ-ზოგადისკენ რთული და მძიმე ამოცანაა“ („რა არის ადამიანი“). „რთული და მძიმე“ აქ იმაზე მიგვითითებს, რომ ეროვნულ-კოლექტიური გონის ძალმოსილება საუკუნეების სიგრძეზე თაობების ღვნას მოითხოვს, რათა ენობრივი

² ქართველი ენათმეცნიერი გურამ რამიშვილი გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში, მუშაობდა წლების განმავლობაში. იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - „ენის შინაგანი ფორმის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკაში“ - 1970 წელს. ჩვენ მის ნაშრომებს ვემყარებით, ძირითადად კი ვიყენებთ თვით ჰუმბოლდტის გამოკვლევათა ერთტომეულს, მოსკოვში რომ გამოიცა 1985წ. („Язык и философия культуры“, რომლის რედაქტორი ა. გულიგასთან ერთად იყო გ. რამიშვილი).

მსოფლხედვა და ცნობიერება გამოიკვეთოს. ყოველი წარმატება კი ამ გზაზე ადამიანის თავისუფლებისა და შემოქმედებითი ნიჭის დასტურია. მეოცე საუკუნის დიდი გერმანელი ფილოსოფოსი პაულ ტილიხი (მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკაში გადასახლებული) ამბობს: „თითოეული ენა არის კულტურული შემოქმედების უთვალავი აქტის შედეგი. ადამიანის სულიერი ცხოვრების ყველა ფუნქცია დამყარებულია ამ ადამიანის უნარზე ილაპარაკოს – ხმამაღლა თუ თავისთვის. ენა – ეს არის მოცემული სიტუაციისაგან და ამ სიტუაციის კონკრეტული მოთხოვნილებებისაგან ადამიანის თავისუფლების გამოხატულება. იგი ადამიანს სძლვის უნივერსალიებს, რომელთა დახმარებით მას ძალუძს ქმნიდეს სამყაროებს ტექნიკური ცივილიზაციის მოცემულ სამყაროზე, და აგრეთვე სულიერ შინაარსს ქმნიდეს“ („კულტურის თეოლოგია“). ფილოსოფოსი გვმოდვრავს: სიტყვათაგან შედგენილი წინადადებებით გაცხადდება, „გაენოვნდება“ ესა თუ ის კანონზომიერება ბუნებისა თუ ადამიანური სინამდვილისა, ფიზიკოსმა თუ ფსიქოლოგმა რომ აღმოაჩინა. ენის საშუალებით სიტუაციისაგან თავისუფლება იმაში გამოვლინდება, რომ ენის იარაღით გადავლახავთ დრო-სივრცულ დასაზღვრულობას. მაგალითად, მეხუთე საუკუნეში დაწერილი წიგნით შემდგომ მოსულ თაობებს გვესაუბრებიან, გვაუწყებენ, გვიმტკიცებენ, უარყოფენ, შეხედულებებს თუ ფასეულობებს გვიზიარებენ და ასე შემდეგ. ხოლო ჩვენ, ჩვენს მხრივ, ვესიტყვებით მათ, ვმდიდრდებით მათი ნააზრევით ან არ ვიზიარებთ რაღაცას. მომავალში რომ დაიბადებიან, იმათთან ჩვენც გვექნება ურთიერთობა დედაენის მეშვეობით, რომელსაც ასეულობით თაობის საგანთხედვის, მსოფლშეგრძნების ბეჭედი აზის, – ჩვენც ვერევით მათ ცხოვრებაში. ენობრივი მსოფლხედვის ღერძზე ასე აისხმება მრავალრიცხოვან თაობათა წყება და იკვეთება ხალხის, ერის ისტორია. ენა ამ პროცესის უბრალო თანამდევია კი არ არის, არამედ მისი მორგანიზებელი ძალაა (სხვა ძალასთან ერთად), და ერის ქვემარტივი ისტორია ფაქტებისა და მოვლენების სტატიკური გროვა კი არ არის, არამედ სჯა ამ ძალისა თუ ღერძის სიღრმისეულ მნიშვნელობაზე. ამგვარი სჯა, თავის მხრივ, ერის ისტორიის საზრისსა და მნიშვნელობას გამოავლენს. ასეთ ისტორიას ზოგჯერ ერის „შინაგან ისტორიას“ ეძახიან. იგი ეთნოსის სულის მოძრაობის მნიშვნელოვანი თვისებების თუ შტრიხების „ნაკითხვითაა“ შთაგონებული, მათ ანარეკლს ეძებს ისტორიის გარეგნულ მოვლენებში. ენის ენერგეისტული თეორია ენას ისტორიის თანმხლების ფუნქციიდან ისტორიის ამგებ ფენომენად გადაიაზრებს. ამის თაობაზე ჰუმბოლდტი იტყვის: „ენები უდავოდ განეკუთვნებიან კაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალებს“, „ენები და მათი ნაირგვარობა უნდა განვიხილოთ კაცობრიობის ისტორიის გამჭოლ ძალად“ („ხასიათი ენისა და ხასიათი ხალხისა“).

* * *

რადგან ენა წარმოდგენათა ამგები ძალაა, მას ადამიანის და ხალხის გონით უნარებს უტოლებენ და „ენერგიის“-ს ცნებით მოიხსენებენ. ჰუმბოლდტმა ერი (ხალხი) მიიჩნია კაცობრიობის გონითი „ინდივიდუალიზაციის ფორმად“, – მიუთითებს გ. რამიშვილი, – მაგრამ იქვე განმარტა, რომ „პირობითია გაყოფა: გონი (ინ-

ტელექტი) და ენა; სინამდვილეში ეს ერთი და იგივეა. ხალხთა „ენა არის მათივე გონი და მათი გონი არის მათივე ენა. ინტელექტსა და ენას შორის მიჯნა არ არსებობს“ („ენათა შინაარსობრივი სხვაობა“).

ეროვნული გონის ძალისხმევასთან შენივთებული ენობრივი ცნობიერება, თვითშეგნება, საქართველოში, ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე გამოვლენილა ფარნავაზ მეფის (III ს.) ღვანლის კვალობაზე. მემატთანე გვაუწყებს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა (გარდა ქართულისა) და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“. ჩვენი აზრით, რაც აქ წერია, ასე შეიძლება გავიგოთ: რაკი ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენივე ენით აგებულ სამყაროში, ხოლო ენა ცნებათაგების, ფასეულობათა გამოკვეთის იარაღია, მონათესავე ტომთა (მაშინდელ საქართველოშიც რომ მრავლად იყვნენ) ერთ სახელმწიფოდ შეკვრისათვის, საერთო სახელმწიფო ენის დადგენისათვის, დაკანონებისათვის უზრუნიათ; **საზოგადოების შიგნით ურთიერთგაგებისა და საერთოობის განცდის დამკვიდრებისათვის გარჯილან: გაუცნობიერებიათ, რომ მონათესავე ეთნოსთა ერთად ჩამოყალიბებისათვის მნიგნობრულ-კულტურულ ფასეულობათა შექმნის აუცილებლობა ენობრივ ერთიანობას უნდა დამყარებოდა** (ჰუმბოლდტისათვის ერი, პირველ ყოვლისა, „გონითი ფორმა“, ადამიანთა ინტელექტუალური გაერთიანებაა). ფარნავაზმა ქართული მეტყველება სამნიგნობრი ენის ღირსებით შემოსა, ბერძნული ენის გვერდით დააყენა.

„ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი არსებობს საქართველოს ისტორიაში ერთიანი სახელმწიფოს იდეის განხორციელებისა და ორსავე შემთხვევაში ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება წამოიწიეს წინა პლანზე. ერთია ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდი და მეორე – გრიგოლ ხანძთელის ეპოქა, როცა საფუძველი ეყრება ბაგრატიონთა დინასტიას“ (ავთ. არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“).

აი, ისიც, გიორგი მერჩულისეული სჯა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღი-რიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელეფსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ, გინა თუ „უფალო შეგვწყალებ““. ეს ნიშნავს: საქართველოდ მთელი ის მიწა-წყალი უნდა შეირაცხოს, სადაც ქრისტიანული ღვთისმსახურება აღსრულდება და აღსრულდება იგი ქართულ ენაზე, ე.ი. კულტურის ენა ქართულია. ამ ფორმულირების შინაარსის კომენტირებისას უმეტესად მხოლოდ ენის ფენომენს მიაპყრობენ ყურადღებას. სინამდვილეში საქართველოს, ვითარცა სახელმწიფოს, სივრცე და მთლიანობა აქ წარმოიდგინება ორ ბურჯზე დაყრდნობილ-დაშენებულად: ქრისტიანული სარწმუნოება, კულტურა და ქართული ენა (ამის შესახებ იხ. ჩვენი ნარკვევი კრებულში „წმიდა გრიგოლ ხანძთელი“)

პაულ ტილიხი განმარტავს და ასაბუთებს: „რელიგიის ფორმა არის კულტურა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ენაში, რელიგია რომ იყენებს“ („კულტურის თეოლოგია“). ხოლო წმინდა ილია მართალი გვიქადაგებს: „კულტურა და მასთან

განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედა-ბოძია, ქვაკუთხედეა. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონისღონეა ერისა“ („აი, ისტორია“).

გრიგოლ ხანძთელის ღვანლი და გიორგი მერჩულის თვალთახედვა განუყოფელ მთლიანობად სახავს სამს: საქართველო, ქართული ენა და ქრისტიანული რელიგია – კულტურა. არსებითად ეს ხომ ის თვალსაზრისია, რაც ილია ჭავჭავაძემ ასე ჩამოაყალიბა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“ („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის თარგმნაზედა“); რიგიც კი ემთხვევა ერთმანეთს: სამშობლო-ენა-სარწმუნოება.

ამგვარივე თვალთახედვით იხურება აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“. ეს არის გამოცხადება, ხილვა სამი წმინდანისა: „ნინო, ქეთევან და თვით თამარი“, – ისინი თვითღვთისმშობელს შეჰლაღადებენ:

მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებლად
ნუ დაავინყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!...

პოეტი გვმოდღვრავს: საქართველოს არსებობისათვის, აღდგინება-გაძლიერებისათვის აუცილებელია, რათა მას „მოეცეს კურთხევა ზეცით“, რელიგიური „აღმაფრენა“; ხოლო ასეთი „აღმაფრენა“ უნდა წარიმართებოდეს, „განმტკიცდებოდეს“ იმ „ტკბილი ენით“, რომლითაც სამივე წმინდანი ესიტყვებოდა უფალს და ქართველობას. ჩვენს წინაშეა ისევ და ისევ განუყოფელი მთლიანობა სამისა: საქართველო-ქართული ენა-ქრისტიანობა.

რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ აქ მერჩულის წიგნის რაიმე გავლენა დავინახოთ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ“ დღის სინათლე მხოლოდ 1911 წ. იხილა. „თორნიკე ერისთავი“ 1884 წელს დაიწერა, ხოლო ილიას „ორიოდე სიტყვა...“ – 1860 წელს. ეს არის ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული თვითშეგნების პროგრამული კონცეფცია, თვალსაზრისი, საკმაოდ ადრე რომ გაღვივებულა, ხოლო გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის თაობებმა თავიანთ დროშას დააწერეს. იგი საუკუნეთა სიგრძეზე ხშირად მინავლდებოდა, მაგრამ არ დაკარგულა, ილიას, აკაკისა და ვაჟას თაობამ გააღვიძა. თამაზ ჩხენკელი იტყვის ამის თაობაზე: „გიორგი მერჩულის ეპოქის შემდეგ ილია, აკაკი და ვაჟა იყვნენ სა-

ქართველოს ტომობრივად დაქსაქსული სხეულის გამთლიანების პირველი იდეოლოგიები“ („მშვენიერი მძლევარი“).

კიდევ ერთი ადგილი გიორგი მერჩულის წიგნში, ქართულ ენას რომ ეხება. ჩამოთვლილია უმთავრესთაგანი იმ საზრუნავთაგან, რომელთა დაუფლება-ერთგულება ქმნიდა „ნეტართა მათ ცხოვრების“ პრინციპებს, შინაარსს: ასეთია: „მოთმინებაა სიმდაბლით და სიმშვიდით, მარხვაა, ლოცვით შეზღუდვილი, სინმიდჭ გულისაა და ჭეშმარიტება ენისაა“. თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ „ენის ჭეშმარიტება“ მოქცეულია მაღალი სულიერებისაკენ გზის გამკვლევ ასკეტურ სათნოებათა მწკრივში, ერთობ დაძაბული ღვწის ნაყოფად რომ მოიპოვებინან, ნაკლებ სავარაუდოა, რომ აქ ენის, ვითარცა სახელმძღვანის, საგანზე ოდენ მიმანიშნებლის გრამატიკულად გამართული ცოდნა იგულისხმებოდეს. „ჭეშმარიტება ენისა“ ამ კონტექსტში ქართული ენის ნიაღში აკუმულირებული სულიერ-ინტელექტუალური ენერჯის შესახებ უნდა მიუთითებდეს, რაზეც ასე საგულისხმოდ მეტყველებს არა მხოლოდ უკვე გაანალიზებული კონცეფცია („ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირიცხების...“), არამედ გიორგი მერჩულის წიგნის ენობრივი ქსოვილი.

როცა გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ენობრივ თვალთახედვაზე ვსჯით, კიდევ ერთი ფაქტია გასახსენებელი. გრიგოლს რომ მოწაფეები აფხაზეთს (დასავლეთ საქართველოში) გაეპარებინან, ერთ-ერთ მათგანს, ილარიონს, თან მიაქვს წიგნები („აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი“). გრიგოლი რომ აფხაზეთს ჩამოდის, მასაც მოაქვს წიგნები. მან დასავლეთ საქართველოში ააგო უბისის მონასტერი და ილარიონი „დაადგინა მამასახლისად“. „მამამანცა გრიგოლ თვსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევნა მონასტერსა მას“. რა თქმა უნდა, „ეს კეთილნი წიგნნი“ ქართული წიგნები იყო და ის ადამიანები, რომელთაც საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის საყრდენად ქრისტიანული რელიგია და ქართული ენა მიაჩნდათ, დასავლეთ საქართველოში მონასტერს აშენებენ და ღვთისმსახურების ენად ქართულს აწესებენ სანაცვლოდ ბერძნულისა („ქართლის ცხოვრების“ წიგნებს ძველ საქართველოში ასე მოიხსენებდნენ: „წმიდანი ესე წიგნნი“, „პატიოსანნი ესე წიგნნი“).

დიდად ერუდირებული ქართველი ლინგვისტი გ. რამიშვილი დასახელებულ წიგნში გვთავაზობს სანიმუშოდ არგუმენტირებულ ინტერპრეტაციას გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ენობრივი თვალთახედვის სიღრმეზე (რატომღაც თითქმის უყურადღებოდ რომ დარჩათ ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართ).

მოვიხილოთ უმთავრესს ამ სჯაათაგან: „მერჩულესთან ნაპოვნი დეფინიცია იმდენად უზადოა, რომ მასში უნივერსალური რანგის პრინციპი ცნაურდება: კილო-კავთა, საოჯახო ენათა და დიალექტურ ვარიაციათა ნაირგვარ ბგერითსა თუ ხილულ კონკრეტულ მოცემულობაში შეამჩნიო და გამოარჩიო უხილავი და თანაც ზოგადი გონითი პრინციპი, რაც მათ შორის იგივეობრივია და ამავე დროს უმთავრესი“ („დედაენის თეორია“).

„ფრიადი ქვეყნის“ იდეა, – განმარტავს გ. რამიშვილი, – უთუოდ გულისხმობდა, ენის ფაქტორის, როგორც ქვეყნის „გარეგანი ბუნებრივი საზღვრისაგან“ გან-

სხვაგვებულ „შინაგანი საზღვრის“ კრიტიკრიუმს. მთების, მდინარეების... ნაცვლად შინაგანი ბუნებრივი საზღვარია ენა, რომელსაც მიუბრუნდებიან ხოლმე ან გულის-ხმობენ ისტორიის მთელ მანძილზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია: არის ტომთა მეტყველებითი ნაირსახეობანი, თვით მეგრულისა და სვანურის სახით, მაგრამ დიალექტი ან კილო კი არ არის გამოყენებული საზღვრის კრიტიკრიუმად, არამედ საერთო სოციოლოგიური ფენომენი, სალიტერატურო ქართული, რაც ზეგადამწვდომია და შინაგანი; სადაც ქართული ენა გაისმის, იქაა საქართველო“. მითითებულია, რომ იმჟამინდელი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება ისეა დანინაურებული, რომ დაძლეულია ბუნებრივი გეოგრაფიული შტრიხებით (მდინარე, მთა) სახელმწიფო საზღვრების დადგენა; არც მხოლოდ ეთნოგრაფიული პრინციპის მომარჯვება გამოდგება; გადალახულია სისხლით ნათესაობის მონაცემიც. მონათესავე ტომებს გარდა, საქართველოში არამონათესავე ტომებიც ცხოვრობენ, რომლებიც სწორედ ენით ერთიანდებიან სისხლით დანათესავეებულ (ქართველურ) ტომებთან. საერთო მსოფლხედვასთან (რომლის ხერხემალი ენობრივი მსოფლგანცდაა) ნებაყოფლობითი ზიარების ფაქტით მოიაზრებოდა „ფრიადი ქვეყნის“ შინაარსი („დედაენის თეორია“).

„ქართული ცნობიერების მაღალი საფეხური, ამბობს გ. რამიშვილი, მაშინ გამოვლინდა, როცა ქართველი ერის არსებობის გონითი წინაპირობა იქნა აღმოჩენილი და იგი გიორგი მერჩულემ გამოთქვა... ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი განსაზღვრა... „ლოცვაჲ ყოველით“ ამყარებს ქართველი ღმერთთან კავშირს... რაკი იგი ქართულად სრულდება, ამით ყოველი მლოცველი შინაგანად ერთიანდება ერთ დიდ საზოგადოებაში, რასაც „ფრიადი ქვეყანა“ ანუ მთელი საქართველო ჰქვია. ქართულ სიტყვას მინიჭებული აქვს ღვთიური ძალა და ამ ძალის შეგრძნება გამსჭვალავს საზოგადოების ყოველ წევრს“. ეროვნული ცნობიერებაც მაშინ ყალიბდება. ეს არის თარიღი ეთნოსიდან ერთად გადაქცევისა („დედაენის თეორია“).

როგორც უკვე ითქვა, მერჩულის თვალთახედვით, ენისა და სარწმუნოების ცნებები განუყოფელ მთლიანობად ემსახურება ქართველთა ეროვნული ვინაობისა და საქართველოს მთლიანობის იდეას. ამის თაობაზე ამ სამიოდე წლის წინათ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნარკვევში ნათქვამია: „სარწმუნოებასა და ენას ტოლპირველადი მნიშვნელობა აქვს. ენა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის სარწმუნოების ენად გადაიქცევა“ (ს. რატიანი, სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება).

ეს არ არის ქრესტომათიული აზრი, მაგრამ 1957 წელს მსგავს თვალსაზრისს პაულ ტილიხი ასწავლიდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უნივერსიტეტში. კერძოდ, რომ ენის გარეშე არ არსებობს რწმენის აქტი, არ არსებობს რელიგიური გამოცდილება და რომ ეს ეხება, საერთოდ, ენას და განსაკუთრებულ ენას, ადამიანის სულიერი ცხოვრების ნებისმიერ ფუნქციას.

ასე რომ, ჰუმბოლდტის სულიერი მემკვიდრეები ნახევარ საუკუნეზე უფრო ადრე საუნივერსიტეტო კურსებში ასწავლიდნენ, რომ ენის ფასეულობა უმთავრესად იმითაა განპირობებული, რამდენადაც მას რელიგიური ჭეშმარიტება განწონის,

რამდენადაც ენობრივი ქსოვილი რელიგიურ-ფილოსოფიურ ძიებათა უღრმეს შრეებსა და სიმაღლეებს წვდება და ზიდავს.

„მარადიულისაგან“ პირველმიზეზისაგანაა „ჩალვრილი“ ენაში ენერგია, რაც ენას წარმოქმნად ხდის, როგორც ამას ჰუმბოლდტი დაადგენს (ამაზე უკვე ვსაუბრობდით). უფლისეული დვრიტა ღვივის სიტყვაში, ეს დვრიტა სიტყვად იძენება ადამიანის გონებაში, სიტყვად ამეტყველდება ჩვენი სწრაფვა მარადისობისაკენ. ამ სწრაფვას, რომელსაც „პირველ გულისწადილს“ ეძახის ჰუმბოლდტი, „ჩვენ ვიღებთ ენიდან“ („არსებული თანამონაწილეობს არსში“, პაულ ტილიხი, „ყოფნის სიმამაცე“). ამგვარი შინაარსით დაკვალიანებული და მიზან-მიმართულებით ნაწრთობი ენაა ჭეშმარიტი ენა, თავის უპირველეს დანიშნულებას რომ უსწორებს თვალს.

უმრავლეს შემთხვევაში გ. რამიშვილის სჯანი გიორგი მერჩულის დეფინიციის შესახებ სარწმუნოებისა და ენის განუყოფელი მთლიანობის თვალსაზრისს ემსახურება: „ქრისტიანული მოძღვრების ზნეობრივმა სიმაღლემ, რაც ისევ „ბიბლიის“ თარგმნით და ქართული ენით შეიჭრა ყოველ ქართველ ტომში, ისეთ დონეზე ასწია შეგნება მორწმუნისა, რომ ერთიანი საქართველოს იდეა ჩამოაყალიბებინა. მივიღეთ ერი „მაღალი გაგებით“... დედაენით გვაქვს ფუძე განმტკიცებული და ენის სულიერებით – ეროვნულობა... გიორგი მერჩულემ მთელი სიღრმით გაიაზრა ენარწეულის კავშირი“ („დედაენის თეორია“).

მერჩულისეული დეფინიცია, ჩვენი ქვეყნის კულტურულსა და სახელმწიფოებრივ თვითმყოფობას რომ აფუძნებს, იმ მხრივაც უზადოა, რომ ზოგადსაქრისტიანო სისხლძარღვზედაც მიუთითებს: მთელი ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღსრულდება, ოღონდ „კვრიელეისონი ბერძნულად ითქუმის“. გერმანელი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი (ოლდენბურგის უნივერსიტეტი) ამის თაობაზე ამბობს: „ბერძნული კვრიელეისონი“ ქართველებს სიმბოლურად მთელ საქრისტიანოსთან აკავშირებს“ („ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“). ე.ი. გიორგი მერჩულე თვითმყოფ ქართულ კულტურას და საქართველოს („ფრიად ქვეყანას“) არ კეტავს ვინროდ გაგებული ნაციონალურობის არტახებში.

ღვთისკენ სწრაფვა, ჭეშმარიტებასთან მიახლება თავისუფლებასთან აზიარებს ადამიანს: „სცნა ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლენ თქუენ“ (იოვანე, 8,32). ქართულ გონსა და სულში, გვმოდვრავს მერჩულე, ქართული ენით გაცხადდება, ამ ენაში იბადება და ამეტყველდება უფალი (ყამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“). ამის ძალით, ამის კვალობაზე და ამავდროულად ქართული ეთნოსი იქცევა ქართველ ერად. ქრისტიანობა და ქართული ენა, მათი განუყოფელი მთლიანობაა სულიერად მშობელი ჩვენი. ორივე ეუფლება ინდივიდს, აქცევს მას პიროვნებად, შეჰყავს ნამდვილ არსებობაში. ე.ი. მერჩულე, არსებითად, უკვე მსჯელობს დედაენაზე, ღვთის ხატად და მსგავსად, იმავდროულად ქართველად ჩვენს მშობელსა და ჩამომყალიბებელზე (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ღრმა აზრით უწოდა იაკობ გოგებაშვილმა თავის ნიგნს „დედა ენა“).

* * *

გიორგი ათონელი, ავტორი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისა „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“, მოგვითხრობს: იოანემ შვილი ჯერ ქართულ ენაში, შემდგომ კი „ბერძნულად გაასწავლა ყოვლითვე სწავლულებითა სრულე-ბით“. იმის გამო, რომ ექვთიმე ბავშვობიდანვე მოწყდა სამშობლოს და საბერძნეთ-ში იზრდებოდა, ხოლო ბერძნულ ენას „სრულებით“, ზედმინევენით დაუფლებოდა, მშობლიური ენის ძალი და მადლი მასში ცხადად იშრიტებოდა, „ძნადად უბნობნ ქარ-თულად“; „არცალა სიტყუაჲ დაშთომილი იყო მის თანა და არცა ჳმაჲ“. ექვთიმე მძიმედ დასწეულდა. მომაკვდავ ყმანვილს ღვთისმშობელი გამოეცხადა და „ჰრქუა ქარ-თულითა ენითა: რაჲ არს, რაჲ გელმის, ეფთვიმე“. ექვთიმეს უპასუხია: „მოვკუდები, დედოფალო“. გამოცხადების ამ ამბავს მერე, უკვე სანოლზე წამომჯდარი ექვთიმე უყვება მამას: ღვთისმშობელი „მომეახლა და მიპყრა ჳელსა და მრქუა: „არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჳსნილად უბნობდი“ (გამართუ-ლად, თავისუფლად ლაპარაკობდე). ექვთიმე სრულიად გაჯანსაღდა, ხოლო ქარ-თული „ვითარცა წყაროჲ აღმოდინ უნმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

მშობლიურ ენასთან დაშორება ექვთიმეს „როგორც სულიერ, ისე ხორციელ დასწეულებად შეუგრძვნია... როცა გაცოცხლდა მასში ქართული სიტყვა, მანამდე ავადმყოფი ექვთიმე სხეულითაც განკურნებულა. ენა მხოლოდ სულიერი ძალა კი არ არის, არამედ ადამიანის სულით-ხორციელი სიმრთელის საფუძველია“ (რ. სირაძე, „ექვთიმე ათონელი“).

ვეცდებით ჩავუღრმავდეთ ამ ეპიზოდს.

ადამიანური ინდივიდუალობის დვრიტა იოანეს შვილის არსებაში ადრევე იქ-ნებოდა ფეხადგმული, მაგრამ ჯერ კიდევ ყრმა მიიყვანეს საბერძნეთში და შეუდ-გნენ მის წვრთნას „ბერძნულად ყოვლითავე სწავლულებითა სრულეებით“.

„ენობრივი უნარიანობა, – ამბობს ჰუმბოლდტი, – დაფუძნებულია ყველა ცალკეული ადამიანის სულის სიღრმეში, მაგრამ მხოლოდ ურთიერთობისას ამოძ-რავდება“ („ხასიათი ენისა და ხასიათი ხალხისა“). საბერძნეთში მოხვედრილი ექ-ვთიმესათვის მშობლიური ენის „ამოძრავების“ არეალი მოზღუდული იყო.

ჯერ კიდევ ყრმის ახლად ფეხადგმულ განცდას მშობლიური ენისა, სულიე-რებისა, სტიქიონის ძალით დაანვებოდა ბერძნული ენისა და სულიერების ერთობ მძლავრი, დიდებული სამყარო. გასაგებია, რომ ამ უზარმაზარმა ფენომენმა გარ-კვეული დაღი დაასვა ჯერ მოუმნიფებელ გონებასა და სულს ყრმისა, დაასუსტა მათი დავაჟკაცების, გამოკვეთის ბუნებრივი სასიცოცხლო წყაროს ზემოქმედების ძალა.

„ენა იქცევა მშობლად და აღმზრდელად ყველაფრისა, რაც უმაღლესი და უდახვეწილესია კაცობრიობაში“ (ჰუმბოლდტის იმავე ნარკვევიდან). როგორც ჩანს, ქართული ენა, ვითარცა ექვთიმეს „უმაღლესი და უდახვეწილესი მშობელი და აღმზრდელი“, ყმანვილის ქვეცნობიერების სიღრმეში აღმდგარა უცხო ენის (და სულიერების) მიმძლავრების მოსაგერიებლად, ადამიანის ინდივიდუალობის ღვთი-საგან კურთხეული უფლებებისა და ღირსებების დასაცავად. მაგრამ ჯერ კიდევ

ბავშვის არც სხეულის, არც სულის ხერხემალი არ იყო გამაგრებული და ერთსაც და მეორესაც ერთობ შესჭირვებია („არცალა სიტყუა დაშთომილ იყო მის თანა და არცა ჯმა“).

ყრმის სასიცოცხლო ძალები რომ ილეოდა, მაშინ გამოეცხადა ექვთიმეს ღვთისმშობელი და „ქართულად ხსნილად უბნობის“ ძალი და მადლი აღუდგინა, სიცოცხლის წყაროსთან (მშობლიური ენის წიაღთან) დამაკავშირებელი ფესვები, ჭკნობა რომ შეჰპარვოდათ, გაუცოცხლა.

იოანემ ადრევე შეამჩნია, რომ მისი შვილი ღვთის სამსახურისათვის, წმინდა წიგნების ქართულად გადმოღებისათვის დაეზადებინა უფალს, საამისო ნიჭისა და ძალის წყაროდ მისთვის მშობლიური ენის წიაღი განეჩინებინა. ასეთი წყაროს ღენას კი ვერაფერი შეაჩერებს. განა ამას არ მოასწავებს ღვთისმშობლის გამოცხადება და ქართულად მიმართვა სხეულისადმი: „არარა არს ვნებაჲ შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ეს ხომ ნიშნავს: შენი ავადობის მიზეზს მე ვუნამლებ, ქართულად თავისუფლად მეტყველების უნარს აღგიდგენ. ხომ ცხადად ზრუნავს ღვთისმშობელი ღვთის ნება-განჩინების აღსასრულებლად.

იმავე წიგნში („ხასიათი ენისა და ხასიათი ხალხისა“) იტყვის ჰუმბოლდტი: „ენა აძლევს ადამიანებს წინამძღვრებს შინაგან ძალთა განვითარებისათვის; **როცა ვესწრაფვით მარადიულს, პირველ გულისწადილს, შემართებას ამ გზაზე ჩვენ ვიღებთ ენიდან**“.

თურმე „გულში“ ინახება იმის ძალა და უნარი, რომ „მარადიულისაკენ“, ღვთაებრივისაკენ „სწრაფვის“ ნიჭი არ ჩაქრეს ადამიანში, და ენის საშუალებით აცოცხლებდეს ამ ნიჭს. აქ არ გამოვეკიდებით იმაზე სჯას, რომ, წმინდა წერილის მიხედვით, სწორედ გულშია აკუმულირებული ზეცისაკენ სწრაფვის ენერგია, აქვეა მისი პირველწყარო. ხოლო პოეტი იტყვის:

ძნელი როდი არის პოვნა,
რაც რამაა დაკარგული,
რადგან, რასაც კარგავს ხსოვნა,
ღრმად ინახავს ჩვენი გული.

(გალაკტიონი).

ყრმა ექვთიმეს ხსოვნაში რომ მშობლიური ენის ნიჭი იკარგებოდა, მარადისობასთან მიმაახლებელი მადლი რომ იშრიტებოდა, გულში, ღვთაებრივის პირველწყაროში, იგი შენახულიყო და, გიორგი ათონელის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ვითარცა წყაროჲ აღმოდინდა“ ღვთისმშობლის თანადგომით.

ასეთია ექვთიმე და გიორგი ათონელების ღვანლის არეალი, მასშტაბურობა: იგიც ზოგადსაკაცობრიოსა (რელიგიურის) და ეროვნულის ორგანულ, განუყოფელ მთლიანობად წარმოგვიდგება. მათი ურთიერთგამსჭვალვის იდეა ხომ ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ღვანლში ამოიკითხება ცხადად.

ენა, ვითარცა ძალა და უნარი, ენერგია და იარაღი მსოფლშეგრძნებისა, თავისი არსით, პრინციპული შინაარსით უკვე მოაზრებულია დიდი ათონელების ცნობი-

ერებაში და ცხადად აკვალიანებს მათი ღვანლის შინაარსსა და ფორმას. როდესაც ისინი ცდილობენ, ქრისტიანული სულიერების უპირველესი ძეგლები, ბიბლია და წმინდა მამათა ნიგნები, ქართულად გადმოიღონ, ყველაზე საიმედო საშუალებად ამ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა გადმონერგვისა ისინი მშობლიური ენის ხასიათს სახავენ, კონკრეტულში, ეროვნული ინდივიდუალობისა და პირველსაწყისთა ნიაღში პოულობენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა, იდეათა მომხელთებელ ფორმებს; „შემართებას ამ გზაზე იღებენ ენიდან“. იგივე ჰუმბოლდტი სხვაგან იტყვის: „უნართა ენერგიული გამოვლენა წარმოუდგენელია ჩვენს პირველსაწყის ბუნებრივ მონაცემთა გულმოდგინე შენარჩუნების გარეშე – არ არსებობს ენერგია ინდივიდუალობის მიღმა“ (გოეთეს „ჰერმანისა და დოროთეას“ შესახებ“).

გრიგოლ რობაქიძე ამ ნახევარი საუკუნის წინათ წერდა: „რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: გიორგი მერჩულეს აღწერა-გადმოშლაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. „უფრო – ვინაჲთგან აქ **ჰაეროვნულ იფინება ზემინიერი ქართულ მინაზე**“. „ზემინიერი“, ღვთაებრივი, „ჰაეროვნულ“ განწონის ქართული ეთნოსის ინდივიდუალობასო, ეთეროვანი სიმსუბუქით შეეზავება „ქართულ მინასო“... ხოლო ეს რომ აღსრულდება „ენის ჭეშმარიტებით“, ამას, როგორც ითქვა, თვით მერჩულე ქადაგებს. დიდმა ათონელებმა ეს გზა განაგრძეს, ღვთის იგავმიუწვდომელ ჭეშმარიტებას ისინი ქართული „ენის ჭეშმარიტებით“, ამ ენის, ვითარცა ენერგიის, ვითარცა წარმომქნელის, ინდივიდუალურ გამომსახველობით საშუალებათა ძალმოსილებით მიუახლოვდნენ. აკი სამწერლობო ღვანლის კვალობაზე შეირაცხნენ ისინი წმინდანებად. „ლუთერის თარგმანი თუ არის ენის ენის-ქმნა, მთანმინდებლის თარგმანიც ენის-ქმნაა (გ. რობაქიძე, „საქართველოს ხერხემალი“).

ნიკოლოზ ბერდიაევი განმარტავს: „ყოველი ერის ყოფას რელიგიური საფუძველი აქვს. ეროვნული და რელიგიური მომენტები გადანულია ერთმანეთში და ზოგიერთ წერტილში იდუმალბერძნულ ედულებიან ერთმანეთს“ („ერი და კაცობრიობა“).

ღვთისმშობლის თანადგომა აბრუნებს ყრმა ექვთიმეს მშობლიური ენის ნიაღში, ვინაიდან სწორედ ამ ფენომენის ძალასა და მადლს ხელენიფება, ყველაზე უკეთ გაუძღვეს ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანას ზეცისაკენ. ზეციურს თუ ზოგადსაკაცობრიოს ფესვები მინიერში, ეროვნულში აქვს გადგმული. რელიგიურ-კულტურული ღვწა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს უმაგრებდა ზურგს და საერთაშორისო სარბიელზე პატივსა და სახელს უქმნიდა საქართველოს. ათონელი ქართველების მუხლჩაუხრელი მწიგნობრული გარჯა ამ შეგნებითაც იყო შთაგონებული. გიორგი ათონელი ექვთიმეზე ამბობს: „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი – იგი იხილნა რაჲ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა. და ზედაჲს-ზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს“. ამ ფაქტზე იტყვის გერმანელი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი: „ქართული წიგნები საქართველოს სამეფოს პრესტიჟის დასტური იყო“ („ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“).

* * *

რაც გიორგი ათონელის ნაწარმოებში მშობლიური ენის ძალად და უნარად, ენერგიად არის მოაზრებული, ქართული გალობის იმგვარივე ძალად და მაღლადაა წარმოსახული იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“. მოთხრობის მთავარი გმირი – ქეთო რომ სამშობლოს მონყვიტეს, მხოლოდ მესამე წელში იყო გადამდგარი. ათი წელი გაატარა მან დალესტანში. ყველაზე დიდხანს ქეთოს მეხსიერებას „იავნანას“ გალობა შერჩა, „მაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზე გვიან“. ათი წლის შემდეგ, როცა მშობლებმა ქეთო უკან დაიბრუნეს, ისე გაუჭირდათ შვილის არსებაში მისი ნამდვილი ვინაობის ცნობიერება გაცივოცხლებინათ, რომ გატანჯული ქეთოს დალესტანს მიბრუნებაც კი იფიქრეს.

მშვენიერი დილა იდგა. ათი წლის დუმილის შემდეგ მაგდანა „იავნანას“ ღიღინს მოჰყვა. შვილის სახეზე რომ აღლევება შენიშნა, დედამ ხმას აუწია. შესამჩნევი იყო, რომ შვილი „რალაცას იგონებდა და ვერ მოეგონებინა გარკვევით. მისი ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან რალაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქვასა, მაგრამ ზევიდან კეცკეცად აწვინ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მალლა ამოსვლასა“. ცოტა ხნის შემდგომ „მაგდანას ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდის, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელნი ნაშთნი, საგონებელნი“.

ადამიანის ინდივიდუალურობის ფუნდამენტი, მარადისობისაკენ ლტოლვის პირველწყარო დამარხული, მინავლებული ყოფილა, მაგრამ არა დაშრეტილი. ფესვებს მონყვეტილი ადამიანი ფესვებს მიუბრუნდა, დათრგუნვილი და გადაკეთებული სული იმავე ნიადაგზე გადაირგო, საიდანაც ამოიზარდა. ბუნებრივ-ადამიანურის მასაზრდოებელი წყარო, ქეთოს არსებაში უბედო ბედისაგან ამღვრეული, დაიწმინდა. ადამიანი დადგა იმ მიწაზე, რომელზედაც დათესა ყოვლის მთესველმა, იმ ძირებს დაემყარა, რომელზედაც აღმოაცენა ყოვლის აღმომცენებელმა და მზრდელმა. ბინდისგვარი წუთისოფლისგან დაწყლულბულს ზესთასოფლის ნათელმა უწამლა. ამაზე იტყოდა რუსთაველი:

ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კვლა განკურნება წყლულისა?

იგია მზრდელი ყოვლისა დანგრეულ-დათესულისა!

ვაჟა-ფშაველა კი ასე გვმოდვრავს: „როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-სანოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

მუსიკამ, ქართულმა ხალხურმა გალობამ, დედის გულიდან და სულიდან გადმოღვრილმა „იავნანამ“ დაუძახა ქეთოს და დააბრუნა იგი სამშობლოს ნიაღში. ჩვილსაც და ალბათ ორი წლისასაც „იავნანით“ აძინებდა დედა. ღვთაებრივი ნეტარების განცდად დათესილიყო ეს გალობა პატარა ქეთოს ალალ, წმინდა გულში და ეს ხმა, ვით საღვთო საგალობელი, ათი წლის მტვერსაც ვერ ჩაეხშო, მან იქუხა, გონსაც და სულსაც უწია, ჭეშმარიტება გამოაბრწყინა.

ნეტარი ავგუსტინე მიუთითებდა, რომ ღვთაებრივთან ჩვენს მისაახლებლად ხელოვნების ყველა დარგზე ძალმოსილი არის მუსიკა; იგი ხშირად ადამიანის სულის ისეთ უღრმეს ვიბრაციებს გამოხატავს, რომელსაც ვერ სწვდება თვით სიტყვა. ავგუსტინეს შემოქმედების ერთი მკვლევარი ასე აჯამებს ეკლესიის დიდი მამის ნააზრევს: „ხელოვნების ყველა დარგს შორის მუსიკა გვევლინება ერთადერთ სახეობად, რომელსაც ძალუძს შეაღწიოს მიღმურ სამყაროში და რჩება მარადისობაში“ (კ. პერლი, „ავგუსტინე და მუსიკა“).

მიღმურ სამყაროში შეღწევისათვის ძალმოსილმა მშვენიერებამ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის გმირის ცნობიერებაშიც შეაღწია და ქალი თავის ქვეყანასაც და თავის ვინაობასაც დაუბრუნა.

* * *

„ყვარლის მთების“ ავტორი სულიერად საკმაოდ მომნიჭებული, ეროვნული ვინაობის ფესვებთან სისხლხორცეულად ნაზიარები სწავლის გასაგრძელებლად მიაშურებს პეტერბურგს. და როცა ოთხი წლის შემდეგ იქიდან სამშობლოში ბრუნდება, ღრმა საფიქრალს მოუცავს მისი გული და გონება: მოაქვს თუ არა პეტერბურგიდან ის სიმდიდრე თუ საზრდო, რაც ასე შია და სწყურია მის ქვეყანას. პატივდასადები შიშიც ახლავს ფიქრების ამ გრეხილს; უცხოეთში ოთხი წლით დაყოვნება საფრთხილო რამ არის ახალგაზრდისათვის, „უცხო ნიადაგზე გადარგულისა და აღზრდილისათვის... ბენვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების ისეთ კვირტს, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღ-ყურძენაც... ნეტავი იმას, – იტყვის მერე დარიალის ჭიშკართან მდგარი თერგდალეული, – ვისაც ეს ბენვის ხიდი არ ჩასწყდომია“. როგორც ვხედავთ, „ბენვის ხიდეზე“ შემდგარად წარმოუდგება ილიას ის ახალგაზრდა, ვინც უცხოეთში მიდის სწავლა-აღზრდისათვის. ხიდი ჩანს, თუ მასზე შემდგარს ფესვები არ ამაგრებენ („ძალღ-ყურძენა“ გამოიკვირტება), გლობალისტური უსახურობის ნირვანაში ჩაიკარგება გარკვეული სახითა თუ ჯიშით გარკვეულ მიწაზე ღვთისაგან დამკვიდრებული ეთნოსის ნაშიერი.

როგორც ვხედავთ, წმინდა ილია მართლის თვალსაზრისით, ახალგაზრდის „უცხო ნიადაგზე გადარგვა“, სწავლა-აღზრდის მიზნითაც კი, სასურველია მოხდეს ისე, რომ მასში რიგიანად იყოს გამოკვეთილი თავისი ქვეყნის, ხალხის სული და ხასიათი. მაშინ შეინარჩუნებს იგი „ბენვის ხიდეზე“ წონასწორობას; ქვედამზიდველ და ეგოისტურ საცდურთა დამარცხებით გაკაჟებული თავს დააღწევს „მსოფლიო მოქალაქეობის“ საცდურსაც. მშობლიური ნიადაგი, ენა, კულტურა და ტრადიციები ადამიანის სულიერი სიჯანსაღის ყველაზე ძლიერი და საიმედო ფესვებია. „მათი დაკარგვა არა მარტო სივრცობრივი გარემოსა და გარეგნული ფაქტორების დაკარგვაა, არამედ შინაგანი სამყაროს მორღვევაც“ (გ. რამიშვილი, „დედაენის თეორია“).

რა თქმა უნდა, „მგზავრის წერილების“ კონტექსტში ხატოვნად ნათქვამი „უცხო ნიდაგი“, უმაღლესი ენის გულისხმობს, ვითარცა ადამიანის ვინაობის უპირველეს „პასპორტს“, ხერხემალს. ამის შესახებ საკმაოდ ითქვა ნარკვევის პირველ თავში.

ჰუმბოლდტის შემდეგ ევროპელმა მეცნიერებმა კიდევ უფრო გააღრმავეს ეს თვალთახედვა. უკვე დადგენილია, რომ არც ერთი ენის ენობრივი საფუძველი არ არის აზრთა წარმოქმნის უბრალო ინსტრუმენტი. „ბუნებას ჩვენ ვანაწევრებთ ჩვენი ენის მიერ ნაკარნახევი მიმართულებით. მოვლენათა სამყაროში ჩვენ გამოვყოფთ ამა თუ იმ კატეგორიებსა და ტიპებს არა იმის წყალობით, რომ ისინი (ეს კატეგორიები და ტიპები) თავისთავად არიან თვალსაჩინონი; საპირისპიროდ ამისა, სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება შთაბეჭდილებათა ნაკადის კალეიდოსკოპად, რომლის ორგანიზება უნდა მოახდინოს ჩვენმა გონებამ; ხოლო ეს ძირითადად იმას ნიშნავს, რომ ამას ახდენს ჩვენს ცნობიერებაში შენახული ენობრივი სისტემა“ (ბენჯამენ უორფი, „ქცევისა და აზროვნების მიმართება ენისადმი“).

ამიტომ ფაქტიურად მარცხით დამთავრდა მეოცე საუკუნის სიგრძეზე წამოწყებული ყველა მცდელობა, შეექმნათ ერთი საყოველთაო ენა, რომელზედაც ილაპარაკებდა ჩვენი პლანეტის ყველა მკვიდრი. ბუნებრივის დაჯაბნა ვერ მოხერხდა, ეს ბუნებაზე ხელის აღმართვა იქნებოდა.

ახლა კი მანქანური ცივილიზაციითა და უფესვო ინტერნაციონალიზმით შთაგონებულნი გვინინასწარმეტყველებენ, რომ მომავალში მხოლოდ რამდენიმე ენა მოემსახურება გულგამოჭმული გლობალიზაციის გზაზე შემდგარ ყველა ხალხსა თუ ერს. ზემოთ დასახელებულ კრებულში „ენები, როგორც სამყაროს სახე“, – დაბეჭდილია ამ წიგნის რედაქტორის კირილ კოროლევის ნაშრომი საგულისხმო სათაურით – „უნივერსალური ენა და უნივერსალური დამწერლობა ოცნებების გამოდევნების გზაზე“. აქ ვკითხულობთ: „არც ერთ ბუნებრივ ენას (ვთქვათ, ინგლისურს თუ ჩინურს, რუსულს თუ არაბულს, – გ.ფ), რა ფართოდაც არ უნდა იყოს იგი გავრცელებული, არ ძალუძს გახდეს საყოველთაო ენად – რამდენადაც ყოველი ენა არის კონკრეტული ხალხის მენტალობის ნაყოფი, და ამიტომ „უცხო ნიდაგზე“ **გადარგვას** ძნელად ეგუება – ან საერთოდ ვერ ეგუება“. არა მხოლოდ კ. კორელის ნარკვევის, არამედ მთელი ამ კრებულის იდეური პათოსი სწორედ ის არის, რომ სხვაგვარად ვერც იქნება (კრებულისა, სადაც თავმოყრილია ევროპისა და ამერიკის ერთობ ავტორიტეტულ ლინგვისტთა ნაშრომები).

პრინციპული შინაარსი ამ თვალთახედვისა იგივეა, რასაც „მგზავრის წერილებში“ შეამჩნევს დაკვირვებელი მკითხველი. ილია შიშობს: სხვა მიწა-წყალზე, სხვა ხასიათისა და ფასეულობათა სამყაროში, სულ სხვაგვარი კულტურის შუაგულში ოთხი წლის დაყოვნებამ სრულიად ახალგაზრდა კაცს ხომ არ დაუჩრდილა მშობელი ქვეყნის კულტურის ხიბლი და ძალა სულიერებისა. კოროლევის ნარკვევის ციტირებული (მაგრამ სწორედ აქცენტირებული) წინადადების ერთი მონაკვეთი კი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ილია ჭავჭავაძისას: ეს არის პრობლემა „უცხო ნიდაგზე გადანერგვისა“ (რა თქმა უნდა, არავის ჰგონია, რომ რუსი ლინგვისტი ილია ჭავჭა-

ვადის თხზულებას ემყარება. იმას კი ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა ვ. ჰუმბოლდტის ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ ნაწერებს).

როგორც ითქვა, ნმინდა ილია მართალი გვმოძღვრავს: თუ ახალგაზრდა კაც-ში მოყვასისა და სამშობლოს მიწა-წყლის, ეროვნული კულტურის ხიბლის განცდა ღრმად არაა ჩათესილი, „უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილს“ ღირსეულ ადამიანად, ნამდვილ მამულიშვილად ჩამოყალიბება გაუჭირდება. ასეთ თესლს კი ილია ხატოვნად „დვრიტად“ მოიხსენიებს (დვრიტა – საყველედ შემთბარი რძის შესადედებელი მასალა). საქართველოს ჭიშკართან მოახლოებული პოეტი ამბობს: ეგებ ჩემმა ქვეყანამ „ზურგიც არ შემომაქციოს, იქნებ მიმითვისოს კიდეც, რადგანაც **ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული**“. დავაკვირდეთ, რას ნიშნავდეს აქ ხატოვნად მოაზრებული „დვრიტა“. ამ სიტყვის საგნობრივი თუ ყოფითი შინაარსი ამ ფრაზაში ერთობ საგულისხმო ესთეტიკურ შინაარსადაა სუბლიმირებული. „დვრიტა“ აქ, ჩვენი აზრით, ნიშნავს გენს, ჯიშის (თუ სახეობის) თესლსა და ფუძეს, რომლიდანაც დროთა მანძილზე ამოიზრდება ეთნოგენოტიპი, ეროვნული ხასიათის ინდივიდუალური, ბუნებრივი თვითმყოფობა. როცა ადამიანში შობითვე (უზენაესი მშობლისაგან) ღრმადაა ჩამყნილი ეროვნული ხასიათის თვითმყოფადი ბუნება, გენეტიკური ვინაობის ეს ძალა და მადლი საიმედო პოტენციაა, რათა ადამიანში თანდათან ასევე კარგად გამოიკვეთოს თავისი ვინაობა; ოღონდ ამისთვის ამ „დვრიტას“ გულმოდგინე, ფაქიზი მოვლა, სათანადო საზრდო და პირობები სჭირდება, რათა გამაგრდეს, დამნიფდეს მშობლიურ ნიადაგზე.³

ამის შემდგომ „მგზავრის წერილების“ ავტორი შეუდგება სჯას ენის ფენომენის რაობის, სიღრმისეული პოტენციალის შესახებ, ენის, როგორც მრავლისმეტყველი სახის შესახებ. რა თქმა უნდა, სჯა წარმართება პოეტური ფორმით.

„ჩემი ენის საზღვრები განსაზღვრავს ჩემი სამყაროს საზღვრებს“, – იტყვის ლუდვიგ ვიტგენშტეინი თავის ერთობ გახმაურებულ „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“. სიტყვის სიღრმეში ჩამარხულია პოტენციალი, ენერგია იმისა, რომ ობიექტური სინამდვილისა და სუბიექტური აღქმის გადაკვეთის წერტილზე გონის აქტიურობის თანადგომით შობოს ახალი სინამდვილე და სიტყვის ფორმით გააცხადოს იგი.

„ენა არის ადამიანის სიცოცხლის პროცესი“ (პ. ჰიუნერმანი, ფიქრები სიტყვისა და საიდუმლოებათა თეოლოგიაზე. „თანამედროვე ეკლესიოლოგიის თეორიის ენობრივი ასპექტი“). ხოლო სიცოცხლის პროცესად ენას აქცევს არა გარემოება, რომ საგნები და მოვლენები „თავისთავად არიან თვალსაჩინონი“; ენა მხოლოდ უბრალო გამომხატველი არ არის იმისა, რაც ენის დახმარების გარეშე ჩამოყალიბდა. გავიმეორებთ: „სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება შთაბეჭდილებათა კასკადის კალეი-

³ აი, რა აფიქრებდა, რის შესახებ გვაფრთხილებდა საუკუნე-ნახევრის წინ ილია ჭავჭავაძე. ეს საფიქრალი დღეს გაცილებით უფროა გასათვალისწინებელი, ვიდრე მაშინ იყო. ჩვენ ხშირად უფესვო და „ჭყინტ“ ქალ-ვაჟებს ვგზავნით უცხოეთში. როგორნი დაგვიბრუნდებიან?! დაგვიბრუნდებიან კი? მათ შორის უკეთესებს, ნიჭით გამორჩეულთ საუკეთესო პირობებს უქმნიან და თავისთან იტოვებენ. ხომ არის ეს სერიოზული პრობლემა; არ უნდა გვეშინოდეს?! ილია ჭავჭავაძეს ეშინოდა!..

დოსკოპად“, რომელსაც ეროვნული გონი გადაიაზრებს თავისი ეთნიკური ხასიათის შესაბამისად, „გააენოვნებს“ ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ენობრივი სისტემის შესაბამისად. ასე რომ, „ადამიანები ცხოვრობენ არა მხოლოდ მატერიალურ სამყაროში. გარკვეულწილად ყველა მათგანი იმ კონკრეტული ენის გამგებლობას ექვემდებარება, რომელიც ამ საზოგადოების გამოხატვის საშუალებად ქცეულა“ (ედვარდ სეპირი, „ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, სტატუსი“). აი, რატომ ქვია უცხოელ ლინგვისტთა ნაშრომების ერთ საუკეთესო კრებულს ასე – „ენები როგორც სამყაროს სახე“.

„მგზავრის წერილების“ საანალიზო მონაკვეთის თითქმის ერთი გვერდის სიგრძეზე ფიგურირებს „სიტყვა“ და „ენა“ ვითარცა მხატვრული სახეები. მოვიხმოთ ტექსტი (გამოვტოვებთ ზოგიერთ ფრაზას, უკვე გაანალიზებულთ): „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნებ მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომამქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომამქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მანც-დამანც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზე-დაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; ... და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად“.

მიუთითებენ, რომ ნიჭი ენობრივი მეტყველებისა „შესაძლებლობათა მწვერვალს აღწევს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში“ (ჰუგო შუჰარდტი). ყველა კულტურული ერის მხატვრული ლიტერატურის დაბადება არსებითად ენის, ვითარცა ახალი სინამდვილის წარმოქმნელის, ენერგეისტულ პოტენციალს დაემყარა. ი.გ. ჰერდერს უთქვამს: „ლიტერატურა აღმოცენდა ენაში და ენა – ლიტერატურაში“. ენის ფილოსოფია ესწრაფვის შეაღწიოს სიტყვის საოცარი და მრავალფეროვანი გამომსახველობითი პოტენციალის სიღრმეში. სწორედ გამომსახველობითობა, სახეობრიობა არის ენობრივი ორგანიზმის უპირველესი მშობელი და გამფორმებელი და არა სახელდების, აღნიშვნის ფუნქცია. ამაზე იტყვის ედვ. სეპირი: სინამდვილის გაგების გზაზე ენა სიმბოლურ ხელმძღვანელად შეიძლება მივიჩნიოთ.

დავაკვირდეთ. ჩვენს წინაშეა სიტყვიერი ხელოვნების დიდი ნიჭით დამშვენებული მწერლის მონოლოგი მშობლიური ენის მადლსა და ძალს რომ ეძებს და არკვევს საკუთარი თავისთვის, თანამედროვეთა და მომავალ თაობათაგან შესამეცნებლად. ასეც შეიძლება ითქვას: მონოლოგის გმირი ქართული ენაა, სიტყვაა. ესაა პოეტური სიტყვა სიტყვის შესახებ. მოხმობილ ტექსტში, რომელიც წიგნის ნახევარ

გვერდს ცოტათი აღემატება, სიტყვები, – „ენა“ და „სიტყვა“ თხუთმეტჯერ ფიგურირებს.

„ენისა“ და „სიტყვის“ მოხმობის ყველა შემთხვევა კი მხატვრული სახეა, ხატია. როგორც მოსალოდნელია, ეს არის პლასტიკური ფორმის მხატვრული სახეები. იხატება მშობლის (მამულისა) და შვილის (მწერლის) ურთიერთობის სისათუთით აღბეჭდილი სურათები. „სურათებიც“ ვერ დაერქმევა მათ; უფრო სწორი იქნება ვთქვათ, – ეს არის ლოცვას მიახლოებული ვიბრაცია მამულიშვილისა და პოეტის სულისა. „სიტყვა“ და „ენა“, „ვეტყვი“ და „მეტყვის“ უკვე მონოლოგის დასაწყისში და მერეც არ არის ამ ტექსტში მხოლოდ მასალა მხატვრული სახისა. ამ სიტყვების ყოფითი თუ სოციალური მნიშვნელობა, სწორედ იმის კვალობაზე, რომ ენა წარმოქმნაა, ენერგიაა, გადაიზრდება მხატვრულ-სახეობრივ (თუ სიმბოლურ) შინაარსად (ედვარდ სეპირი: „ჩვენ შეგვიძლია ენა მივიჩნიოთ ხელმძღვანელად კულტურის გაგების გზაზე“ (ნარკვევი – „ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, სტატუსი“). მონოლოგის დასაწყისშივეა ასეთი. უცხოეთიდან მობრუნებული შვილის გონებაში „ერთ განუწყვეტელ გრეხილად“ ქცეულა ფიქრები იმის შესახებ, როგორ „შეეყრება“ იგი მშობელს და „როგორ შეეყრება“ მშობელი მას; „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“ ოთხი წლის წინათ შედგა საუბარი გამომშვიდობებისა („ყვარლის მთებს“). წინ არის შეხვედრის სიტყვა. შვილს, ვითარცა „დვრიტას“ მშობლისა, ეიმედება, რომ მშობელი „მიითვისებს“. ერთი კი აფიქრებს: მაშინ რა ქნას, სამშობლომ რომ „უამბოს თავის გულის ტკივილი?...“ შვილმა კი, მშობლის „ენას გადაჩვეულმა, ვერ გაიგოს მისი ენა, მისი სიტყვა“? ე.ი. ყველაფერი, რაც სათქმელია და შესასმენი, ენაშია და ენით მყოფობს. არსებობს მშობლისა და შვილის, მამულისა და მამულიშვილის ურთიერთობის ღვთით ნაკურთხი ენა, რომელსაც ილია მართალი „ღვიძლ სიტყვად“ ნათლავს: „შევძლებ კი, რომ მას (სამშობლოს) ღვიძლი სიტყვა ვუთხრა?!“ და კიდევ ერთხელ: „შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?...“ ამგვარი შინაარსით დაკვალიანებული მეტყველებების უნარს თუ ნიჭს ასე გამოითხოვს უფლისაგან ბასილი დიდი (კესარიელი): „მოჰმადლენ ჩუენ მღვიძარე გონება და გულის სიტყუა კეთილი“.

წმ. ბასილი კესარიელის „გულის სიტყვა კეთილი“ და წმ. ილია მართლის „ღვიძლი სიტყვა“ ერთგვარი შინაარსის და მსგავსი ფორმის სახეებია. „მგზავრის წერილების“ საანალიზო მონაკვეთში ავტორი გარკვევით იტყვის: შევძლებ სამშობლოს „ღვიძლი სიტყვა“ ვუთხრა და **გულისტკივილი** მოვურჩინო?... „ღვიძლი სიტყვა“ უშუალოდ იმავე გულს ემსახურება, რომლის ნამლადაც „გულის სიტყვა კეთილი“ ყოფილა განჩინებული. ქართული ენა, ვითარცა წარმოქმნის უნარის მქონე ენერგია, ასეთ ხატსაც ჭვრეტს და უსმენს: – „გულისხმიერება“. გული უსმენს და ეხმიანება, გულივე გვიხმობს კიდევ. 1954 წელს გრიგოლ რობაქიძე უცხოეთიდან ასე ეხმიანებოდა ქართველ ახალგაზრდებს: „მამულის გულით გიხმობთ შორეთიდან, ახალგაზრდებო!“. „გული“ 851-ჯერ მოიხსენება ძველი აღთქმის ფურცლებზე (ს. ავერინცევი). ბიბლია ადამიანურობის ყველაზე უფრო ღრმა და მეტყველ გამოხატულებად გულს მიიჩნევს. იერემია წინასწარმეტყველი კი ერთმანეთის იგივეობ-

რივად სახავს კაცსა და გულს: „ღრმა არს გული უფროს ყოველთასა და კაც არს“ (17, 19). „გული“ თურმე „კაცის“ ნაცვალსახელია, კაცობის ტოლფასია. „მგზავრის წერილების“ საანალიზო მონაკვეთის „ღვიძლი სიტყვა“ უშუალოდ შეზრდილია გულთან: შევიძლებ „ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და **გულისტკივილი** მოვურჩინო?...“ იქვე ნათქვამია, რომ მწერალი მოდის სამშობლოში თავისი „ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად“. შემდგომ კი ვკითხულობთ: „იმის (მამულის) **სიტყვასაც** და **ენასაც** გავიგებ, იმიტომ, რომ მამულის **სიტყვას** მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, **გულითაცა**, რომლისთვისაც **დუმილიც გასაგონია**“. დუმილიც მეტყველებს, თურმე დუმის ენაც არსებობს, ენა უღრმესი და უიდუმალეს ჭეშმარიტებათა გამომეტყველებელი, რომელთა მოსახელთებლად ჩვეულებრივი „ენა დაშვრების“ ამაოდ (რუსთაველი). „ბრძნად მეტყუელება ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილ ოქროჲ რჩეული“ (უთქვამს სოლომონ ბრძენს). ისტორიულად ასკეტური მოღვაწეობის ერთობ რაფინირებულ ფორმად მიიჩნეოდა „ისიხაზმი“ – ღვთის უზენაესობის დუმილში განცდა. „გენიოსური კალმის მოსმად“ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს „ვეფხისტყაოსნის“ ის ეპიზოდი, სადაც სრული დუმილით მთავრდება ტარიელ-ნესტანის პირველი პაემანი. დუმის-მეტყველების მშვენიერებას მერე თავად მიმართა ილიამ „ოთარაანთ ქვრივში“ (მიმართა ბარათაშვილმა („ჩემი ლოცვა“), მუხრან მაჭავარიანმა („დუმილი რეკავს“), ტუტჩევმა („Silentium“).

ქართულ ეთნოსს, ქართულ ენობრივ ცნობიერებას გაგონების ჩვეულებრივი ორგანოს (ყური) რაობასა და უნარზე ძველთაგანვე „დაუშენებია“ არაჩვეულებრივი შინაარსის მოსასმენის, გასაგონის აღქმის უნარის მქონე წარმონაქმნი – „გულისყური“. „გულისყური“ სიტყვა-სახეა, საქმეში ჩარეულია ესთეტიკური იმპულსი. ასეთ სიტუაციაში გერმანული ეთნოსი იტყვის – „შინაგანი ყური“.

ჰ. გ. გადამერს მოვუსმინოთ: „შინაგანი ყური“ მოიხელთებს იდეალურ ენობრივ სახეს – ისეთ რაღაცას, რომლის გაგონებაც შეუძლებელია. ხომ შეუძლებელს ითხოვს ადამიანის ხმისაგან იდეალური ენობრივი ხატი – ხომ სწორედ ამაშია ლიტერატურული ტექსტის არსებობის სპეციფიკა“ („ფილოსოფია და ლიტერატურა“).

იმავე „ოთარაანთ ქვრივში“ წმ. ილია მართალი ტოლ-სწორობის ნიშანს სვამს „გულსა“ და „მადლს“ შორის. არჩილი ეუბნება კესოს: „გული... გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და **დამუნჯებულია, დაყრუებულია...** გული რა არის? მარტო ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა საქმობს, ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან განირვავა და მეორისაგან შენირვა ერთსა და იმავე დროს“. როგორც ვხედავთ, ამ პასაჟის მიხედვითაც, გულიც მეტყველია და მადლიც მლაღადებელია. არჩილი სწორედ იმაზე წუხს, რომ ერთიც და მეორეც „**დამუნჯებულია, დაყრუებულია**“ (არც „მუნჯობა“ და არც „ყრუობა“ არ არის აქ მხოლოდ მასალა რაღაც საგნობრივი, სოციალური, ყოფითი სინამდვილის საუნწყებლად; ზნეობრივ-სულიერ ფასეულობათა ხატებია). ხოლო ეს ფასეულობანი რომ ქრისტიანული მორალის ქრესტომათიული მცნებებია, ესეც ხომ ცხადია. ჰუმბოლდტის ის ფრაზა გავიხსენოთ, რომ ღვთისაკენ მიმართულ გულისწადილს შემართებას ენა ანიჭებს. ასე რომ, წმ. ილია

მართლის სჯა ენის, მამულისა და მამულიშვილობის შესახებ მშობლიურ ენაზე გავლით სარწმუნოებისაკენ მიემართება. ამასთან დაკავშირებით გავიხსენებთ, რომ მაქს მიულერს აქვს გამოკვლევა ასეთი სახელდებით – „სიტყვიდან სარწმუნოებისაკენ“ (კრებული „ენები როგორც სამყაროს სახე“).

ნმ. ილია მართლის სჯანი „მგ ზავრის წერილებისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ ამ ფრაგმენტებში დედაენის ერთგვარ თეორიადაც წარმოგვიდგება; ოღონდ იგი მოწოდებულია არა თეორიულ-ლოგიკური განსჯის ფორმით, არამედ თვით ენა და სტილი ამ ლაღადისისა ძალდაუტანებლად გვკარნახობს ლინგვისტურ დეფინიციას. აქ ეროვნული ხასიათის და ცნობიერების ზნეობრივი სიჯანსაღის და თვითკმარი ფასეულობის გამოცხადებაცაა. ოღონდ ეროვნული მოწოდებულია ტენდენციურობის გარეშე და ისე რაფინირებულია, რომ ბუნებრივად მიგვაქცევს იმ ზოგადქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრისაკენ, რომ „პირველითგან იყო სიტყვა“.

წმინდა ილია მართალი დაბეჯითებით გვმოდღვრავს, რომ სივრცე და ბუნება იმ მხარისა, სადაც იბადება და იზრდება ადამიანი, ერთობ მნიშვნელოვანი სისხლძარღვია ეთნიკური რაობის დასაკვალიანებლად. ცხოველმყოფელობა კონკრეტული მიწა-წყლის და ეთნოსის ინდივიდუალობისა ღვთისაგან ბოძებული მადლია, რათა ზოგადსაკაცობრიო იდეალებს მივადგათ კიბე; ძალიან მაღალი კიბეც მინას უნდა დაეზღინოს. „ზეცა მინიდან იწყება“ (ო. ჭილაძე). ასეთ ფიქრებს აღძრავს ილიას ლექსი „ყვარლის მთებს“.

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის შემჩნევას, რომ „ყვარლის მთების“ ოცი წლის ავტორის ეროვნულ ცნობიერებას ერთობ ცხოველმყოფელი ტვიფარი აჩნია სამშობლოს მიწა-წყლის ამალღებული განცდისა. სამშობლოს მთები ლირიკული გმირის „გულთან“ „ბუნებითაა შეუღლებული“; ეამაყება, რომ ამ „მთებს შორის დაბადებულა“, ამ „ბუნების შვილია“, ეს მიწა-წყალი მალამოდ სცხებია, რათა „ქართველად გაზრდილიყო“. ჯერ კიდევ „ყრმას“ ინტუიციით განუცდია ამ მთების სიდიადე.

წარკვევაში „საქართველოს კოსმოსოფია“ გიორგი გაჩევი იტყვის: „ინტუიციის უმთავრესი მიგნება მთებს უკავშირდება. **საქართველო მიჯაჭვულია მთებზე.** მთებშია ქართველების ხსნაც და სატანჯველიც. საქმე ის არის, რომ მთებმა მათ ნახევარი ზეცა წაართვა“ (ვაჟა-ფშაველაც ასე იტყვის მთებზე: „იმათ ჩაუნთქამ ქვეყანა“). რას უნდა ნიშნავდეს „ნახევარი ცის წართმევა?“ სიტყვა „ცა“, თავისი კონკრეტულ-საგნობრივი მნიშვნელობის გარდა, ხომ ხშირად გადატანითი, პოეტური აზრით იხმარება, უფლის სამყოფელზე თუ ღვთაებრივზე მიანიშნებს („მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“; ავთანდილი როსტევეანზე ეტყვის ტარიელს: „პატრონი, ჩემი გამზრდელი... მშობლური, ტკბილი, მოწყალე, **ცა** წყალობისა მთოველი“; ილია: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“).

„ნახევარი ცის წართმევა“ იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ ღვთის სიდიადის და ძღვეამოსილების ინტუიტურ-პოეტური ჭვრეტა ქართველის ცნობიერებაში, გარკვეულწილად, ზეცისკენ ატყორცნილი მთების ამალღებულობის, შემართებისა და იდუმალების განცდას შეხორცებია.

ძველი აღთქმისეული ტრადიცია მთებში ხედავს ღვთის დაურღვეველი სიმართლის სიმბოლოს: „სიმართლენი შენნი ვითარცა მთანი, ღმერთო...“ (ფსალმ. 35,7). ღვთაებრივი გამოცხადების ადგილი ბიბლიაში უპირატესად არის ქორეზის მთა. მოსეს აქ ეცხადება უფალი: „მოვიდა მთასა მას ღმერთისა ქორეზს“. თვით ღმერთი მიანიშნებს მოსეს: „ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანა წმიდა არს“ (გამოსლ. 3, 1-5). რათა ეზეკიელს იერუსალიმი აჩვენოს, ღმერთს იგი ექსტატიურ ხილვაში გადაჰყავს „ძალიან მაღალ მთაზე“ (ეზეკ. 40, 2). აღმართულან რა დედამიწიდან მაღლა, მთები თითქოს ღმერთთან შეხვედრას მოასწავებენ, ძლევამოსილების სიმბოლოდ წარმოგვიდგებიან. ადამიანები მიდიან, მთები დგანან; „დგანან და ელიან. უსაზღვროა მთების მოლოდინი: უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში...“ (ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი“). პოემა „ბახტრიონში“ მთები „ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან“.

სამშობლოს სიყვარულის თემა წმინდა ილია მართლის ლექსში ერთობ არაორდინალურად არის გაშლილი. სჯა ყვარლის მთებზე აქ საქართველოს მინა-წყლის ზოგადი გეოგრაფიული იერსახის, საერთო მონახაზის ყველაზე თვალშისაცემი შტრიხის სიღრმისეული აზრის ინტუიტიურ-პოეტიურ წვდომასა და გახსნა-გამოცხადებას ემსახურება. მთები აღიქმება ვითარცა ხერხემალი საქართველოს მინა-წყლისა. უხსოვარი დროიდან ამ მთებსა და ხეობებში ფეხადგმული ეთნოსი ამ სივრცეს ღვთაებრივ სულად რაცხდა. ეს ეთნოსი ამ სივრცეში თურმე „ჩადგა ვით ძელქვა რკინის ფესვებით“ (გ. ლეონიძე).

სხვაგვარი ფესვებით ქართველობა ამ სივრცეში ფეხს ვერ მოიკიდებდა. ეს მთები, მზისკენ რომ იზიდებიან, ცის თავანს რომ ებჯინებიან, ძლევამოსილებისა და ამაღლებულობის სუნთქვას აგრძნობინებენ ამ მინა-წყლის მკვიდრთ, ანცვიფრებენ და თავისუფლების შთაგონებით ავსებენ; თითქოს გვაშინებენ კიდეც, რადგან სტიქიონურ ძალთა აზვირთების სურათებს მოგვივლენენ; დედამიწის გულში დაგროვილ-დაკუმშული ენერგია თითქოს აქ ამოხეთქავს, მთების მწვერვალებიდან გადმოიღვრება; აქ დაწყვეტს არტახებს, „სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავენ შიშით სრბოლასა“ („მთა-ქარიშხლებისა“, „მთა-ზეცისა და მიწის კავშირი“, – იტყვის თ. დომბარტი ზემოთ დასახელებულ წიგნში). მაგრამ ამგვარი შიშის განცდაც ზედროულ-ზესივრცულისაკენ, გამოუთქმელისაკენ მიგვაქცევს, კრძალვითა და სასოებით გვაესებს. თვით პოეტს მოვუსმინოთ:

მახსოვს ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს **სიდიადე** თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.
მე თრთოლვით ვჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმანვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, –

იქ მე ვნატრობდი ყმანვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არნივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.
როცა ჰლმოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რალაცას ნაცნობს, მშობლიურს.
ან მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.

ამ ლექსში, სათაურიდანვე მთებისაკენ რომ მიაპყრობს ჩვენს სულიერ მზე-
რას, თითქმის არ არის ისეთი მხატვრული სახე მშვენიერების ესთეტიკური კატეგო-
რიის ნიმუშად რომ მივიჩნევდით. ესთეტიკურის ძლიერი განცდა, მხატვრული ხიბ-
ლი ძირითადად ამაღლებულის ესთეტიკურ კატეგორიაზეა დამყარებული. აქ გან-
სახიერებული საგნებისა და მოვლენების შინაგანი იდეალური ფასეულობა, უმეტეს
შემთხვევაში, ვერ ეტევა გამოსახვის რეალურ ფორმებში. ამგვარი განსახიერების
კვალობაზე იყო, რომ კანტი („მსჯელობის უნარის კრიტიკა“) და შილერი („ამაღლე-
ბულის შესახებ“) ერთმანეთს უპირისპირებდნენ „მშვენიერს“ და „ამაღლებულს“,
უპირატესობას ანიჭებდნენ ამაღლებულის ესთეტიკას. მშვენიერში, მიუთითებდნენ
ისინი, ერთობ ღრმა შინაარსი თუ იდეაც დასაზღვრულია ფორმით, ეტევა, ამოიწუ-
რება ფორმით. ამაღლებულის არსი დაუსაზღვრელობაში იძირება; ის, რისკენაც
ამაღლებულის ესთეტიკა გვიხმობს, ჭვრეტისა და წარმოსახვის ადამიანურ უნარს
აღემატება; ამაღლებულის ხატი უსასრულობისაკენ მიგვასწრაფებს, შთაგონებით
გვაგვებს, თავისუფლების ნიჭს აღვიძებს.

წმინდა ილია მართლის ლექსი არსებითად ამაღლებულის ესთეტიკით გვიხიბ-
ლავს. ყვარლის მთების სივრცე უსასრულობის, შთაგონებისა და თავისუფლების
იმ სულისკვეთებითაა ამოვსებული, რომელიც ამ მინა-წყლის მკვიდრთა სულებს
უშურველად ასაზრდოებს.

„ყვარლის მთების“ დასაწყისშივე შეიმჩნევა, რომ ავტორის შთაგონება ამაღ-
ლებულის ესთეტიკითაა აღძრული:

მახსოვს ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...

სიდიადის და მიუნვდომლის, იდუმალის ზეციური საუფლო უხმობს ლირი-
კულ გმირს და ისიც რომანტიკული შემართებით ელტვის „ზენაართ სამყოფს“. იგი
„თრთოლვით ჭვრეტს ლაჟვარდ ცაზე“ მთების „სიმაღლეს“, „ზემო მხარეს“, „სადაც
ღრუბელნი ვერ ჰბედავენ შიშით სრბოლასა“; ამ სიმაღლეებს „წეროთა ქარავანი
ძლივ-ძლივ გასწორებია“; „ყმანვილ-ყრმობის სიმარტივეს“ ამ სიმაღლეზე არნივის
ფრთებით აფრენა და ბუმბერაზების „ამაყ თავთან შეხება“ უნატრია. თურმე იქაურ
ხეობებში „სასტიკნი ქარნი“ დაჭრილ ლომთა“ ხმით ღმუიან.

„სასტიკ ქართა“ დაჭრილ ლომისებრ ღმუილის გარემოში, თავისუფალ არნივ-თა ქროლვის საუფლოში, დაუდგრომელი მოძრაობისა და მოქმედების იმ სივრცე-ში, „ლაჟვარდ ცათა“ სიახლოვეს რომ არ ცხრება, ჩასახულა, გამოჩეკილა და და-პურებულა ქართველთა ჯიში. ეს გარემოა ლირიკული გმირისათვის „მშობლიური“, მთებს, ვითარცა „მეგობრებს“, ისე შეესიტყვება: „ან მომნონს თავი, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი, გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“. ჭეშმარიტ ქართველად თურმე ამგვარ მინა-წყალზე აღზრდა და ამ სივრცეში მფეთქავი სულით სუნთქვა გვხდის. ამ სტრიქონებში ღვი-ვის პათოსი მოძრაობისა, ჭირთმენისა და სიმტკიცისა, საბოლოოდ, – თავისუფ-ლებისათვის მუხლჩაუხრელი ბრძოლის პოეტური აპოლოგია (შევადაროთ: პუშკინ-ისათვის „Море – свободная стихия“; „Прощай, свободная стихия!“ (ლექსი „К Морю“), „Гроза – символ свободы“ (პოემა „Езерский“).

* * *

ეს სულისკვეთება, სამშობლოს მინა-წყლის შინაგანი პულსის მიყურადებით და გარეგნობის ნაკვთიანობით რომ გვეუფლება, კიდევ ერთხელ დიდებულად გახმი-ანდება მეოცე საუკუნეში. ვგულისხმობთ გიორგი ლეონიძის ლირიკულ შედევრს სა-გულისხმო სათაურით „მთები“. ამ ლექსში სულის შემძვრელ სურათებადაა გაცოცხ-ლებული, თუ როგორ ცდილობდნენ მტრები, ამოეძირკვათ მშობელ მინას „რკინის ფესვებით“ ჩაჭიდებული ქართული ეთნოსი, „ვეფხვის ჯიში და ხმლის ჯიში“.

დაგვწვეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს
თავისუფლების ამაყი სული.
იგი გადურჩა ბორკილს და ციხეს,
ის მთებში იყო გადახიზნული!
მთებო, ვერ ჰკლავენ ამ სულს ომები,
და თუ მოსთხრიან, ამოჰზარავენ, –
თქვენ დაიბლავლებთ, როგორც ლომები,
როდესაც ძუ ლომს ლეკვს მოჰპარავენ!

ამ ლექსშიც ის აზრია გატარებული, რომ თავისუფლებისა და მამულის სიყვა-რულის ღვთაებრივი ნიჭი, ამაღლებულობის ნათელი მთებიდან ეფინებოდა ქართვე-ლობას, ჭირთათმენის ძალისხმევისათვის უთბობდა გულს. თავისუფლების ნიჭს, გვეუბნება პოეტი, ლომებრივი ბუნება აწოვებს ძუძუს, თავისუფლების „მოთხრა“ ლომობის სიკვდილია. ჩვენ გვგონია, რომ ლომის ხატი ლექსში თავისუფლების სულზე მიმანიშნებელი სიმბოლოა; მთებში, ორივე ლექსის მიხედვით (ილიასა და გ. ლეონიძისა), „ლომის ღმუილია“, თავისუფლების სული ხმიანობს. ილია კი ამბობს: „იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს... გრიგალთა, მეხთა, ქუ-ხილთ შორის ქართველად გაზრდილი“ (ქართველად ამ ხმამ გამზარდაო).

* * *

ვაჟა ფშაველას ესთეტიკური კონცეფციის მიხედვით, არსთა გამრიგეს თვით საქართველოს მიწა-წყალი, ბუნება დაუჯილდოებია ამ ეთნოსის მიერ აშენებული ქვეყნის ჭირისუფლობის ცნობიერებით. გრიგოლ რობაქიძე ამბობს: „ცნობიერება პოეტისა თავის სახეს ჰქმნის ბუნებაში და ამით მას ასულიერებს, – და ბუნების ასარკვაში ქმნილი სახე ცნობიერებისა ხდება სიმბოლო მათი – ცნობიერების და ბუნების – ერთიანობისა“. პოემა „ბახტრიონში“ ასეთი ეპიზოდია: ლაშარის ხატში თავმოყრილი ფშაველ-ხევსურნი სალაშქროდ ემზადებიან. ლაშქარს თავს წამოადგა ცხენზე ამხედრებული ლელა, „წვერმახვი შუბით“ შეიარაღებული. ქალი ითხოვს, ლაშქარში მიიღონ, თათრებისაგან დახოცილი ძმების სისხლის აღება სწადია. უარი უთხრეს, „კაცრი დედაკაცს რა უნდაო“.

წავიდა გულ-ჩათეთქვილი,
მივალის ძალი-ძალადა.
ქალის ქვითინსა მდულარეს
მთანი იწერენ მკერდზედა;
ცრემლით ატირდნენ წყარონი,
ჩამომდინარნი გვერდზედა;
დაბერებულა პირიმზე,
კუზი ეტყობა წელზედა...
ოცნება ტანჯული ქვეყნის
ქვითინებს მთისა წვერზედა.

აქ ჩვენ გვესაუბრება დიდი პოეტი და ვიზიონერი, ათასწლეულების სიღრმეში ოცნებით გადასახლებული კაცი, შინაგანი ხედვისა და სმენის დიდი ნიჭით დაუჯილდოებული, რომლის სული და გონი ჯერ არ დადლილა ანალიტიკური აზროვნების ლაბირინთებში ხეტიალით. მისი მეტყველება არის წყაროსთვალავით ანკა-რა, ლოცვასაცვით თბილი და იმ მაღლით აღბეჭდილი, რომელსაც ძველი ბერძნები ეთიკურ-ესთეტიკურ კატეგორიად მიიჩნევდნენ – „ჰე აპლოტეს“, ძველი ქართველი მწერლები კი „სინოფობას“ უწოდებდნენ. ამგვარი უბრალოების კვალობაზე, გ. რობაქიძე „ვაჟას ენგადიში“ ვაჟას ასე მოიხსენიებს: „ბუნების შუაგულიდან მზირალი, კაცი პირვანდელი“ ამგვარი სტილი, მიუთითებს გ. რობაქიძე, ნიშნეულია ფიროსმანისათვის: „მთავარი მოტივი ფიროსმანისა არის ქართული „მიწა“, მე არ შემიძლია მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა ფშაველასი, რომელსაც ასეთი სიძლიერით ეგრძნოს მიწის „დედობა“ („ნიკო ფიროსმანი“). ქართული ეთნოსისა და მისი მიწა-წყლის სისხლხორცეულ სიახლოვეზეა აქ საუბარი.

ეს სურათი ვაჟას შემოქმედებისათვის ნიშნეული მითოსური ხედვისა თუ ხილვის ნიმუშია. მითოსურია, მაგრამ არ არის მითოსი. რეალურში იდეალურის ძიების პათოსის ღვთაებრივი ნიჭით შთაგონებული ვაჟა ამ ამოცანის ხორცშესხმისათვის გადასახლდება (და გადაგვასახლებს) მითოსის სამყაროში, ესთეტიკური თვალსაზრისით იყენებს ამ სამყაროსათვის ნიშნეულ მხატვრულ-სახეობრივ სისტემას. ამ სისტემას კი ახასიათებს ბუნების გაადამიანურება, კოსმოსის ფრაგმენტების გასულიერება. „ლიტერატურის მსგავსად, მითები ნილნაყარია შინაარსობრივ ხატო-

ვანებასთან: იქაც და აქაც იდეა განუყოფელ მთლიანობაშია გრძნობად სახესთან. მაგრამ მითები გაუცნობიერებლად ხატოვანია და ეს განასხვავებს მას ლიტერატურული შემოქმედებისაგან. მითი რეფლექსიამდელი (გააზრებისა და გაცნობიერების ჟამამდელი. – გ.ფ.) კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია, მაშინ, როცა ლიტერატურისათვის განმსაზღვრელი მომენტი სწორედ ავტორის სუბიექტური რეფლექსიაა, ე.ი. საკუთარი აზრი, თვალთახედვა. „მითოლოგია პირვანდელი პოეზიაა“ (ს. ავერინცევი, „მითები“). ასეთია იგი არა მხოლოდ გენეტიკურად, არამედ სინამდვილის განსახიერების სტილით, მანერით. ვაჟას იმ ნაწარმოებში, ბუნების თემას რომ ეხება, დაკვირვებული მზერა კარგად გრძნობს ავტორის სუბიექტურ პროფილს, წყალგამყოფს საგანსა და მის ხატს შორის, ნივთსა და სიტყვას შორის (ვაჟას სუბიექტური „მე“, ვითარცა მწერლისა და შემოქმედისა, რომ სრულიად გამოკვეთილია, გამოყოფილია კოლექტიური ცნობიერებისაგან, ამაზე სჯა, რა თქმა უნდა, ზედმეტია, მაგრამ ერთ სტრიქონს მაინც მოვიხმობ ლექსიდან „ჩემის კაცობის გვირგვინო“: „არ მიღალატო, ოცნებავ, მნახოდი მალე-მალეო“).

რას ნიშნავს, რომ „მითოლოგია პირვანდელი პოეზიაა“? – იმას, რომ მითისათვის ნიშნეული ხედვაც (როგორც უკვე ითქვა) ხატოვანია, იდეა მხატვრული სახითაა ფორმირებული, ნიშანი, ხატი განუყოფელია იმასთან, რის ხატიცაა (ესთეტიკური შეგნება არაა დიფერენცირებული საგანთ სამყაროსაგან). ისტორიის უადრესი ეტაპის კოლექტიური ცნობიერება გვესიტყვება მითიდან და ამიტომაც მითოსური მხატვრული სახე გამჭვირვალე, ბავშვური უბრალოებით არის აღბეჭდილი და „ბუნების შუაგულიდან მზირალი“; ამიტომაც იგი „პირვანდელი პოეზია“. და სწორედ იმის კვალბაზე, რომ კაცობრიობის ისტორიის უადრესი ეტაპი მითში ხორცშესხმული მშვენიერების, პოეზიის ენით გვესიტყვება, შეიძლება ვთქვათ, რომ „მითოლოგია პირვანდელი პოეზიაა“. ს. ავერინცევის ეს ღრმააზროვანი სჯა კი უკეთ გაგვაგებინებს კ. გადამერის ასევე ღრმააზროვან თვალსაზრისს: „პოეზია არის პირვანდელი ენა კაცობრიობისა“. ხოლო „ის საწყისი, რომელიც გონების შემოქმედებით ძალებს მოძრაობაში მოიყვანს და პოეტურ სახეებსაც კვებავს, არის ენის პირვანდელი პოეზია“. თურმე „შოპენჰაუერს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ლექსი ოდითგანვე წინასწარმოსწავებულია და ჩასახულია ენის სტიქიაში“ (ვიაჩესლავ ივანოვი, „ჩვენი ენა“).

შეგნება იმისა, რომ მშობლიური მინა-წყლის სილამაზე უზენაესი მშვენიერების ხორცშესხმულ ხატად და მადლადაა ბოძებული ღვთისგანვე და ზნეობრივ მოვალეობასაც გვაკისრებს, გაცნობიერებულია და ამკობს პოემა „ბახტრიონის“ გმირს – ლუხუმს. გავიხსენოთ: ლელა რომ ლაშქარში არ მიიღეს, განზილებულ ქალს კვირია ნამოენია გზაზე. ისინი დანინაურდნენ, რათა ლაშქრის მისვლამდე როგორმე შეეღწიათ ციხეში. მოგვიანებით შეამჩნიეს კვირიას გაუჩინარება. ზოგიერთს ცუდად ენიშნა ეს ამბავი. „ნათრევ კაცია, არ იყოს ღალატნიო“. ლაშქარში რომ ეჭვმა ძალა მოიცა, ლუხუმმა ხმა აღიმალლა:

კაცნო, რას ამბობთ ნეტარა?
რად ჰგრეხთ დიაცებრ ჭორებსა?...
**რად არ გაჰხედნებთ, ბრიყვებო,
ჩვენის სამშობლოს გორებსა?...**

ეგრე მუხთალად ლალატი;
მტრისა სალხენად ძმებისა
შინაით გამოტყუება?!
სრულ სიცრუევა, ნუ იტყვით...

„სამშობლოს გორები“ ვაჟა-ფშაველას პერსონაჟების ცნობიერებასთან, კაცობასთან, ისევე არიან შეხორცებულინი, როგორც ყვარლის მთებს „ლალიან-ბარაქიანი“ ძუძუ უნოვებიათ დიდი ილია ჭავჭავაძისათვის. მთებს ვაჟა ბუნების ქმნილებათა გვირგვინად რაცხს:

ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შეადარება...
მინაც ტკბილია მშობლური,
გულს რომ ეყრება ფხვიერა.

უკვე წმინდა წერილის ფურცლებზეა სჯა ღმერთის, ადამიანისა და მიწის ურთიერთმიმართებაზე: „ცა – ცად უფლისათვის, ხოლო ქუეყანა მისცა ადამის ძეთ“ (ფსალმ. 111, 24). მაგრამ ბოძების აქტი ღრმად შინაარსიანია, დამავალდებელია: „მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, **ეგრეცა ქუეყანასა ზედა**“ (მათე, 6, 10). უფალმა ადამიანი მიწისაგან გამოძერწა, სიცოცხლე შთაბერა გამოძერწილს და ანდო, რათა მიწა მარტო ხორციელი არსებობისათვის კი არ ჰქონოდა, არამედ მიწის ნიაღში ჩამარხულ მადლთა სიუხვით ბაღნარად ექცია იგი (რუსთაველი: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“).

დიდი ღვთისმეტყველი ვლადიმერ ლოსკი განმარტავს: „ღმერთმა იმისთვის შექმნა სამყარო, რათა ადამიანი სრულყოფდეს მას და ადამიანიც თავისი შინაგანი ნიჭით შეიცნობს ცოცხალ არსებებს, შეაღწევს მათში და განაგებს ბუნებისეულ სიმდიდრეს... და მიწა თავის პიროვნულ ჰიპოსტასურ საზრისს იძენს ადამიანში. სამყაროსათვის ადამიანი არის ნყალობა და სასოება ღმერთთან შესაერთებლად“ („დოგმატური ღვთისმეტყველება“).

ვაჟა-ფშაველას ერთ ლექსს ჰქვია „მგოსანს“. პოეზიის მსახურთ, უპირველესად, ამას ავალებს პოეტი: „გულს ჩაიყენე **სისხლად** ჩვენი ქვეყანა **მთიანი**“.

ის სივრცე, მიწა-წყალი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, სიცოცხლისათვის დიდ ძალასა და მადლს იმარხავს; დაუშრეტელი ძუძუა ჩვენი ზნეობრივი და ინტელექტუალური პოტენციალისათვის, სულიერი სიჯანსაღისათვის. როგორ ჩნდება სივრცითი კავშირის ინტიმური ხასიათი? ბუნების სილამაზისა და სიმდიდრის გარდა, საქმეში ხშირად მითიური და სუბიექტური განცდებიც ერევა, დაუვინყარი კავშირებით რომ მიგვაცვილებენ ცხოვრების გზაზე. ხშირად ეს კავშირები და ასოციაციები ერთობ მნიშვნელოვანია ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი განკარგვა. „ეს ის ადგილია, რომელსაც მივეკუთვნებით. ხშირად ეს არის საკრალური მიწა, ჩვენს მამა-პაპათა, რჯულმდებელთა, მეფეთა, ბრძენკაცთა, პოეტთა და მღვდელმსახურთა მიწა, და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთვნით მას, როგორც ის ჩვენ გვეკუთვნის“ (ენტონი დ. სმითი, „ნაციონალური იდენტობა“). მსგავს თვალთახედვას გვთავაზობს რაფიელ

ერისთავი ლექსში „სამშობლო ხევსურისა“.

ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: ნაყამანი, არამის მეფის სარდალი, დამასკოს მიდის და იმისათვის, რათა იქ სხვა ღმერთებს არ შესწიროს მსხვერპლი, თან მიაქვს მცირე რაოდენობის მინა ისრაელისა (4 მეფეთა, 5, 17).

* * *

P.S. ქართველთა გადაჯიშების იმგვარი საფრთხე, რაგვარზედაც დიდი ილია წუხდა, საქართველოს ხშირად ემუქრებოდა. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების თითქმის მთელ სიგრძეზე რუსეთი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ქართველობის ასიმილაციისათვის. ამ ვერაგობის ასაცილებლად იბრძოდნენ ერის საუკეთესო შვილები. ერთ-ერთი მათგანი იყო მსოფლიო სახელის მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი გრიგოლ წერეთელი. მოვიხმობთ მისი საუბრის რამდენიმე ფრაგმენტს (საუბარი მიმდინარეობდა ორთაჭალის ციხეში. 1939 წელს კომუნისტებმა მეცნიერი სიკვდილით დასაჯეს. ჩანანერის რამდენიმე ფრაგმენტი გამოიტანა ჟურნალისტმა ალექსანდრე მახარაძემ).

აი, რამდენიმე ფრაზა ამ საუბრიდან: „ერს ეზრდება საკაცობრიო იდეებით ყალბად შეიარაღებული, სინამდვილეში კი ყოველდღიურ პირად კეთილდღეობაზე გადარეული და საკუთარი ერის გენეტიკური თავისთავადობის უარყოფით ღრმად გამსჭვალული ნიჰილისტური საზოგადოება. იგი მთლიანად დაარღვევს და მშვიდობიანად მოძალებულ ზღვაში შეუმჩნეველად გაააღნობს თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად თავისებური, სწორედ საკაცობრიო მნიშვნელობით საინტერესო და სასარგებლო ერის არსებობის საყრდენს – ქართველი ხალხის გენეტიკურ ხელშეუხებლობას, და გადააქცევს მას სახელწოდებით ქართულ, მაგრამ არსით, სისხლით, ჯიშით, თვისებით და მისწრაფებებით კოსმოპოლიტურ კონგლომერატად, საერთო-საკაცობრიო ჰუმანიზმის მომიზეზებით... სწორედ ერთა ნაირგვარობასა და თვით-მყოფადობის ნაირფეროვნებაშია სიცოცხლის აზრი და სილამაზე“.

ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, დაიბეჭდა უნმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1995.
2. Edward Sapir. Selected Writings in Language, Culture and Personality. Berkeley: University of California Press. 1999.
3. W. von Humboldt. On Language, On the Diversity of Human Language Construction and its Influence on the Mental Development of the Human Species. Edited by Michael Losonsky, CUP 1999.
4. Paul Johannes Tillich. Systematic Theology, University of Chicago Press, (2 volume), 1961.

5. Г. Г. Гадамер, Актуальность прекрасного. М.: Искусство, 1991.
6. Сергей Сергеевич Аверинцев. Поэтика ранневизантийской литературы. М.: Наука, 1977.
7. Иванов В. Наш язык // Из глубины. Сборник статей о русской революции. М., 1918.
8. Г. Д. Гачев «Национальные образы мира: Болгарский. Киргизский. Грузинский. Армянский» М.: Прогресс, 1995.
9. ბენჯამენ უორფი, „ქცევისა და აზროვნების მიმართება ენისადმი“, კრებულში „ენები როგორც სამყაროს სახე“, თბ., 2006.
10. მ. ჰაიდეგერი. „გზა ენისაკენ“, თბ., 1992.
11. ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა; თბ., 2000. მთარგმნელი ლ. პატარიძე.
12. ვლადიმერ ლოსკი. დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2010.
13. „წმიდა გრიგოლ ხანძთელი“, თბ., 2006.
14. რევაზ სირაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ., 2005.
15. თამაზ ჩხენკელი. მშვენიერი მძღვევარი, თბ., 1987.
16. ს. რატიანი, სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება; კრებულში „ქართველი ერის დაბადება“, 2009.
17. გურამ რამიშვილი, ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები. თბ., 1972.
18. გურამ რამიშვილი, დედაენის თეორია. თბ., 1981.
19. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2007.
20. ალექსანდრე მახარაძე. ჟ. „რაეო“, №4, 2000.
21. ალექსანდრე მახარაძე. ჟ. „საისტორიო მოამბე“, №73-74, 2002.

GRIVER PARULAVA

Georgian Language, Literature and Faith, Native Land and the Georgians

Summary

The phenomenon of language is naturally connected with the essence and origin of nation. The essential sign of nationality, its heart and soul is language. Each language is marked by many centuries' cultural activity. The article presents a critical analysis of those conceptions according to which the only function of language is verbal communication. Language has its own spiritual value. It has its own aim in itself; it is a vehicle of nation, national idea and world outlook.

კლასიკურ ფიზიკაში სიდიდეები, კანონები და პრინციპები დადგენილია ობიექტური ცოდნის უზოგადესი და აბსტრაქტული სისტემის მიმართ, რომელიც აბსოლუტური სუბიექტის იდეით საზრდოობს. მთელი კლასიკურ-ფიზიკური სამყარო შემეცნების ობიექტად არის ქცეული ძველი რაციონალიზმის ამ აბსოლუტური კერპის წინაშე. ამიტომ ცოდნა ფიზიკური რეალობის შესახებ მთლიანად ობიექტივირებული და ჩაკეტილია მატერიალური სინამდვილის ფარგლებში. ცდის მონაცემები, სათანადო სიდიდეები და კანონები პრეტენზიას აცხადებენ ასახონ ცდისგან დამოუკიდებელი ობიექტები და თავისთავად მიმდინარე პროცესები.

კლასიკურ რაციონალიზმთან თანაზიარ ლიტერატურაშიც მხატვრული რეალობა ობიექტივირებული და ფსიქოლოგიური რეალიზმის ფარგლებშია ჩაკეტილი. შემოქმედი გარეშე მომენტია საკუთარი ქმნილების მიმართ. მას აბსოლუტური და ყოვლისშემძლე სუბიექტის გვირგვინი ამშვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორი მთლიანად აკონტროლებს თავის ნაწარმოებს და ქმნის გმირის მორალური შეფასებისა და სიუჟეტის წარმართვის ერთიან პოზიციას, რათა თავის ნებაზე განავითაროს ყოველი სახე და მოაგვაროს ნებისმიერი კონფლიქტი თხრობის დრამატურგიაში. მხატვრული ობიექტივაციის შედეგად, ნაწარმოები სინამდვილეზე ორიენტირებული, რაციონალური და ერთიანი სისტემის ფორმას იძენს, სახეები და გმირები ბაძვენ რეალურ პირებს, ხოლო ამბავი ისე ვითარდება, თითქოს ის ნამდვილად ხდებოდეს. ავტორი ამ შემთხვევაში უბრალოდ მოგვითხრობს „ნამდვილად მომხდარი“ ისტორიის შესახებ.

აბსოლუტური სუბიექტისა და ყოვლისშემძლე ავტორის სწორედ ასეთ კერპს ამსხვრევს ფენომენოლოგია კვანტურ მექანიკაშიც და პოლიფონიურ პროზაშიც.

აბსოლუტის ტახტიდან ჩამოგდებული სუბიექტი მიკროსამყაროში შედის გაზომვის პროცესის სახით. იგი აღარ უბრუნდება რაციონალიზმის კლასიკურ ქიმერას, ამიტომ შეუძლებელია მისი განყენება და გატანა კვანტური რეალობის მიღმა, რათა სუბიექტმა გარედან, მთლიანობაში განჭვრიტოს ეს რეალობა და დაიკავოს ატომურ მოვლენათა განზოგადებისა და ცოდნის სისტემატიზაციის ერთიანი პოზიცია. განსხვავებით კლასიკური ფიზიკისგან, მიკროსამყაროში აღარა გვაქვს ფიზიკური რეალობის ობიექტური, ერთიანი და მკაცრად დეტერმინირებული სურათი გვაქვს განუზღვრელობა, გვაქვს ალბათობა, გვაქვს ინდეტერმინიზმი, რის გამოც ფიზიკური აღწერა იხლიჩება მიკრომოვლენათა ურთიერთგამომრიცხავ, კორპუსკულარულ და ტალღურ წარმოდგენებად.

იმავე სიტუაციას ვაკვირდებით თანამედროვე პოლიფონიურ პროზაშიც.

სუბიექტი-ავტორი ჩართულია თავის ნაწარმოებში ცნობიერების ნაკადის სახით. ავტორის ხმა იმდენად შერწყმულია პერსონაჟის ხმასთან, რომ შეუძლებელია ავტორის ხმის გამორჩევა, მისი შემოქმედებითი პროცესის დიფერენცირება და გატანა მხატვრული რეალობის მიღმა, რათა მწერალმა გარედან დაინახოს თავისი ნაწარმოები და დაიკავოს მხატვრულ სახეთა განვითარებისა და სიუჟეტის წარმართვის ერთიანი, ავტორისეული პოზიცია. სუბიექტის შეჭრა მხატვრულ რეალობაში იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოები არ წარმოადგენს მხოლოდ შემოქმედების შედეგს, იგი საკუთარი ქმნადობის სუბიექტურ პროცესსაც მოიცავს თავის თავში. ფენომენოლოგიური ინტუიციით შთაგონებული ქმნილება შერწყმულია იმ სულიერ აქტივობასთან, ცნობიერების იმ ინტენციასთან, საიდანაც ის აღმოცენდება, როგორც წარმოსახვის ნაყოფი. ფანტაზიის ამ წარმონაქმნის გენეზისში ხორციელდება ფენომენოლოგიური რედუქცია. ნაწარმოების შინაარსი თავსდება ბრჭყალებში. ამიერიდან გაუქმებულია მისი პრეტენზია ობიექტურ არსებობაზე როგორც გარე სამყაროს მიბაძვის, ასევე გმირის შინაგანი, ფსიქოლოგიური რეალობის ჩვენების თვალსაზრისით. ამიტომ, შექმნილია განუზღვრელობის სივრცე, აბსურდის სიტუაცია, სადაც ნაწარმოები თავის თავს აჩვენებს, როგორც პირობითობას, როგორც თამაშს. განცდა ისეთია, თითქოს ბოლომდე ახდილია ნაწარმოების ფარდა და ცნობიერების სცენაზე ნაჩვენებია თამაშის ის ქვეცნობიერი, ფარული წესები, რომლებიც მის ლიტერატურულ პირობითობას ქმნიან.

ყოველივე ეს აშკარად მოგვაგონებს ფენომენოლოგიური სუბიექტის შეჭრას კვანტურ მექანიკაში, რაც იწვევს ფიზიკურ სიდიდეთა ალბათობას და განუზღვრელობას მიკრომოვლენათა თამაშის სცენაზე. მსგავსად კვანტური ფიზიკისა, აქაც ირღვევა მხატვრული რეალობის ობიექტური ფორმა, ჩნდება შემოქმედებითი თავისუფლება, ჩნდება ინდეტერმინიზმი, ჩნდება განუზღვრელობა და პერსონაჟთა მრავალხმიანი კამათი პოლიფონიურ ჟღერადობას იძენს.

საგულისხმოა, რომ თანამედროვე ლიტერატურის ანალოგია კვანტურ მექანიკასთან გარკვეულად ეხმიანება კვლევის ახალ შედეგებს სიტყვიერ ხელოვნებაშიც, კერძოდ, „ავტორის სიკვდილის“ ფაქტს და მხატვრული ტექსტის თვითმოძრაობის პრინციპს.

* * *

ჩვენ მიერ დამყარებული ანალოგია არ არის ფილოსოფიის ტრადიციული გზა – კატეგორიების მიხედვით განაზოგადოს, ერთი მხრივ, სპეციალური მეცნიერება – ფიზიკა, მეორე მხრივ კი, ლიტერატურული ხელოვნება. ამ განზოგადებაში იკარგება ის განუმეორებლობა, ის სპეციფიკური არსი, რაც ამ სფეროებს განასხვავებს ერთმანეთისგან. საკითხისადმი ფენომენოლოგიური მიდგომა, ანუ მსგავსების ძიება განსხვავებათა შენარჩუნების გზით, ნიშნავს იმას, რომ თავად ფიზიკის, კვანტური მექანიკის წიაღში მოვძებნოთ ისეთი თეორია და პრინციპი, რომლებიც თავისი სიღრმითა და მასშტაბით გასცდება ფიზიკის ფარგლებს და ფილოსოფიური განზოგადების პერსპექტივას შექმნის.

ჩვენი აზრით, ეს არის კვანტური თეორია და დამატებითობის პრინციპი. თავად ამ პრინციპის ავტორი ნილს ბორი აღნიშნავდა, რომ იდეა დამატებითობის შესახებ შესაძლოა შორს გასცდეს ატომური ფიზიკის ფარგლებს და გავრცელდეს კულტურის სფეროში. ბორის სწორედ ეს მოსაზრება გვაძლევს საშუალებას გავაფართოვოდ დამატებითობის პრინციპი, როგორც ისტორიულ-კულტურული ფენომენი, ჩამოვაცალიბოთ კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგიური კონცეფცია და ამის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ანალოგია კვანტურ მექანიკასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის.

ფილოსოფიის ზოგადი პოზიციიდან თუ შევაფასებთ, ასეთი ანალოგია არ არის შემთხვევითი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ერთი და იგივე მეთოდი ინტუიტიურად გამოიყენება როგორც კვანტურ ფიზიკაში ატომური ობიექტის მოდელირების დროს, ასევე თანამედროვე, ე.წ. „ცნობიერების ნაკადის“ პოლიფონიურ ლიტერატურაში, მხატვრული სახის ქმნადობის დროს. ფიზიკურ და მხატვრულ რეალობათა განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში მოქმედებს ფენომენოლოგიური აზროვნების პრინციპი სუბიექტის და ობიექტის განუყოფელი ერთიანობის შესახებ. კვლევის შემდგომმა გაღრმავებამ აჩვენა, რომ სწორედ სუბიექტ-ობიექტის ფენომენოლოგიური ერთიანობა განაპირობებს კვანტური შემეცნების (გაზომვის) სიტუაციის მთლიანობას, მიკრომოვლენათა ალბათურ ხასიათს, კორპუსკულარულ-ტალღურ დუალიზმსა და ინდეტერმინიზმს.

ალბერტ აინშტაინთან დისკუსიის დროს ნილს ბორი საგანგებოდ ხაზს უსვამდა, რომ კვანტური შემეცნებითი სიტუაცია იმდენად მთლიანი და განუყოფელია, რომ აზრი არ აქვს ვილაპარაკოთ ატომურ ნაწილაკზე, როგორც თავისთავად არსებულ ობიექტზე მისი გაზომვისა და შემეცნების პირობების გათვალისწინების გარეშე. როგორც ვაჩვენეთ, სწორედ ბორის ამ გამონათქვამიდან ლოგიკურად გამომდინარეობს სუბიექტისა და ობიექტის განუყოფელი ერთიანობის იდეა.

შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა, რომ მსგავსი ფენომენოლოგიური ერთიანობა იქმნება „ცნობიერების ნაკადის“ პოლიფონიურ პროზაშიც. თუკი აქ სუბიექტად მივიჩნევთ მხატვრული ნაწარმოების ავტორს, ხოლო მხატვრულ ობიექტად – პერსონაჟს, ავტორისა და გმირის ამ მიმართებაშიც სუბიექტ-ობიექტის მთლიანობას ვღებულობთ. ასეთი ერთიანობის გამო, ავტორის ხმა ხშირად ერწყმის

პერსონაჟის ხმას, ხოლო ეს უკანასკნელი არაერთგზის არღვევს მხატვრული სახის საზღვრებს და გვევლინება ნაწარმოების ავტორის როლში.

როგორც კვანტურ მექანიკაში, ასევე „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში, სუბიექტი ჩართულია არა აბსტრაქტულად, მეცნიერული ცნებებისა თუ მხატვრული პრინციპების სისტემის სახით, არამედ იგი „შეჭრილია“ თავის სააზროვნო სივრცეში, როგორც ცნობიერების ნაკადი, როგორც ცოცხალი, შემოქმედებითი პროცესი, რომელიც, ერთი მხრივ, ქმნის კვანტური ობიექტის ფიზიკურ აზრს, მეორე მხრივ კი, იწვევს ავტორის და პერსონაჟის განუყოფელ ერთიანობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერებაშიც და ლიტერატურულ ხელოვნებაშიც, შემეცნების და შემოქმედების საგნები ემსგავსებიან ერთმანეთს. სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის ძალით, მათ ენიჭებათ თავისუფალი ნება. ამ ნებაყოფლობით მისწრაფებაში ისინი გადადიან მატერიალური სამყაროს საზღვრებს და ქმნიან ახალ, „არაკლასიკურ“ რეალობას, რომელიც ყოველთვის ღიაა ცნობიერების წინაშე და როგორც ინტენციონალური ფენომენი, არც არსებობს თავის შემოქმედებით პროცესთან, თავის სუბიექტურ ყოფიერებასთან ერთიანობის გარეშე.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს შევიყვანოთ კვანტურ მექანიკაში არაპიროვნულად მოცემული სუბიექტი, რომელიც გვიჩვენებს მიკროფიზიკური რეალობის ფენომენოლოგიურ ღიაობას ადამიანის ცნობიერების წინაშე.

ლიტერატურა:

1. კაკაბაძე ზურაბ, რჩეული ფილოსოფიური შრომები, გვ. 10-229. ბათუმი, „შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი“, 2012 წ.
2. ნილს ბორი, ატომური ფიზიკა და ადამიანური შემეცნება, მოსკოვი, 1961, გვ. 40-43, 139-148.
3. ჰიუტი ვლადიმერი, დამატებითობის ცნება და ცოდნის ობიექტურობის პრობლემა, ტალინი, 1977.

MAMUKA DOLIDZE

The Subject in Quantum Physics and the Author in Modern Polyphonic Fiction

Summary

The aim of our investigation is to use Husserl's phenomenological approach and Bohr's quantum conception to explain the polyphonic style of literary works. We assert that the occurrence of analogy between Bohr's conception and the "polyphonic style" in literature was not coincidental since this analogy had a philosophical ground; i.e. both areas use the same phenomenological approach - one deals with the construction of the object of science and the other - with the creation of an artistic form.

Phenomenological approach shows, that the reflection of premise of mind anticipates the reflection of objects and events of cognizable world. Premise of mind includes the possibility of knowledge, i.e. the possibility of correspondence between external things and the nature of thinking. According to it, a physical object should be considered in integrity with the conditions of cognition, which determine the possibility of such correspondence. Therefore, the physical object, taken in this integrity, is unique, since it is determined by irreversibly changing consciousness.

Bohr's understanding of quantum theory meets this phenomenological requirement. The famous scholar emphasized an indivisible coexistence of a subject and an object when speaking about the impossibility of considering the atomic object apart from its measurement conditions.

Consequently, unlike classical physics, we observe the subject's penetration into the quantum area. Therefore, the description of atomic world disintegrates into two independent (wave-particle) parts and instead of a single, integrated form we obtain polyphonic pictures of physical events. When moving from one picture to another, subjective conditions irreversibly change without having a common integrating ground underneath. The subject takes part in the construction of the quantum object not as a transparent, immaterial mirror, reflecting the atomic world, but as a special form of existence, which gives quantum particles a physical meaning. The subject's consciousness is regarded as a vital essence, but not as an absolute, all-powerful mind - the determining basis of classical physics.

Now, let us trace a link between the construction of a physical picture and forms of fiction. When substituting a scientific subject by the author of fiction, two different forms of subject-object relation arise. If a literary work implies the author as an omnipotent subject, it means that the author controls and fully determines his work, solving every conflict within it. Here the author acts as a narrator, who knows everything about the story and tells the facts as if they have happened in reality. Therefore, such an impartial author is beyond the story and his work

acquires an objective form of reflection of the actual events. We denote such literary works ~single base forms”.

The subject-object relation reminds the picture of classical physics, where physical objects and interactions are given in the objective form of being, as if they were independent from the subjective conditions determining the physical objects. These conditions are considered beyond the physical picture.

Unlike classical physics, quantum picture is constructed according to the phenomenological method. That is why, the mind participates as a subjective existence here and instead of physical object we have the concept of quantum phenomenon, which is an indivisible result of subject-object interaction.

If a writer is in a position to apply the phenomenological method to fiction, the situation similar to that in quantum sphere occurs. Phenomenological approach considers a literary work as a phenomenon, which implies in it the process of its creation. This work involves the author’s stream of consciousness. The author neither personally nor objectively, but as a subjective process of creation, penetrates into the story and the work loses its strictly objective form. The author does not intend to present the facts in such a way as if they have really taken place. All these results make an impression that a real stream of the author’s consciousness runs through his creation, causing the deletion of borders between the characters and the author.

Thus, once entering his creation, the author destroys its objective form and the work acquires the conditional nature of invention. Strictly speaking, the story shows itself in an undetermined area, lying between the forms of reality and invention, for no objectification act takes place in regard to the external world, or in the inner world of the author. On the whole, a subject’s penetration implies a loss of certainty and clarity of the objective content of a fiction. Absurdity and uncertainty become features of artistic reality as it is in the case with quantum reality. Absurdity reflects not a chaotic state of external world, but uncertainty of our consciousness. Thus, a subject’s penetration disintegrates a single-base form of fiction, mutually independent parts of which organize a polyphonic structure of creation, where the author’s single consistent position is never revealed. The creator neglects verisimilitude of the story, or, using phenomenological language, takes its objectivity in brackets, and a literary work, instead of reflecting the ~real facts”, shows itself as a phenomenon of consciousness in its existential dimension.

We would like to explain once more, how we understand the author’s penetration into his novel.

As for fiction, a phenomenologist should raise an issue of correspondence between reality and invention. When bringing up the correspondence issue, he, at the same time, puts questions about the limits of such relationship and assumes the possibility of disparity between art and reality beyond these limits.

Finally, the phenomenologist evaluates the creative work as being independent from the external world.

But such an evaluation is somewhat dangerous. The thing is that while freeing itself from external reality, the work of fiction may find itself in the field of the author’s psycho-emotional gravity. The existence of a creative work, as an independent phenomenon, means its ~disincli-

nation~ neither to the external objects nor to the author's subjective world. Therefore, the writer has created the area of uncertainty and obscurity within his story to maintain the middle, independent position of his work between the external world and the psychological subject. This concept means subject-object phenomenological integrity, for, due to this uncertainty, there is no distinct border between the subject and the object, between the author and the object of his imagination. This is what an author's subtle penetration into the fiction implies.

Now, to illustrate our conception, we would like to consider Dostoevsky's novels ("Demons", first of all). The writer creates an impression that he knows about his story no more than the characters do. The author's voice is one of the voices among others. Denying the omnipotent author, absorbing him as one of the voices, the work seems to be "hanging in the air". Therefore, the dispute among the voices is endless; it may be interrupted, but not completed, for there is no common position to resolve the conflicts. This fact shapes the polyphonic structure of his novels and a literary work acquires the nature of an independent artistic phenomenon.

The same effect of the author's penetration can be found in Joyce's prose. Therefore, there is no distinct border between the characters of "Ulysses". One character sometimes speaks as another, whose voice intermixes with the voices of the others and so on. We think that it is a phenomenological approach that was used by J. Joyce.

The stream of the author's consciousness seems to penetrate into his work. Because of this penetration the writer manages to move in a subtle way from one character to another and by doing so, gives to his works a conditional nature of invention.

The subject's penetration into the story was the main principle used by Marcel Proust. The author for him is a sequence of mutually independent selves. Therefore, the past is unreachable for the memory, for it (i.e. the past) existed with the unique, irreversible self, which is lost forever. Because of the loss of self we cannot reproduce the past events. We are only able to give the meaning of past to our present state. Thus, the writer does not imply a common ground of consciousness beyond the novel, which determines a mutually independent and irreducible nature of selves.

Finally, let us establish the analogy between the ~orthodox~ quantum theory and the polyphony of modern fiction.

1a. The picture of classical physics appeals to the external position of the omniscient subject, classical concepts are determined through the level of absolute knowledge. Therefore, as there is a common ground of determination, classical physics exposes monologue-type, completely determined picture. This picture excludes the subject and has an objective form of description, as if classical events are independent of the subject.

1b. The single-based form of fiction appeals to the external position of the omniscient author. The author creates a common ground of determination and thus resolves every conflict within the story. Artistic reality has an objective form of expression, as if artistic events are independent from the author and take place objectively. Here the author acts as a narrator who retells the story as if it happened in reality.

2a. The picture of quantum physics destroys the external position of omniscient subject. The subject, as a special form of existence penetrates into the picture of quantum reality, des-

troys the objective - single base of expression of physical events. Introducing the polyphonic forms (wave-particle dualism), the subject creates an area of uncertainty, the area of subject-object indivisible wholeness, where no distinct border between subject and object appears.

2b. The polyphony of modern fiction destroys the external position of the omniscient author. The author, as a special form of existence, as a stream-of-consciousness, penetrates into the story, and the latter loses its objective form of the expression of artistic events. To maintain the middle position between the external world and the author's psychological sphere, the author creates an area of uncertainty within the story, where no distinct border between a character and an author exists.

Thus, the analogy between quantum theory and the polyphony of fiction is not coincidental, as it has a philosophical ground - both areas use the same phenomenological method - one deals with the construction of the object of science and the other - with the creation of an artistic form.

As we see, in modern science as well as in modern literature might exist similar forms of polyphonic thinking, which denies the omniscient subject as a common ground of determination and is based on the phenomenological principle of subject-object integrity.

ქეთევან ცხვარიაშვილი

რა დარჩა ჰამლეტს ჩვენთვის უთქმელი

(ბლუმის და შესტოვის ვერსიები)

“Had I but time – O, I could tell you”

William Shakespeare

ჰამლეტი შექსპირის ოცდათვრამეტ პიესას შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, უდავოდ, ყველაზე სკანდალური პიესაა. სხვათა შორის, მოცულობითაც ყველა სხვა პიერსას აჭარბებს. მისი ანალიზისა და ინტერპრეტაციის საკითხი საუკუნეთა მანძილზე თავსატეხად ექცათ ყველაზე მაღალი რანგის ფილოსოფოსებს, მწერლებსა თუ მოაზროვნეებს. ჰამლეტისა და მისი ავტორის შესახებ შექმნილი ზღვა ლიტერატურის მიუხედავად, პიესის უპრეცედენტო ექსპერიმენტალიზმი და ამბიველენტურობა მის ხელახალ ინტერპრეტაციებს ითხოვს. ამის დასტური გახლავთ ჩვენი დროის გამოჩენილი ლიტერატურის კრიტიკოსის – ჰაროლდ ბლუმის 2001 წელს გამოსული ნიგნი „ჰამლეტი – პოეზია განუსაზღვრელი“ (Harold Bloom “Hamlet Poem Unlimited”). ბლუმი ნიგნის შესავალშივე აღნიშნავს, რომ 1998 წელს გამოსულ მის ნიგნში „შექსპირი: ადამიანის გამოკვლევა“ სწორედ იმის თქმა ვერ შეძლო, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი იყო მისთვის. შექსპირის პიესათა კონფრონტაციის ენიგმა, თავად მისი ავტორის პიროვნების საიდუმლოს ხსნის. სად დგას იგი თავის ნაწარმოებთან მიმართებაში? ვინ არის ჰამლეტი? რის შესახებაა პიესა? რაში მდგომარეობს შექსპირის ელიპტიკური თეორიის ძირითადი დისკურსი? ამ შეკითხვებზე პასუხი გახლავთ ბლუმის შესანიშნავი ნიგნი, რომელიც თანამედროვე შექსპიროლოგიის, როგორც დღეს უწოდებენ, ბარდოლატრიის (Bardolatry) უკანასკნელ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს. მოსაზრებანი, რომელთაც ჰამლეტი გამოთქვამს, ხშირ შემთხვევაში არ უნდა გაიგივდეს შექსპირთან. დრამატურგსა და პრინცს ინტენსიური თეატრალიზმი და მოტივთა განსხვავებულობა მიჯნავს. შექსპირი თავის ნაწარმოებში უფროსი ჰამლეტის, აჩრდილის მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. ჰამლეტი „არც ფილოსოფოსია, არც თეოლოგი, არამედ ბრწყინვალედ ინფორმირებული თეატრის მოყვარული ენთუზიასტი“. ჩანს, ის აშკარად მეტ დროს ატარებდა ლონდონში, გლობუსის წარმოდგენებზე, ვიდრე ვიტენბერგში გაკვეთილებზე, – აღნიშნავს ბლუმი.

ბლუმის ეს მოსაზრება საკმაოდ ახლოა ნიცშეს ვერსიასთან, რომელიც ჰამლეტს დიონისურ ადამიანად მიიჩნევდა. ჰამლეტი სულაც არ აზროვნებდა ბევრს, უბრალოდ ძალიან სწორად აზროვნებდა – წერს იგი, – არც განსჯა, არც ჭეშმარიტი ცოდნა, რამდენადაც საზარელი სინამდვილის განჭვრეტა სპობს ყოველგვარი

მოქმედების მოტივს ჰამლეტშიც და დიონისურ ადამიანშიც. ბლუმი აღნიშნავს: – ოდესღაც მეც ვეთანხმებოდი ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას, მაგრამ ახლა მის ჭეშმარიტებაში ეჭვი მეპარებაო. დანიის პრინცი იმდენად კრიტიკულია, რამდენადაც შემოქმედებითი, იმდენად რაციონალური, რამდენადაც ინტიუტიური. გარკვეული თვალსაზრისით იგი ბიბლიურ დავითს წააგავს. თავისი შინაგანი ხმის მეშვეობით მედიტირებს და აფუძნებს ახალ თვით-ცნობიერებას.

განსაცვიფრებელია ჰამლეტის თემის უნივერსალურობა, მის შესახებ იმდენი აზრი შეიძლება გამოითქვას, რამდენი ადამიანიცაა დედამიწაზე. უდაოდ ყურადღებას იქცევს თემის ლევ შესტოვისეული ეგზეგეტიკა, რომელიც პოზიტივიზმის ეგზისტენციალური კრიტიკის ორიგინალურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ნიგნში „შექსპირი და მისი კრიტიკოსი ბრანდესი“ ავტორი მისთვის დამახასიათებელი გალანტური ირონიით ანეიტრალებს ჟორჟ ბრანდესის ყველა შეხედულებას. შესტოვის ჰამლეტი ცალსახად გნოსეოლოგი ფილოსოფოსია, რომელიც განყენებულ-მა, ავტონომიურმა, რეალურ ყოფიერებას მოწყვეტილმა აზროვნებამ ტრაგედიის გმირად აქცია. ბედისწერა გამონწევას უგზავნის ადამიანს. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანმა მიიღოს გამონწევა, ანუ ყოფიერების მთელი ავ-კარგი და ტანჯვის გზით საბოლოო გამარჯვებამდე მივიდეს და ბედნიერება მოიპოვოს, იგი გამონწევას შეშინებული გაურბის. გნოსეოლოგიის ლაბირინთებში მოხეტიალე პრინცი ჭეშმარიტ ცხოვრებასთან პირველივე შეხლის შემდეგ დამფრთხალი და დაბნეულია. ცოდნა, რომელიც ფილოსოფიურ ნიგნებში ამოიკითხა და რომლითაც ჰორაციუსთან საუბრებში კეკლუცობდა, ამაო და არარელევანტური გამოდგა რეალურ ცხოვრებაში (ელსინორში). სწორედ ამიტომაც, რომ მშვენიერი ქალის ნაცვლად, მის მიღმა მოღალატე მეძავს ხედავს; ვენერა მილოსელის სინატიფისა და მშვენიერების აღსაქმელად, თვალისა და გონების გარდა, გულია საჭირო, რომელიც ღრმა განცდებისთვის გვაქვს ბოძებული. სონეტებში ამოკითხული და სონეტებადვე ქცეული სიყვარული საბედისწერო აღმოჩნდა საბრალო, შეურაცხყოფილი ოფელიასთვის. შესტოვის აზრით, ჰამლეტი არ არის „რწმენის რაინდი“, რადგან მას არ გააჩნია სიყვარულის უნარი, ამ გრძნობის ფენომენოლოგიური გაშლა. მხოლოდ მაშინ აღარ დარჩებოდა ჰამლეტის ნათელმხილველური უნარი უნაყოფო, მაშინ ვენერა კი არ იქცევა ცივ მარმარილოდ, საყვარელი ქალი მეძავად, ადამიანი – ნაძირალად, არამედ მარმარილოდან დაიზადება ვენერა, მეძავი უმანკოებას შეიმოსავს, ხოლო ნაძირალა ადამიანად გარდაიქმნება. ჰამლეტს არ სჯერა ადამიანობის, რადგან არ იცის, რა არის სიყვარული, მას არასოდეს განუცდია ეს გრძნობა. სიყვარული უმაღლეს სიმახინჯეს აქცევს ღვთაებრივად, ვინემ სკეპტიციზმს მისცემდეს გასაქანს.

დანია საპყრობილეა, სამყარო სავესეა ამგვარი საპყრობილეებით. მამის აჩრდილი კი მოუწოდებს: საზარელი ამბები მოხდა, დაამარცხე და დასაჯე უსამართლობა, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეო; მაგრამ ჰამლეტს ხელები გულზე აქვს დაკრეფილი არა იმიტომ, რომ ის საუკეთესოა, არამედ იმიტომაცა საუკეთესო, რომ წყევლის თავის უმოქმედობასა და უუნარობას. მისი თვლემიდან გამოფხიზლება მხოლოდ კომპარითაა შესაძლებელი და შექსპირი მოუვლენს მას ამ კომპარს.

ასეთი გახლავთ შესტოვის მიერ შექმნილი ჰამლეტის კონცეპტ-პერსონაჟი, რომელიც მრავალნახნაგოვანი პრობლემის მხოლოდ ერთ ნაწილს აშუქებს. მაღალი არტისტიზმი, უსაზღვრო ამბივალენტურობა და დამანგრეველი ირონია ჰამლეტის ბუნების ის არსებითი კომპონენტებია, რომელთა გაუთვალისწინებლობაც ყოველგვარ დაუშვებელი გახლავთ. პარადოქსია, მაგრამ შესტოვმა თავადაც გნოსეოლოგიურად განსაჯა ჰამლეტი და მისი ონტოლოგიური ასპექტის იგნორირება მოახდინა.

ბლუმის მიხედვით, ყველაზე ცნობილი მონოლოგი: „ყოფნა-არყოფნა“ შეიცავს ფილოსოფიურ კვანძს, ყოფიერებისა და ცნობიერების დიხოტომიას. შექსპირის მემკვიდრენი, ნიუტონიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ იკვლევენ პოსტგანმანათლებლური პოეზიის ამ დილემას – „საკითხავი სწორედ ეს არის“.

სიკვდილის ზღვამ, დედა ღამის რეპრეზენტატორმა უნდა დაასრულოს ცნობიერება. ჰამლეტის ტერმინით **“conscience”**, მაგრამ, რამდენად შორს უნდა წავიდეს პოეტთა გონებრივი ძალა – სვამს საკითხს ბლუმი. მოცემულია არჩევანი – ყოფიერება თუ ცნობიერება. ორი დიდი მეტაფორა უპირისპირდება ერთმანეთს. მოკვდავი ცხოვრების მღელვარება, ანუ ყველაფერი, რაც უნდა დაეკარგოთ და უცნობი მხარე, სიკვდილის სამეფო, საიდანაც არც ერთი მოგზაური დაბრუნებულა. ჰამლეტის ნება თითქოს კარგავს ქმედითობას, მაგრამ არა მოქმედების ჭეშმარიტ ბუნებას, რომელიც გონების ეგზალტაციას გულისხმობს. და სად არის ეს ეგზალტაცია მონოლოგში? „ყველგან, ყოველ ფრაზაში, თითოეულ პაუზაში, რომელთაც ცნობიერების ეს გრანდი აფრქვევს“ (1.78), – დასძენს ბლუმი.

დადგა დრო, შევეხოთ ერთ-ერთ ყველაზე საორჭოფო და მტკივნეულ თემას პიესაში, რომლის შესახებაც ლევ შესტოვის მკაფიო და კატეგორიული მოსაზრების თაობაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ცხადია, საქმე ეხება ოფელიას, რომელიც ბლუმის განსაკუთრებულ ყურადღებასაც იმსახურებს. შეიძლება ითქვას, ეს პიესის ყველაზე განსაკუთრებული მომენტი. ამ აზრით, მას კონკურენცია მხოლოდ პოლონიუსის მკვლელობამ ან როზენკრაცისა და გილდესტერნის ეპიზოდმა შეიძლება გაუწიოს. ჰორაციუსს შოკს გვრის ზემოთ ხსენებული ადამიანების მკვლელობა, მაშინ როცა, ჰამლეტი უბრალოდ, მხრების აჩეჩვით კმაყოფილდება. ჰაროლდ ბლუმი საკმაოდ არაორდინალურ დასკვნას გვთავაზობს: „შექსპირის სიბრძნე იმ ბედისგან იცავს ოფელიას, რომელიც წყალში სიკვდილზე უფრო დაუნდობელი და სასტიკი იქნებოდა, – ჰამლეტზე ქორწინებისგან“ (1.44).

შესაძლებელია ჰამლეტის საქციელი დანიელი ფილოსოფოსის, სორენ კირკეგორის ბიოგრაფიულმა ამბავმა ახსნას: „არ შემიძლია ვიქორწინო... დედის წიაღში გატარებული ცხრა თვე საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, რათა მოხუცად ვქცეულიყავი“ და იქვე: „რწმენა რომ მქონოდა არ მიმატოვებდა რეგინა ოლსენი, რეგინა ჩემი იქნებოდა“. სორენ კირკეგორი ორი ტიპის ადამიანზე ლაპარაკობს, პირველი მორჩილების რაინდი გახლავთ, მეორე – რწმენის. სალი აზრი, ანუ „მორჩილების რაინდი“ მოუწოდებს ადამიანს დაივიწყოს არარეალურისკენ, “მეფის ასულისკენ“ სწრაფვა. გონება მართალია, ჩვენი გლოვისა და მწუხარების ველზე, სადაც ის გამგებლობს და ბატონობს, ეს შეუძლებელი იყო და კვლავაც მიუწვდომელი რჩება. ამიტომ ის

ადამიანს შეგუებასა და მორჩილებას სთავაზობს. მხოლოდ „რწმენის რაინდს“ ძალუძს გადაეშვას აბსურდში, მხოლოდ რწმენის ძალითაა შესაძლებელი მეფის ასულის მოპოვება. „მე მხოლოდ ცურვა შემძლია, მაგრამ ამგვარი მისტიური ქროლვისთვის ზედმეტად მძიმე წონის ვარ“ (4.57) – ამბობს კირკეგორი. ჰამლეტი „მორჩილების რაინდი“ ნამდვილად არ არის, მას ამას ვერ ვუსაყვედურებთ, ის მუდმივად თავის თავზეა ამაღლებული, თითქოს სხეულიდან ამოსულიყოს. იგი „ცნობიერების პრინცი“, მისი საბოლოო მეტამორფოზა მეხუთე მოქმედებაში განხორციელდება. პოეტი სვინბორნი, შექსპირის ბრწყინვალე კრიტიკოსი ასკვნის: „ჰამლეტის შინაგანი ბუნების ძირითადი ნიშანი უმოქმედობაში, მერყეობაში ან გადანყვეტილების მიუღებლობაში კი არ მდგომარეობს, არამედ მასში არსებულ ძლიერ ძალთა დაპირისპირებულობაში“. ვფიქრობთ, ესაა გასაღები ჰამლეტის ქარიზმის და მისი მაღალი ინდივიდუალობის საბოლოო ცვლილების. ჰამლეტი აღმოაჩენს, რომ მთელი მისი ცხოვრება ძიება ყოფილა ობიექტის გარეშე (მხედველობაში თუ არ მივიღებთ მის უზომოდ მზარდ სუბიექტურობას). ეს ჭეშმარიტება ჰამლეტს „ნგრევის ანგელოზად“ აქცევს. იგი საკუთარ თავში ბრძოლების გარდა, გარეგან ბოროტ სულსაც ებრძვის. აქ ბლუმი ძალზე საინტერესო ბიბლიურ პარალელს ავლებს: „კოჭლი იაკობი, რომელიც ძნელია ჰამლეტის არქეტიპად წარმოვიდგინოთ, პირისპირ რჩება ელოჰიმთან (შესაძლებელია, სიკვდილის ანგელოზთან) და მასთან შერკინების შედეგად ახალ სახელს უხვეჭს ისრაელს, ჰამლეტი კი თავის იდენტიფიკაციას სიკვდილის ანგელოზთან ახდენს, მას არ ძალუძს მოიპოვოს ახალი სახელი“ (1.126).

პიესაც და პრინცის პირადი მგრძობელობაც ჩარჩოებში სვამს ჰამლეტს. ის მეტად დიდია იმისთვის, რომ „ტრაგედია“ იყოს და საბედისწერო, ტიტანური წარმოსახვითი ლიტერატურისთვის. ბლუმი არაერთგზის აღნიშნავს, – ჰამლეტის საუკეთესო სასცენო თუ კინოვერსიებიც კი მის ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემას უვლიან გვერდსო. მიუხედავად შექსპირის დაულალავი წინააღმდეგობისა საკუთარი ქმნილების ტრანსცედენტურობის დასამარცხებლად, იგი მაინც აგებს ბრძოლას ფინალურ სცენებში. როგორც თომას სტერნზ ელიოტი აღნიშნავდა: „ესთეტიკური წარუმატებლობა“ იქცა ესთეტიკურ ტრიუმფად. შექსპირი მოქმედებაში რთავს ენერგიებს, რომელნიც უფრო ტრანსცედენტულ შთაბეჭდილებას ქმნიან, ვიდრე სოციალურსა თუ პერსონალურს. ჰამლეტი არღვევს როგორც სივრცულ, აგრეთვე დროით საზღვრებსაც. ლირისთვის აპოკალიფსური ხანა დგება (გავიხსენოთ გლოსტერის და ედგარის საუბარი მთვარის დაბნელების შესახებ), ჰამლეტისთვის კი დროთა კავშირი დარღვეულია, თუმცა, არა ხდომილებათა ან მოქმედებათა კავშირი. ვიცით კი, როგორ დაივანა ჰამლეტმა ყოფიერების მაღალ განზომილებაში? როგორ მივედით ამ რწმენამდე, რატომ ვართ ასე დარწმუნებულნი, რომ ის ჩვენთვის იბრძვის? ამის მიზეზი შეიძლება იყოს მისი განუზომელი მომხიბვლელობა, რომლის გამოც ყველაფერს ვპატიობთ. ცნობიერების უპრეცედენტო ბრწყინვალეობა, რომელსაც ადამიანური ცნობიერების კვინტესენციად მივიჩნევთ – შექსპირისა და ჰამლეტის აპოთეოზი გახლავთ. ჩვენ ზემოთაც შევაჩერეთ ყურადღება ჰამლეტში რწმენის ნაკლებობაზე. ამის მიზეზი პრინციში მუდმივი თამაშის გარეშეა; მართლაც, როგორც ბლუმი აღნიშნავს, პირველი ოთხი მოქმედების ჰამლეტს

შექსპირიც ემიჯნება. შეუძლებელია არ შევამჩნიოთ ავტორის ამბივალენტურობა პრინციდან მიმართებაში. მართლაც, ზოგჯერ ის ისევე გვაშინებს და გვაფრთხობს, როგორც გვხიბლავს და გვატყვევებს, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ფინალური სცენების ჰამლეტი, იგი ტრანსცედენტურობის აურას მოუცავს. გავიხსენოთ სიტყვები, რომლითაც ლაერტის შემორიგებას ცდილობს: „ბრალი მიმიძღვის, ლაერტ, შენთან – მოტყევებას გთხოვ...“

სჯერა კი ჰამლეტს თავისი შემლილობის? მისი შემლილობა გროტესკული დისპოზიციით იწყება და კლავდიუსთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს. ბლუმის მტკიცებით, ჰამლეტს არ გადაუღალავს სალი გონების ზღვარი და, მიუხედავად ამისა, იგი ვერ ხედავს სიმულაციის ნიშნებს ამ კეთილშობილურ მიმართებაში. ჰამლეტმა ეს უკვე გაიარა, იგი უკვე გარდაიქმნა არტისტიდან პოეტად, მაგრამ, თუ ნიცშეს დაუფუჯრებთ, პოეზია ხშირად ცრუობს ანმეოსთან მიმართებაში. ჰამლეტი მხოლოდ ცდის ლაერტს, ეს გახლავთ საშინელი სიცრუე ანმეოს მიმართ, რომელსაც არ ფარავს ჰამლეტის გამანადგურებელი ირონია. მან მშვენივრად იცის ცაფიქრებული შეთქმულების გარდაუვალობა და სულიერად მომზადებული შედის დუელში. დუელი – ეს ის ადგილია, სადაც ჰამლეტის თვით-ცნობიერებაც კი კარგავს „თვით“ (self)-ის შინაარსს. ეს გახლავთ უკანასკნელი გაბრწყინება ჰამლეტის დიდი აჩრდილისა, რომელსაც დასავლურ რომანტიზმს ვეძახით. პრინცის თვით-ცნობიერება განივრცობა „ზოგადცნობიერებად“, რადგან მისი თვით-ცნობიერების კვდომამ ათიათასობით ახალ თვით-ცნობიერს უნდა მისცეს დასაბამი.

ორიოდ სიტყვა ფორტინბრასზე, რომელსაც სავსებით სამართლიანად ბლუმი ანტიჰამლეტს უწოდებს. არც კლავდიუსი, არც ლაერტი და არავინ სხვა არ შეიძლება იყოს ანტიჰამლეტი, რადგან, თუ კლავდიუსი ამორალურია, ჰამლეტი დიდი ხანია იქცა ზემორალურად. ფორტინბრასი მიწიერი სამყაროს წარმომადგენელია, იგი უფროსი ჰამლეტის მსგავსად ძლევამოსილი, მიწაზე მყარად მდგომი პოტენციური მეფეა. ცნობილია შექსპირისეული გამიჯვნები: ლირი და ედმუნდი სიტყვასაც კი არ ცვლიან ერთმანეთში; ანტონიუსი და კლეოპატრა განმარტოებით მხოლოდ ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს. ასეთი მოუხელთებელია შექსპირი, იგი არასდროს ახვედრებს ერთმანეთს ჰამლეტსა და ფორტინბრასსაც. შექსპირმა პრინცს გულუხვად მისცა ოზრიკთან ყბელობის დრო, ხოლო ფორტინბრასთან დაპირისპირების – არა. არადა, ფორტინბრასის მამის მკვლელი უფროსი ჰამლეტია და ისიც, ჰამლეტის მსგავსად, ბიძამ განაშორა სამეფო ტახტს. ჰამლეტი კეთილგანწყობილი, ლმობიერი ირონიით უწოდებს ფორტინბრასს „სათნო“ და „ნაზ“ პრინცს, როდესაც ის პოლონეთის ერთ-ერთი ნაწილის დასაბყრობად მიაბიჯებს. აქ კიდევ ერთხელ მწვავედ გაისმის ჰამლეტის ირონია: – „ჩემი მომაკვდავი ხმა მას ეკუთვნის“ (He has my dying voice). ჰამლეტმა შესანიშნავად იცის, რომ დანიის მომავალი მეფე სწორედ ფორტინბრასია. მან ხომ ყოველთვის ჩვენზე მეტი იცის.

შექსპირის ერთადერთი ვაჟი, ჰამნეტი 1596 წელს, 16 წლის ასაკში გარდაიცვალა, მწერლის მამა – 1601 წელს. 37 წლის ასაკში დიდმა დრამატურგმა ორივე დაკარგა. რა კავშირი შეიძლება ქონდეს ამ მოვლენებს უშუალოდ პიესასთან? ამის შესახებ ვარაუდს ყველაზე ხატოვნად ჯეიმზ ჯოისი გამოთქვამს „ულისეს“ ბიბლი-

ოთეკის სცენაში – მიიჩნევს ბლუმი. შავით მოსილი პრინცი, დრამატული ინდივიდუმი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჰამლეტი უფრო მამაშვილობის იდეას გლოვობს, ვიდრე თავად მეფე ჰამლეტს. თვითონ შექსპირი პიესაში ყოველთვის თამაშობდა ჰამლეტის მამის აჩრდილს, ის მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელი იყო, მრისხანე, ძლევამოსილი მონარქის, რომელთანაც დიდ მონოლოგისტს სულიერი თვალსაზრისით არაფერი ჰქონდა საერთო.

ჯონ ბელი ასკვნის, – თუკი ჰამლეტს ჩვენი ამგვარად მონუსხვა შეუძლია, იგი უთუოდ შექსპირსაც ხიბლავდაო. საფიქრებელია, რომ ყველაფერი, რაც შექსპირმა 1600 წლამდე შექმნა, გარკვეული ასპექტით თავს იყრის პრინცის სახეში. იმდენად ღრმად შეისწავლა ჰამლეტმა საკუთარი თავი, რომ ცდუნებას აყოლილნი ვაკვირდებით, თუ როგორი არაბუნებრივი ძალით ვრცელდება მისი ირონიული სწავლება სხვებზე, იმ პერსონაჟებზეც კი, რომლებიც შექსპირს გაცილებით ადრე ჰყავს შექმნილი. აი, რას ამბობს ბლუმი: „ეს გახლავთ ჰამლეტის ტრიუმფი შექსპირზე, ანდა შექსპირის ტრანსცედენტურობა საკუთარ თავზე. ჰამლეტი უდავოდ იმაში ცდილობს ჩვენს დარწმუნებას, რომ თავის შემქმნელზე მეტი იცის“ (1.151). თუმცა, იქვე დასძენს: „რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს ჰამლეტი, იგი მაინც მარიონეტია თავისი შემქმნელის ხელში“ (1.151). მანიპულირებად თოჯინებს არ გააჩნიათ ნება ინტერპრეტაციის გარეშე. ოსკარ უაილდი ჰამლეტის უზარმაზარი გავლენის ინტერპრეტირებისას აცხადებდა: „სამყაროში მელანქოლია გაიზარდა, რადგან პრინცი სევდიანი იყო“. ბლუმის მიხედვით, ჰამლეტში ორი მისტერია გვაქვს: თეატრალური და მსოფლმხედველობრივი. თეატრალური მისტერიის გააზრება მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო მსოფლმხედველობრივი შემეცნება გაცილებით რთულია. „ჰამლეტის ტონი უკვე თავისთავად ხედვაა“ – აღნიშნავს იგი. ჰამლეტის ხმა გვაუწყებს: ის, რასაც ვგრძნობთ და ვხედავთ ჰერმეტიკული გაგებით, სიყვარულისა და ძილის მდგომარეობაა, უსიყვარულობა და გამოღვიძება – აი, რა სურს ჰამლეტს. იგი თითქოს დაცემულია არა მორალური ან თეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, როგორც ადამიანი, ეგზისტენციალური აზრით.

ჰამლეტმა ყოველთვის, განსაკუთრებით კი ზღვიდან დაბრუნების შემდეგ იცის რალაც, რისი ცოდნაც უზომოდ გვინდა და გვჭირდება. ბლუმი აღნიშნავს, რომ მღელვარების გარეშე ვერასოდეს ისმენს ამ სიტყვებს:

„უამი რომ მქონდეს...
ოჰ, სიკვდილი მკაცრი ყოფილა,
მსგავსი მძვინვარე ციხისმცველის... მე გაამბობდით...
მაგრამ დავეხსნათ... ჰორაციო, ვკვდები და მას გთხოვ,
შენ იცოცხლე და შეასმინე ჩემზედ ნამდვილი;
ჩემი ამბავი უთხარ სუყველას, ვინც კი მოისმენს“

ამის შემდეგ ჰამლეტი კვლავ აგრძელებს საუბარს, თუმცა საბოლოოდ განბილებულებს გვტოვებს, რადგან, რისი გაგებაც ნატვრად გვექცა, ბოლომდე უთქმელი რჩება. ხელთ გვაქვს მხოლოდ მისი ტონი და მინიშნებები. აქ უკვე აშკარაა, რომ წარმოდგენამ დაკარგა თავისი რეპრეზენტაციული ფუნქცია და ამის ნაცვლად

თავისთავად საგნად იქცა. ჰამლეტი მეტად აღარ არის პიესის მონაწილე არტისტი, იგი ერთ-ერთი ჩვენგანი ხდება, მას ჩვენი თანაგრძნობა და გამართლება სჭირდება, რადგან არ სურს შებლაღული სახელით დარჩეს. მეხუთე მოქმედებაში დადებულ ნაძღვეს იგი აუცილებლად მოიგებს, რადგან: „რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ჩემთვის ამგვარი დასკვნის გაკეთება, მაინც უნდა აღვნიშნო“, ამბობს ბლუმი – უბადლო ლიტერატურის კრიტიკოსი უნდა იყო, რომ ჰამლეტი არ გიყვარდეს. ვფიქრობთ, დრო რომ ჰქონოდა, შეუცნობელი, ზეციური სამყაროს შესახებ გვიამბობდა, საიდანაც მოკვდავთაგან არავინ დაბრუნებულა.

მიუხედავად ჰორაციუსის დარწმუნებულობისა, რომ ჰამლეტის სული სასუფევლის გზასაა შემდგარი, ბლუმს ეს მოლოდინი უადგილოდ მიაჩნია, მისი თვალთახედვით ჰამლეტი არც სასუფეველში, არც ჯოჯოხეთში, არც განსანმენდელში, არც რომელსამე სხვა თეოლოგიურ ფანტაზიაში მიდის, იგი არ იმოგზაურებს კათოლიკეების, კალვინისტებისა თუ ლუთერანების წარმოსახვით სანახებში. ემერსონის ორფიული განსაზღვრების თანახმად, – ღმერთი ნანგრევებშია. როდესაც იცი, რომ დაცემული ღვთიურობა ხარ, გაქრობა და განადგურება მისაღები ალტერნატივა ხდება.

რამდენი მეტამორფოზა განიცადა ჰამლეტმა, თავდაპირველად თეატრის ენთუზიასტი მოყვარული იყო, შემდეგ არტისტად, აქედან კი პოეტად და დრამატურგად იქცა. აშკარად ფილოსოფოსიც გახდა, ამასთან ნიჰილისტიც, მძვინვარე ირონისტიც, სკეპტიკოსიც... შეშლილობისა თუ სალოსობის ზღვრამდეც მივიდა. „ცნობიერების პრინცი“, „ნგრევის ანგელოზი“, „სიკვდილის სქოლარი“, „ღმერთი ნანგრევებში“ ვუნოდეთ, კოჭლ იაკობსა და ბიბლიურ დავითსაც შევადარეთ, საბოლოოდ კი ახალ ადამად წარმოვსახეთ. ვფიქრობთ, კვლავაც შესაძლებელია ამ ჩამონათვალის გაგრძელება და, უდავოდ, პარადოქსია, მაგრამ არც ერთი ამ სახელთაგანი არ არის ჰამლეტის შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი, უადგილო.

„ჰამლეტი“ ჭეშმარიტად დრამის სასაფლაოა. შექსპირი გაექცა მას, რათა დაენერა „ოტელო“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, მაგრამ ვერც ერთი დრამატურგი ვერ ტოვებს სასაფლაოს მიწას და ჩვენი ღრმა სუბიექტურობაც კვლავ მის თავზე ფარფატებს. ამის სიმბოლო კი იორიკის თავის ქალაა. „იაგო თავად აგებს თავის იზოლაციას, ჰამლეტი კი თავადაა იზოლაცია. ჰამლეტის შეუცნობელი სამყარო, მისი გაქრობის, არყოფნის „საელჩო“ ანადგურებს საზღვრებს, რომელთაც მისი დრამა სასცენო განზომილებაში უნდა მოექციათ. „თუკი შენი ცხოვრების გზას ჭეშმარიტებისკენ სვლის გზად აქცევ, მაშინ უნდა მოკვდე კიდევ ჭეშმარიტებისათვის“ – დასძენს ნიცშე. „ქრისტიან მორწმუნეებს გააღიზიანებთ ჩემი შემდეგი მოსაზრება, მაგრამ არ ვიცი სხვა რა ვუნოდო იმ ფაქტს, რომ ღმერთია ჰამლეტში და მისი პირით თავად ღმერთი ლაპარაკობს“ (1.131) – აცხადებს ბლუმი.

მართალია, ჰამლეტიც მტვერია, მაგრამ ყველაზე რაფინირებული მტვერი ადამისტურ მტვერთა შორის. და თუ ის ახალი ადამია, მისი სიახლის ნიშნები სეკულარიზირებულობა და დესტრუქციულობა უნდა იყოს. ჰამლეტმა ცნობიერების

კვლევა საბოლოოდ ერთ მთავარ შეკითხვამდე დაიყვანა: „რა არის ადამიანი?“ იგი მშვენივრად აცნობიერებს, რომ ცნობიერების გაქრობა აბსოლუტურ თავისუფლებას გულისხმობს. ნიშნავს თუ არა ეს განღმრთობის იდეასთან მიახლოებას? ვფიქრობთ, უდავოდ უნდა ნიშნავდეს. რადგან ცნობიერება, ისევე როგორც მსოფლმხედველობა, მოკვდავი, დასაზღვრული ადამიანის უნარია. ისინი არ სჭირდება მხოლოდ აბსოლუტური უნარის მქონე სუბიექტს, მხოლოდ ღმერთს და ის ერთადერთია სრულიად თავისუფალი.

მაშ, რისი თქმა ვერ მოასწრო ჩვენთვის ჰამლეტმა? რა არის ის, რაც სიკეთესა და ბოროტებაზე, მორალსა თუ ამორალობაზე მაღლაა? და რატომ არჩია ამის შესახებ დუმილი შექსპირმა? ვფიქრობთ იმიტომ, რატომაც დოსტოევსკიმ თქვა უარი დაენერა თავისი საბოლოო ნაწარმოები – „რომანი ქრისტეზე“, რატომაც დიდ ინკვიზიტორში მაცხოვარი დუმილით პასუხობს ბრალმდებლის სიტყვებს. ჰამლეტს ღმერთზე სურდა ეამბნა ჩვენთვის და დადუმდა, რადგან გენიოსის და უფლის პირისპირ შეხვედრა წინასწარ გამზადებულ ცარიერ სივრცეს ითხოვს, რომელშიც სინერგიულმა ძალებმა ჭეშმარიტების შემეცნების შესაძლებლობა უნდა დაგვანახონ.

ნიშნავს თუ არა ჰამლეტის მარტოობა მისი ავტორის იზოლირებულობასა და სიმარტოვეს? ვინ იყო შექსპირის უახლოესი მეგობარი? „სავარაუდოდ, არა „დიდი დათვი“ ჯონსონი, რომელსაც, ცხადია, ყოველთვის ჯაბნიდა ხოლმე მახვილსიტყვაობაში და არც კეთილგანწყობილი დრეიტონი“. შექსპირი მისი ჰამლეტის მსგავსად უმონყალოდ მარტოსულ, კითხვების გამჩენ, იდუმალ ადამიანს გავს. „...შექსპირი თავისი ყველაზე გენიალური პროტაგონისტისგან იზოლაციას ეძებს, სჩანს იმისთვის, რომ თავისი დრამატული რეპრეზენტაციის საზღვრები დაადგინოს“ (1.139). დიდმა დრამატურგმა დაადგინა, რომ არ აქვს ასეთი საზღვრები. მაშ, რა აღმოჩენა გააკეთა როგორც პიროვნებამ? სავარაუდოდ, არა ტრაგიკულ მუზასთან კონფრონტაცია, რადგან რამდენიმე კომედიის შემდეგ იგი კვლავ ტრაგედიას უბრუნდება. „არ აქვს დასასრული ჰამლეტს და არც „ჰამლეტს“, რადგან არ აქვს დასასრული შექსპირს“ (1.154) – აცხადებს ბლუმი.

ლიტერატურა:

1. Harold Bloom. Hamlet: Poem Unlimited (2001);
2. Harold Bloom. Shakespeare: The Invention of the Human (1998);
3. Лев Шестов. Шекспир и его критик Брандес (1898);
4. Søren Kierkegaard – “The Writer’s Diary”
5. უილიამ შექსპირი. ჰამლეტი.

KETEVAN TSKVARIASHVILI

What Remained Untold by Hamlet

(Versions by H. Bloom and L. Shestov's)

Summary

After more than four centuries, “The Tragical History of Hamlet, Prince of Denmark”, remains the world’s most advanced drama matched by its importance and experimentalism. As Harold Bloom, the indispensable literary critic argues: “Ransacking “Hamlet” is a losing process. If, as with an open box, you could turn the entire play over and empty it out, its scattered contents would defy reassembly into the spunkily coherent entity that goes on sublimely transcending the sum of its components” (1.134). So, in this little article we have tried to obsess different opinions about Shakespeare’s geniality.

“Hamlet: Poem Unlimited” is Bloom’s attempt to discover the mystery of both Prince Hamlet and the play, how both the prince and the drama are able to break through the conventions of theatrical mimesis and the representation of character, to make us question the very nature of the theatrical illusion. H. Bloom takes us through the major soliloquies, scenes, characters, and action of the play, to explore the enigma at the heart of the drama, which is central to its universal appeal.

We would also like to remember, a much earlier philosopher, little known today and dear even in the academic world, Lev Shestov (Lev Isaakovich Schwarzmann). This is partly because his works have not been easily available. Partly the specific themes he discusses are unfashionable and “foreign”. However, he did influence the writers such as Albert Camus (who wrote about him in “Le mythe de Sisyphe”), Benjamin Fondane and notably Emil Cioran. Shestov was also highly admired and honored by Nikolai Berdyaev and Sergei Bulgakov in Russia, Jules de Gaultier, Georges Betaille and Lucien Levy-Bruhl in France, and D. H. Lawrence, Isaiah Berlin and John Middleton Murry in England. His fundamental work “Shakespeare and his Critic Brandes” the author is focused upon the philosophic gnoseological aspect of Hamlet. Shestov turns his attention to the existential criticism of rational “self-consistent” and “self-evident”. In fact, “the philosopher of Despair” suggests us the existential criticism of positivism. Shestov’s Hamlet is a victim of gnoseology. He is a thinker, who has lost the real ability of love, so he ignores uniqueness and lovingness of real life. The main reason for Hamlet’s tragedy is a lack of feelings and belief. The rationalistic and scientific influence, the education and “scholarly wisdom” he got in Wittenberg (a German Protestant institution, famous for Martin Luther) turned out to be irrelevant for real life, for human’s ontological being. And here we suggest an example from the biography of a Danish philosopher Soren Kierkegaard (so akin to him), about his love story with

Regine Olsen. Kierkegaard seems to have genuinely loved Regine, but was unable to reconcile the prospect of marriage with his vocation as a writer, his passionate and constant melancholy. Regine was shattered by his rejection. Kierkegaard attempted to quell this through actions which made it appear that he did not care for her at all and made it seem that Regine had broken it off... "If I have a tiny belief, Regine wouldn't leave me (11.37)... she would be mine".

According to Bloom: "Despite his (Hamlet's) passion in the graveyard, we have every reason to doubt his capacity to love anyone, even Ophelia. He does not want or need love: that is his lonely freedom, and it provokes the audience's unreasoning affection for him. Shakespeare's wisdom avoided the only fate for Ophelia that would have been more plangent than her death-in-water: marriage to Hamlet the Dane" (I.43).

So, Shestov says: Hamlet can't love, Bloom assumes that he doesn't want or need love, but there is a point of view akin to both of them: Hamlet is a hero of consciousness. What is the power of Hamlet's "salosizm" or madness? What is the power of Hamlet's mind over the universe of death, or sea of troubles? That indeed is the question. "Being, or consciousness, is given the choice: suffer stoically, or take arms against the sea and thus end sooner, consumed by the currents, whose great pitch constitutes height, our enterprises cannot attain" (I.35).

What has he chosen? If you think your way through to the truth, then you must die of it: that is Nietzschean interpretation of Hamlet: "The spirit indeed is ready, but the flesh is weak." Hamlet thrusts aside his natural fear of annihilation, in order to center upon what Bloom judges to be a bitter rhetorical question: "What isn't to leave betimes?" the precise moment of annihilation does not matter, because we know nothing about anything (or anyone) we leave behind. For Hamlet himself, death is not tragic, but an apotheosis.

"What Jesus still is to many believers, Hamlet still is to many skeptics: the concept figure. Shakespeare, whatever his personal convictions, didn't compose either as believer or skeptic. The passion of Hamlet seems more "Davidic than Christ like". Charisma gloriously expires upon stage, to our edification.

As Harold Bloom argues: "breaking from his sources, Shakespeare gave the same name to the Hamlets, father and son", but they are as different as, say, Yahweh and Jesus; it is absurd to compare the warrior-king with the God of Abraham, or the Son of Man with the prince of skeptics. And yet both comparisons may be rendered absurd by Hamlet's enigmatic apotheosis.

During the whole drama, the prince of Denmark frightens us as much as he attracts us, and yet Hamlet of the final scenes is very different. An aura of transcendence surrounds him. "Hamlet's will loses the shadow of self while continuing to expand as a consciousness. What we have called Western Romanticism is the last embellishment of Hamlet's great shadow, cast off to become a thousand other selves". (1.147)

Shakespeare's dramatic representations have no limits. What did Shakespeare as a person find? Bloom thinks "he found himself and recoiled from the finding. There is no end to "Hamlet" or to Hamlet, because there is no end to Shakespeare. He had discovered the nature of the selfsame, the full secret of how to represent an identity."(1.152)

Shakespeare needs silence to prepare an empty space for synergic forces in order to ransack the truth.

The “scholar of death”, the “hero of consciousness” must die, so must die his self-consciousness, to establish new consciousnesses of million others. Only Hamlet’s mind can defend him against its own terrible force.

“Had I but time – as this fell sergeantp” - we can experience the feeling of frustration caused by the untold part. Bloom suggests that if he had time, he could tell us something about “the undiscovered country, from whose bourn no traveler returns”.

ბიოეთიკა

BIOETHICS

არქიმანდრიტი ალაში (ახალაქი)

სულიერის პრიმატი სეკულარიზებულ კულტურულ სივრცეში. ბიოეთიკური განზომილება

ადამიანის პრობლემა მრავალნაზნაგოვანია და ამოუწურავი. ამ პრობლემის თეორიული სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის კონსტრუირების ვარიანტულობა მეტად მრავალფეროვანი, ყველანაირიც კი შეიძლება იყოს. ამ მრავალფეროვნებისა და ყველანაირობის განმაპირობებელი ფაქტორი მსოფლმხედველობათა ჰეტეროგენურობის მაღალი ხარისხია.

ამიტომაც აუცილებლად ვთვლით, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბიოეთიკური, ბიოსამედიცინო, ანთროპოლოგიური და სხვა გლობალური პრობლემების გადაწყვეტის დონე და სპეციფიკურობა, თანამედროვე ფუნდამენტური მეცნიერებებისა და მათზე დაფუძნებული პოსტინდუსტრიული ტექნოლოგიების მიერ გამონვეული შედეგების ხასიათი მნიშვნელოვანნილადაა დამოკიდებული (ა) თვით საზოგადოების სულიერ-ზნეობრივ მრწამსზე, (ბ) იმაზე, თუ რომელ ღირებულებებს მიიჩნევს იგი უმაღლესად, (გ) თუ რამდენად დროული, ბრძნული, მორალური და ადეკვატური იქნება მისი რეაქცია ეთიკური დილემების გადასაწყვეტად, – ანუ, თუ რაგვარი იქნება მისი ბიოეთიკურ-ანთროპოლოგიური მსოფლმხედველობა [2, 50].

თანამედროვეობის ბიოეთიკური და სხვა ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტა წარმოუდგენელია მხოლოდ რაციონალისტური მსოფლალქმის საფუძველზე: ცდილობს რა გახდეს ერთადერთი საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძალა, ადამიანის გონება შესაძლებელია თავად იქცეს ცივილიზაციის სულიერ-ზნეობრივი კრიზისის გაღრმავების მიზეზად.

ბიოეთიკური თვალსაზრისით კაცობრიობას დღეს *კრიზისის ფაზაში* უხდება არსებობა [1, 45; 2, 185].

თანამედროვე მსოფლიოს ბიოეთიკური კრიზისული ეკზისტენცია ხასიათდება იმით, რომ გადაუწყვეტელია ემბრიონული ღეროვანი უჯრედების გამოყენების, ფეტალური თერაპიის (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთში), აბორტის, ევთანაზიის, აგრეთვე ტრანსპლანტოლოგიასა და გენურ მედიცინასთან დაკავშირებული და კიდევ მრავალი სხვა ბიოეთიკური დილემა [1, 9-10; 5, 7; 6, 11; 7, 2].

გლობალური კრიზისი კიდევ უფრო ძლიერად გამოიყვანდა ადამიანის კლონირების იდეაში, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის ღირსებას, უნიკალურობასა და პირად ხელშეუხებლობას, გახადა რა ადამიანის მემკვიდრეობითობა გარეშე ჩარევისაგან დაუცველი.

თანამედროვე მედიცინაში დრამატულად იკვეთება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მიერ სხეულის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე (ე. წ. “ხორციელ უკვდავებაზე“) ზრუნვა ადამიანის სულის მოთხოვნილებათა იგნორირების ფონზე (ტრანსპლანტოლოგია, გენური მედიცინა, კრიონიკა, ხელოვნური რეპროდუქციული ტექნოლოგიები და ა. შ.). რაღა თქმა უნდა, ასეთი გაგება სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავებისა ენინააღმდეგება არა მარტო ქრისტიანულ და მთელ რიგ სხვა რელიგიურ მსოფლმხედველობებს, არამედ ადამიანის ონტოლოგიურ არსს, მის ზნეობრივ ნორმებს, უმაღლესი სულიერი ღირებულებებისადმი დამოკიდებულებას, ადამიანის ღვთაებრივ დანიშნულებას [2, 45].

ცივილიზაციის ეკზისტენცია რღვევად ბიოსფეროში, კაცობრიობის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების სულ უფრო მკაცრი და ღრმა კრიზისის ნიშნების გამოჩენა იძლევა პროგნოზირების საშუალებას: შემდეგი ფაზა იქნება *კატასტროფის ფაზა* (აპოკალიფსი).

ამგავრი პროგნოზი აქტუალურს ხდის კატასტროფის პრევენციის საკითხს, რომლის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ გზა პლანეტაზე კაცობრიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს ჰუმანიზაციისა და ჰარმონიზაციისაკენ გადის იმ ცვლილებებზე, რომელნიც განხორციელდება ინტელექტუალური მოღვაწეობის ისეთ მნიშვნელოვან არეალებში, როგორებიცაა: ადამიანის სიცოცხლესთან დამოკიდებულება, ღირებულებების იერარქია, სიცოცხლის ფილოსოფიის მოღვაწეობის ფილოსოფიასთან მიმართება და მისთ.

ზემოთქმული საფუძველია იმ შესაძლებლობისა, რომელიც გულისხმობს კრიზისის ფაზის შეცვლას *კათარზისის ფაზით*. ეს უკანასკნელი დროსა და სივრცეში შეზღუდული, მაგრამ ადამიანის როგორც ამქვეყნიური, ისე მარადიული ცხოვრებისათვის მეტად აუცილებელი და ღირებული პროცესია.

ვინაიდან ჩვენი კვლევა თავისი შინაარსით ანთროპოლოგიურიცაა, უპრიანია გავიხსენოთ, რომ ამგვარი კვლევა მოიცავს (უნდა მოიცავდეს) ადამიანთან დაკავშირებულ საკითხთა მთელ წყებას:

- ადამიანის არსი და ბუნება,
- ადამიანის წარმოშობა,
- ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყანაზე,
- ადამიანის ადგილი სამყაროში,
- ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება – დედამიწაზე ცოცხალ ორგანიზმთა იერარქიის უმაღლესი საფეხური,
- ადამიანის ცხოველქმედების ყველა გამოვლინება (დაბადება, ზრდა, განვითარება, სიკვდილი, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ავადმყოფობა, რეპროდუქცია და ა. შ.),

- ადამიანი – სოციალურ-ისტორიული მოღვაწეობის სუბიექტი,
- ადამიანი – სულიერი მოღვაწეობის სუბიექტი,
- ადამიანი, როგორც კულტურული მოღვაწეობის სუბიექტი,
- ადამიანი, როგორც მეტაფიზიკური არსება,
- ადამიანი, როგორც საყოველთაო იდეალური სანყისის მატარებელი [1, 32-33; 3, 54-55; 4, 129].

ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლენილია შემდეგი კონცეპტუალური თეზისები, რომელთაც ვეყრდნობით და რომელთაგანაც გამოვდივართ ბიოეთიკური დილემების არსის მეცნიერული და ქრისტიანულ-ანთროპოლოგიური კვლევების დროს. ეს სახელმძღვანელო თეზისები გახლავთ:

1. თეზისი ადამიანის ღვთაებრივი (კრეაციონისტული) შექმნის შესახებ;
2. თეზისი ადამიანის ბუნების დუალიზმის (ორბუნებოვნების) შესახებ;
3. თეზისი ადამიანის ტრანსდისციპლინური კვლევის არსებითი მნიშვნელობის შესახებ მისი სოციუმთან, ცივილიზაციასთან, ბუნებასთან, მაკროკოსმოსთან მიმართების მთელი სირთულის გათვალისწინებით;
4. თეზისი მეცნიერული და მეტამეცნიერული ანთროპოლოგიური გამოკვლევების აუცილებელი პარალელიზმისა და შესაძლო ინტეგრირების შესახებ;
5. სულიერის პრიმატის კონცეფცია ბიოეთიკურ და ანთროპოლოგიურ კვლევაში [1, 35].

სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს.

განსახილველი კონცეფცია წარმოადგენს ონტოლოგიური ქეშმარიტებისა და სამართლიანობის რეანიმაციის მცდელობას დღევანდელ მეცნიერულ აზროვნებაში. მიგვაჩნია, რომ იგი საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას იდეალისტურ-მატერიალისტურ აზრთა ჭიდილში, სულიერისა და სხეულებრივის შენონილობის, მარადიულისა და წარმავალის ურთიერთმიმართებათა ზეციურ და მიწიერ განზომილებებში არსებობის შეფარდების განსაზღვრაში.

ჩვენივე კონცეფციის მიხედვით სულიერისათვის უპირატესობის მინიჭება და მატერიალურის განძარცვა პრიმატის “დაფნის გვირგვინისაგან” არსებული პროკატასტროფული მსოფლმხედველობრივ-აქსიოლოგიური ტენდენციების რეალური ალტერნატივაა ჩვენი ცივილიზაციის ჰუმანიზაციისა და პროგნოზირებად მომავალში აპოკალიფსური ფინალის პრევენციის პროცესში.

ჩვენ იმ ცივილიზაციაში ვცხოვრობთ, რომლის გენეზისის ერთ-ერთ მთავარ ძალას სეკულარიზაცია წარმოადგენს. თუ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდე კულტურას საფუძვლად ედო რელიგიურ საძირკველზე აღმოცენებული და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, უახლეს დროში რელიგიას დაათმობინეს თავისი ფუნდამენტური მდგომარეობა და ჯერ ხელოვნების, მეცნიერებისა და ფილოსოფიის

გვერდით მიუჩინეს ადგილი ერთ რიგში, რასაც მოჰყვა რელიგიის განდევნის თანმიმდევრული პროცესის განხორციელება რაციონალური აზროვნების, მეცნიერების, საერო ეთიკის, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების მეოხებით. ეს პროცესი დღემდე სულ უფრო მზარდი ინტენსიურობით წარიმართება [3, 51; 7, 1-8].

სეკულარიზაცია ზესთასოფლიურის გაამსოფლიურობისკენაა მიმართული: ის, რაც ეკლესიასა და რწმენის სფეროს განეკუთვნებოდა, თანდათანობით მათგან დამოუკიდებელი (ხოლო შემდგომ – მათთან დაპირისპირებული), საერო ხდება. თუ თავდაპირველად ეს სასულიერო იერარქიის ძალაუფლებისა და საეკლესიო საკუთრების საკითხებს შეეხებოდა, მოგვიანებით ამ პროცესმა ადამიანთა როგორც სულიერი და ზნეობრივი, ისე ინტელექტუალური, კულტურული და სოციალური არსებობისა და მოღვაწეობის ყოველგვარი გამოვლინება მოიცვა.

სეკულარიზაციის პროცესის ნაყოფით განსაკუთრებულად დაიხუნძლა თანამედროვე ბიომედიცინის სულიერ-ზნეობრივ პრობლემათა და დილემათა “ანტინატურის ხე“. მათი დაძლევა ანტისეკულარიზაციით ანუ საკრალიზაციითაა შესაძლებელი.

რწმენასა და ცოდნას, მეცნიერებასა და რელიგიას, რაციონალურსა და ირაციონალურს შორის ხიდეების გადება, რაც ჩვენ მიერ ბიოეთიკის, როგორც მეცნიერების, უმნიშვნელოვანეს ფუნქციადაა აღიარებული, თავისი არსით საკრალიზაციის პროცესის არსებითი ნაწილია.

ამდენად, უახლოეს მომავალში ბიოეთიკამ თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიმკვიდროს მსოფლიო კულტურის სისტემაში, ხოლო ბიოეთიკურმა მსოფლმხედველობამ თავისი როლი შეასრულოს ცივილიზაციის განვითარების პროცესებში.

ჩვენი აზრით, ბიოეთიკური კვლევა ორიენტირებული უნდა იყოს ბიომედიცინის საკაცობრიო პრობლემების იმგვარი გააზრების, შესწავლისა და ანალიზისაკენ, რომელიც ფუნდამენტური ბიოეთიკური კატეგორიების (სიცოცხლე, სიკვდილი, ავადმყოფობა, ჯანმრთელობა) მრავალმხრივ (ბუნებისმეცნიერულ, ჰუმანიტარულ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, ისტორიულ, კულტუროლოგიურ და ა. შ.) გამოკვლევებზეა დაფუძნებული. ამასთანავე იგი უნდა ეყრდნობოდეს ადამიანის მთლიანი პიროვნების, მისი ორბუნებოვნების გაგებას ღმერთთან, სამყაროსთან, ბუნებასთან, საზოგადოებასთან, ცივილიზაციასთან მიმართების გათვალისწინებით.

ადამიანის არსის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის შესახებ ამომწურავ ცოდნას ვერ იძლევა ვერც საბუნებისმეტყველო (მათ შორის სამედიცინო-ბიოლოგიური), ვერც ჰუმანიტარული მეცნიერებები. უფრო მეტიც, ამ ცნებათა მეტ-ნაკლებად ამომწურავი დეფინიციის მისაღებად დღის წესრიგში დგება საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სცილდება საერთოდ მეცნიერულ სფეროს და მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ მეტამეცნიერულ (ფილოსოფიურ, საღვთისმეტყველო, მეტაფსიქოლოგიურ და ა. შ.) კვლევასა და გააზრებას.

ბიოეთიკური განზომილების რეალიაში სამედიცინო და ბიოლოგიურ ცნებათა არსის კვლევის გნოსეოლოგიურ პროცესს მთელი ინტერ- და ტრანსდისციპლინური ცოდნის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის გზით ჩვენ ვუწოდებთ სამედიცინო

და ბიოლოგიური ცნებების ბიოეთიკურ კატეგორიებად ტრანსფორმაციას, ხოლო თვით პროცესის მეთოდოლოგიას – ამ ტრანსფორმაციის ტექნოლოგიას [1, 31-32].

ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მეცნიერული ცოდნის შერწყმის პროცესი არამეცნიერულთან როგორც ზოგადად, ისე ბიოეთიკური აზროვნების გენეზისის პროცესშიც, კერძოდ, დაკავშირებულია მეთოდოლოგიურ პრობლემებთან — განსხვავებასთან მეცნიერული და არამეცნიერული შემეცნების მეთოდებსა, ფორმებსა და მისთ. შორის.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ადამიანისა და სამყაროს წარმოშობის სხვადასხვა თეორიის მომხრეთა შორის დისკუსიას, რომლის წიაღშიც ხშირად ცდილობენ საღვთისმეტყველო და მეცნიერული აზრების ურთიერთდაპირისპირებასა და შედარებას. ამგვარი მცდელობა ყოველთვის კრახით მთავრდება, რადგან შეცდომაა ორი განსხვავებული გენეზისის იდეების შედარება, საჭირო და შესაძლებელი მხოლოდ მათი შეჯერება და შერწყმაა.

ერთი მხრივ, ბიოსამედიცინო ცნებათა შესახებ არსებული ყოველგვარი ცოდნის ინტეგრაცია სრულიად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომელთაც აყენებს ამ ცნებათა ტრანსდისციპლინური დეფინიციების შემუშავების ამოცანა, მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ აზროვნების ამგვარ სისტემაში არ არსებობს ერთი აუცილებელი კომპონენტი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ამ საკვანძო სამედიცინო ცნებათა ფუნდამენტურ ბიოეთიკურ კატეგორიებად ტრანსფორმაციის პროცესის ფენომენური გაფორმება. ეს კომპონენტი გახლავთ საკითხის აქსიოლოგიური გააზრება ზოგადსაკაცობრიო, ღვთაებრივ, ადამიანურ, ეროვნულ, სოციალურ, კულტურულ, ეთიკურ ღირებულებათა სისტემებში.

სწორედ ღირებულებებთან დაკავშირებული პრობლემებია უმნიშვნელოვანესი ყველა იმ მეცნიერებისათვის, რომელიც სწავლობს ადამიანს, საზოგადოებას. ასეთ მეცნიერებათა რიცხვს განეკუთვნება ბიოეთიკაც და ბიომედიცინაც. ღირებულებითი საფუძვლების რღვევას გარდუვალად მივყავართ კრიზისამდე. ეს ეხება როგორც პიროვნებას, ისე საზოგადოებას, ერს, ეთნიკურ, რელიგიურ, სხვა კულტურულ და სოციალურ ჯგუფებს, მთელს კაცობრიობას [7, 1; 8, 9].

ასეთი კრიზისის ილუსტრაციას წარმოადგენს ბიოეთიკურ კოლიზიათა ფართო სპექტრი, რომლის წინაშეც დგას დღეს კაცობრიობა და თითოეული ჩვენგანი და რომლისგანაც თავის დაღწევას ხელს შეუწყობს სულიერის პრიმატის აღიარება კულტურულ სივრცეში.

ლიტერატურა:

1. ახალაძე ვ. მ. ბიოეთიკის გენეზისი და მისი როლი ბიომედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე: ავტორეფ. დის. ... მედ. მეცნ. დოქტ.: 14.00.33. თბ., 2003. 48 გვ.

2. არქიმანდრიტი ადამი (ვ. ახალაძე). ადამიანი ბიოეთიკურ დროსა და სივრცეში. – Konrad Adenauer Stiftung, 2010. 250 გვ.
3. Каган М.С. И вновь о сущности человека //Отчуждение человека в перспективе глобализации мира / под ред. Б.В. Маркова, Ю.П. Солонина, В.В. Парцвания. – Вып.1. – Спб.: Петрополис, 2001. – С.48-67.
4. Парцвания В. В. Метод исследования в человековедении // Отчуждение человека в перспективе глобализации мира / под ред. Б. В. Маркова, Ю. Н. Солонина, В. В. Парцвания. – Вып.1. – СПб.: «Петрополис», 2001. – С.123-135. .
5. Archimandrite Adam -Vakhtang Akhaladze. Parents and children: surrogate paradigm of modernity // Georgian Medical News. – 2011. - №6 (195). – С. 7-10
6. Peris C. Gestational surrogacy: Could be a way to reproduction? Pros and Cons // Georgian Medical News. – 2011. - №6 (195). – С. 11-15
7. Engelhardt, H. T.Jr. The culture wars in bioethics revisited // Christian Bioethics. – 2011. – V. 17, № 1. – P. 1-8.
8. Iltis A.S. Bioethics and the culture wars // Christian Bioethics. – 2011. – V. 17, № 1. – P. 9-24.

ARCHIMANDRITE ADAM (AKHALADZE)

Supremacy of spirituality in secularized cultural world.

Bioethical observation

Summary

Decision of bioethical, biomedical, anthropological and other types of global problems is highly depended on: a) spiritual-ethical belief of the society, b) values, that the society considers to be the most indispensable, d) timely, wise, moral and adequate reaction of the society when faced with the resolution of ethical dilemmas, - (i.e. what kind of bioethical-anthropological vision would be generated within the society).

Mankind enters the critical phase from the bioethical point of view.

Bioethical critical existence of the modern world can be explained by the fact that various biological dilemmas connected with the utilization of embryonic stem cells, fetal therapy (in some countries, e.g. Russia), abortion, euthanasia, transplantology and other types of bioethical dilemmas connected with genetic medicine, are still unresolved.

Upsurge of civilization in disintegrating biosphere, signs of deep and severe crisis in spiritual and intellectual life of mankind, give us the possibility to prognosticate: next phase will be the phase of catastrophe (apocalypses).

However, there's the chance to replace the phase of crisis with the phase of catharsis. Being restricted in time and space, the phase of catharsis is the most necessary and valuable process for both terrestrial and eternal life of a human being.

Due to the fact that our investigation according to its content is anthropological as well, it should cover the number of issues that are related to a human being.

- The essence and nature of a human,
- The origin of a human,
- Destination of a human on the earth,
- The place of a human in the universe,
- Human, as a biological creature –the highest level in the hierarchy of living organisms on the earth,
- All revelations of human destination (birth, growth, development, death, health, life, illness, reproduction and etc),
- Human – the subject of social-historical creativity,
- Human –the subject of spiritual creativity,
- Human, as the subject of cultural creativity,
- Human, as a metaphysical creature,
- Human, as the bearer of the universal ideal origin.

During the scientific and Christian- anthropological investigations of the essence of bio-ethical dilemmas we rely on the following theses:

1. Thesis about divine (creationistic) origin of a human;
2. Thesis about the dual nature of a human;
3. Thesis about the essential importance of trans-disciplinary investigation of a human considering the whole complexity of his relation with the environment, society, civilization, nature and macro-space;
4. Conception of supremacy of a human in bioethical and anthropological investigation.

Precisely the last thesis represents the subject of our investigation.

The given conception represents the attempt of reanimation of ontological truth and equity in modern scientific ideology.

Secularization is the main force that promotes the genesis of our civilization.

The tree of spiritual-ethical problems and dilemmas of biomedicine is heavy with the fruits of secularization process and the only way to deal with them is through anti-secularization or sacralization.

Bridge must be built between the belief and knowledge, science and religion, rational and irrational – this is the main function of bioethics and the integral part of sacralization process.

In the nearest future bioethics must take its appropriate place in the system of world culture and bioethical ideology must play its role in the development processes of civilization.

In the reality of bioethical space gnoseological process of investigation of the essence of medical and biological conception through the critical analysis and synthesis of the whole inter

and trans-disciplinary knowledge, is called bioethical transformation of medical and biological conceptions into categories, and the methodology of the process itself is called the technology of transformation.

Our investigations show that the merging process of scientific and non-scientific knowledge, in general, and in the process of the genesis of bioethical ideology, is connected with methodological problems, with the difference between scientific and nonscientific methods of perception, their forms and etc.

It must be taken into consideration that such system of ideology is deprived of essential component – it's axiological perception of the issue in the systems of common, divine, human, national, social, cultural and ethical values.

Precisely the problems which are related to human values are the most significant for those sciences the main subject of which is a study of a human, a society in general. Bioethics and biomedicine can be included in the list of such sciences. Destruction of human values leads us to crisis. It refers to both a human and society, as well as to nation, ethnical, religious and other cultural and social groups, to the whole mankind.

Wide specter of bioethical collisions we're facing today is the illustration of such crisis and the only way to overcome it can be found through recognition of spiritual supremacy in our cultural space.

ANNO DOMINI – სიბერის ფენომენი

„არაფერია სიბერეზე ძლიერი“
გრიგოლი ღვთისმეტყველი

გასული საუკუნის ოციან წლებში დაწერილ ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის მცირე ზომის მოთხრობაში “ბენჯამინ ბათონის იდუმალებით მოცული ამბავი” (*The Curious Case of Benjamin Button*) აღწერილია მართლაცდა უჩვეულო ამბავი ადამიანისა, რომელიც ღრმად მოხუცი დაიბადა და შემდეგ დაიწყო გაახალგაზრდავება. ერთი შეხედვით, ეს არის ფანტასტიკურად არარეალური ისტორია, მაგრამ დაკვირვებული მკითხველისათვის მასში იხსნება რეალური თემები ადამიანური ყოფიერებისა. ეს პატარა მოთხრობა მოგვითხრობს, თუ როგორი რთულია ადამიანისათვის იყო ის, რაც არის, არ იყო სხვების მსგავსი, რამდენი აბსურდული პრობლემის წინაშე დგება როდესაც სხვადაა ქცეული, „სხვაა“, „გან-სხვა-ვებულია“. დრო მოთხრობის გმირის ბიოგრაფიაში ბოლოდან უკან, ფინალიდან დასაწყისისკენ დატრიალდა. „უკუღმა დატრიალებული სიცოცხლის“ ტრაგედია – ტრაგედიაა ადამიანისა, რომელიც არ არის სიბერით დატვირთული – გარეგნულად მოხუცს არავინ აღიარებს ახალგაზრდად. მის წინაშე იხსნება სიტყვა სიბერის საშინელი მეორე მხარე. ერთი მხრივ, მას არ შეუძლია მის გარეთ არსებული დროის მდინარების შეჩერება, მისი უკან მოტრიალება. ცხოვრების გზაზე მას ხვდებიან ადამიანები, მოვლენები, სიყვარული. ყველაფერი, რაც გარს აკრავს, თანამედროვე სამყაროს პრაგმატული ტენდენციების ამსახველია. ფიცჯერალდი ხატოვნად ასურათხატებს გმირის დაჟინებულ რბოლას ახალგაზრდობისაკენ. სიბერის, როგორც უძლურების, უსასობის, ზედმეტ ბარგად მყოფობის აუტანლობას. მაგრამ ეს პლანი მეორეხარისხოვანია ამბისათვის. მთავარია დროის ექსისტენციონალური გაგების მნიშვნელობის ჩვენება იმისა, რომ სიბერე არაა დაკავშირებული დროის ისტორიულ განზომილებასთან. მკითხველმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ დრო ადამიანის შინაგან, ონტოლოგიურ მდგომარეობას ასახავს და მას სდევს ფეხდაფეხ. ამ ამბის მთავარი იდეა იმაშია, რომ არ არსებობს დროის მდინარების, სიბერის, ახალგაზრდობის, სიყვარულის, ურთიერთობების უნივერსალური კანონები, ადამიანი თავად ქმნის საკუთარ სამყაროს, საკუთარი კოდექსით.

ადამიანის მოკვდაობა და ყოფიერების მარადიულობა

სიბერე, როგორც დღეგრძელობის ეტაპი, ყოველ კულტურაში განსაკუთრებული საზრისის მატარებელია. იგი დაკავშირებულია განსხვავებული დისკურსის ხედვებთან, მოცემული კულტურის ინტუიციასთან. სხვადასხვა კულტურაში სიბე-

რის იდეა ტრანსფორმირდება განსხვავებული სიღრმისეული საზრისით დატვირთულ სახეებად და ვლინდება განსხვავებული პარადიგმის სახით. საინტერესოა ქართულ და ინგლისურ ენობრივ სივრცეში ასახული ორი ხედვა. საბასთან ასაკი განმარტებულია, როგორც „ჟამთა საზომი კაცთა, რამეთუ თვისებასა ჟამთასა ცხადჰყოფს“ (17. 467), ხოლო მირიამ ვებსტერის ლექსიკონში „ასაკი“ (Old) განიმარტება, როგორც ასაკში შესვლა და სიბერე (<http://www.merriam-webster.com/dictionary/>).

სიბერეს განსხვავებული მეტაფორებით ამკობენ ფილოსოფოსები; მაგალითად, პითაგორა მას “სიცოცხლის ზამთარს” უწოდებს, ციცერონი – “შესმულ თასს”.

პირველყოფილ მითებში, ლეგენდებში, თქმულებებში, საგმირო ეპოსში, ფოლკლორში მრავლადაა წარმოდგენილი მხცოვან ადამიანთა სახეები, რაც საშუალებას იძლევა რეტროსპექტულად აღვადგინოთ მოხუცებულთა სოციალური სტატუსი და მორალური ავტორიტეტი პატრიარქალურ საზოგადოებებში. უხუცესის, როგორც კულტურული, სამეურნეო, რელიგიური, მორალური გამოცდილებისა და ცოდნის, პატრონისა და მცველის მდგომარეობა, განაპირობებდა მოხუცთა განსაკუთრებულ როლს. ეს ტრადიციითაც მყარდებოდა.

აღმოსავლურ, მაგალითად, ინდურ ტრადიციაში სიბერე განიხილებოდა, როგორც ცხოვრების გზის დამასრულებელი ეტაპი; როდესაც ადამიანი, სიბრძნის ძიების გზაზე შემდგარი, მასწავლებლის სახით უბრუნდება სოფელს; სიბერემდელი სიცოცხლის ეტაპები ხასიათდებოდა შემდეგნაირად: გაფურჩქვნის, სიმწიფის, კანონშემოქმედებითი, განსაკუთრებული აქტივობის, სამოქალაქო, შემოქმედებითი ძალების და ა.შ. ჩინურ ტრადიციაში სიბერე განსაკუთრებული პატივისცემით იყო პატივდებული. დაოიზმის მიმდევარი მკურნალების აზრით, ხანგრძლივი ცხოვრება ადამიანში ინისა და იანის სასიცოცხლო ძალების ჰარმონიისა და მისი მარადიული ერთობასთან წილნაყარობის ნიშანია.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, სიბერის პრობლემა გამოკვეთილად იძენს მეტაფიზიკურ მნიშვნელობას; ადამიანი მეტაფიზიკური არსებაა და მისი სიცოცხლე, ასაკობრივი პერიოდები იდენტიფიცირდება ფუნქციურ მზაობასთან, გახდეს მოშუალები მინიერ და ზეციურ სამყაროებს შორის.

ანტიკურ ცნობიერებაში, კერძოდ პლატონთან, ასაკი და ხელისუფლება დაკავშირებულია სიბრძნესთან; იგი იდეალური სახელმწიფოს საფუძველია. პლატონის მიხედვით, „სიბერეს სრული სიმშვიდე და ყოველგვარი ვნებათაღელვისგან განთავისუფლება მოსდევს“ (1.5) და იქვე: „ნესიერი და თავდაჭერილი კაცისთვის სიბერე არც ძნელი ასატანია, უნესოს და აღვირახსნილს კი სიბერის გაძლება უჭირს და სიჭაბუკისაც“ (1.5). სიბერის ფილოსოფიური კონცეპტუალიზაცია, გვიან ელინიზმში, მოცემულია ციცერონის სპეციალურ ტრაქტატში „სიბერის შესახებ.“ იგი გვანვდის სიცოცხლის დაისის ფილოსოფიის კლასიკურ მაგალითს. გვირგენებს, რომ ის ადამიანი, რომელმაც აღასრულა თავისი ზნეობრივი მოვალეობა და „სამყაროს მოქალაქის“ ნოდება დაიმსახურა, ამაყად ხვდება განვლილი წლების შინაარსით დატვირთულ სიბერეს და პოვებს მშვიდ ნავსაყუდელს. ციცერონი აქ-

ცენტს აკეთებს ავტორიტეტის ცნებაზე. ავტორიტეტი მხოლოდ გარეგნული გამოხატულებაა იმ პიროვნების შინაგანი ღირსების და სიმრთელისა, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა უმაღლეს იდეალებს. სიბერე ადამიანური სიცოცხლის დრამის უკანასკნელი აქტია, რომელშიც „სიცოცხლით კმაყოფილებას სიკვდილი დროულად მოყავს“ (4. 23).

სქოლასტიკაში მოწიფულობისა და სიბერის გაგება ტრანსფორმირებული და გადააზრებულია. ჩნდება ასკეზის ცნება. ალორძინების ევროპული ჰუმანიზმი სვამს ახალ აქცენტებს. აშკარაა საკითხისადმი ინტერესის სიმწირე, რაც განმანათლებლობის ეპოქასაც გასდევს. ამ პერიოდში გამოირჩევა მიშელ მონტენის კვლევა, თუმცა, მის შემოქმედებაში ყველაზე მოკლე კვლევა/“ცდა“ ეძღვნება სიბერეს და მასთან დამოკიდებულების საკითხს (12. 288-300). მე-19 საუკუნის მიწურულს ევროპულ კულტურაში დგება რადიკალური ცვლილებების ხანა, რომლის კონტექსტში აქცენტი სიცოცხლის დასაწყისზეა გადატანილი; კვლევების ინტერესი ბავშვობის, როგორც განსაკუთრებული სამყაროს, ექსისტენციონალური ჰორიზონტის გახსნაზე კონცენტრირდება. სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციების შედეგად თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში სიბერე „განდევნილია“, იგი, როგორც ფენომენი, უბრალოდ, გაუქმებულია; სიბერის ზიზღი, ე.წ. გერონტოფობია თანამედროვე რეფლექსიაში, არსებით მახასიათებლად გვევლინება, ხოლო ასაკთა შორის საუკეთესოდ და სასურველად დგინდება ახალგაზრდობა; ახალგაზრდობა, როგორც ადამიანში „ადამიანურის“ საზომი. ერთგან თანამედროვე ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი ჩვეული სარკაზმით აღნიშნავს: „რა სამწუხაროა, რომ სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი დასაწყისს ემთხვევა, უარესი – დასასრულს“ (It was a pity that the best part of life came at the beginning and the worst part at the end.) .

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სიბერე გამოკვეთილად ბუნებისმეცნიერთა ინტერესის საგანად იქცევა. საკითხის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიხატა სიბერისა და დაბერების სისტემურ მეცნიერულ და გამოყენებით კვლევებში. საფუძველი ეყრება ახალი დარგების ჩამოყალიბებას, რომლებიც უშუალოდ სიბერის ფენომენს, დაბერების ფაქტორებს და მათი თავიდან აცილების მექანიზმებს იკვლევდა. მედიცინის განსაკუთრებული ინტერესის ფოკუსში მოექცა სიცოცხლის გახანგრძლივების, ორგანიზმის დაუძღვრებისა და დაბერების შეჩერების, ადამიანის ფუნქციონალური აქტივობის შენარჩუნების მეთოდების დამუშავება. იქმნება ახალი სპეციალობა მედიკოს-გერონტოლოგი, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხებითაა დაკავებული. უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა ამ მიმართულებით მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები. ამასთან, პრობლემისადმი ვიწრო ბუნებისმეცნიერული და სამედიცინო-„ტექნიკური“, ისევე როგორც სოციალურ-მწარმოებლური მიდგომა მიგვითითებს საკითხისადმი ცალმხრივ, შესაბამისად, ნაკლოვან დამოკიდებულებას. ადამიანი არ არის მხოლოდ ორგანიზმი ან რესურსი და არც მისი სიბერეა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ-ფსიქიკური, ან სოციალურ-დისფუნქციური მოვლენა. სიბერის პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება მოვაქციოთ მხოლოდ ფიზიკური ან ინტელექტუალური უძღვრების პრობლემის გადაწყვეტის ფარგლებში. მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებული ინტერესის საგნად უნდა იქ-

ცეს სიბერის, როგორც ზნეობრივი პრობლემის, ანალიზი კონკრეტული ინდივიდის ცხოვრებისეულ კონტექსტში. სიბერის ბიოლოგიური ასპექტი, ანუ, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა სიბერის ასაკამდე და მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი, სხვა სიტყვით, თუ როგორ უნდა გადარჩეს სიბერის ასაკში მყოფი ადამიანი, ადეკვატურად მხოლოდ მას შემდგომ შეიძლება გაიხსნას, როდესაც სიბერის მეტაფიზიკური და ზნეობრივი საზრისი გაიხსნება – რისთვისაა საჭირო სიცოცხლე? რა საზრისის მატარებელია ასაკი? როგორი ზნეობრივი შინაარსის მატარებელია ასაკოვანი ადამიანი? არის თუ არა სიბერის ეტაპი ადამიანის სიცოცხლის გზაზე მისი ცხოვრების სრულფასოვანი ეტაპი?

სიბერის ფენომენის მიმართ ეთიკური პრობლემატიკის აქტუალიზება უპირისპირდება ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს როგორც ეთიკის კვლევის არეალის, მისი შესასწავლი საგნის, მიზნების და ამოცანების, ისევე თავად სიბერის ფენომენის მიმართაც. ეს უკანასკნელი უმალ მედიცინის, ბიოლოგიისა და სოციოლოგიის ანალიზის საგნადაა დასახული. თითქოსდა სიბერე მხოლოდ ბიომედიცინის ციკლის დისციპლინათა ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული; სიბერის ფენომენის მიმართ სციენტისტურად ორიენტირებულ თანამედროვე ეთიკაში ფილოსოფიური კითხვების დაყენებაც კი მოხსნილია. აუცილებელია ანალიზის ამ ცალმხრივი სქემიდან გამოსვლა. სიბერის ფენომენის გაშუქება „ანტი-ნატურალისტური“ პოზიციიდან გახსნა, სამური საქმეა.

ადამიანის ბიოლოგიური აღნაგობა და ადამიანის ბუნება. დღევანდელი საზოგადოების საზომი

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სიბერის მრავალი განმარტება, ისინი გარკვეულ კორელაციაში არიან სიბერის როგორც კულტურულ-ტიპოლოგიურ განსხვავებებთან, ისე მასობრივ ცნობიერებაში არსებულ მრავალფეროვან განმარტებებთან. ასაკის ცნებაში სამედიცინო-ბიოლოგიური, სოციალური და ეთიკურ-სულიერი გაგება გამოიყოფა. ასაკობრივი კლასიფიკაციები მრავალფეროვანია და სიბერის საზღვრების დადგენისას ისინი ძრელ სურათს წარმოადგენენ: 45 წლიდან 70 წლამდე. მეცნიერები სვამენ საკითხს სიბერის ქრონოლოგიურ ასაკსა და მის სოციოლოგიურ მახასიათებლებს შორის მიმართების შესახებ. ეს პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ცხოვრების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე, კერძოდ, ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების, სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების ფონზე.

მორალური ცნობიერების ღირებულებით სტრუქტურაში ცნებების „ბებერი“, „სიბერე“ შინაარსის გახსნისას დომინირებს მათი სოციოკულტურული და არა ბიოლოგიური კომპონენტები.

სიბერის ფენომენის მიმართ ეთიკური თვალსაზრისით არსებითია აქტივობის ისეთი კომპონენტები, როგორცაა თვითშეგნება, რეფლექსურობა საკუთარი

თავისა და უწყვეტ მდინარებაში მყოფი სიცოცხლის, გონივრული სიცოცხლის მიმართ. თუ კორექტული იქნება ტერმინის „მშვენიერი სიბერე“ გამოყენება, იგი ამ მომენტებისაგან შემდგარი უნდა იყოს.

თავად სიბერის იდეაში დაფარულია წინააღმდეგობათა რიგი ადამიანის სიცოცხლის ბიოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ შინაარსებს შორის. ამ წინააღმდეგობათა გადანყვეტაში იხსნება პიროვნული ზრდის/განვითარების ხარისხი, სიცოცხლის ნება, მარადიული ცხოვრებისაკენ სწრაფვა. სიბერის დაყვანა ბიოლოგიურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და სხვ. შემადგენელ ელემენტზე მცდარია. ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარი კუთხიდან, ნაწილობრივად, ცალმხრივად ხსნის სიბერის საზრისს.

სისტემაში „სამყარო-ადამიანი“ სიბერე გულისხმობს ადამიანური ყოფიერების განხილვას უნივერსუმის კონტექსტში. იგი სიმბოლური საზრისითაა დატვირთული, მასში იხსნება ორმხრივი, ურღვევი საკრალური კავშირი ადამიანსა და სამყაროს შორის. ეს საზრისი ჩანს ყველა კულტურაში, იგი ანიჭებს მნიშვნელობას სიბერეს, როგორც ცხოვრების გზის გარკვეულ ეტაპს ერთეული პიროვნების დონეზე.

სიბერის ექსისტენციონალური საზრისი ვლინდება იმაში, რომ იგი ხორცს ასხამს შინაგან კავშირს, აპირობებს შინაგან თანაზიარობას არა ოდენ ცოცხალ და გარდაცვლილ თაობათა შორის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალ თაობათა შორის; იგი ხსნის ადამიანის სიცოცხლის გზის სიბრძნეს, როგორც კაცობრიობის ისტორიის უწყვეტობის საფუძველს. სიბერე, ერთი მხრივ, არის პიროვნების სულიერი ჩამოყალიბების ეტაპი და, მეორე მხრივ, „ყოფიერების განსაკუთრებული სახით თვითგახსნის მომენტი, რისგანაც და რასთან ერთადაც ყოფიერებას სხვა სახეები თანაფარდობაში მოყავს“ (10. 115).

სიბერე, როგორც ადამიანის შინაგანი მომნიშვნელების მდგომარეობა, უმაღლესი ღირებულების მქონეა სხვა ასაკებთან მიმართებაში. სიბერე მეტაფიზიკურია იმ პლანში, რომ ესაა მზადება იმანენტური ყოფიერებიდან ტრანსცენდენტურში გასვლისა. სიბერე, ანტიკური პერიოდის მოაზროვნეთა გაგებით, დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმის, მისი სხეულის ცვლილებებთან, ამ პლანში იგი ახლოსაა სიბერის თანამედროვე ხედვასთან. თუმცა, ანტიკურობისაგან განსხვავებით, თანამედროვეობაში სიბერის ფენომენი ზოგადად, მისი მეტაფიზიკა და ესთეტიკა უარყოფითადაა შეფასებული. ასაკთა თეორიაში პლატონი მისდევს აღმოსავლურ რელიგიურ ტრადიციას კოსმოსური ციკლების შესახებ. იგი წერს სამყაროს შესაძლო ორმაგ მოძრაობაზე, რომელიც იწვევს კოსმოსურ კატასტროფებს და ჟამიანობას დედამიწაზე, რასაც მოჰყვება განახლება – კოსმოსური აღორძინება. ადამიანები იწყებენ გაახალგაზრდავებას, მოხუცთა თმები იწყებს გაშავებას და ა.შ. მონიფული ადამიანები სულ უფრო და უფრო პატარავდებიან სიმაღლეში, ახალშობილთა ზომამდე, დაბოლოს, ილევიან (1.176). სამყაროს ორმაგ მოძრაობას შეუძლია გამოიწვიოს როგორც პარადოქსული უკან განვითარება ადამიანისა, როგორც მიკროკოსმოსისა, ისე მიცვალებულთა აღდგომაც. ამიტომაც ადამიანის ასაკი პირობი-

თია. ბერძნულ ფილოსოფიაში ადამიანური სიცოცხლის ასაკების, ე.წ. „შვიდი სეზონის“ თავისებურებების, შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალური ცხოვრების, მისი ფსიქოლოგიური და სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. დაბერების მიზეზების ძიება ორი მიმართულებით მიმდინარეობს. კოსმოლოგიურ მიზეზებს ეზოთერული ინტერპრეტაციის გზით ხსნიან. მაგალითად, პლატონი უთითებს, რომ ცოცხალი არსება ტვინზე მთავარი სამკუთხედების მოქმედების მოსუსტების გამო ბერდება და სული სიხარულით შორდება მას. სამკუთხედი, ანუ ციფრი, სამი მისტიკური სისტემის ცენტრალური ნერტილია, ღვთაებრივის, ბუნებრივის და ადამიანური საწყისების ერთობის სიმბოლოა. სამყაროული სამობა თავს იყრის ღვთაების ერთიანობაში, ადამიანის თვითცნობიერებაში და ნებაში, რომლებშიც სხეულის, სულისა და საფშვინველის ყველა თვისება ერთ ცოცხალ არსებაში იყრის თავს. სიბერეში ადამიანის თვითცნობიერება, მისი თვითობა აცნობიერებს სურვილს შეუერთდეს პირველწყაროს, თავის მეორე თვითობას. კოსმოლოგიურ მიმართულებას მიეკუთვნება თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სიბერე განიხილება, როგორც სუბსტანციურ ელემენტებს: ნყალს, ჰაერს, მიწასა და ცეცხლს შორის სიმეტრიის დარღვევა. დაბერების ენერგეტიკული მიზეზები პარმენიდესთან დაკავშირებულია სითბოს ნაკლებობასთან, რომელიც შეიძლება მოაზრებული იყოს, როგორც არანივთიერი ელემენტის – ღვთაებრივი ცეცხლის გაგება. ადამიანის სხეული არასრულყოფილია, მას თვითკმარი მნიშვნელობა აქვს. პროგრესირებადი დაბერების დროს საჭიროა მისი ტონუსში მოყვანა და ამ მდგომარეობის შენარჩუნება. დაუშვებელია ზედმეტობანი, საჭიროა ჰიგიენის დაცვა, რადგანაც სხეული უკვდავი სულის მატარებელი ტაძარია. პითაგორასა და პლატონის აზრით, მის მოვლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სული დაბინძურდება, სული სხეულის ეთერული ორეულია. საინტერესოა პლატონის მოსაზრება, რომელსაც იგი „კანონებში“ გადმოსცემს და ეხება ზნეორივ აღზრდაში მუსიკის როლს. იდეალურ სახელმწიფოში ხალხი ჩართული უნად იყოს ცეკვა-თამაშში. პლატონის სამი ასაკობრივი ფერხულის კონცეფციაში მესამე – 30-60 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი მოქალაქეებისა დიონისეს ეძღვნება, ხოლო ისინი, ვინც 60-საა გადაცილებული, ორგანიზმის უძლურების გამო არ არიან ჩართული საერთო ფერხულში. არისტოტელე, განსხვავებით პლატონისგან, მოუწოდებს მოხუცებს იმგვარ სიმღერებს მიმართონ, რასაც მათ ბუნება უკარნახებს. საერთოდ, ბერძნებთან არ დგას გარეგნული ეფექტის პრობლემა, ანუ უნარი და მისწრაფება გამოიყურებოდეს ახალგაზრდად. ასაკი განისაზღვრება სოციალური გრადაციით, იმ ჯგუფის მიერ, რომელსაც ის განეკუთვნება, ბავშვობის ასაკიდან დაწყებული, ვიდრე სიბერემდე, ხოლო ზნეობრივი პრობლემა: იყო, თუ თავი მოაჩვენო, ერთმნიშვნელოვნად წყდება – იყო ის, რაც ხარ. „თუ დაბერდი, თავს ბიჭად ნუ აჩვენებ“ – ამბობდნენ კინიკოსები (2.128).

სხვა საკითხია, რომ განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება სხეულის მოვლას. ადამიანს ევალება მისი მოფრთხილება, ხელის შეწყობა, რომ იგი ჯანმრთელ მდგომარეობაში იყოს. სხეული ახალგაზრდაა, ვიდრე იგი ჰარმონიულია, მოქნილი

და პროპორციულია. მაგალითად, იგივე ანტიკურობაში ათენის მოქალაქეს ევალე-ბოდა მთელი ცხოვრება გიმნასტიკით ყოფილიყო დაკავებული, მედიკოსთა რჩევებს მიყოლოდა. მედიცინა მიიჩნეოდა ყველაზე ბრძნულ მეცნიერებად, იგი სხეულსა და სულსა და კოსმოსს შორის მოშუალებდ მიიჩნეოდა. მეორე მიმართულება ნატურფი-ლოსოფიის ფარგლებში განიხილავს სიბერეს. ბერძნებთან კვლევის ერთი ყველა-ზე პოპულარული მეთოდი ანალოგიაა; ჩვეულებრივ ხდება არაცოცხალი ბუნების საგნების ანალოგიით შედარება ცოცხალი ბუნების საგნებთან, ხოლო სხეული გა-ნიხილება გახსნილი სისტემის პრინციპით. სხეულს არ აქვს დასაწყისი, მისი ყველა წერტილი თანაბრად სანყისიცაა და დასასრულიც: მოხაზეთ წრე – ვერ იპოვით და-საწყისს. (6.206) ადამიანის სხეული კოსმიურ სხეულშია ჩართული და ატარებს მის ანარეკლს. შესაბამისად, არ შეიძლება არსებობდეს დაბერების პირველადი, ამამუ-შავებული მიზეზი – ამგვარად, ლოგოსის გამომჟღავნება ხდება ფენომენალურ სამ-ყაროში.

**ორგანიზმის სტიმულაციის თანამედროვე ბიოსამედიცინო მეთოდები:
გაახალგაზრდავება, სიცოცხლის გახანგრძლივება,
ადამიანის ბიოფიზიკური უკვდავება – pro და contra**

სხვადასხვა კერძო დისციპლინათა კვლევები აჩვენებენ რომ, ხანდაზმულ ადამიანებს დაწეული აქვთ თვითშეფასება, უძლიერდებათ იმის შეგრძნება, რომ მათი ყოფიერება ფუჭია, უსარგებლო, გაუფასურებულია საკუთარი თავისა და სი-ცოცხლის ღირებულებითი შეფასება. მძლავრობს სხვადასხვა სახის შიშები – მარ-ტო დარჩენის, უსასობის, გაღატაკების, სიკვდილის; იკლებს გარე სამყაროსადმი ინტერესი, ნოვაციების აღქმისა და მიღების უნარი, იზრდება ინტერესი წარსულის მოვლენების შეფასების მიმართ. ამ ტიპის ცვლილებები ხანდაზმული ადამიანის დამახასიათებელ სახეს ქმნიან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელი დემოგრაფიული ნიშანია ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვის ზრდა. გაეროს მონაცე-მებით, 1950 წელს მსოფლიოში იყო 214 მილ. 60 წლის და ზემოთ ასაკის ადამიანი, 1975 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 350 მილ-მდე. გაეროს დემოგრაფიული დეპარტამენტის პროგნოზით, 2025 წლისათვის 60 წლისა და ზემოთ ასაკის მქონე მოსახლეობის რაოდენობა 5-ჯერ გაიზრდება და 1 მილიარდ 100 მილიონს მიაღ-წევს. პარადოქსული ფაქტის მონმენი ვხდებით ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში. ერთი მხრივ, გაიზარდა ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც მწვავედ ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება და პარალელურად იმატა გენური ინჟინერიისა და ბიოსამედიცინო ინსტიტუტების რიცხვმა, რომლებიც ინტენსიუ-რად მუშაობენ გაახალგაზრდავების პროექტებზე. იქმნება „ფეტალურ ქსოვილთა ბანკები“. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მედიცინა ჯერ კიდევ 20-იან წლებში მიზნად ისახავდა ამოეხსნა მარადიული ახალგაზრდობის პრობლემა, ამ მხრივ გარკვეული შედეგებიც ჰქონდათ, აფთიაქებში იყიდებოდა ქიმიურად დამუშავებული ემბრიო-

ნული მასალა, როგორც განსაკუთრებულად აქტიური ბიოლოგიური თვისებების მატარებელი ქსოვილები, მათ მიეწერებოდათ ორგანიზმის მეტაბოლიზმის ციკლის, ვიტალური მექანიზმის გააქტიურება.

დღეს დასავლელ ბიოლოგთა და მედიკოსთა ნაწილი მოითხოვს შეიქმნას „კლონირების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც რეალურად შეძლებს სულ ახლო მომავალში სიცოცხლის გახანგრძლივებას 500 წლამდე. ცნობილია, რომ ქვეყნის, სახელმწიფოს კეთილდღეობა ფასდება იმით, თუ როგორია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა. ეკლესია თავის ლოცვებში მრავალჯამიერებას ითხოვს მრევლისთვის, ყოველი ლიტურგია სრულდება მრავალი წლის უმტკივნეულო, ჯანმრთელი სიცოცხლის თხოვნით.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში გამართლებულია სიცოცხლის ნებისმიერი ხერხით გახანგრძლივება, რომ იგი დადებითად აფასებს თანამედროვე ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების მცდელობებს, ნებისმიერი ხერხით მოახერხონ დაბერების პროცესის შეჩერება, უფრო მეტიც, უკან მობრუნება; რომ ეს აუცილებელი და, უფრო მეტიც, გამართლებული საქმიანობაა? სად უნდა ვეძებოთ კრიტერიუმი მართებული პოზიციისა, ჰუმანიზმის აბსტრაქტულ მსჯელობებში, თუ უახლესი ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების ხლართებში? ვფიქრობთ, რომ პასუხი სიბერის ფენომენის მიმართ კონკრეტულ დამოკიდებულებაში უნდა გაიხსნას.

სიბერის ფენომენი ქრისტიანობაში

ევროპულ კულტურაში სიბერისადმი თვისებრივად ახლებური დამოკიდებულება ქრისტიანობამ შემოიტანა. ეს მხცოვანი ადამიანისადმი განსაკუთრებულად აღმატებული ღირებულებითი სტატუსის დამკვიდრებაში გამოიხატა.

„მრავალთა ჟამისათა სიბრძნე პოვიან და მრავალსა შინა ცხოვრებასა მეცნიერებაი“ (იოხ.12,12). „მოძალადეა ხალხი, რომელიც მოხუცს პატივს არ სცემს... (მსაჯ.28.50). ძველი აღქმისეული ტრადიცია ახალ აღქმაში და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში პოვებს გაგრძელებასა და შემდგომ დამუშავებას. ღრმა საზრისის მატარებელია წმ. გრიგოლ ნაზიანზელის გამონათქვამში, რომ სიბერე სიძლიერეა.

სიბერე, როგორც სისუსტე, ძალების დაცემა, დეგრადაცია ქრისტიანულ ეთიკაში, შებრუნებულია დადებითი კუთხით. სიბერე, როგორც სამანი და სიცოცხლის გვირგვინი, სულიერი ორიენტირის მნიშვნელობით ივსება, იგი მარადიულობის რეალურად არსებობის უბადლო დასტურია. ქრისტიანულ დისკურსში სიბერე აღნიშნავს ადამიანში მეტაფიზიკური მნიშვნელობით სავსე მდგომარეობას. აქ მოხსნილია არისტოტელესეული „აკმეს“ ასაკის პრიორიტეტულობის სოციალური ერთმნიშვნელოვნება.

ახალი აღქმის კულტურაში განსაკუთრებული პატივისცემა იკითხება ხანდაზმულთა მიმართ, ამის ნათელი მაგალითია იკონოგრაფია. ოდიგიტრიის ხატზე ყრმა იესოს სახე გამოხატულია სიბერის აშკარად გამოხატული ნიშნებით, ყრმის

მაღალი შუბლი ნაოჭებითაა დასერილი, სხვა ხატებზეც ვხვდებით იგივე შინაარსის მატარებელ სახეს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ჰოლანდიური ხატწერის ნიმუშებზე შეიმჩნევა. სიბერის დადებითი სოციალურ-ეთიკური შეფასება იკითხება ე.წ. „სტარცობის“ (რუს.: старчество) ფენომენში – სიბერე-ბერი-ბერობა. ეს არაა სასულიერო განზომილების იერარქიული საფეხური – ესაა სულიერი ცხოვრების უმაღლესი ფორმა, ქრისტიანის შინაგანი გმირობა, სტარეცი შეიძლება იყოს უბრალო ბერი, ეპისკოპოსი, მონაზონიც კი. ბერობა სი-ბერის მარტივი წარმოდგენის ფარგლებს გარეთ გადის. ეკლესიის მიერ სტარცების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვა შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე სოციალურ კულტურაში სოციალური როლისა და ზნეობრივი ღირებულების დამცრობის წინააღმდეგ მიმართულ აქტად.

ქრისტიანული ანთროპოლოგიის ზნეობრივი ნორმები არეგულირებს თაობათა შორის კონფლიქტებსაც. ემყარება რა დეკალოგის მეხუთე მცნებას – „პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა, რათა დღეგრძელ იყო მინაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის“ (გამ. 20.12), ხანდაზმული, მოხუცი ადამიანის მოვლა მაღლის მოხვეჭის გზადაა დასახული: „... რაოდენ უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათე 25.40).

სხვათა შორის, დეკალოგში მეხუთე მცნება ერთადერთია, რომელშიც მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებაა ასახული. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ადამიანის ზნეობრივ უნარებზეა დამოკიდებული და არა განსაკუთრებული საკვები რეჟიმის, კომპლექსური ფიზკულტურული ვარჯიშების, გაკაჟების, ან სხვა ფიქსირებულ ბიოფიზიოლოგიურ ფაქტორებზე. მართალია „უფროსად განმრავლდეს სიბერესა სიპოხისასა და ფუფუნეულ იყვნენ“ (ფსალ. 91,14). ეს მსჯელობები უშუალო კავშირშია ადამიანის ბუნებასთან, რომელიც მოკვდავობისა და უკვდავების საზღვრებში არსებობდა.

„უფალს ადამიანი მოკვდავი რომ გაეჩინა, დაცემის შემდეგ არ მიუსჯიდა მოკვდავობას, რადგანაც შეუძლებელია სიკვდილით დასაჯო მოკვდავი, უკვდავი რომ შეექმნა, ადამიანი არ დასჭირდებოდა კვება, რამდენადაც უკვდავს არ სჭირდება სხეულებრივი კვება“. ადამიანი შეიქმნა როგორც უკვდავი *in potentia*“ (3. 26-27). ადამიანის ბუნების ეს საზღვრითობა მასში განსაკუთრებულ სიღრმეებს ხსნის, უხმობს სულიერი უნარების განვითარებისაკენ, მარადიული ყოფიერების ჰორიზონტის გახსნისკენ. „მე ვარსებობ. რას ნიშნავს ეს? ჩემი ერთი ნაწილი უკვე იყო, სხვა, მეორე – ეხლა ვარ, სხვაც – ვიქნები, თუ ვიქნები. მე არა ვარ რაღაც აუცილებელი რამ, უწყვეტად მდინარე მღვრიე მდინარის ნაკადი ვარ, რომელიც ერთ წამსაც არ ჩერდება, რას უწოდებთ მე-ს აქედან? რა შეადგენს მე-ს, თქვენი აზრით?“ (5.42).

პ. ფლორენსკი წერდა, რომ ის, რაც ჩვეულებრივ სხეულად იწოდება, სხვა არაფერია, თუ არა ონტოლოგიური ზედაპირის იქით, ამ გარსის იქით მხარეს არსებული ჩვენი არსებობის მისტიკური სიღრმე. ყველაფერი ის, რასაც „გარეგნულ ბუნებას“ ვუწოდებთ ჩვენი „სხეულის“ ჩათვლით, მხოლოდ ყოფიერების ორი სიღრმის – „მე“-სა და „არა-მე“-ს ზედაპირების საზღვარია (6.205).

ქრისტიანობაში ნათლადაა მონიშნული მრავალწლიანობის ზნეობრივი ფაქტორები. მეხუთე მცნება დეკალოგისა ასე ჟღერს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რაითა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა“. ყოველი ლიტურგია მრავალჟამიერი სიცოცხლის თხოვნით სრულდება. ამავდროულად, ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში დაფიქსირებულია სიცოცხლის კონკრეტული დროითი საზღვარი. ძველ აღქმაში ესაა 120 წელი, ასევე გვხვდება ტერმინი „კეთილი სიბერე“, რომელიც ძველი აღქმისეული ტრადიციით ნიშნავს უმტკივნეულო, ჯანმრთელ სიბერეს, ანუ ქრისტიანული ანთროპოლოგიის ამ ველზე ერთმნიშვნელოვანი კავშირი სიბერესა და ავადმყოფობას შორის არ არსებობს. ასევე არ არის დამახასიათებელი სიბერის ერთმნიშვნელოვანი დაყვანა ასაკზე, ადამიანის მიერ განვლილ წლებზე. მაგალითად, მეუფეთა მეორე წიგნში 80 წლის ადამიანზე ნათქვამია, რომ იგი „ძალიან ბებერია“. სიბერე არა ოდენ ფიზიოლოგიური, არამედ სულიერ-ზნეობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელია, რადგან „საპატიო სიბერე არც დღეგრძელობაშია და არც წელთა რიცხვით განიზომება. სიბრძნე ჭაღარაა ადამიანისათვის და უბინო ცხოვრება სიბერის ასაკია“ (სიბრძ.4,8-9). სიბერის გზა სიბრძნის გზაა და არ იზომება წლებით. სოლომონი გვასწავლის „მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველ მოსახვეჭელთაგან ცოდნა მოიხვეჭეთ“ (იგავ. 4.7).

„ისმინე შვილო და შეინყნარენ სიტყუანი ჩემნი, და განმრავლდეს წელნი ცხოვრებისა შენისანი, რაითა იყვნენ შენდა მრავალ გზა ცხოვრებისა (4.10).

ეს ორიენტირება კონსტრუქციულია გერონტოლოგიისათვის, სადაც ობიექტური (კალენდარული) და სუბიექტური ასაკის აცდენა სერიოზულ ეთიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ქმნის. სუბიექტური ასაკი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პიროვნება ადამიანის „დინამიური და ცვლადი ბუნების ურყევი სანყისია, რომელიც „მასში და მისით არსებობს“ (6.205).

ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანის განვითარებისა და სოციალიზაციის არც ერთ ასაკობრივ ფაზას არანაირი პრივილეგია არ გააჩნია. მაგალითად, „კოლაელი ყრმანი“ მოწამეობის გვირგვინით წმინდანთა დასში ჩაენერნენ. ისინი უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე მათი წარმართი მშობლები, რომლებიც ასაკით მათზე უფროსები იყვნენ. ღვთისმეტყველები მიუთითებენ, რომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ აღარ იქნება ფიზიკური ასაკი. პაისი მთანმინდელთან ვკითხულობთ: „ყველა ერთი ასაკის იქნება, ყმანვილები, მოხუცები, ბავშვები, – იმიტომ, რომ ყველა ადამიანს ერთნაირი სული აქვს. ანუ იმქვეყნიურ ცხოვრებაში ყველას ერთი – ანგელოზური ასაკი ექნება“ (11.43).

მაშასადამე, ქრისტიანობაში სიბერის პოზიტიურ საზრისზე აქცენტირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს გერონტოკრატიის რაიმე ფორმაში. მაგალითად, პირველყოფილ თემებში ასაკობრივად უხუცესს ავტომატურად ენიჭებოდა სოციალურად დომონანტი სტატუსი. ეს ტენდენცია შეიძლება ინდუსტრიული საზოგადოების გარკვეულ ფორმებშიც მოქმედებდეს. მაგალითად, საბჭოთა სისტემა ე.წ. უძრაობის ფაზაში, ბევრი ანალიტიკოსის მიერ, შეფასებულია, როგორც გერონტოკრატია. შესაძლო ასაკობრივი ფრუსტრაციების თავიდან აცილება შესაძ-

ლებელია სიბერის ზნეობრივი ღირებულების საზრისის გაცნობიერებისა და წინ წამოწევის შემთხვევაში.

სიკვდილი ქრისტიანული ეთიკის პერსპექტივაში

სტატიის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს ფართოდ გავაანალიზოთ სიკვდილის პრობლემა. მეორე მხრივ, ნათელია, რომ სიბერის ფენომენი სრულყოფილად ვერ აიხსნება, თუკი ამ საკითხს გვერდს ავუვლით.

სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთმიმართების საკითხი უძველესია. ადრე თუ გვიან ადამიანი აცნობიერებს, რომ ამქვეყნად ყველაფერი ბოლოვდება, რომ ოდესმე ყველაფერი დასრულდება. ფსიქოლოგიურად სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთში გადადიან. „დაბადება ნიშნავს გარდაცვალებას“, ამბობდნენ ანტიკოსი ფილოსოფოსები. სტოიკოსები გვასწავლიდნენ, რომ სიკვდილი სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა; თუ კარგად ცხოვრებას ისწავლი, ე.ი. კარგად სიკვდილი გისწავლიაო. ცნობილია ციცერონეს სიტყვები „ფილოსოფიის შესწავლის საზრისი სიკვდილისათვის მზადებაშია“. მისი თანამედროვე სენეკა ფიქრობს, რომ „ადამიანი სინამდვილეში მხოლოდ სიკვდილის პირისპირ იბადება“. კაცობრიობის აზროვნების ისტორიის განვითარების მთელ მანძილზე, სიკვდილზე პრაქტიკულად ყველა დიდი მოაზროვნე ფიქრობდა და წერდა. ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოთერაპევტი ირვინ იალომი გამოკვლევაში „ექსისტენციონალური ფსიქოთერაპია“ წერს, რომ, როდესაც 1926 წელს მარტინ ჰაიდეგერი სწავლობდა საკითხს, თუ რატომ იცავს სიკვდილის იდეას ადამიანი, მას გაეხსნა შინაგანი ხედვა (insight), რომ საკუთარი მოსალოდნელი სიკვდილის გაცნობიერება გვაიძულებს არსებობის უფრო მაღალ მოდუსზე გადავიდეთ. ჰაიდეგერს მიაჩნდა, რომ სამყაროში ორი ფუნდამენტური მოდუსი არსებობს: 1) ყოფიერების დავიწყების მდგომარეობა, 2) ყოფიერების გაცნობიერების მდგომარეობა (18. 56). ადამიანები ძირითადად პირველ, „არააუთენტურ“ (ჰაიდეგერის ტერმინოლოგია) მოდუსში იმყოფებიან, ანუ საგანთა სამყაროს რუტინაში მყოფობენ. აქ ადამიანი არ არის საკუთარი ცხოვრების შემოქმედი, იგი „გაქცევით იცავს თავს“, „ხაფანგში ექცევა“. მეორე მოდუსში ცხოვრება ნიშნავს, რომ ადამიანს მუდმივად გაცნობიერებული აქვს საკუთარი ყოფიერება, ანუ ატარებს მის მიმართ პასუხისმგებლობას. ჰაიდეგერს ესმის, რომ მეორე მოდუსში გადასასვლელად საჭიროა ექსტრემალური ცდა, რომელიც მოახდენს ადამიანის „ამოფერთხვას“, „ამოგლეჯას“ არსებობის ყოველდღიური მოდუსიდან ყოფიერების გაცნობიერების მდგომარეობაში (კარლ იასპერსი იმავეს გულისხმობდა, როდესაც „საზღვრით“ მდგომარეობებზე ლაპარაკობდა). სიკვდილი ამ სახის ცდათა შორის გამორჩეულია – სიკვდილი ადამიანს აძლევს საშუალებას იცხოვროს აუთენტურად .

სიკვდილის შიში იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი უდიდეს სასიცოცხლო ენერჯიას ხარჯავს მის გაუქმებაზე, მისგან გაქცევის მცდელობებზე. მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანი ცდილობს სხვადასხვა გზით მოიპოვოს

უკვდავება: ქმნის შთამომავლობას, ხელოვნების ნიმუშებს, ეწევა აღმშენებლობას, შემოქმედებითად მოღვაწეობს.

თანამედროვე ფილოსოფია „სიკვდილის მიმართ განგაშის“ ცნებას უტრიალებს. იასპერსი მას „ყოფიერების წარმავლობას“ უწოდებს, კირკეგორი – „ძრწოლას არ-ყოფნის მიმართ“, „ჰაიდეგერი“ – „შესაძლებლობის შემდგომ შეუძლებლობას“, ტილიხი – „ონტოლოგიურ განგაშს/ძრწოლას“.

იალომი განასხვავებს სიკვდილის განგაშის სამ ტიპს: შიში იმის მიმართ, რაც სიკვდილის შემდეგ გველის; თავად „მოვლენის“ – კვდომა შიში; ყოფიერების შეწყვეტის შიში (18.276).

შიში და ძრწოლა პირველად განასხვავა კირკეგორმა. საგნობრივ შიშს, რალაციის მიმართ შიშს მან დაუპირისპირა არაფრის მიმართ შიში: როგორც თავად აღნიშნავდა: „არაფერი, რასთანაც ადამიანს არაფერი საერთო არა აქვს“. შიში, რომელსაც შეუძლებელია გაუგო, მონიშნო მისი ლოკალიზება, უფრო საშიში ხდება; მას წინ ვერ აღუდგები. მასთან შებრძოლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაფრიდან ვაქცევთ რალაცად (18.279-80). სწორედ ამას გულისხმობდა კირკეგორი. ფილოსოფოსი დგას ქრისტიანისა და ევროპელი კულტურის ადამიანის პოზიციაზე. სიკვდილი მისთვის განსაკუთრებული ფენომენია. კირკეგორის მიხედვით სიკვდილის გაცნობიერება სასონარკვეთას ბადებს („სიკვდილის ავადმყოფობას“ უწოდებს კირკეგორი). ტერმინი „სასონარკვეთა“ კირკეგორთან ახალ კონოტაციებს იძენს. ავადმყოფობის მეტაფორის ანალოგიით მარტივად შეიძლება წარმოვიდგინოთ სასონარკვეთის ბუნება – ავადმყოფობის მწვავე ფორმის ჩაქრობა შეიძლება, მაგრამ მისი ძირი სხეულში რჩება ახალი რეციდივის წარმოშობამდე. სასონარკვეთისგან განკურნება შესაძლებელია მხოლოდ სასწაულით (ფაქტობრივად, აბსურდის რწმენით). ავადმყოფობა იმგვარი ბუნებისაა, რომ კვლავ წარმოჩენის დროს მთლიანად გადახზავს სულიერი ჯანმრთელობის პერიოდს. სიკვდილის ავადმყოფობა ემოციების მეოხებითაც მოქმედებს და ინტელექტითაც, ანუ ადამიანის რეფლექსიის ყველა საფეხურზე. ამ მიმართებით ყველა ადამიანი დაავადებულია, სასონარკვეთა ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. კირკეგორი ამტკიცებს, რომ სიკვდილის ავადმყოფობას არ მივყავართ რეალურ სიკვდილამდე. სიკვდილი ფიზიკურად გადის ფრჩხილებს გარეთ, სიკვდილის შემდგომი არსებობა განისაზღვრება სულის ამნუთიერი მდგომარეობით. სასონარკვეთილებას ამარცხებს რწმენაში მისული „მე“. აბრაამის ფიგურა კირკეგორის მიხედვით არის ინდივიდის მაგალითი, რომელმაც სასონარკვეთილება დაამარცხა. რწმენის შეუდარებელ რაინდს უწოდებს მას ფილოსოფოსი. ამგვარი სულიერი მდგომარეობის მფლობელს აღარ ეშინია სიკვდილისა.

პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი სიკვდილს იმდენად მნიშვნელოვან ფენომენად თვლის, რომ მის დეტალურ ანალიზს უძღვნის კვლევას „სიმბოლური გაცვლა-გამოცვლა და სიკვდილი“ (L'échange symbolique et la mort. Gallimard.1976).

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი დასავლური ცივილიზაციის უახლეს მდგომარეობას ახასიათებს, რო-

გორც ხელოვნური, არანამდვილი სახეებისა და მექანიზმების, ნამდვილი სოციალური ყოფიერების ჩანაცვლებას სიმულაკრებით. თანამედროვე ეპოქას ბოდრიარი უწოდებს **ჰიპერრეალობის** ერას. ჰიპერრეალობა ბოდრიარის მიერ შემოტანილი ტერმინია და მისი განმარტებით მარქსის ცნების „ზედნაშენის“ თანამედროვე, უფრო მოქნილი ვერსიაა. ჰიპერრეალობის საფუძველი სიმულაციაა. ჰიპერრეალობის ერთეულები სიმულაკრებია – ნიშნები, ანუ ფენომენები, რომლებიც არ არიან საკუთარ თავთან იგივეობრივნი. ისინი გვაგზავნიან სხვასთან, რის გამოც მათ სიმულაციურები ეწოდებათ. არსებობს სიმულაკრების სამი რიგი: კოპიები, ფუნქციონალური ანალოგები და საკუთრივ სიმულაკრები. ყველა თანამედროვე ფენომენი ამ უკანასკნელს მიეკუთვნება და სიმბოლური გაცვლა-გამოცვლის პრინციპით ფუნქციონირებს. ბოდრიარის მიხედვით, ზედნაშენი განაპირობებს ბაზისს, შრომა არ აწარმოებს, იგი ქმნის სოციალიზაციას. თანამედროვე ეპოქას ახასიათებს რეალობის დაკარგვის გრძნობა. რეალობის უკანასკნელი ბასტიონი, ბოდრიარის მიხედვით, არის სიკვდილი. „სიკვდილი, მართლაც, ერთადერთია, რასაც არ აქვს სამომხმარებლო ღირებულება“ (15.298). სიკვდილზეა დაფუძნებული ყოველნაირი ძალაუფლება და ეკონომიკა. მაგრამ ამ კონტექსტში სიკვდილი გვევლინება როგორც ფანატიზმი (წარმოდგენა). ფილოსოფიის განაზრების საგანი საუკუნეების მანძილზე ყოფიერება იყო, ამ ბოლო ხანს არყოფნა იქცა ინტერესის საგნად, მაგრამ დღეს ფილოსოფიის წინაშე ახალი საგანი – სიმულატური ფსევდოყოფიერებაა.

ბოდრიარი თვლის, რომ თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოება უნდა ჩანაცვლდეს კულტურული ალტერნატივით. ესაა გზა, რომელსაც სიმბოლური გაცვლა-გამოცვლის მექანიზმების მქონე არქაული ტრადიციებისკენ მივყავართ. ბოდრიარი გულისხმობს რიტუალს, მსხვერპლშენიშვას, ძღვენთა გაცვლას, თამაშს, პოეზიას. ბოდრიარი განიხილავს და უპირისპირებს ერთმანეთს სიკვდილის ორ სახეს: „სწრაფსა“ და „ნელს“, ანუ „გადავადებულ სიკვდილს“, როდესაც ცოცხალი ადამიანი სიცოცხლეშივე იქცევა სიმულაკრად – „გადმონაშთად“. სწრაფი, ძალადობრივი სიკვდილი, სოციალური სისტემის მიერ დადგენილი „ნესების გარეშე სიკვდილი“ იცვლება მსხვერპლშენიშვით, ამგვარად დამდგარი სიკვდილი ანგრევს მთლიანად სისტემას და მის ტემპორალურობას. ბოდრიარი სასიკვდილო-კატასტროფულ ატემპორალობას აღმოაჩენს როგორც ექსტრემალურ მოვლენებში, როგორცაა რევოლუციები და ტერორი: „ჩვენ ვოცნებობთ ძალადობრივი სიკვდილით აღსრულებაზე, რადგანაც ნელი სიკვდილით ვცხოვრობთ. უკვე ეს ოცნებაც კი აუტანელია ძალაუფლებისათვის“ (15.106-107), ასევე პოეზიაში. სიმბოლური გაცვლა-გამოცვლა, ერთი მხრივ, ანგრევს „ღირებულებათა ციკლს“ (15.339), მეორე მხრივ, – მისი წყალობით ხორციელდება „დროის ციკლური მოქცევა“ (15.42), თავად კი „გაცვლა-გამოცვლის, ძღვენის მირთმევის, ჩუქების ციკლს წარმოადგენს“ (15.247). ბოდრიარი მას უწოდებს დღესასწაულს. „ესაა ციკლის აღდგენის დღესასწაული. იმ დროს, როდესაც დეფიციტი შობს გრძლივობის ხაზობრივ ეკონომიკას: სიცოცხლისა და სიკვდილის ციკლური რევოლუციის აღდგენის დღესასწაულია“ (15.276).

ცნობილია, რომ ციკლური დრო სხვადასხვა საზრისის მატარებელი შეიძლება იყოს. მითოსურ „მარადიულ დაბრუნებაში“ იგი ასახავს მოვლენათა მსვლელობის

კანონზომიერებას, რომელიც აერთიანებს კალენდარულ დღესასწაულებში ასახულ ბუნების ციკლურობას და ადამიანის სიცოცხლის ციკლურობას. პოზიტივისტური განმარტებით, იგი განპირობებულია ბრმა სტატისტიკური ვარაუდებით. თანამედროვე ცივილიზაციაში იგი დაპროგრამებულია ინფორმაციული სისტემების სტრუქტურებში, რომლებიც მუშაობენ სქემით „კითხვა-პასუხი“. სადღესასწაულო ციკლურობა უარყოფს ბურჟუაზიული დამგროვებლობის ხაზობრიობას. თანამედროვე საზოგადოებაში ციკლურობის წამყვან მოდელს წარმოადგენს, ბოდრიარის მიხედვით, მოდის ციკლურობა (15.171).

ავტორი ხშირად უსვამს ხაზს დასავლური ცივილიზაციის მახასიათებელს – წარმოსახვით ანომალიას, სადაც ყველაფერი ისე არ არის „როგორც ადამიანებს შეეფერებათ“: „არცერთი სხვა კულტურა არ იცნობს სიკვდილისა და სიცოცხლის ამგვარ ოპოზიციურ დაპირისპირებულობას“ (15. 262), „ბიოლოგიური სიკვდილის შეუქცევლობა... ჩვენი კულტურისთვისაა სპეციფიკური“ (15.282), ნებისმიერ სხვა კულტურაში ეს წარმოუდგენელია“ (15.316).

ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში ადამიანის სიკვდილი ღრმა მეტაფიზიკური საზრისითაა დატვირთული. სიკვდილი მარადიული ცხოვრების გაგებასთანაა განუყოფლად დაკავშირებული. ამ ველზე ადამიანის ფიზიკური სიკვდილი ერთეული ბუნებრივი მოვლენა არაა, იგი ცხადყოფს ადამიანისა და უზენაესის დარღვეული ერთობის არსებობას, ადამიანის მარტოსულობას, მის გაუცხოებას „საკუთარი ყოფიერების წყაროსა და მიზნისაგან“ (8. 255). ილინის მოხდენილი ტერმინოლოგიით „სიკვდილში დაბადების საიდუმლოა“ გახსნილი (9.286.).

ქრისტიანულ ეთიკაში სიკვდილი სიცოცხლის გვირგვინად უნდა იქცეს, ისეთ ფინალად, რომელშიც აკიაფდება ახალი აღმასვლის დასაწყისი. იგი მიწიერი განწმენდის უკანასკნელი ნაბიჯი უნდა გახდეს, უკანასკნელი ამქვეყნიური სულიერი განსაცდელი, უფლისკენ მიმართული სულიერი შემეცნების, სიყვარულის უკანასკნელი ამქვეყნიური გამოვლენა. ამიტომაც ახალი ტექნოლოგიები, რომელიც მიმართულია მარადიულ ამქვეყნიურ სიცოცხლეზე, მიწიერი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, ქრისტიანული ცნობიერებისათვის წარმოადგენს თეორიულად შეუთავსებელი იდეების სიმბიოზს. სხეულის მუდმივ გაახალგაზრდავებაზე, მის უკვდავებაზე მიმართული ტექნოლოგიები, მთლიანადამიანური არსის მის სხეულზე დაყავთ.

კვდომა და სიკვდილი ქრისტიანულ კულტურაში არაა სიცოცხლის ფორმალური დასრულება, ესაა სიცოცხლის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სტადია. სიკვდილის მეტაფიზიკური საზრისი ხსნის თითოეული ადამიანის ვალდებულებას მომაკვდავი ადამიანის მიმართ და განსაზღვრავს მომვლელის, ახლობლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობას. თანამედროვე დასავლურ კულტურაში გავრცელდა ტერმინი „სოციალური პარაზიტი“ და ამ ტერმინით აღინიშნება ხანდაზმული, რომელიც სოციალურად სასარგებლო საქმიანობას ვეღარ ახორციელებს, მის მიმართ რეკომენდებულია სამედიცინო კორექციის ჩატარება.

ხანდაზმულთა მიმართ არაკორექტულ, სასტიკ, უმოწყალო, უღმობელ დამოკიდებულებაზე აპელირებს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ მიღებული

დეკლარაცია „ხანდაზმულ და მოხუცებულთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების შესახებ“ (ჰონკონგი 1989). სისასტიკე სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მატერიალური; დამცირებას ემატება სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა, არაკვალიფიციური და არასრულყოფილი დახმარების განწევა; გაჩნდა ტერმინი „არაპერსპექტიული პაციენტი“ და ამ კატეგორიას მიეკუთვნა ქრონიკული დაავადებით დაავადებული და შეუქცევადი ფიზიკური და ფსიქოლოგიური პათოლოგიების მქონე მოხუცები. ქრისტიანულ დისკურსში ადამიანის და ადამიანური ყოფიერების გასაღები უნდა ვეძიოთ ადამიანის სხვა ადამიანთან ურთიერთობაში, სადაც მოყვასის სიყვარული იმპერატივის რანგშია აყვანილი. ქრისტიანული სიყვარული თავის იდეალში მტრის სიყვარულსაც გულისხმობს – „უკუეთუ გიყუარდენ მოყუასნი ხოლო თქუენნი, რაი სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ?..“ (მათე 5.46-47) – მარტოობის პრობლემა. მიტოვებული, სიბერეში მიუსაფარი ადამიანების რიცხვი კატასტროფულად მატულობს, განსაკუთრებით სოფლად.

დასკვნის სახით:

სიბერის ფენომენი ფილოსოფიის ყურადღებას ანტიკური ეპოქიდან იმსახურებდა. ეს ბუნებრივიცაა: სიბერის გააზრება განუყრელადაა დაკავშირებული ყოფიერებისა და არყოფნის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ადამიანის ბუნებისა და არსის, სიცოცხლის საზრისის და სხვ. ფუნდამენტურ თემებთან.

სიბერის ფილოსოფიურ რეფლექსიას სხვადასხვა კუთხით ეხებიან: პლატონი და არისტოტელე, სენეკა, მ. მონტენი, ფ. ბეკონი, ი. კანტი, ა.შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ს. კირკეგორი, ა. კამიუ, კ. იასპერსი, მ. ჰაიდეგერი, ა.პ.სარტრი, ორტეგა-ი-გასეტი და სხვანი.

სიბერის ფილოსოფიური დისკურსის მნიშვნელობა იმაშია, რომ, ერთი მხრივ, ის ცდილობს გასცდეს კონკრეტული მეცნიერებების მიერ სიბერის თაობაზე აგებული პოზიტიური ცოდნის შენობას, სადაც სიბერე საკუთარ თვითკმარობაშია განალიზებული და შეხედოს მას გარედან, მოიხელთოს იგი სხვა საგნობრივი შინაარსის მქონე ფენომენებთან მიმართებაში; მეორე მხრივ, ასეთი ფართომასშტაბიანი, მეტასაგნობრივი ხედვა აძლევს საშუალებას კერძო გერონტოლოგიურ დისციპლინებს, მოახდინონ საკუთარი კვლევების ადეკვატური ინტეგრირება. დღეს სიბერის ფენომენის კვლევა გადანყვეტისაგან შორსაა.

სიბერის ფენომენის ზნეობრივი სამყაროს დახასიათებისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ კომპონენტებზე:

სოციალური სტატუსი, ცხოვრების წესის მსოფლმხედველობითი საფუძვლები, დროითი აღქმის შეცვლა, კერძოდ, წარსულის სივრცის გაზრდა, მომავლის ჰორიზონტის შევიწროვება, მორალური პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების მექანიზმის შესუსტება, რეალობისა და მასზე პიროვნული წარმოდგენების განწყვეტის ტენდენცია, სიკვდილთან დამოკიდებულება.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სიბერის ფენომენის მიმართ ღირებულე-ბითი დამოკიდებულების დაწევა ტრადიციული ეთიკური ღირებულებითი სისტემის გაუქმების ნიშანია.

სიბერის დროითი საზღვრები პირობითია და არსებითად ვარირებს სუბკულ-ტურული და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით. სიბერის გან-საზღვრისათვის საჭიროა მხედველობაში გვექონდეს ადამიანის სოციალური რო-ლისა და სტატუსის მნიშვნელობა. სოციოკულტურულ ფაქტორს ბიოლოგიურთან მიმართებით დომინანტი როლი უკავია.

სიბერე უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანური ბუნების სამივე ელემენტის: სულის, სხეულის და საფშვინველის მომცველი ფენომენი და მისი ანალიზი უნდა მოხდეს ამ ელემენტების ურთიერთობის კონტექსტში. ამ მიდგომის ფარგლებში სიბერე წარმოგვიდგება მდგომარეობად, რომელიც არაა დამოკიდებული მხოლოდ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პროცესებზე. ის უპირველესად გარ-კვეული დისკურსის ღირებულებათა სისტემითაა დეტერმინირებული. ამგვარად, შესაძლებელია ვილაპარაკოთ ცალკეული ელემენტების – სული, სხეული, საფშვინ-ველი – სიბერის სპეციფიკაზე და იმაზეც, რომ სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში სიბერეს ახასიათებს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ინვერსია.

ზნეობრივ-სოციალური რიგის დადებითი მომენტების რეალიზაციისათვის საჭიროა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირობები. სუბიექტურ პირობებში იგულისხმება თავად ადამიანის ნებელობითი უნარები. პიროვნებაზეა დამოკიდე-ბული აქტივობის მაღალი დონე, ოპტიმისტური განწყობები, ცნობიერების სინათ-ლე, სიცოცხლის ხალისი, პრობლემათა მიზანმიმართულად გადაწყვეტის უნარის შენარჩუნება. ობიექტურ პირობებს რაც შეეხება, აქ გასათვალისწინებელია სა-კითხის მიმართ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

შესაძლო ასაკობრივი ფრუსტრაციების თავიდან აცილება შესაძლებელია სი-ბერის ზნეობრივი ღირებულების საზრისის გაცნობიერებისა და წინ წამოწევის შემ-თხვევაში.

ლიტერატურა:

1. პლატონი. სახელმწიფო. თბ., 2003.
2. კინიკოსთა ანთოლოგია. მ.: 1984.
3. ნემედიუსი, ემესელი ეპისკოპოსი. ადამიანური ბუნების შესახებ. პ. 1904.
4. ციცერონი. წერილები სიბერეზე, მეგობრობაზე, პასუხისმგებლობებზე. მ. 1993.
5. ნმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი. თხზ. 2 ტომად. ტ. 1. ნმ. სამების სერგის ლავრა. 1994.
6. Св. Павел Флоренский Очерк православной антропологии. т.8, М.1988
7. Арх. Евгений(Булгар). Рассуждение против ужасов смерти. М.1994
8. Св. Павел Флоренский. Догмат и история. М.1998

9. Ильин И.А. Поющее сердце. Книга тихих созерцаний //Ильин И.А. Собрание сочинений в десяти томах. Т.3 М.: 1994.
10. Элиаде М. Космос и история. М.: 1987.
11. ბერი პაისი მთაწმინდელის წერილებიდან. თბ., 2009.
12. Монтень М. Опыты. Т. 1-11. М., 1979.
13. Habermas U. *Die Zukunft der menschlichen Natur. Auf dem Weg zu einer liberalen Eugenik? Glauben und Wissen.*, 2001.
14. Francis Scott Key Fitzgerald. *The Curious Case of Benjamin Button and Other Jazz Age Stories.* Penguin Classics. 2008.
15. Jean Baudrillard. *L'échange symbolique et la mort.* Gallimard.1976
16. Псевдо-Аристотель. О мире. / Пер. И. М. Маханькова. // Античность в контексте современности. Вопросы классической филологии X. М., 1990. С. 150-168
17. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტომი II. თბ., 1992.
18. Yalom Irvin. *Existential Psychotherapy.* Basic Books; 1980

ANASTASIA ZAKARIADZE

Anno Domini-Phenomenon of Oldness

Summary

The paper aims to discuss Anno Domini-phenomenon of oldness in the perspective of ethical discourse. It tries to destroy the stereotype that oldness is not an issue of ethics, and that only natural sciences should be occupied with this problem.

The major objectives of the study are to describe the phenomenon of oldness in the perspective of moral dimension, to show it from the “anti-naturalistic” position. The issue is studied in the context of cultural, psycho-sociological and bioethical frameworks. The study specifically addresses such questions as various definitions and essence of old age, mortality of human being and eternity of his existence, biological structure of man and his nature, the measure of age, youth and immortality, contemporary biomedical technologies of human’s organism stimulation, issues of prolongation of life, pros and cons of man’s biophysical rejuvenation and reasons that explain why modern society tends to be prejudiced against oldness, phenomenon of oldness in Christianity, the issue of death and dying and how it is solved in the perspective of Christian ethics.

Ancient cultures commonly associated old age with wisdom. The present study was undertaken with the assumption that in the history of philosophy there is a wide range of attitudes and images of aging which, if critically examined in the light of modern views, have many controversies.

Old age as a culturally constructed phenomenon is part of the mechanism of learning to cope with aging and all that it entails.

It is the last stage of the normal life span in human beings. The term old age has a dual definition. The first is the last stage in the life processes of an individual, and the second is an age group or generation comprising a segment of the oldest members of the population. However, there is no universally accepted age that is considered old among or within societies; because of inconsistencies as to what age a society may consider old and what members in that society may be considered old. In many preliterate or traditional societies, chronological time has little or no importance for the meaning of old age. Everybody is sooner or later bound to become old. We have to understand the beauty of old age, and we have to understand the freedom of old age; we have to understand its tremendous detachment from all things that go on in the lives of people who are still young.

Old age is man's own creation. It all depends how deeply a human being is ready to accept existence, whatsoever it brings.

We do not age because our minds or our bodies want to, but because we explain changes in our thinking and physical processes with the category of "age". One way of understanding such changes is to decipher them as the signs of ageing. The first premise of constructionist ageing studies can therefore be the fact that age does not have an objective existence of its own. From this follows the second premise of constructionist ageing studies: Age is "made" or "done" by people in their daily interactions with real or imagined others. It is not done alone, but within social constraints. The terms that make up one's age are outside oneself, in a society that has no single author. This leads to the third premise of constructionist ageing studies: Age has tangible consequences for people's lives. The idea that age is socially constructed does not mean that age is "not real" or that "you just have to think young to be young".

Aging is a difficult stage in human life, due to the limitations it imposes and the nearness to death.

In order to characterize the moral world of oldness, the paper pays attention to the following components: social status, world out-looking foundations of rule and style of life, changing the temporal perception, namely by widening the past and narrowing the horizon of the future, attitude towards death. The reduction of axiological relations towards the phenomenon of oldness in postindustrial society is a sign of abolition of the ethical system of traditional values.

While defining oldness, the importance of social role and status of human must be in charge. The social-cultural factor dominates over biological. Oldness has to be understood as a unity of all the three elements of human nature: body, soul and spirit, and it must be analysed in the context of interrelation of all these elements. In this frame, oldness appears before us as a phenomenon that depends not only on biological, psychological and social processes. First of all, it is determined by a certain cultural value system. So, we could say that in different periods of life, oldness is characterized as both regressive and progressive inversion. Accents made on the positive essence of oldness in Christian ethics must not be identified with any form of gerontocracy. Possible age frustrations may be avoided by advancement and recognition of the moral essence of oldness.

ახალი თარგმანები NEW TRANSLATIONS

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

სკალკელი და საანესთეზიო საშუალებები

- ის ექსტრემისტია თავისი თითქმის გიჟური პრინციპებით!
- ის ფანტაზიორია, ახალგაზრდა თაობის ზნეობის გასარყვნელად რომ წერს!
- დაქორწინებული და დაუქორწინებელი კაცები და ქალები ქორწინებაზე ჯიბრანის იდეებს რომ აჰყვნიენ, ოჯახის საფუძვლებს ძირი გამოეთხრება, საზოგადოების ინსტიტუტების ნაგებობები ჩამოიშლება, ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცევა, მისი მკვიდრი კი – ეშმაკებად.
- მის სამწერლობო სტილში სილამაზე ნაძალადეგია, რადგან ის კაცობრიობის მტერია!
- ის ანარქისტია, ურწმუნო და ერეტიკოსი! ჩვენ ვურჩევთ ამ დალოცვილი, ღვთივკურთხეული მთის მცხოვრებთ, ზურგი აქციონ მის მოძღვრებას და დანვან მისი წიგნები, რათა არაფერი დააჩნდეს იქიდან მათ სულებს!
- უკვე წავიკითხეთ მისი „დამტყვეველი ფრთები“ და ეს არის კუპრის წვეთი თაფლის კასრში.

* * *

ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ხალხი ჩემზე ლაპარაკობს და ისინი მართლები არიან – მე სიგიჟემდე მისული ექსტრემისტი ვარ, დანგრევისკენ ისევე ვარ მიდრეკილი, როგორც შენებისკენ! ჩემს გულში სიძულვილია იმისა, რასაც ხალხი წმინდად მიიჩნევს და სიყვარული იმისა, რასაც ისინი მიუღებლად თვლიან. რომ შემეძლოს, ისე ამოვძირკვავდი მათ წეს-ჩვეულებებს, რწმენებსა და ტრადიციებს, წუთით არ შევყოყმანდებოდი! ზოგი რომ ამბობს, თითქოს ჩემი წიგნი კუპრის წვეთია თაფლის კასრში, ეს ნათქვამი სქელი ნიღბის მიღმა დამალულ ჭეშმარიტებას ააშკარავებს, შიშველი ჭეშმარიტება კი ასეთია – მე არ ვურევ ერთმანეთში კუპრს და თაფლს, არამედ, უბრალოდ, ჩამოვასხამ მათ... და ჩამოვასხამ სუფთა, გამჭვირვალე ჭიქებში.

ისინი კი, ვინც თავს მარიდებს ჩემგან სულების გადასარჩენად და ამბობენ, რომ ფანტაზიორი ვარ და ღრუბლებში დავფრინავ, სწორედ ისინი არიან, ვინც

თვალმოუცილებლად მისჩერებიან ამ გამჭვირვალე ჭიქათა ელვარებას, მაგრამ გაურბიან სასმელს, რაც მათშია და მას კუპრს ეძახიან, რადგან მათი უღონო კუჭები მას ვერ ინელებს.

ეს წინასიტყვაობა მოწმობს მოურიდებელ უსირცხვობას, მაგრამ განა უტიფრობა თავისი მოურიდებლობით არ სჯობს ნატიფ მუხანათობას?! უტიფრობა ხომ თავის თავს ავლენს მაშინ, როცა მუხანათობა სხვის თარგზე მოჭრილ სამოსშია გამონწყობილი.

* * *

აღმოსავლელები მწერლისგან ითხოვენ, ფუტკარივით იყოს, მინდორ-ველს რომ დასტრიალებს და ყვავილთა ნექტარს აგროვებს თაფლის ფიჭის დასამზადებლად.

აღმოსავლელებს უყვართ თაფლი და მის გარდა სხვა საჭმელს გემოს ვერ ატანენ, უზომოდ გეახლებიან მას იმ დობით, რომ თავადაც თაფლად გადაიქცნენ, ცეცხლზე რომ დნება და მხოლოდ ყინულში ჩადებული მკვრივდება.

აღმოსავლელები პოეტისგან მოითხოვენ, საკუთარი თავი საკმევლად უკმის მათ სულტნებს, მმართველებს და პატრიარქებს. აღმოსავლეთის ზეცა იმ საკმეველის კვამლითაა შებურული, სამარხებს, საკურთხევლებს და ტახტ-საბრძანებლებს ყოველი მხრიდან რომ ასდით, მაგრამ აღმოსავლელები ამით როდი კმაყოფილდებიან! ჩვენს დღევანდლობაში პანეგირისტები ალ-მუთანაბბის¹ ჰბაძავენ და ეჯიბრებიან, ნატირალის მთხზველნი ალ-ხანსას² აჭარბებენ და მჭერმეტყველნი უფრო ენაწყლიანნი არიან, ვიდრე საფი ად-დინ ალ-ჰილლი.³

აღმოსავლელები მეცნიერისგან მოითხოვენ, თავისი მამა-პაპის ისტორია იკვლიოს, მათი ნაკვალევი და მათი დანატოვარი ძეგლები შეისწავლოს, მათი ადათ-ჩვეულებები! თავისი დღენი და ღამენი მათ ენებზე დაწერილ კასიდებს,⁴ მათი ლექსიკის ეტიმოლოგიას, მათი რიტორიკის კორპუსს შეაღიოს.

აღმოსავლელები მოაზროვნისგან მოითხოვენ, მათ ყურთა გასაგონად იმეოროს ბაიდაბას,⁵ იბნ რუშდის,⁶ ეფრემ სირიელისა⁷ და იოანე დამასკელის⁸ ნაუბარი, საკუთარ წიგნში კი არ გასცდეს სულელური შეგონებისა და უსუსური ჭკუის დარბილების ფარგლებს და იმ „სიბრძნესა“ და „სასწაულებს“, ამ ორს შორის რომ იბადება, რომელსაც თუ მიჰყვა კაცი, მისი ცხოვრება ჩრდილში ამოსულ დამჭკნარ ბალახს დაემსგავსება, მისი სული კი – ოპიუმნარევ დუბელა წყალს.

¹ ალ-მუთანაბბი – X ს-ის ცნობილი არაბი პოეტი, პანეგირისტი.

² ალ-ხანსა – VI-VII სს. არაბი პოეტი ქალი, გლოვის ლექსებით ცნობილი.

³ საფი ად-დინ ალ-ჰილლი – XIV ს-ის პოპულარული არაბი პოეტი.

⁴ კასიდა – არაბული სალექსო ფორმა.

⁵ ბაიდაბა – არაბიზირებული სახელი ლეგენდარული ინდოელი ბრძენისა, ვიშნუ-შარმანისა, რომელიც „ქილილა და დამანას“ ტექსტში ფიგურირებს.

⁶ იბნ რუში – XII ს-ის ცნობილი არაბი ფილოსოფოსი.

⁷ ეფრემ სირიელი – IV-V სს. ცნობილი ქრისტიანი ღვთისმეტყველი.

⁸ იოანე დამასკელი – VII-VIII სს. ბიზანტიელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღმოსავლელები გარდასული წარსულის სცენებში ცხოვრობენ, პასიურ-ნეგატიური თავშესაქცევ-გასართობებისკენ აქვთ მისწრაფება, სძულთ პოზიტიური, განყენებული და აბსტრაქტული მოძღვრებები და პრინციპები, რომლებიც სუსხავს მათ და მშვიდი სიზმრებით მოცული ღრმა ძილისგან აფხიზლებს.

* * *

მართლაც, აღმოსავლეთი ავადაა. მისი ქრონიკული დაავადებები პერიოდულად მწვავდება და დროდადრო ეპიდემიები მოიცავს ხოლმე იქამდე, რომ ის უკვე შეგუებულია საკუთარ ავადმყოფურ მდგომარეობასა და ათასობით ტკივილს, ბუნებრივ მდგომარეობად აღიქვამს თავის სნეულებებსა და ტკივილებს; უფრო მეტიც, ისე უყურებს მათ, როგორც კეთილშობილ სულთა და ჯანმრთელ სხეულთა თანდაყოლილ კეთილ თვისებებს და ვისაც ეს არ აქვს, ის ნაკლოვნად მიიჩნევა, ზეციურ ნიჭსა და სრულყოფილებას მოკლებულად.

აღმოსავლეთს ბევრი ექიმი მკურნალობს. ისინი მის საწოლს არ შორდებიან და კონსილიუმზე მის საკითხს განიხილავენ, მაგრამ მხოლოდ დროებითი ეფექტის მქონე საანესთეზიო საშუალებებით წამლობენ, რაც ახანგრძლივებს ავადმყოფობის დროს და არ კი კურნავს მას!

ამ მორალურ და სულიერ საანესთეზიო საშუალებებს რაც შეეხება, მრავალსახოვანი და მრავალფეროვანია, ისინი ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან და ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა სნეულება და დაავადება. როგორც კი ახალი ავადმყოფობა იჩენს თავს აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის ექიმები მისთვის მაშინვე ახალ საანესთეზიო საშუალებას აღმოაჩენენ ხოლმე.

მიზეზები, რომლებსაც საანესთეზიო საშუალებების გამოყენებისკენ მივყავართ, მრავალია. მათგან ყველაზე მთავარი ისაა, რომ ავადმყოფი მთლიანად ემორჩილება განგებისა და ბედისწერის წინასწარგანჩინებულობის ცნობილ ფილოსოფიას, ექიმები კი სიმბდალეს იჩენენ და შიშობენ, რომ ეფექტური წამლების გამოყენებას ტკივილის გამწვავება მოჰყვება.

ახლა წარმოგიდგინთ იმ საანესთეზიო და დამანყნარებელი საშუალებების მაგალითებს, რომლებსაც აღმოსავლელი ექიმები მიმართავენ ოჯახური, ეროვნული და რელიგიური ავადმყოფობებისას:

კაცი ცოლს ვერ იტანს და ცოლი ქმარს ცხოვრებისეული პირობითობების მიზეზით. ერთმანეთში კინკლაობენ, ჩხუბობენ და ერთმანეთს დასცილდებიან. მაგრამ დღე-ღამეც არ გაივლის და კაცის სანათესაო შეიყრება ქალის სანათესაოსთან ერთად, ენამოქარგულ აზრებსა და შელამაზებულ იდეებს გაცვლიან ერთმანეთში და შეთანხმდებიან, მშვიდობა ჩამოაგდონ ცოლ-ქმარს შორის. მოიყვანენ ცოლს და მისი ემოციების და გრძნობების საცდუნებლად ისეთი ცრუ შეგონებებით აავსებენ, ქალს სირცხვილით რომ ანითლებს, მაგრამ ვერ არწმუნებს. შემდეგ ქმარს მოიწვევენ და თავს გამოუქედავენ მოქარგული სიტყვებითა და მაგალითებით, რომლებიც მის აზრებს კი დაიყოლიებს და შეარბილებს, მაგრამ ვერ ცვლის. აი, ასე მიიღწევა

შერიგება – დროებითი მშვიდობა – სულიერად ერთმანეთთან შეუთავსებელ ცოლ-ქმარს შორის, რომლებიც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას უბრუნდებიან, სანამ შესაფერადებელი საშუალება არ გამოხუნდება და იმ საანესთეზიო საშუალების მოქმედება არ გაივლის, ნათესავ-ახლობლებმა რომ გამოიყენეს. ქმარი კვლავ გამოხატავს თავის ზიზღს და აუტანლობას ცოლის მიმართ, ცოლი კი კვლავ ფარდას ახდის თავის უბედურ მდგომარეობას! მაგრამ ისინი, ვინც შერიგების გზა მონახეს პირველ ჯერზე, მეორედაც პოულობენ მას. ვისაც საანესთეზიო საშუალებების ერთ ყლუპი მოუწრუპავს, მერე უკვე სავსე ჭიქის დაღვევაზეც არ ამბობს უარს!

ხალხის ნაწილი აუჯანყდება უსამართლო მთავრობას ან მოძველებულ რეჟიმს, შექმნიან სარეფორმო ასოციაციას, რომელიც მიზნად ისახავს განვითარებასა და თავისუფლებას. მამაცურად გამოდიან სიტყვით, წერენ მგზნებარედ, აქვეყნებენ წესდებებსა და პროგრამებს, აგზავნიან დელეგაციებსა და წარმომადგენლებს, მაგრამ არ გაივლის ერთი-ორი თვე და ვიგებთ, რომ მთავრობამ დააპატიმრა ასოციაციის მეთაური ან თანამდებობა ჩააბარა მას. სარეფორმო ასოციაციის შესახებ კი უკვე აღარაფერი ისმის, რადგან მის წევრებს ცოტაოდენი ცნობილი საანესთეზიო საშუალებები გაუსინჯავთ და კვლავ სიმშვიდესა და მორჩილების მდგომარეობას დაბრუნებინან.

რელიგიური თემი თავის მეთაურს აუჯანყდება პრინციპული საკითხების გამო; აკრიტიკებს მის პიროვნებას და კიცხავს მის საქმეებს; შემფოთებულია მისი კურსით; შემდეგ ემოქრება მას სხვა, უფრო გონივრული, ილუზიებისა და ცრუნმენებისგან უფრო თავისუფალი რელიგიური მიმდინარეობის მიღებით! მაგრამ მცირე დროც არ გაივლის და ვიგებთ, რომ ქვეყნის გონიერმა ხალხმა აღმოფხვრა დაპირისპირება სამწყსოსა და მის მოძღვარს შორის და ჯადოსნური საანესთეზიო საშუალებების წყალობით მრევლს მონივნება დაუბრუნა მისი მეთაურის პიროვნების მიმართ, ურჩ ქვეშევრდომთა სულელებს კი – ბრმა მორჩილება!

სუსტი ჩაგრული ძლიერი მჩაგვრელის ტირანიას უჩივის, მაგრამ მეზობელი ეუბნება: დადუმდი, ისარს თუ თვალს გაუსწორებ, გამოგთხრის!

სოფელს ეჭვი შეაქვს ბერების ღვთისმოსაობასა და გულწრფელობაში და სხვა გლეხი ეუბნება: იყურე, წმინდა წერილში ხომ ნათქვამია: ისმინეთ მათი სიტყვები და ნუ გაიმეორებთ მათ ქმედებებს!

მონაფე უარს ამბობს ბასრელი და ქუფელი გრამატიკოსების⁹ წესების დაზეპირებაზე, მასწავლებელი კი ეუბნება: ზარმაცები და მცონარები ცოდვაზე უფრო მახინჯ თავის გასამართლებელ მიზეზებს იგონებენ!

ახალგაზრდა გოგონა უარსაა, ძველთა ჩვეულებებს მისდიოს და დედა კი ეუბნება: ქალიშვილი დედაზე უკეთესი ვერ იქნება და რა გზასაც მე ვედექი, შენც იმ გზას დაადგები!

⁹ იგულისხმება შუა საუკუნეების არაბული საენათმეცნიერო სკოლები ქ. ქუფასა და ბასრასში, რომელთაც ერთმანეთისგან განსხვავებული გრამატიკული მოძღვრებები ჩამოაყალიბეს.

ახალგაზრდა კაცი რელიგიური დოგმების მნიშვნელობათა ახსნას ითხოვს, ღვთისმსახური კი ეუბნება: ის, ვინც რწმენის თვალთ არ იყურება, ამქვეყნად ყველაფერს მხოლოდ ნისლსა და ბურუსში ხედავს!

ასე გადის დღეები ღამეების კვალდაკვალ. აღმოსავლელი თავის რბილ საწოლზე ნებივრობს. წუთით გამოიღვიძებს, როცა რწყილები დაკბენენ, შემდეგ ისევ ლეთარგიულ ძილს მისცემს თავს იმ საანესთეზიო საშუალებების ძალით, რომელიც მის სისხლს შერევია და ძარღვებში უვლის. თუკი მოვიდა კაცი ვინმე და შეუძახა მძინარეთ, მათი საცხოვრისები, ტაძრები და სასამართლოები ხმაურით აავსო, საუკუნო თვლემამორეულ ქუთუთოებს გაახელენ და ნელ-ნელა გამოფხიზლებულნი იკითხავენ: რა უხეში ყმანვილია! არც თვითონ იძინებს და არც ხალხს აძლევს ძილის საშუალებას! შემდეგ თვალებს ისევ დახუჭავენ და გულში, საკუთარი თავის გასაგონად ნაიჩურჩულებენ: ეს უღმერთო ერეტიკოსი ახალგაზრდა თაობის ზნეობას რყვნის, თაობათა ნაგებ ინსტიტუტებს ანგრევს და კაცობრიობას შხამიან ისრებს ესვრის!

არაერთგზის მიკითხავს ჩემი თავისთვის, ვარ კი მე იმ გამოფხიზლებულ აჯანყებულთა შორის, რომლებიც უარს არიან, დალიონ საანესთეზიო და დამანყნარებელი საშუალებები?! ჩემი გულისხმა მპასუხობს შეფარული, გაურკვეველი და ორაზროვანი სიტყვებით, მაგრამ, როდესაც მოვისმინე, როგორ ლანძღავს ხალხი ჩემს სახელს და სძაგთ ჩემი პრინციპები, დავრწმუნდი ჩემს ჭეშმარიტ გამოღვიძებაში და შევიტყვე, რომ მე არ ვეკუთვნი სასიამოვნო ზმანებებსა და ტკბილ სიზმრებს მინდობილთა რიცხვს, პირიქით, იმ მცირერიცხოვან მარტოსულთა შორის ვარ, ვისაც ცხოვრება ეკლითა და ყვაავილით მოფენილ, მტაცებელი მგლებითა და მგალობელი ბუღბუღებით გარემოცულ ვინრო გზაზე ატარებს.

გამოღვიძება ღირსება და კეთილი თვისება რომ ყოფილიყო, მოკრძალება და ზრდილობა ნებას არ მომცემდა, ასე დამეჩემებინა, მაგრამ ის მხოლოდ სათნოება კი არა, საკვირველი ჭეშმარიტებაა, მოულოდნელად რომ გამოეცხადება ხოლმე მარტოსულ ინდივიდებს, წინ ჩაუვლის და ისინიც თავისდაუნებურად გაედევნებიან ხოლმე მას, მისი უხილავი ძაფები იზიდავთ და მის დიდებულ არსს დაჟინებით, თვალმოუცილებლად მიშტერებიან.

ჩემი აზრით, მოკრძალებულობა სუბიექტური ჭეშმარიტებების გამოხატვაში წმინდა წყლის ფარისევლობაა, აღმოსავლელებთან აღზრდა-განათლებლად რომ იწოდება.

* * *

ხვალ მოაზროვნე ლიტერატორნი წაიკითხავენ იმას, რაც კი გამოვა ასპარეზზე და გაღიზიანებულნი იტყვიან: ის ექსტრემისტია, ცხოვრებას მხოლოდ ბნელი მხრიდან უყურებს და უკუნის მეტს ვერაფერს ხედავს! დიდი ხანია, რაც ჩამდგარა ჩვენში და მოსთქვამს და გოდებს, დაგვტირის, ოხრავს და კენესის ჩვენი მდგომარეობის გამო.

ამ მოაზროვნე ლიტერატორთ ვეტყოდი: მე დავტირი აღმოსავლეთს, რადგან მიცვალებულის კუბოსთან ცეკვა სრული სიგიჟეა!

მე ვტირი აღმოსავლელებს, რადგან ავადმყოფობის დაცინვა სრული უგუნურებაა!

მე ამ საყვარელი ქვეყნების გამო მოვთქვამ, რადგან უბედურების პირისპირ სიმღერა უჭკუობა და სიბრმავეა.

მე ექსტრემისტი ვარ, რადგან ის, ვინც ზომიერებას იჩენს ჭეშმარიტების გამომჟღავნებაში, მხოლოდ ნახევარ სიმართლეს ამბობს, მეორე ნახევარს კი მაღავეს ხალხის აზრისა და ლაყბობის შიშით.

ვხედავ აყროლებულ გვამს და შინაგანად მძაგს, გულ-მუცელი მიტრიალებს და არ შემიძლია მის გვერდით ჯდომა მარჯვენა ხელში სასმელის ბოკალით და მარცხენაში – ტკბილეულის ნაჭრით.

თუ მოიძვევა ვინმე, ვისაც სურს ჩემი ტირილის სიცილად გადაქცევა, ჩემი ზიზღისა – კეთილგანწყობად, ჩემი ექსტრემიზმისა კი – ზომიერებად, მან უნდა მიჩვენოს აღმოსავლელთა შორის სამართლიანი მმართველი, პათიოსანი კანონმდებელი, რელიგიური მეთაური, რომელიც მოძღვრების მიხედვით მოქმედებს და ქმარი, რომელიც ცოლს ისეთივე თვალთ უყურებს, როგორც საკუთარ თავს.

თუ მოიძვევა ვინმე, ვისაც სურს, მნახოს მოცეკვავე და მომისმინოს, როგორ ვუკრავ დოღზე და სალამურზე, მან უნდა მიხმოს სასიძოს სახლში, სასაფლაოზე კი არ გამაჩეროს!

*არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ
კრებულიდან „ქარიშხლები“*

ჩვენი და თქვენი

ჩვენ სევდის ძენი ვართ და თქვენ კი – სიხარულის!

ჩვენ სევდის ძენი ვართ და სევდა ღვთის ჩრდილია, რომელიც არ სუფევს ბოროტ გულთა მეზობლობაში. ჩვენ მნუხარე სულები გვაქვს და ეს ჭმუნვა იმდენად დიდია, რომ მას ვერ იტყვენ პატარა სულები. ჩვენ ვტირით და ვგოდებთ, ო, მოცი-ნარნო! ვინც საკუთარი ცრემლით ერთხელ მაინც განბანილა, ის დარჩება წმინდად უკუნისამდე!

თქვენ ჩვენ არ გვიცნობთ, ჩვენ კი გიცნობთ თქვენ. თქვენ ცხოვრების მდინარის ნაკადის სისწრაფით მოდიხართ და ჩვენკენ არც კი იყურებით, ჩვენ კი ვსხედვართ ნაპირზე, გიმზერთ და გისმენთ. თქვენ არ გესმით ჩვენი გოდება, რადგან დღეთა ხმაურს გამოუჭედავს თქვენი ყურები, ჩვენ კი გვესმის თქვენი სიმღერები, რადგან ღამეთა ჩურჩულს გაუხსნია ჩვენთვის ყურთასმენა. ჩვენ გხედავთ თქვენ, რადგან თქვენ ბნელ სინათლეში დგახართ, თქვენ კი ვერ გვხედავთ, რადგან ჩვენ განათებულ ბნელში ვსხედვართ.

ჩვენ სევდის ძენი ვართ, წინასწარმეტყველნი ვართ, პოეტნი და მუსიკოსნი. ჩვენ გულთა ჩვენთა სიმებით ვწნავთ ღვთაებათა შესამოსელს, ჩვენი გულის მარცვლებით ვუვსებთ ანგელოზებს პეშვებს მაშინ, როცა თქვენ, თქვენ სიამეთა უზრუნველობის ძენი ხართ და გართობის გამჭრიახობის! თქვენ თქვენს გულებს სიცარიელეს უძღვნი, რადგან სიცარიელის თითები ნაზად და, მოქნილად გეხებიან და უმეცრების მახლობლად დაივანებენ, რამეთუ უმეცრების სახლი სარკეს მოკლებულია, რომელშიც თქვენს სახეებს დაინახავდით.

ჩვენ ვოხრავთ და ამ ოხვრასთან ერთად ნელ-ნელა მატულობს ყვავილთა ჩურჩული, რტოთა შრიალი, ნაკადულთა ჩუხჩუხი, თქვენ კი იცინით და თქვენი სიცვილ-კისკისი შეერთვის თავის ქალათა ჩხარუნს, ბორკილთა ჟღარუნს, უფსკრულთა კივილს.

ჩვენ ვტირით და ჩვენი ცრემლები ცხოვრების გულში ჩაედინება ისე, როგორც ცვარი სწყდება ღამის ქუთუთოებს და დილას გულზე დაეპკურება. თქვენ კი ილიმებით და თქვენი მომღიმარი ბაგეთა კუთხეებიდან ცინიზმი იღვრება იმგვარად, როგორც იქედნეს შხამი დაედინება დაგესლილის ჭრილობას.

ჩვენ ვტირით, რადგან ვხედავთ ქვრივ-ობლის უბედურებას, თქვენ კი იცინით, რადგან ვერაფერს ხედავთ ოქროს ელვარების გარდა! ჩვენ ვტირით, რადგან გვესმის ლატაკის კენესა, ჩაგრულის გმინვა, თქვენ კი იცინით, რადგან ბოკალთა წკარუნის მეტი არა გეყურებათ რა.

ჩვენ ვტირით, რადგან ჩვენი სულები ღვთის ნებით სხეულებს გაშორებიან, თქვენ კი იცინით, რადგან თქვენი სხეულნი, ნასიამოვნებნი, მიწას ეკვრიან.

* * *

ჩვენ სევდის ძენი ვართ და თქვენ კი – სიხარულის. მაშ, მოდი, მზის სინათლეზე გამოვიტანოთ წყარონი ჩვენი სევდისა და საქმენი თქვენი სიამისა!

თქვენ ააგეთ პირამიდები მონათა თავის ქალებით და პირამიდები, ახლა რომ სილაზე განისვენებენ, თაობებს უყვებიან ჩვენს უკვდავებასა და თქვენს წარმავლობაზე. ჩვენ დავამხეთ ბასტილია თავისუფალ ადამიანთა ხელებით და ბასტილია ის სიტყვა გახდა, რომელსაც იმეორებენ ერები, გვლოცავენ ჩვენ და გწყევლიან თქვენ! თქვენ ზეატყორცნეთ ბაბილონის ბალები უძღურთა ჩონჩხებზე და ნინევიის სასახლეები წამოჭიმეთ ტანჯულთა სამარხებზე! და აი, ბაბილონი და ნინეგია აქლემთა ფეხის კვალს დამსგავსებინ უდაბნოს სილაზე. ჩვენ კი გამოვაქანდაკეთ იშთარი¹⁰ მარმარილოსგან და უსულო მარმარილო ავართოლოეთ და უსიტყვოდ ავამეტყველეთ!

ქნარზე ავაჟღერეთ ნაჰავანდის¹¹ ჰანგი და ქნარმა კოსმოსში მოხეტიალე შეყვარებულთა სულები გამოიხმო. ჩვენ მოვხატეთ მარიამი შტრიხებით და ფერებით

¹⁰ იშთარი – (აქადური ღვთაება) სიყვარულის, ნაყოფიერებისა და ომის ქალღმერთი ასურეთსა და ბაბილონში.

¹¹ ნაჰავანდი – მინორული ჰანგის ნაირსახეობა არაბულ მუსიკაში, სპარსული წარმოშობის. ჯიბრანს იგი აღწერილი აქვს თავის „მუსიკის წიგნში“.

და ეს შტრიხები ღვთაებათა ფიქრებს დაემსგავსა, ფერები კი – ანგელოზთა გრძნობებს.

თქვენ გართობას მისდევთ და გართობის კლანჭებს ათასობით ათასი მოწამე დაუფლეთავთ რომისა და ანტიოქიის თეატრონებში. ჩვენ კი ვცდილობთ, სიმშვიდეს მივდიოთ, სიმშვიდის თითებს დაუნწავთ ილიადა, იობის წიგნი და „ათ-თაია-ლ-ქუბრა“.¹²

თქვენ ვნებებთან იყოფთ სარეცელს და ვნებათა ქარიშხლებს ქალთა სულელების ათასობით ხომალდი გადაუჩეხავს სირცხვილისა და გარყვნილების უფსკრულში. ჩვენ მარტოობას ვეხუტებით. მარტოობაში შეისხა ხორცი მუალლაკებმა, ჰამლეტის ისტორიამ, დანტეს პოემამ! თქვენ ჟინს და გულისთქმას ებაასებით და ჟინის და გულისთქმის მახვილებს კი სისხლის ათასობით მდინარე დაუღვრიათ. ჩვენ ზმანებებს ვართ ადევნებულნი და ზმანებათა ხელით ზეგარდმოვლინდა ცოდნა უზენაესი სინათლის წრიდან.

* * *

ჩვენ სევდის ძენი ვართ და თქვენ კი – სიხარულის. ჩვენს სევდასა და თქვენს სიხარულს შორის ძნელად სავალი ზღუდეებია, ვინრო გადასასვლელებით, რომელსაც ვერ გადალახავენ თქვენი ჩინებული ცხენები, ვერ გაივლიან მასზე თქვენი ლამაზი ეკიპაჟები.

ჩვენ გვებრალება თქვენი სიპატარავე, თქვენ კი გძულთ ჩვენი დიდებულება! ჩვენს სიბრალულსა და თქვენს სიძულვილს შორის დრო დგას, განცვიფრებული თქვენით და ჩვენიით.

ჩვენ გიახლოვდებით, როგორც მეგობრები და თქვენ კი თავს გვესხმით, როგორც მტრები. მეგობრობასა და სიძულვილს შორის ღრმა უფსკრულია, ცრემლითა და სისხლით სავსე!

ჩვენ სასახლეებს გიგებთ და თქვენ სამარეებს გვითხრით. სასახლის სილამაზესა და სამარის უკუნეთს შორის კი კაცობრიობა დააბიჯებს რკინის ნაბიჯებით.

ჩვენ თქვენ გზად ვარდებს გიფენთ, თქვენ კი სარეცელს ეკლით გვივსებთ, ვარდის ფურცლებსა და ეკლებს შორის კი ღრმა, მარადიული ძილით სძინავს ჭეშმარიტებას.

დასაბამიდან ებრძვით ჩვენს დამყოლ, მოქნილ ძალას თქვენი უხეში სისუსტით. გვძლევთ მცირე ხნით და გახარებულნი აყიყინდებით ბაყაყებივით, გჯაბნით საუკუნოდ და მაინც ჩუმად ვართ, გოლიათებივით! თქვენ ჯვარს აცვით იესო ნაზარეველი, მის გარშემო იდექით, მას დასცინოდით და ლანძღვა-გინებით იკლებდით, მაგრამ, როცა იმ დრომ და საათმა გადაიარა, ის გადმოვიდა თავისი ჯვრიდან და გაიარა, როგორც გოლიათმა, საუკუნეები დაძლია თავისი სულითა და ჭეშმარიტებით და დედამინა აავსო თავისი დიდებითა და სილამაზით.

¹² „ათ-თაია-ლ-ქუბრა“ – XII-XIII სს. სუფი არაბი პოეტის იბნ ალ-ფარიდის ცნობილი კასიდა (მისტიკური გზა).

თქვენ მონამლეთ სოკრატე და ქვებით ჩაქოლეთ პავლე! მოკალით გალილეი და გაანადგურეთ ალი იზნ აბუ ტალიბი.¹³ თქვენ ჩამოახრჩეთ მიდჰათ ფაშა¹⁴ და ესენი ცოცხლობენ ახლა, როგორც ტრიუმფატორი გმირები მარადისობის პირისპირ. თქვენ კი კაცობრიობის ხსოვნაში ცხოვრობთ, როგორც მინის პირზე დაყრილი გვამები, რომლებიც ვერვის ნახულობენ ისეთს, ვინც დამარხავდა მათ დავინყებისა და არარსებობის სიბნელეში!

ჩვენ სევდის ძენი ვართ და სევდა ის ღრუბელია, რომელიც სამყაროს სიკეთედ და ცოდნად აწვიმს, თქვენ კი სიხარულის ძენი ხართ და რა მაღალიც არ უნდა იყოს თქვენი სიხარული, ის მაინც კვამლის სვეტებივითაა, რომელსაც ჩამოშლის ქარი და ფანტავს ნივთიერი ელემენტები.

არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ

კრებულიდან „ქარიშხლები“

ღარეჯან ბარდავაძე

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ორი მხატვრულ-ფილოსოფიური ესეა

ლიბანის მთებისა და ლიბანური კედრის შემდეგ ლიბანის მესამე სიმბოლოდ ქცეული უდიდესი მოაზროვნე ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931), მარონიტი ლიბანელი, ის არაბი მწერალია, რომელმაც ახალ არაბულ ლიტერატურას არნახული პოპულარობა შესძინა არა მხოლოდ არაბულ სამყაროში, არამედ დასავლეთში. დიდი ლიტერატორი და მხატვარი, სირიულ-ამერიკული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ბურჯი იმ იშვიათ ორენოვან მწერალთაგანია, რომელთა მხატვრული შემოქმედება ორივე ენაზე ერთნაირ სიმაღლეებს აღწევს. მას ბედმა არგუნა ლიბანსა და ამერიკას, – აღმოსავლეთსა და დასავლეთს, – შორის გადებული ცხოვრების გზა,¹⁵ რამაც ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მსოფლმხედველობას,

¹³ ალი იზნ აბუ ტალიბი – წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე, მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა, შიიტთა პირველი იმამი. მოკლეს 661 წ-ს.

¹⁴ მიდჰათ ფაშა – XIX ს-ის ოსმალეთის იმპერიის პროდასავლური რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე.

¹⁵ ჯიბრან ხალილ ჯიბრანი ჩრდილოეთ ლიბანის პატარა, მთიან სოფელ ბიშარაში დაიბადა. კედრების ტყით დაფარულმა მთის თოვლიანმა მწვერვალებმა, არაამქვეყნიური პეიზაჟებით მოცულმა გარემომ და მკაცრმა მთის ცხოვრებამ უძლიერესი ენერგეტიკა შესძინა მის მხატვრულ პოეტიკასა და აზროვნებას. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, თუმცა, მამის სიკვდილის შემდეგ, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, ამერიკაში ემიგრირებულ ლიბანელთა ტალღაში აღმოჩნდა, რადგან დედამისს ბოს-

მის სულიერ სამყაროს წარუშლელი კვალი დაატყო და იგი ორი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის – ჭეშმარიტ შვილად ჩამოაყალიბა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის არაბულ მწერლობაში ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მხატვრული შემოქმედება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ კულტურასა და ფილოსოფიასთან. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს ფრიდრიხ ნიცშეს მსოფლმხედველობასთან ჯიბრანის შეხედულებათა სიახლოვეს.¹⁶ ეს გავლენა განსაკუთრებით ძლიერია 1908-10 წლებში ჯიბრანის საფრანგეთში ცხოვრების დროს, როცა ის გატაცებულია ნიცშეს „ესე იტყოდა ზარათუშტრას“ იდეებით და ეს გატაცება მის კრებულ „ქარიშხლებშიც“ აისახება. „მესაფლავეში“ ჯიბრანი ნიცშეს ზეკაცის მსგავს ტიპაჟს ქმნის შემლილი ღმერთის სახით, რომელიც პოეტს ხვდება და ესაუბრება. ცხოვრებისა და შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე ნიცშეს გავლენის მიუხედავად, ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მწერლობისთვის ზოგადად დამახასიათებელია ღრმა რელიგიურობა და, ერთგვარად, სუფიური მისტიკის ანარეკლი. სიკვდილით სიკვდილის დამამარცხებელი, ჯვარცმული იესოს ხატება და მისი სიძლიერე ჯიბრანის ბევრი ნაწარმოების შთაგონებაა ქცეული. ეს განსაკუთრებით მის ინგლისურენოვან თხზულებაში „იესო – ძე კაცისა“ ჩანს, ასევე მის მხატვრულ ესეში „წინასწარმეტყველი“, რომლის შესახებ თავად მწერალი ამბობდა: „ესაა ჩემი აღმსარებლობა, ჩემი ცხოვრების ხელშეუხებელი სინმინდე. ვისურვებდი, ის ერთ-ერთ ეკლესიაში წამეკითხა...“ „თუ პოეტები რითმებს ზღვისგან იღებენ, ჩემი თხზულების რითმა წმინდა წიგნებიდან მოდის“.¹⁷ სხვათა შორის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის არნახულ პოპულარობასა და აღიარებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის, მწერლობის გარდა, მხატვრობასაც მისდევდა. მის ნახატებში მკვლევრები აღნიშნავენ უილიამ ბლეიკით გატაცებას, რის

ტონში ნათესავები ჰყავდა. ბოსტონის ჩინურ კვარტალში დაწყებული გაჭირვებული ცხოვრება მწერალს აღმოსავლეთ-დასავლეთის გზებზე დაატარებს. ინგლისური განათლების პარალელურად, არაბული ენის ცოდნის გასაღრმავებლად ის 1897 წ. ლიბანში ბრუნდება. სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ოჯახური ტრაგედია (დედის, დისა და ძმის ჭლეკით სიკვდილი) დაატყდა მწერალს თავს და ტკივილმა წარუშლელი კვალი დაასვა მის სულს, თუმცა, ტკივილის ესთეტიკას სწორედ რომ კათარსისული ფუნქცია ჰქონდა ჯიბრანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ის ამერიკაში აგრძელებს ცხოვრებას, ბოსტონში, შემდეგ ნიუ-იორკში, გარკვეული პერიოდი პარიზში ეუფლება ხატვას. ყალიბდება შემოქმედად, რომელსაც გამოარჩევს სამყაროს მისეული ხედვა. მისი მხატვრული თხზულებებისა და ესსეების სიღრმე ჯიბრან ხალილ ჯიბრანს ახალი არაბული ლიტერატურის კლასიკოსად აქცევს და არნახულ პოპულარობას უხვეჭს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. გარდაიცვალა ბოსტონში, თუმცა, სიკვდილის მერე ის კვლავ შეერთვის მის მშობლიურ, უსაყვარლეს ლიბანს. ის გადმოასვენეს და დაკრძალეს ლიბანში, სოფ. ბიშარაში, სოფლის მონასტერში, საფლავის ქვაზე წარწერით: „აქ განისვენებს ჩვენი მოციქული ჯიბრანი“.

¹⁶ მურმან ქუთელია, *არაბული რომანტიზმი*. გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2009. გვ. 42, 52-60.

¹⁷ ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, *წინასწარმეტყველი*, გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნი“, თბილისი, 2013, თარგმანი და წინასიტყვაობა ნინო დოლიძისა. გვ. 4-5.

გამოც როდენმა მას „აღმოსავლეთის ბლეიკი“ უწოდა.¹⁸ ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მისი თაობის სხვა არაბ რომანტიკოსთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი კარგად გამოვლინდა არაბ ემიგრანტთა საზოგადოების „არ-რაბიტა ალ-კალამიას“ საქმიანობაში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამერიკაში არაბული ლიტერატურის პოპულარიზაციაში და ემიგრანტულ წრეებში არაბული კულტურული ფასეულობების შენახვა-შენარჩუნებაში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ორი მხატვრული ესე – „სკალპელი და საანესთეზიო საშუალებები“ და „ჩვენ და თქვენ“ სიღრმისეულად და სრულად წარმოგვიდგენს ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მხატვრულ ესთეტიკაში ნოვატორულ-მოდერნისტულ ხედვას. „სკალპელი და საანესთეზიო საშუალებები“ თუ აღმოსავლეთის მისეულ მწვავე შეფასებას გვაძლევს, აღმოსავლეთისთვის ახალი სისხლის გადასხმის აუცილებლობის, ტრადიციული აღმოსავლური ფასეულობებისა და ორიენტირების ფასადური, დრომოჭმული, დახავსებული დოგმებისგან გათავისუფლების საკითხს სვამს, მათთვის ახალი სიცოცხლის, ახალი სულის შთაბერვის, აღმოსავლურ-დასავლური კულტურული სინთეზის საჭიროებას წამოსწევს წინ აღმოსავლეთის მეობის დაუკარგავად,¹⁹ „ჩვენ და თქვენ“ პიროვნების ინდივიდუალიზაციისა და „მესა“ და „სხვის“ პარადიგმაში, ერთი მხრივ, ინდივიდის გამოკვეთილი პიროვნულობისა და იდენტურობის და, მეორე მხრივ, მასის, ბრბოს უსახურობის ურთიერთკონტრასტულობის წარმოჩენის გზით მათ შორის დაპირისპირების უმაღლეს ხარისხს იძლევა, რაც ამ ორ მხარეს შორის დიალოგის საშუალებას გამოორიცხავს, შეუძლებელს ხდის. ორივე ესეში თავად ჯიბრან ხალილ ჯიბრანის უძლიერესი პიროვნული ნიშანთვისებები იკვეთება და მას დინების საწინააღმდეგოდ თავგანწირვით მოცურავედ წარმოგვიდგენს.

¹⁸ მურმან ქუთელია, *არაბული რომანტიზმი*. გამომცემლობა „მნიგნობარი“, თბილისი, 2009. გვ. 42.

¹⁹ ამ კუთხით ის ილია ჭავჭავაძესაც კი გვაგონებს:
„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მაღავეს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს -
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

DAREJAN GARDAVADZE

Two Artistic-Philosophical Essays of Jibran Khalil Jibran

After the mountains of Lebanon and the Lebanese cedar, the greatest thinker Jibran Khalil Jibran (1883-1931) who became the third symbol of Lebanon, Maronite Lebanese, is the Arab writer who granted unprecedented popularity to modern Arabic literature both in the Arabic and Western world. A great literary man and painter, one of the fulcrums of Syrian-American literary-philosophical school is belongs to such scarce bilingual writers whose creative work reaches equal heights in both languages. The fate allotted to him the way²⁰ of life which became a bridge between East and West, which left an indelible trace on the worldview of Jibran Khalil Jibran and his spiritual world and which helped him to become a true son of two cultures – Eastern and Western. It can be said without any exaggeration that in the Arabic prose of the 20th c. the creative work of Jibran Khalil Jibran is most closely connected with the western culture and philosophy. A considerable number of researchers point to the closeness of Jibran's views with the world-view of Friedrich Nietzsche²¹. This phenomenon is especially strong between 1908 and 1910. While living in France, Jibran became interested in the conceptual ideas of Nietzsche's work "Thus Spoke Zarathustra" and this influence is felt in his collected works "The Storms". In his essay "The Grave-digger" Jibran creates a prototype of a superman, like that of Nietzsche's, with an image of a crazy God, who meets the poet and speaks to him. It should necessarily be mentioned that on a definite stage of life and creative work, in spite of the influence of Nietzsche, the literary works of Jibran Khalil Jibran were characterized by deep religiosity and some Sufistic mystic reflection. The icon of crucified Jesus and his might became

²⁰ Jibran Khalil Jibran was born in a small, mountainous village of North Lebanon, in the village of Besharri. The snowy mountain peaks covered with cedar forests, the surroundings full of unearthly landscapes and the cruel life of the mountains granted to his poetry and thinking the strongest energetics. He received elementary education in his native school. However, after his father's death, still being quite a child Jibran appeared among the Lebanese immigrants in America, as his mother had relatives in Boston. The writer lived in misery in the Chinese quarter. Life made walk on East-West roads. Despite the fact that he was getting an English education in the Us, in 1897 Jibran Khalil Jibran returns to Lebanon to deepen his knowledge of the Arabic language. In several years a family tragedy befell the writer (his sister and brother died of tuberculosis) and this tragedy left an indelible mark on his soul..At the same time, this sad event had a cathartic effect on his life and creative work. Jibran stays in Boston and then he moves to New York. He spent some time mastering in drawing. Here his personality and world outlook were formed.

The depth of his artistic works and essays made Jibran Khalil Jibran a classical writer of the modern Arabic literature and won him an unbelievable fame in both Eastern and Western worlds. He died in Boston, however, later his remains were reburied in his beloved Lebanon, in Beshara, in the village monastery. The inscription on his gravestone reads: "Here lies the body of our apostle Jibran".

²¹ Murman Qutelia, The Arabic Romanticism, Publishing House « Mtsignobari », Tbilisi, 2009, pp.42,52-60.

the inspiration for many of his books. This is especially well shown in an English-language essay “Jesus –the Son of Man”, as well as in the essay “The Prophet”, about whom the writer used to say: “This is my confession, the untouchable sanctity of my life. I wish I could read it in the church...” “If the poets take the rhymes from the sea, the rhyme of my essays comes from the Holy Books²². Besides, the unprecedented popularity and acknowledgement of Jibran Khalil Jibran was determined by the fact that in addition to writing, he was fond of painting. In his paintings the researchers refer to the passion for William Blake because of which Rodin called him the “Blake of the East”²³. The literary-aesthetic views of Jibran Khalil Jibran and other Arab romanticists of his generation are well-revealed in the activity of the immigrant society “ar-Rabita al-Qalamia”, which played an important role in the popularization of the Arabic literature in America and in maintaining the cultural values in the society of Arab immigrants.

Two artistic essays presented by us – “Scalpel and Anesthetic Means” and “We and You” fully represent an innovative, modern vision in an artistic aesthetics of Jibran Khalil Jibran. “The Scalpel and Anesthetic Means” gives a sharp assessment of the East peculiar to the author; it raises the issue of liberation from the facade, out-of-date, overgrown with moss dogmas and stresses the necessity of refreshing the blood and traditional Eastern values and orientations. It also puts forward the necessity to accept the principles of a new life, breeding in it a new spirit, a cultural synthesis of East and West, without losing the “ego” of the East²⁴. The individualization of a person in the essay “We and You”, the paradigm “Me” and “Other”, on the one hand, and the distinguished personality of an individual, on the other, create the conflict between the person and the mass (the crowd) which excludes the dialogue between the two parties. Both essays clearly distinguish the strongest personal characteristic features of Jibran Khalil Jibran and represent him as a selfless swimmer, swimming against the current.

²² Jibran Khalil Jibran, *The Prophet*, Publishing House « The Georgia Academic Book », Tbilisi, 2013, Translation and Preface by Nino Dolidze. P.4-5.

²³ Murman Qutelia, *The Arabic Romanticism*, Publishing House “Mtsignobari”, Tbilisi, 2009. P.42.

ავტორები:

ლელა ალექსიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ვალერიან რამიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დემურ ჯალაღონია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ირაკლი ბრაჭული – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანასტასია ზაქარიაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მამუკა დოლიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გრივერ ფარულავა – თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი

ბარტ ს.ჰოპკინსი – სიეტლის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ

ჯოი პილოტა – ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ

ვიტის ვალატკა – ვილნიუსის რომერის უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტვა

არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე) – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

მამა ალექსი (ქუჭუაშვილი) – თბილისის სასულიერო აკადემიის მასწავლებელი

ქეთევან ცხვარიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ვაჟა ნიბლაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Authors:

Lela Alexidze – Dr. habil professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Valerian Ramishvili – Dr. habil professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Demur Jalaghonia – Dr. professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irakli Brachuli – Dr.habil associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anastasia Zakariadze – Dr.habil associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Darejan Gardavadze – associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

University

Mamuka Dolidze – Dr.habil associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Griver Parulava – Tbilisi Spiritual Academy. professor

Burt C. Hopkins – professor of Seattle University(USA)

Archimandrite Adam (Akhaldze) – professor, rector of st. Tamar University

Father Alexi (Kshutashvili) – Tbilisi Spiritual Academy.

Joe Pilotta – professor of New-Jersey University (USA)

Vytis Valatka – Mykolas Romeris University, Head of Department of Philosophy, professor

Vazha Nibladze – Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Tskvariashvili – Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გამომცემლობის რედაქტორები: მარინე ვარამაშვილი
ნანა კაჭაბავა
მხატვარი მარიამ ებრალიძე
კორექტორი რუსუდან მიქენაია
დამკაბადონებელი ნათია დვალი

TSU Press Editors: Marine Varamashvili
Nana Katchabava
Cover Designer Mariam Ebralidze
Proofreader Rusudan Miqenaia
Compositor Natia Dvali

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge